

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის
არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

გიორგი გოგოლაშვილი

ქართული სალიტერატურო ენა
ნარკვევები

თბილისი 2013

წიგნში განხილულია ქართული სალიტერატურო ენის აქტუალური პრობლემები.

აქ წარმოდგენილი ნარკვევები სხვადასხვა დროს იბეჭდებოდა სხვადასხვა გამოცემაში.

წიგნი განკუთვნილია ფილოლოგებისათვის, კერძოდ, და ქართული ენისა და მწერლობის საკითხებით დაინტერესებულ პირთათვის, ზოგადად...

და არა მხოლოდ მათთვის...

რედაქტორი გიორგი ცოცანიძე

რეცენზენტები: ციცილო კვანტალიანი
 რუსუდან ლანდია

ტექნიკური რედაქტორი ლევან ვაშაკიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა რუსუდან გრიგოლიასი
გარეკანის დიზაინი ნინო ებრალიძის

წიგნი გამოსცა თსუ გამომცემლობამ

ISBN 978-9941-13-291-9

წინასიტყვა

ქართული საქართველოს სახელმწიფო ენაა. ქართულს, როგორც სახელმწიფო ენას, ზანგრძლივი ისტორია აქვს...

ქართული სალიტერატურო ენაა. ქართულს, როგორც სალიტერატურო ენას, ასევე ზანგრძლივი ისტორია აქვს... ვისაუბრებთ ამ საკითხებზე...

* * *

ქართული სალიტერატურო ენა არის ქართული საერთო-ეროვნული ენის უმაღლესი ფორმა.

ყოველ სალიტერატურო ენას აქვს თავისი ძირითადი ნიშნები:

ა) იგი არის საერთო და სავალდებულო ყველასათვის, ვინც ამ ენაზე მეტყველებს;

ბ) სალიტერატურო ენა არის სამწერლობო და ზეპირი (განსხვავებით დიალექტებისაგან, რომლებიც მხოლოდ ზეპირი მეტყველების სახით არსებობენ);

გ) სალიტერატურო ენა არის ნორმირებული (სალიტერატურო ენა საჭიროებს მეცნიერულად დასაბუთებულ გონივრულ ჩარევას, მისი დახვეწისათვის აუცილებელია მართებული პრინციპების გამომუშავება, რომლებიც წარმართავენ მისი შემდგომი განვითარების გეზს; ანუ: ხდება გარკვეული ეპოქისათვის ენის ფუნქციონირებისა და განვითარების პროგრამირება).

დ) სალიტერატურო ენა არის ოფიციალური ურთიერთობის საშუალება“ (ბ. ჯორბენაძე).

ქართული, როგორც სალიტერატურო ენა, ყველა ამ ძირითადი ნიშნის მატარებელია. მას განვითარების თექვსმეტსაუკუნოვანი ლოკუმენტირებული ისტორია აქვს. იგი ყოველთვის ითვალისწინებდა ეროვნული ენის განვითარების ტენდენციებს და ყოველ ეპოქაში შესაბამისი წესების სახით ამკვიდრებდა მას. როგორი იყო ეს წესები და შესაბამისობა ეპოქასთან, მიმართება საერთო-სახალხო ენას-

თან; ვინ იყვნენ ისინი, ვინც იტვირთეს სალიტერატურო ენის უმძიმესი ტვირთი; როგორია დღეს ვითარება სალიტერატურო ენის მოვლა-პატრონობის თვალსაზრისით; რა პრობლემები დგას მის წინაშე და რა პერსპექტივები აქვს მას... — ეს ის კითხვებია, რომლებიც არაერთხელ დასმულა და საგულისხმო პასუხიც გასცემია... თუმცა ასეც ვთქვათ: ეს ის კითხვებია, რომლებზე მსჯელობაც დაუსრულებლად მოგვიწევს მათი აქტუალობისა და სიღრმის გამო... წინამდებარე წიგნიც ერთ-ერთ ამგვარ ნაშრომად გვესახება... ნაშრომად, რომელსაც აქვს პრეტენზია ზოგი საკითხის ახლებური დასმისა... თუმცა არა აქვს პრეტენზია საკითხის ამომწურავი განხილვისა...

ერთი მცირე განმარტებაც: ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში განსაკუთრებულია იაკობ გოგებაშვილის როლი. მიგვაჩინია, რომ მისმა „დედაენამ“ ისეთივე როლი შეასრულა ქართული სალიტერატურო ენის განვითარებასა და განმტკიცებაში, როგორიც „სახარებამ“ ადრეულ ეტაპზე და „ვეფხისტყაოსანმა“ — მომდევნო პერიოდში. ვთვლით, რომ ი. გოგებაშვილის დამსახურება ქართული ენის წინაშე მეტ ყურადღებას იმსახურებს. ამიტომაც წარმოვადგენთ ცალკე თავად მის ღვაწლს ამ სფეროში. ესეც მიემატოს ადრე თქმულს...

* * *

„ენა მწერლის ბალავარია, მისი უმთავრესი იარაღია. ენის უცოდინარი მწერალი სამფეხა ცხენსა ჰგავს, გენიოსიც რომ იყოს, ვერც გაიქცევა და ვერც დაიძვრება“ (მ. ჯავახიშვილი) — ეს მწერალმა თქვა. „მწერალი ენის გამომყენებელიცაა და მისი შემოქმედიცო“ — ეს მეცნიერმა თქვა. — „შემოქმედი და არა გამომგონებელი“; „ენაში დაფარულ შესაძლებლობათა პირველადმომჩენიო“ (ბ. ჯორბენაძე)... რაში მდგომარეობს ეს „შემოქმედობა და არა გამომგონებლობა“, „პირველადმომჩენობა“ — ეს კითხვებიც გვაფიქრებდა და ეს ნაფიქრი ამ წიგნშიც მოხვდა...

ენა და მწერალი — ანუ რა არის ენა მწერლისთვის და მწერალი ენისთვის — შეძლებისდაგვარად ამ კითხვებზე პასუხის გაცემაც ვცადეთ...

ენახოთ...

ნაწილი I. სალიტერატურო ენა

ქართული, როგორც სახელმწიფო ენა

პირველი ქართული სახელმწიფო ჩამოყალიბდა ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნის დასასრულს – ქართლის სამეფო. ამ სამეფოს პირველი მეფე იყო ფარნავაზი, რომელიც მოღვაწეობს IV ს-ის დასასრულსა და III ს-ის I ნახევარში (ქსე, X, 232, 466). ლეონტი მროველის, XI ს-ის მემატიანის, ცნობით, ფარნავაზის დამსახურებაა ის, რომ ქართული ენა იქცა I ქართული სახელმწიფოს სახელმწიფო ენად (დღევანდელი გაგებით). მემატიანე წერს: „ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თუნეირ ქართულისა: და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“ (ლეონტი მროველი, 1955, გვ. 26).

ბოლო ცნობას ქართული დამწერლობის შექმნის თაობაზე ასეც განმარტავენ: მანამდე არსებული ქართული დამწერლობა ფარნავაზმა სახელმწიფო დამწერლობად გამოაცხადაო (რ. პატარიძე, 1980).

ფარნავაზისდროინდელი ქართლი საქართველოს გულისხმობს: ფარნავაზმა „ჩაატარა სახელმწიფო რეფორმა – ქართლის სამეფო დაყო საერისთავოებად (მარგვის, კახეთის, ხუნანის, სამშვილდის, წუნდის, ოძრხის, კლარჯეთის, ეგრისისა და შიდა ქართლის“ (ქსე, X, 232).

მართალია, მომდევნო საუკუნეებში ტერიტორიული მთლიანობა საქართველოსი დაირღვა, მაგრამ ენობრივი მთლიანობა შენარჩუნებული იქნა. X საუკუნეში საქართველო რამდენიმე სამეფო-სამთავროდ იყო დაშლილი, მაგრამ ამ პერიოდის მწერალი გიორგი მერჩუ-

ლე წერს: „ქართლად ფრიადი ქვეყანა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა უამი შეიწირვის და ლოცვამ ყოველი აღესრულების“ (გიორგი მერჩულე, 1960, გვ. 186). რეალობა ასეთია: დაშლილი სახელმწიფო, მაგრამ ერთიანი „სახელმწიფო ენა“. აქ ერთი მომენტიცაა არსებითი: ქართული ენა არის გააზრებული საქართველოს ეროვნული მთლიანობის ნიშნად... ასე იყო ეს საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური აღორძინების ეპოქაშიც და მაშინაც, როცა საქართველო პოლიტიკურად დაშლილი და დაქუცმაცებული იყო.

ქართული ენის სახელმწიფოებრივი ფუნქცია არ მოშლილა და არ შეზღუდულა მაშინაც კი, როცა საუკუნეების მანძილზე ჩვენი ქვეყანა განიცდიდა გარეშე მტრის ძლიერ პოლიტიკურ ზეგავლენას. გავიხსენოთ არაბების, მონღოლების, სპარსელების, ოსმალების მიერ საქართველოს მთლიანი თუ ნაწილობრივი ანექსიის ფაქტები. ქართული ენა რჩებოდა საქართველოს ოფიციალურ ენად საზოგადოებრივ-პოლიტიკური, რელიგიური და ეკონომიკური ცხოვრების ყველა სფეროში. ეს ასე იყო XIX საუკუნემდე.

ქართული ენის სახელმწიფოებრივ ფუნქციას საფრთხე შეექმნა XIX საუკუნეში. სწორედ XIX საუკუნის დასაწყისში საქართველომ დაკარგა სახელმწიფოებრიობა: რუსეთმა მოახდინა მისი სრული ანექსია; საქართველომ დაკარგა დამოუკიდებლობა. იგი გახდა რუსეთის ნაწილი (დასავლეთ საქართველო ქუთაისის გუბერნიად იქცა, აღმოსავლეთ საქართველო — თბილისის გუბერნიად; თბილისი კავკასიის მთავარმმართველის (შემდგომში მეფისნაცვლის) რეზიდენციად გამოცხადდა. საქართველოში ოფიციალურ (საქმისწარმოების, განათლების, სასამართლოს, ღვთისმსახურების...) ენას რუსული ენა წარმოადგენდა... ვიმეორებთ: ფარნავაზიდან მოყოლებული (ძვ. წ. IV-III საუკუნეები) ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ქართული ენა საქართველოს ტერიტორიაზე კარგავს სახელმწიფო ენის სტატუსს. და ეს პერიოდი (ე. ი. როცა საქართველოში ქართულ ენას ჩამოერთვა სახელმწიფოებრივი ფუნქცია) თითქმის ერთი საუკუნე გაგრძელდა.

XIX საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო ფართომასშტაბიანი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ამ მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო საქართველოში ქართული ენისათვის თავისი კუთვნილი ადგილის დაბრუნება; რუსული ენის მიერ წართმეული ფუნქციონირების სფეროს აღდგენა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ამ ეტაპის დასაწყისად ითვლება ილია ჭავჭავაძის წერილის — „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის მიერ კოზლოვიდგან „შეშლილის“ თარგმანზედ“ — გამოქვეყნება 1861 წელს. რა იყო ილია ჭავჭავაძის მთავარი თეზისი: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ უპატრონებთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას?!“ (ილია, 1958, გვ. 26).

სწორედ XIX საუკუნის II ნახევარში იწყება ქართული ენის მიერ დაკარგული სივრცის დაბრუნება: მთელ ქვეყანაში გაიხსნა ორ- და ოთხკლასიანი ქართული სამრევლო სკოლები, აღდგა ქართული თეატრი, გამოვიდა ქართულენოვანი ჟურნალ-გაზეთები...

1918 წლის იანვარში ქართული უნივერსიტეტის გახსნამ ქართული ენა აქცია სამეცნიერო ენად...

და ეს გზა — ქართული ენის მიერ სახელმწიფო ენის სტატუსის მოპოვებისა — დასრულდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ (1918 წ. 26 მაისი). საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ენად ქართული გამოცხადდა.

საქართველოს პირველი კონსტიტუცია მიიღო საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ მიერ 1921 წლის 21 თებერვალს.

კონსტიტუციის I თავის მე-3 მუხლი:

„საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული ენა“ (საქ. კონსტიტუცია, 1992, გვ. 5).

ეს არის ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიაში პირველი კონსტიტუცია და პირველი საკონსტიტუციო ჩანაწერი სახელმწიფო ენის შესახებ.

სამწუხაროდ, დამოუკიდებელ საქართველოსა და მის კონსტიტუციას დიდი დღე არ ეწერა: როგორც ვთქვით, კონსტიტუცია 1921 წლის 21 თებერვალს მიიღეს; ოთხ დღეში, 25 თებერვალს, რუსეთმა საქართველოს ანექსია მოახდინა...

შეიქმნა საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა. ახლადშექმნილი საქ. სსრ-ის კონსტიტუცია მიღებულ იქნა 1922 წელს. ქართულს სახელმწიფო ენად ეს კონსტიტუციაც აცხადებს:

„თავი II. მუხლი 6.

საქართველოს სსრ რესპუბლიკის სახელმწიფო ენად ითვლება ქართული ენა. ყველა ცენტრალურ სახელმწიფო დაწესებულებათა რეზიდენციად — ქ. ტფილისი“ (აქტები, 1983, გვ. 74).

აქ ყურადღებას მივაქცევთ სიტყვას ითვლება. ეს არ არის კონსტიტუციის ენა: ჩვეულებრივ წერენ: „სახელმწიფო ენა არის“. აქ წერია: „სახელმწიფო ენად ითვლება“. ვფიქრობთ, აქ მინიშნება უნდა იყოს სწორედ წინა კონსტიტუციაზე; ასევე სიტყვა ითვლება იგულისხმება დედაქალაქთან დაკავშირებულ ამ მუხლშიც. გააზრება ასეთი უნდა იყოს: დედაქალაქი იყო და იქნება თბილისი; სახელმწიფო ენა იყო და იქნება ქართული.

რა გვაძლევს ამ დასკვნის გაკეთების საფუძველს?

ბოლშევიკური ხელისუფლება თავიანთი კონსტიტუციის მიღებამდე საუბრობს ქართულ ენაზე, როგორც სახელმწიფო ენაზე. ჩვენ ხელთა გვაქვს რევკომის ერთი ასეთი ბრძანება: „სახელმწიფო ენა საქართველოში“. ბრძანება გამოქვეყნდა გაზეთ „კომუნისტში“ ბოლშევიკური კონსტიტუციის მიღებამდე. მოვიყვანთ ამ საინტერესო დოკუმენტის სრულ ტექსტს:

„მიუხედავად რევკომის არა ერთხელ გამოცემული ბრძანებისა, რომ საბჭოთა სოციალისტურ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ენა არის ქართული და საქართველოს ყველა დაწესებულება როგორც სახელმწიფო, ისე საზოგადო, ვალდებულია სასტიკად აასრულონ ეს ბრძანება. ქალაქ თბილისში მაინც იჩენს თავს პროვოკაციული მოქმედება აღნიშნული ბრძანების წინააღმდეგ: იყო

შემთხვევა ქართული ენის გაძევების სურვილისა ზოგიერთი დაწესებულებიდან.

რეეკომი ერთხელ კიდევ ბრძანებს, სასტიკად ასრულებულ იქნას მისი ბრძანება და მოისპოს პროვოკაცია მშრომელთა უფლებისა, რომელიც არა თუ არ ცდილობს საქართველოს და მის თვითგამორკვევის მოსპობას, არამედ თავის მიზნად ისახავს სახელმწიფო ენის დაცვასთან ერთად, გააძლიეროს და ცხოვრებაში გაატაროს საქართველოს მშრომელთა სრული თვითგამორკვევა.

უკანასკნელ დროს, გამოჩნდნენ პროვოკატორები, რომლებიც შლიან დუქნების და სხვა საზოგადო დაწესებულებებიდან ქართულ წარწერებს. უკვე რამოდენიმე კაცი ამისთვის დაპატიმრებულია და მიიღებენ ღირსეულ სასჯელს.

რეეკომი აფრთხილებს ყველას, რომ ამისთანა პროვოკაციული მოქმედებისათვის, რომელიც ასუსტებს საბჭოთა მთავრობას საქართველოში, სასტიკად იქნებიან დასჯილნი“. ბრძანებულება გამოქვეყნდა 1922 წლის მარტის ბოლოს „კომუნისტის“ მე-11 ნომერში (აქტები, 1983, გვ. 70).

ასე რომ, კონსტიტუციის მიღებამდე ბოლშევიკები საუბრობდნენ ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, შესახებ და, რაც მთავარია, ძალიან მკაცრ ღონისძიებებს ატარებენ მის დასაცავად.

თავად ეს ნორმა — ქართული არის სახელმწიფო ენა — მომდევნო კონსტიტუციებშიც აისახა.

1927 წლის „საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუცია“. თავი I. მუხლი 10:

„საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახელმწიფო ენა არის ქართული ენა“ (აქტები, 1983, გვ. 102).

1937 წლის „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია“. თავი XIII. მუხლი 156:

„საქართველოს სსრ სახელმწიფო ენა არის ქართული“ (აქტები, 1983, გვ. 159).

ამ კონსტიტუციაში 157-ე და 158-ე მუხლები განმარტავს: „კანონები და აგრეთვე საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭოს

პრეზიდენტის ბრძანებულებანი და განმარტებანი, საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი და განკარგულებანი ქვეყნდება ქართულ ენაზე, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქებისათვის ქართულ ენაზე და ავტონომიური რესპუბლიკის ან ავტონომიური ოლქის ენაზე“ (აქტები, 1983, გვ. 159). ეს 157-ე მუხლია. მომდევნო (158-ე) მუხლში ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის კანონებსა და აქტებზე არის საუბარი — „ქვეყნდება ავტონომიურ რესპუბლიკის ან ავტონომიური ოლქის ენაზე და ქართულ ენაზე“.

ეს კონსტიტუცია აღმოჩნდება ყველაზე დღევრძელი საბჭოთა საქართველოში. 1978 წელს გამოქვეყნდა ახალი კონსტიტუციის პროექტი. ამ პროექტში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 57-ე წელს კომუნისტური ხელისუფლება ცდილობს გააუქმოს ქართული, როგორც სახელმწიფო ენა.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია, 1978 წ. პროექტი. თავი VII. მუხლი 75:

„საქართველოს სსრ რესპუბლიკა უზრუნველყოფს ქართული ენის ხმარებას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, კულტურულ და სხვა დაწესებულებებში და ახორციელებს სახელმწიფო ზრუნვას მისი ყოველი ღონისძიებით განვითარებისათვის“ (აქტები, 1983, გვ. 192).

ჩანაწერი — „უზრუნველყოფს ქართული ენის ხმარებას“ — ცხადია, არ ნიშნავს იმას, რომ ქართული არის სახელმწიფო ენა. იგი გათანაბრებულია საქართველოში არსებულ სხვა ენებთან. 75-ე მუხლის მეორე აბზაცში ვკითხულობთ: „საქართველოს სსრ რესპუბლიკაში, თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, უზრუნველყოფილია ყველა იმ ორგანოსა და დაწესებულებაში რუსული, აგრეთვე სხვა ენების თავისუფალი ხმარება, რომლებითაც მოსახლეობა სარგებლობს“ (იქვე). და საგანგაშო დასკვნითი ნაწილი ამ მუხლისა: „რაიმე პრივილეგიები ან შეზღუდვები ამა თუ იმ ენის ხმარებაში არ დაიშვება“ (იქვე).

ასე რომ, კონსტიტუციის პროექტის მიხედვით ქართულს ერთმეოდა სახელმწიფო ენის სტატუსი და იგი უთანაბრდებოდა საქართველოში არსებულ სხვა ენებს. ერთიც, რუსული „სხვა ენებისაგან“ განსხვავებულადაა წარმოდგენილი.

საქართველოში არსებულ სხვა ენებზე ყურადღება წინა კონსტიტუციაშიც იყო გამახვილებული.

დემოკრატიული საქართველოს კონსტიტუციაში ეროვნული უმცირესობის ენების შესახებ საგანგებოდ არის მსჯელობა მე-4 თავის 129-ე მუხლში: „არ შეიძლება შეიზღუდოს საქართველოს რესპუბლიკის რომელიმე ეროვნული უმცირესობის თავისუფალი სოციალ-ეკონომიკური და კულტურული განვითარება, განსაკუთრებით მისი დედა-ენით სწავლა-აღზრდა და ეროვნულ-კულტურულ საქმეთა შინაური მართვა-გამგეობა.“

ყველას აქვს უფლება, სწეროს, ჰბეჭდოს და ილაპარაკოს დედა ენაზე“ (საქ. კონსტიტუცია, 1992, გვ. 35).

ვფიქრობთ, აქ საინტერესოდ არის განსაზღვრული ეროვნულ უმცირესობათა ენების ფუნქციები:

ა) სოციალ-ეკონომიკური და კულტურული განვითარება,

ბ) განათლების სფერო და

გ) ეროვნულ-კულტურულ საქმეთა შინაური მართვა-გამგეობა.

პირველი ბოლშევიკური კონსტიტუცია (1922 წ.) ეროვნულ უმცირესობათა ენების შესახებ შენიშვნას აკეთებს:

თავი II. მუხლი 6. „შენიშვნა: ეროვნულ უმცირესობათ ენიჭებათ თავისუფალი განვითარებისა და სამშობლო ენის ხმარების უფლება როგორც საკუთარ ეროვნულ-კულტურულ, ისე საერთო სახელმწიფო დაწესებულებებში“ (აქტები, 1983, გვ. 74).

როგორც ვხედავთ, ეს კონსტიტუცია ახდენს ეროვნულ უმცირესობათა ენების ფუნქციის ამღლებას – „საერთო სახელმწიფო დაწესებულებებში“ მათი გამოყენების დაკანონებას.

მომდევნო კონსტიტუციაში (1927, 1937) არსობრივად იგივე მეორდება, არის მხოლოდ რედაქციული სხვაობა; მაგალითად: 1937 წლის კონსტიტუცია: „საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე მოსახ-

ლე ნაციონალურ უმცირესობათათვის უზრუნველყოფილია უფლება თავისუფალი განვითარებისა და დედაენის ხმარებისა როგორც თავის კულტურულ, ისე სახელმწიფო დაწესებულებაში“ (აქტები, 1983, გვ. 159).

როგორც ვხედავთ, რუსული ამ კონსტიტუციებში (1922, 1927, 1937 წწ.) სხვა ენათა გვერდითაა და არაა გამორჩეული. ეს მოხდა მხოლოდ 1978 წლის კონსტიტუციაში: ქართული, რუსული და სხვა ენები...

ეს იყო იმ ეროვნული და ენობრივი პოლიტიკის გამოვლენა, როცა ენა არ მიეკუთვნებოდა არც უცხო ენებს, არც „სხვა ენებს“, იყო რუსული ენა. სასწავლო პროგრამების შედგენისას საუბრობდნენ ქართულის, რუსულისა და უცხო ენების შესახებ. უცხო ენებად მოიაზრებოდა ევროპული ენები. სხვათაშორის, როცა ქართულ სკოლებში შემოიღეს აღმოსავლურ ენათა (არაბული, სპარსული...) სწავლება, ენათა დიფერენცირება ასეთი იყო:

ქართული ენა (მშობლიური ენა),

რუსული ენა,

უცხო ენები (ევროპული ენები),

აღმოსავლური ენები...

იყო მცდელობა, რუსული ენისათვის მეორე მშობლიური ენა ეწოდებინათ.

აი, ამგვარი ეროვნულ-ენობრივი პოლიტიკა იყო საქართველოში, როცა 1978 წელს შემოგვთავაზეს კონსტიტუციის ის ვარიანტი, რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი.

როგორც ჩანს, ეს იყო სტანდარტული ვარიანტი, რომელიც ყველა (14-ვე) მოკავშირე რესპუბლიკას შესთავაზეს. ოღონდ აქ ერთი არსებითი სხვაობაა, მოკავშირე რესპუბლიკების წინა კონსტიტუციებში (რამდენადაც ჩვენთვისაა ცნობილი) სახელმწიფო ენა არ იყო გამოკვეთილი. ეროვნულ უმცირესობებზე საუბრისას რუსული არ გამოიყოფოდა 1976 წლამდე. მაგრამ გერბის შესახებ საკონსტიტუციო ჩანაწერში გამოჩნდება რუსული ენა. 1922 და 1927 წლების კონსტიტუციებში გერბზე სამენოვანი წარწერაა:

1922 წ. — მუხლი 133, „დისკოს გარშემო მოთავსებულია წარწერა სამ ენაზე: ქართულად, რუსულად და ფრანგულად: პრო-ლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით“ (აქტები, 1983, გვ. 95).

1927 წ. — მუხლი 112: „არეს გარშემო მოთავსებულია ქართული, რუსული და ფრანგული წარწერა...“ (აქტები, 1883: გვ. 124).

1937 წ. კონსტიტუციაში წარწერა ორენოვანია: მუხლი 159: „არეს გარშემო მოთავსებულია წარწერა ორ ენაზე — ქართულსა და რუსულზე...“ (აქტები, 1983, გვ. 159).

1978 წლის კონსტიტუციის პროექტით შემოთავაზებული ვარიანტი იყო მცდელობა ქართული ენისათვის სახელმწიფო ენის სტატუსის ჩამორთმევისა.

ქართული საზოგადოება მზად აღმოჩნდა ამ შემოთავაზებისათვის: არ მიიღო. მეტიც, აშკარად და მკვეთრად დაუპირისპირდა.

საკმაოდ ხანგრძლივი საჯარო განხილვა მოეწყო კონსტიტუციის პროექტისა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ენათმეცნიერების ინსტიტუტი და მწერალთა კავშირი იყვნენ მოთავენი ამ განხილვებისა. სტუდენტი-ახალგაზრდობა ჩაერთო აქტიურად და 1978 წლის 14 აპრილს, როცა დაინიშნა ამ პროექტის განხილვა საკანონმდებლო ორგანოში, მოეწყო გრანდიოზული მასობრივი დემონტრაცია. დემონსტრანტები დაიძრნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან და მიადგნენ საკანონმდებლო ორგანოს.

ხალხის ძალისხმევამ შედეგი გამოიღო: საბჭოთა იმპერიამ უკან დაიხია. კონსტიტუციის პროექტში წარმოდგენილი 75-ე მუხლი შეიცვალა და საბოლოოდ ასეთი სახე მიიღო:

„საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ენა არის ქართული ენა.“

საქართველოს სსრ რესპუბლიკა ახორციელებს სახელმწიფო ზრუნვას ქართული ენის ყოველმხრივი განვითარებისათვის და უზრუნველყოფს მის ხმარებას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, კულტურის, განათლებისა და სხვა დაწესებულებებში.

საქართველოს სსრ რესპუბლიკის ამ ორგანოებსა და დაწესებულებებში უზრუნველყოფილია თავისუფალი ხმარება რუსული და სხვა ენებისა, რომლებითაც მოსახლეობა სარგებლობს, რაიმე პრივილეგია ან შეზღუდვა ამა თუ იმ ენის ხმარებაში არ დაიშვება“ (აქტები, 1983, გვ. 268).

ქართული ენა კვლავ დარჩა საქართველოს სახელმწიფო ენად. მაგრამ ამ შესწორების შემდეგ 75-ე მუხლის მესამე აბზაცი წინააღმდეგობრივი გამოვიდა: „რაიმე პრივილეგია ან შეზღუდვა ამა თუ იმ ენის ხმარებაში არ დაიშვება“, გაუგებარია: როცა არსებობს სახელმწიფო ენა, ცხადია, მას აქვს პრივილეგია და სხვა ენის უფლებები მასთან შედარებით შეზღუდულია. თუმცა ეს დეტალია. მთავარი მინც რეალური ვითარება იყო: საბჭოთა კონსტიტუციას ერთი დიდი უბედურება სჭირდა: ფურცელზე ყველაფერი თითქოს კარგად ეწერა, რეალურად სხვა ვითარება იყო; ვთქვათ: ეწერა, საბჭოთა მოქალაქეს აქვს სიტყვის თავისუფლება... ასე იყო სახელმწიფო ენის შემთხვევაშიც. იყო სფეროები, სადაც სახელმწიფო ენა, მარტივად რომ ვთქვათ, გამოდევნილი იყო; მაგალითად, უმაღლეს პარტიულ ორგანოში სამუშაო ენა იყო რუსული — კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომები რუსულად მიმდინარეობდა, მისი დოკუმენტაციაც რუსული იყო; ერთაშორისი ურთიერთობის ენა საქართველოში რუსული ენა იყო... მოკლედ: ქართული ენა არის სახელმწიფო ენა — დომინანტური ენა; რუსული ენა — ჰიპერდომინანტური ენა...

1978 წლის 14-მა აპრილმა, როგორც ჩანს, ხელისუფლება ჩააფიქრა და ამ თარიღის წლისთავზე, 1979 წლის 10 აპრილს, მიღებული იქნა საქართველოს კომპარტიის ცკ-ისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ერთობლივი დადგენილება „რესპუბლიკის სასწავლებლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. ცნობა დადგენილების მიღების თაობაზე გამოქვეყნდა 12 აპრილს („კომუნისტი“, № 85, 1979), ხოლო დადგენილების ვრცელი მიმოხილვა გამოხმაურებებითურთ — მომდევნო დღეს („კომუნისტი“, № 86,

1979). წერდნენ: „ეს უმნიშვნელოვანესი დადგენილება რესპუბლიკის ყოველმა მოქალაქემ უნდა აღიქვას, როგორც საქმედ ქცევა ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსისა“ („კომუნისტი“, № 86, 1979).

ეს დადგენილება არ ეხებოდა მხოლოდ ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებას; აქ მსჯელობა იყო სადისერტაციო ნაშრომთა რუსულად თარგმნის დაფინანსებაზე, გამომცემლობათა და პოლიგრაფიულ საწარმოთა ჩართვაზე ამ საქმეში; „რესპუბლიკური ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს წინადადება მიეცათ სისტემურად გამოაქვეყნონ მასალები და პრაქტიკაში დანერგონ მიზნობრივი გადაცემები ქართული ენის სიწმინდის დაცვისა და მისი შემდგომი განვითარების საკითხებზე“ და სხვა.

როგორც ვხედავთ: კონკრეტული დავალებები მიეცათ ცალკეულ უწყებებსა თუ დაწესებულებებს.

რამდენადაც უცნაურად უნდა ჟღერდეს, საბჭოთა ხელისუფლება ქართულზე, როგორც სახელმწიფო ენაზე აქტიურ ზრუნვას განაგრძობს: 1983 წლის 27 სექტემბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღეს ახალი დადგენილება „რესპუბლიკის სასწავლო დაწესებულებებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 10 აპრილის დადგენილების შესრულების მიმდინარეობისა და ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების და შესწავლის სრულყოფის, ქართული სალიტერატურო ენის შემდგომი განვითარების დამატებით ღონისძიებათა შესახებ“. დადებითი შედეგი ამ დადგენილებებს აშკარად ჰქონდა; თუნდაც ის, რომ უმაღლეს სასწავლებლებში „ყველა ფაკულტეტსა და ყველა სპეციალობაზე“ შემოდებულ იქნა ქართული ენისა და ქართული მეტყველების კულტურის კურსი და სხვა...

ცოტა მოგვიანებით ენათმეცნიერების ინსტიტუტის მაშინდელი ხელმძღვანელობის ინიციატივით შემუშავდა და 1988 წლის 3 ნოემ-

ბერს გამოქვეყნდა (გაზეთი „კომუნისტი“) ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის პროექტი. პროექტის განხილვამ 9 თვეს გასტანა. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამამ პროექტის გამოქვეყნებისთანავე დაიწყო მუშაობა (მხედველობაში გვაქვს უწყებრივი რუსული დოკუმენტაციის გაქართულება, არაქართველთათვის ქართული ენის შემსწავლელი ჯგუფების გახსნა და მისთანანი)...

ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა დამტკიცდა 1989 წლის 15 აგვისტოს, გამოქვეყნდა 25 აგვისტოს.

მთავრობის დადგენილებაში ეწერა: „...2. დაევალოს რესპუბლიკის ყველა პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, ადმინისტრაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციას უზრუნველყონ ქართული ენის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განუხრელი და დროული შესრულება. 3. ყველა ორგანიზაციამ, რომელიც დაკავშირებულია აღნიშნული პროგრამის შესრულებასთან, ორი თვის ვადაში დაამუშაოს და წარუდგინოს საქართველოს მინისტრთა საბჭოში კონკრეტული წინადადებები, მათი რეალიზაციის ვადების ჩვენებით“ („კომუნისტი“, 25 აგვისტო: 1989).

ამ პროგრამას იმიტომ მივაქცევთ ასეთ ყურადღებას, რომ ის არის გამოხატულება ქართულზე, როგორც სახელმწიფო ენაზე, ზრუნვისა. ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა უადრესად სერიოზული დოკუმენტი იყო. ფაქტობრივ, ეს იყო მცდელობა სახელმწიფო ენის სტატუსის უზრუნველყოფისა. მოვიყვან ამ პროგრამის I თავს, რომელსაც ჰქვია „ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსი“:

„1. ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, უზრუნველყოფა, კონსტიტუციური სტატუსის უზრუნველყოფა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ყველა სახის პარტიულ, საბჭოთა, ადმინისტრაციულ, სამეცნიერო-სასწავლო, კულტურულ, სამეურნეო დაწესებულებებსა და საწარმოებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში.

2. საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოსთან კომისიის შექმნა შესაბამისი უფლებამოსილებით – კონტროლი გაუწიოს ქართულის, როგორც რესპუბლიკის სახელმწიფო ენის, ფუნქციონირებას.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ქართული სალიტერატურო ენის მუდმივი სახელმწიფო კომისიის შექმნა შესაბამისი უფლებამოსილებით – კონტროლი გაუწიოს ქართული ენის ფუნქციონირებასა და სიწმინდის დაცვას; შეიმუშაოს კმედითი ღონისძიებანი სალიტერატურო ენის ნორმათა დასამკვიდრებლად.

4. რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და რაიონულ ცენტრში სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან ქართული ენის ფუნქციონირებისა და სიწმინდის დაცვის საზედამხებველო და საკონსულტაციო კომისიების შექმნა.

5. ქართულ ენაზე ყველა დარგის სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურის (მათ შორის – საღისერტაციო ნაშრომების) შექმნისა და გამოცემის ორგანიზაცია.

6. რესპუბლიკაში მცხოვრები ქართული ენის არმცოდნე მოქალაქეთათვის ქართული ენის დასაუფლებლად ხელშემწყობი პირობების შექმნა (ფინანსური და სასწავლო-მეთოდური უზრუნველყოფა) ყველა დაწესებულებასა და საწარმოში.

7. „ქართული ენის დღის“ დაწესება (ამ დღეს შეჯამდება, თუ რა გაკეთდა წლის განმავლობაში ქართული ენის ფუნქციონირების, შესწავლისა და სწავლების საქმეში, გამოიციემა ერთდროული გაზეთი „დედაენა“).

ეს პირველი თავია პროგრამისა. სულ ათი თავია. გათვალისწინებულია ყველა სფერო. ყველა პუნქტს ჰყავს შემსრულებელი და მაკონტროლებელი (ჩვეულებრივ მინისტრთა საბჭო და უმაღლესი საბჭო, მეცნიერებათა აკადემია...).

ვფიქრობთ, ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის შესახებ ზრუნვის სერიოზული გამოხატულება იყო ამ პროგრამის მიღება. სამწუხაროდ, პროგრამამ დიდხანს ვერ იცოცხლა – გაჰყვა საბჭოთა ხელისუფლებას...

1994-95 წლებში იყო მცდელობა ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის გადამუშავებისა და აღდგენისა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა...

1991 წელს საქართველომ აღიდგინა ეროვნული დამოუკიდებლობა.

1995 წლის 24 აგვისტოს მიღებული იქნა დამოუკიდებელი საქართველოს ახალი კონსტიტუცია.

კონსტიტუციის მე-8 მუხლი: „საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული ენა; აფხაზეთში აგრეთვე აფხაზური“.

კონსტიტუციაში არ არის საუბარი, განსხვავებით წინა კონსტიტუციებისაგან, ეროვნულ უმცირესობათა (და სხვათა) ენების შესახებ. ივარაუდებოდა, რომ უნდა შემუშავებულიყო კანონი ენის შესახებ.

მომზადდა კიდევ ამ კანონის პროექტი, მაგრამ ამას წინ უძღოდა 1995 წ. ქართული ენის მუდმივი სახელმწიფო კომისიის შექმნა. კომისია შეიქმნა იმჟამად სახელმწიფოს მეთაურის ე. შევარდნაძის 1995 წლის 27 იანვრის განკარგულებით. ეს იყო ახალი ხელისუფლების მიერ სახელმწიფო ენის წინაშე გამოხატული ზრუნვის პირველი მაგალითი. ამ ფაქტს წინ უძღოდა 1994 წლის ოქტომბერში ბ. ჯორბენაძის საზოგადოების მიერ პრესითა და რადიო-ტელევიზიით გავრცელებული განცხადება; რომელშიც საუბარი იყო ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, წინაშე მდგარი პრობლემების შესახებ და მოუწოდებდა ხელისუფლებას, გაეცოცხლებინა ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა. საპასუხოდ დაიბეჭდა მინისტრთა კაბინეტის პრესცენტრის წერილი: „პრესაში გამოქვეყნდა ბ. ჯორბენაძის საზოგადოების გამგეობის განცხადება, რომ ბოლო წლებში საქართველოში მძიმე საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების გამო ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა დავიწყებას მიეცა და საჭიროა იგი დაუყოვნებლივ ამოქმედდეს...“ („თბილისი“, 4 ნოემბერი, 1994 წ.).

1995 წლის 27 იანვარს გამოქვეყნდა სახელმწიფოს მეთაურის ე. შევარდნაძის განკარგულება: „უკანანსკნელი 5-6 წლის გან-

მაელობაში ფაქტობრივ არ მოქმედებს რესპუბლიკის მთავრობასთან არსებული ქართული ენის მუდმივი სახელმწიფო კომისია, რაც დღევანდელ პირობებში არსებითად აფერხებს თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დამკვიდრებას, მის შემდგომ განვითარებასა და მეცნიერულ შესწავლას.

1. მიღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის წინადადება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და განახლდეს ქართული სალიტერატურო ენის მუდმივი სახელმწიფო კომისიის საქმიანობა საქართველოს სახელმწიფო მეთაურის თავმჯდომარეობით...“.

ქართული ენის მუდმივი სახელმწიფო კომისიის მთავარი მიზანი იყო ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის – პრობლემების მოგვარება. სწორედ ამ კომისიის სხდომებზე განიხილებოდა „საქართველოს კანონი სახელმწიფო ენის შესახებ“ 1999-2003 წლებში. რამდენიმე ვარიანტი შემუშავდა. ყველა ვარიანტში კანონპროექტის პირველი მუხლის პირველი პუნქტი ასეთი იყო: „ეს კანონი განსაზღვრავს სახელმწიფო ენის სტატუსს, ადგენს მისი გამოყენებისა და დაცვის სამართლებრივ საფუძვლებს, აწესრიგებს სახელმწიფო და სხვა (არასახელმწიფო) ენების გამოყენებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს“. აქვე მე-4 მუხლში განსაზღვრული იყო სახელმწიფო ენა და არასახელმწიფო ენა:

„ა) სახელმწიფო ენა არის ქვეყნის კანონმდებლობით განსაზღვრული ენა, რომელიც ისტორიული ტრადიციის შესაბამისად წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების, ქვეყნის მოქალაქეთა, ფიზიკურ და იურიდიულ პირთა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, დაწესებულებებთან, საწარმოებთან, ორგანიზაციებთან ურთიერთობის ძირითად საშუალებას.

ბ) არასახელმწიფო ენა ამ კანონის მიხედვით ნიშნავს ნებისმიერ სხვა ენას, რომლითაც სარგებლობენ საქართველოს მოქალაქეები პირად ცხოვრებაში და საჯაროდ (გარდა საქართველოს სახელმწიფო ენისა და საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული, სა-

კუთარი დამწერლობის არმქონე იმ ენებისა, რომლებიც მხოლოდ საქართველოს ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობას შეადგენენ)“.

ამ კანონპროექტში ასეთი პუნქტიც იყო: „არასახელმწიფო ენების გამოყენება თავისუფალია, თუ ამით არ იზღუდება სახელმწიფო ენის კანონით დადგენილი სტატუსი“ (მუხლი 6; პუნქტი 5).

პროექტის განხილვისას განსაკუთრებით პრობლემებს ქმნიდა არასახელმწიფო ენების გაგება, ენათა დიფერენცირება, მიმართება უცხოური ენებისა და არასახელმწიფო ენებისა... განსაკუთრებით პრობლემური იყო ქართველური თუ არასამწერლობო კავკასიური ენების გაგება და მისთანანი. რამდენიმე წლის მანძილზე რომ არ მიიღეს ეს კანონპროექტი, ერთ-ერთი მიზეზი ესეცაა.

კანონის ბოლო ვარიანტის (2005 წ.) განხილვისას განსაკუთრებით პრობლემური გახდა მე-12 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტები. ფაქტობრივ, ოფიციალურ საქმისწარმოების ენად ქართულია, მის გვერდით სახელდება ნებისმიერი არასახელმწიფო ენა:

„5. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო – საკრებულო – უფლებამოსილია მისი სრული შემადგენლობის უმრავლესობით მიიღოს გადაწყვეტილება ამ კანონით დადგენილი წესით საკრებულოსა და მის დაქვემდებარებაში არსებული შესაბამისი აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობაში, სახელმწიფო ენასთან ერთად, ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობისათვის გასაგები სხვა ენის გამოყენების შესახებ.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს უფლება აქვთ:

ა) ჩაატარონ სხდომები და სხვა ზეპირი მოსმენები შესაბამის არასახელმწიფო ენაზე;

ბ) საკრებულოს იურისდიქციის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ ფიზიკურ პირთან ზეპირი ან/და წერილობითი ფორმით ოფიციალური ურთიერთობა დაამყარონ შესაბამის არასახელმწიფო ენაზე.

გ) შიდა სარგებლობის საქმისწარმოება განახორციელონ და შიდა სარგებლობის დოკუმენტაცია შეადგინონ შესაბამის არასახელმწიფო ენაზეც.

დ) სხვა სახის საქმისწარმოების მასალები და დოკუმენტაცია, რომელიც არ არის მითითებული ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში, სახელმწიფო ენაზე შედგენის შემდეგ თარგმნონ და გამოიყენონ შესაბამის არასახელმწიფო ენაზე“ (ხაზგასმა ჩვენია).

ასე რომ, ამ კანონპროექტით საქართველოს ტერიტორიაზე უფლება ეძლევათ სახელმწიფო ენის ნაცვლად ოფიციალურად გამოიყენონ არასახელმწიფო ენა; ფაქტობრივ სახელმწიფო ენის უფლება იზღუდება; მის ფუნქციას იტვირთავდა არასახელმწიფო ენა!

ცხადია, ვითარებას არ ამსუბუქებდა მე-12 მუხლის მე-7 პუნქტი, რომლის მიხედვითაც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან არასახელმწიფო ენაზე შესრულებული დოკუმენტაცია და ინფორმაცია თარგმნონ სახელმწიფო ენაზე.

განხილვის დროს აღინიშნა, რომ მე-12 მუხლის აღნიშნული პუნქტები არა მარტო არაკონსტიტუციური, არაეროვნულიც იყო.

კანონპროექტის განხილვა პარლამენტში გაგრძელდა. საჯაროდ გამოთქმული სერიოზული შენიშვნების გამო პარლამენტმა მიმართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. დასკვნა უარყოფითი იყო. იყო არაერთი პრინციპული შენიშვნა. საბოლოო აზრი ასე ჩამოყალიბდა: „პარლამენტში შესული კანონპროექტი „საქართველოს სახელმწიფო ენის შესახებ“ ჯერ ძალიან შორს არის ასეთი პარამეტრებისგან. ამიტომ იგი სერიოზულად უნდა გადაიხინჯოს ყოველგვარი აჩქარებისა და უცხო ფაქტორების ზეგავლენის გარეშე.

იქამდე კი ჩვენ გვაქვს საქართველოს კონსტიტუციის მე-8 მუხლი სახელმწიფო ენის შესახებ... და ისიც საკმარისია ქართული ენის ღირსეულად მოვლისათვის.

ნათქვამი არ ნიშნავს, რომ ჩვენ საერთოდ სახელმწიფო ენის შესახებ კანონის წინააღმდეგი ვართ. კანონი ენის შესახებ აუცი-

ლებლად საჭიროა, მაგრამ არა ასეთი“. ამ დასკვნის საფუძველზე პარლამენტმა შეწყვიტა კანონპროექტის განხილვა.

ქართული ენა კონსტიტუციურად სახელმწიფო ენად რჩება, თუმცა მისი კონსტიტუციური სტატუსის განხორციელებას მრავალი პრობლემა ექმნება დღევანდელ საქართველოში. არის რეგიონები – აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი, ჯავახეთი, ქვემო ქართლის დიდი ნაწილი – სადაც ქართული, როგორც სახელმწიფო ენა, ფაქტობრივად, ვერ ფუნქციონირებს.

პრობლემას ქმნის ისიც, რომ 1995 წელს შექმნილი ქართული ენის სახელმწიფო კომისია 2004 წლიდან აღარ ფუნქციონირებს.

1997 წელს შეიქმნა სახელმწიფო ენის სახელმწიფო პალატა, რომელიც უნდა ყოფილიყო სახელმწიფო ენის „აღმასრულებელი სამსახური“... 2004 წელს სახელმწიფო ენის სახელმწიფო პალატა დაიხურა, მიზეზი არცთუ ნათელია...

1995 წელს პარლამენტში შეიქმნა ქართული ენის ქვეკომიტეტი. არსებობდა სერიოზული დასაბუთება ამგვარი ქვეკომიტეტის არსებობის აუცილებლობისა. ბოლო ორი მოწვევის პარლამენტში ეს ქვეკომიტეტი აღარაა.

გარკვეული პრობლემები არის სახელმწიფო ენის გამოყენების თვალსაზრისით განათლების სფეროში; რეკლამის ენის თაობაზე და სხვა... ყოველივე ეს ერთ ფაქტზე მიანიშნებს: მხოლოდ კონსტიტუციის მე-8 მუხლის არსებობა სახელმწიფო ენის პრობლემას ვერ მოაგვარებს. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა აღდგეს სახელმწიფო ენის სახელმწიფო კომისია, რომელიც შეიმუშავებს სახელმწიფო ენობრივ პოლიტიკას; რომლის წყალობითაც სახელმწიფო თუ არა-სახელმწიფო ენებს საქართველოში სერიოზული ყურადღება არ მოაკლდება.

ლიტერატურა:

აქტები, 1983 – საქართველოს კონსტიტუციური აქტების კრებული (1921 – 1978), თბ., 1983.

გიორგი მერჩულე, 1960 – გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება: ჩვენი საუნჯე, ტ. I, თბ., 1960.

„თბილისი“ – ყოველდღიური გაზეთი „თბილისი“.

ილია, 1958 – ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი თხუთმეტ ტომად, ტ. III, თბ., 1958.

„კომუნსტი“ – ყოველდღიური გაზეთი „კომუნისტი“.

ლეონტი მროველი, 1955 – ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველ მეფეთა: ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955.

პატარიძე, 1980 – რ. პატარიძე, ქართული ასომთავრული, თბ., 1980.

საქ. კონსტიტუცია, 1992 – საქართველოს კონსტიტუცია, მიღებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს, თბ., 1992.

ქსე, X, 1986 – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. X, თბ., 1986.

ქართული ენის პერიოდიზაციისათვის

როცა ვსაუბრობთ ახალი ქართული ენის ნორმირების საკითხზე, უპირველესად უნდა დაზუსტდეს, რა გვესმის ამ ცნების ქვეშ. ე. ი. რა არის ახალი ქართული სალიტერატურო ენა, რა პერიოდს მოიცავს იგი; რა ეტაპის ნორმებზე ვსაუბრობთ... ამიტომ საჭიროდ ვთვლით, მიმოვიხილოთ ქართული ენის პერიოდიზაციის საკითხი.

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ქართული ენის პერიოდიზაციის საკითხი აზრთა დიდ სხვადასხვაობას იწვევს.

არსებობს თვალსაზრისი, რომ არ უნდა მოხდეს ქართული სალიტერატურო ენის პერიოდებად დაყოფა: „თხუთმეტსაუკუნოვანი ქართული მწერლობა ერთი სალიტერატურო ენით იქმნებოდა და იქმნება დღემდე... სპეციალურ ლიტერატურაში ხმარებული იმგვარი ტერმინები, როგორცაა „ძველი ქართული ენა,“ „ძველი ქართული ლიტერატურა,“ ეს არის პირობითი, სამუშაო ტერმინები, უმთავრესად სხვა ხალხთა წამხედურობით შექმნილი, რომლებიც იხმარება მეცნიერული კვლევა-ძიების დროს გამოყენებული მასალის მარჯვედ დასაჯგუფებლად...“ მკვლევრის აზრით, „ძველ და ახალ წერილობით ძეგლებს შორის არსებული ენობრივი სხვაობა არავითარ საფუძველს არ ქმნის დედაქართულის „ძველ“ და „ახალ“ ქართულად გამოყოფისათვის“ (თვარაძე, 1978, 42).

არსებობს თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში ორი პერიოდი უნდა გამოიყოს: „ძველი ქართულისა (V-XI სს) და ახალი ქართულისა (XII-საუკუნიდან დღემდის). ახალი ქართულის ჩამოყალიბება XII საუკუნიდან იწყება საერო მწერლობის ძეგლებში; XVIII საუკუნისთვის ეს პროცესი დამთავრებულია... ახალი ქართულისა და ძველი ქართულის გვერდით ვერ დაყავენებთ XII-XVII საუკუნეთა ქართულს; მას

დამოუკიდებელი სახე არ აქვს, არც გრამატიკული წყობისა და არც ძირითადი ლექსიკური ფონდის მხრივ. ე. ი. არც ერთი იმ მომენტის მიხედვით, რაც ენის საფუძველს ქმნის... მას, როგორც გარდამავალ საფეხურს, ცალკე პერიოდად – ძველი და ახალი ქართულის გვერდით – ვერ გამოვყოფთ“ (ჩიქობავა, 1952, 364).

ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში სამ პერიოდს გამოყოფს აკაკი შანიძე:

ძველი ქართული ენა (V-XI სს.);

საშუალი ქართული ენა (XII-XVIII);

ახალი ქართული ენა (XIX-XX სს.) (შანიძე, 1920; 1976 და სხვა).

ეს თვალსაზრისი დღეს ყველაზე მეტად არის გავრცელებული; მის დასაბუთებას საგანგებო წერილში შეეცადა ზ. ჭუმბურიძე (ჭუმბურიძე 1982). იქვე წარმოდგენილია საკითხის შესწავლის ვრცელი მიმოხილვა.

სალიტერატურო ენის განვითარებაში სამ პერიოდს გამოყოფს ფ. ერთელიშვილი, თუმცა დაყოფა განსხვავებულია: „ქართული სალიტერატურო ენის პერიოდიზაცია ამგვარი დაყოფითა და ტერმინებით წარმოგიდგება: ძველი სალიტერატურო ენა – V-XI სს., ახალი სალიტერატურო ენა – XII-XIX სს., თანამედროვე სალიტერატურო ენა – XX ს. (ერთელიშვილი, 1968).

ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში ხუთ პერიოდს (ავტორი მას ეტაპებს უწოდებს) გამოყოფს ბ. ჯორბენაძე: სალიტერატურო ენის განვითარებაში „უნდა გამოვყოთ რამდენიმე პერიოდი: 1. პირველი, საწყისი ეტაპია ძველი ქართული, კლასიკური სალიტერატურო ენა V საუკუნიდან XI-XII საუკუნეებამდე, რომლისთვისაც ნიშანდობლივია მკვეთრად გამოყოფილი კანონზომიერებანი, კერძოდ, კანონიზებულია ფორმების მკვეთრად დაცვა... 2. ქართული სალიტერატურო ენის განვითარების მეორე ეტაპი XI-XIII საუკუნეებიდან იღებს სათავეს, როცა საერო ლიტერატურის დამკვიდრებას არსებითი ცვლილებები მოჰყვა ენობრივი თვალსაზრისითაც... 3. ... რეალური საფრთხე განსაკუთრებით XVII-XVIII საუ-

კუნებში დაუდგა ქართულ ენას. უთუოდ ამგვარ ვითარებაზე რეაქციას წარმოადგენს ანტონის სამი სტილის თეორია... სწორედ ეს თეორია დაედო საფუძვლად ქართული სალიტერატურო ენის მესამე ეტაპს... 4. მხოლოდ ცოცხალი კილოების შინაგანი განვითარების ტენდენციათა შესისხლხორცება გადაარჩინდა ქართულ ენას სრული განადგურებისაგან. ეს პროცესი XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო თერგდალეულთა მესვეურობით და იგი უკვე მეოთხე ეტაპია ქართული სალიტერატურო ენის განვითარებისა... 5. XX საუკუნის 10-20-იან წლებში ცხოვრების რევოლუციურმა გარდაქმნებმა, ქართული უნივერსიტეტის დაარსებამ, ეროვნული თვითშეგნების აღორძინებამ, ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებამ ახალი თვალსაწიერი გადაუშალა ქართულ სალიტერატურო ენას. მას პირობითად თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა შეიძლება ეწოდოს (მეზუთე ეტაპი)“ (ჯორბენაძე, 1989).

ქართული სალიტერატურო ენის სტრუქტურისა და ისტორიის კვლევისას ამ თემას მრავალი მეცნიერი შეხებია. ისინი ძირითადად იზიარებენ ა. შანიძის ან არნ. ჩიქობავას თვალსაზრისებს. მათ ჩამოთვლას აღარ შეუვადგებით. რ. თვარაძის თვალსაზრისი, ფაქტობრივ, არავის გაუზიარებია, პირიქით, საკმაოდ მკაცრადაც გააკრიტიკეს (ძიძიგური, 1978; ჭუმბურიძე, 1982).

ფ. ერთელიშვილისა და ბ. ჯორბენაძის თვალსაზრისები ნაკლებად პოპულარულია (ამიტომ შევეცადეთ უფრო ვრცლად წარმოგვედგინა), თუმცა, ვფიქრობთ, საინტერესო და ანგარიშგასაწეია.

რატომ ჩავთვალეთ საჭიროდ ამავე საკითხზე ყურადღების გამახვილება? ვფიქრობ, მსჯელობისას არათანაბარი ოდენობის ერთეულებია დაყენებული გვერდიგვერდ. კერძოდ: რის პერიოდიზაციას ვახდენთ: ქართული სალიტერატურო ენისას თუ ქართული ენისას? შევეცდებით ჩვენი შეკითხვა განვმარტოთ.

რა არის სალიტერატურო ენა?

ჩვეულებრივ განმარტავენ: „სალიტერატურო ენა არის ეროვნული ენის უმაღლესი და დახვეწილი, ნორმისებული სახე“ (ჯორ-

ბენაძე, 1989, 205). სალიტერატურო ენა არ ფარავს ეროვნულ ენას. ჩვენთვის ამოსავალია თვალსაზრისი: „ეროვნული ენა აერთიანებს ყველაფერს – ყველა სახის დიალექტს, სალიტერატურო ენას, სხვადასხვა სახის კოინეს, იდიოლექტს. აქ უფრო კონგლომერატთან გვაქვს საქმე, ვინემ მკაცრ ენობრივ სისტემასთან“ (ჯორბენაძე, 1989, 151). შესაბამისად, ნებისმიერი ენობრივი სახესხვაობა, ნაირსახეობა (ტერმინისათვის იხ. ვაინრაიხი, 1968) არის შემადგენილი ნაწილი ეროვნული ენისა, იქნება ეს ეთნიკურ-ტერიტორიული დიალექტი, სოციალური დიალექტი თუ სალიტერატურო ენა. როგორც ითქვა, სალიტერატურო ენა არის „უმაღლესი და დახვეწილი, ნორმირებული“ სახესხვაობა ეროვნული ენისა; მეტ-ნაკლებად ხელოვნური, უფრო მეტად კონსერვატიული, ვიდრე ბუნებრივი სახესხვაობანია.

ამდენად, როცა ვსაუბრობთ თანამედროვე ქართულ ენაზე (ქართული ენა ჩვენს მსჯელობაში უდრის ეროვნულ ენას), იგულისხმება ერთობლიობა თანამედროვე სალიტერატურო ქართული ენისა და ყველა იმ ნაირსახეობისა, რომლებიც მოეპოვება დღეს ქართულ ენას, უპირველესად ეთნიკურ-ტერიტორიული დიალექტებისა. ვიმეორებთ: დიალექტები ბუნებრივი ნაირსახეობანია თანამედროვე ქართული ენისა, ხოლო სალიტერატურო ენა – ზედიალექტური, ნორმირებული ნაირსახეობა, მეტ-ნაკლებად ხელოვნური; ცხადია, სხვადასხვა სახისა, მაგრამ მაინც ერთი ღონის (დროული გაგებით) ერთეულები. ნებისმიერი ეპოქის, ნებისმიერი დროის ეროვნული ენა მსგავსი კონგლომერატია (ცხადია, ვგულისხმობთ ენას, რომელსაც მოეპოვება სალიტერატურო სახესხვაობა).

ამ პოზიციიდან ვხედავთ განსახილველ პრობლემას.

ახალი ქართული არის ენის განვითარების ერთი საფეხური ყველა ზემოწარმოდგენილი ნიშნის მიხედვით; ჩვენ მასზე შეგვიძლია ვიქონიოთ სრულყოფილი წარმოდგენა მისი შემადგენელი ყველა სახესხვაობის გათვალისწინებით, ანუ; სალიტერატურო ენითა და დიალექტებით.

ასე არ შეგვიძლია ვიმსჯელოთ ძველი ქართული ენის შესახებ. ძველ ქართულ ენაზე წარმოდგენა შეგვიძლია ვიქონიოთ მხოლოდ მისი ერთი ნაირსახეობის – სალიტერატურო ენის – მიხედვით. ანუ: ჩვენ ვიცნობთ მხოლოდ ძველ ქართულ სალიტერატურო ენას და არა გვაქვს წარმოდგენა, მის გვერდით რა სახესხვაობანი იყო ძველი ქართულისა. ცხადია, სალიტერატურო ენის გვერდით იყო არაერთი დიალექტური სახესხვაობა. ასახელებენ კიდევ სამეცნიერო ლიტერატურაში რამდენიმე მათგანს: ა) სამხრეთ-აღმოსავლური დიალექტი (იგივე ხანმეტი), ბ) სამხრეთ-დასავლური დიალექტი (იგივე ჰაემეტი), გ) ცენტრალური დიალექტი (იგივე -მეკილო), დ) ჩრდილო-აღმოსავლური (იგივე ფხოური კილო). ეს ვარაუდებია (საკმაოდ სარწმუნო არგუმენტებზე დამყარებული). როგორც ვთქვით, რეალურად შეგვიძლია მსჯელობა მხოლოდ სალიტერატურო ნაირსახეობაზე.

ამგვარად, ძველი ქართული ენა და ახალი ქართული ენა ჩვენს წარმოდგენაში სხვადასხვა დონის ენობრივი ერთეულებია. პირველ მათგანს ვიცნობთ მხოლოდ ერთი ნაირსახეობით; მეორეს – სრულყოფილად, ყველა ნაირსახეობით. ამიტომ ჩვენ შეგვიძლია ძველი ქართული სალიტერატურო ენის გვერდით მხოლოდ ახალი ქართული სალიტერატურო ენა განვიხილოთ – როგორც თანაბარი დონის ენობრივი ერთეულები.

არავინ დაობს და არც შეიძლება სადავო იყოს ის, რომ ეს არის კლასიკური გაგებით ორი სალიტერატურო ენა ყველა „იმ მომენტის მიხედვით, რაც ენის საფუძველს ქმნის“ (ჩიქობავა, 1952, 369).

არსებობს თუ არა საშუალი ქართული სალიტერატურო ენა? ანუ ახლისა და ძველის გვერდით მესამე სახესხვაობა სალიტერატურო ენისა „ყველა იმ მომენტის გათვალისწინებით, რაც ენის საფუძველს ქმნის?“ ცხადია, არა. არ იზიარებენ, მაგრამ არავის უცდია განხილვა და უარყოფა მსჯელობისა: „ახალი ქართულისა და ძველი ქართულის გვერდით ვერ დავაყენებთ XII-XVII საუკუნეთა ქართულს; მას დამოუკიდებელი სახე არ აქვს არც გრამატიკული

წყობისა და არც ძირითადი ლექსიკური ფონდის მხრივ“ (არნ. ჩიქობავა, იქვე). არადა, ძველისა და ახლის გვერდით მესამე ერთეულის გამოყოფისათვის ეს აუცილებელი პირობაა. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ ძველი ქართული სალიტერატურო ენის სისტემაზე; ახალი ქართული სალიტერატურო ენის სისტემაზე; მაგრამ ვერ ავაგებთ საშუალი ქართული სალიტერატურო ენის სისტემას, რადგან ასეთი რამ არ არსებობს. საშუალი ქართულის შესახებ წერენ: „ამ პერიოდის სალიტერატურო ენის ყველაზე დამახასიათებელ ნიშნად უნდა მივიჩნიოთ ფორმათა სიჭრელე და ერთიანი ნორმების უქონლობა“ (ჭუმბურიძე, 1982, 24). ფორმათა სიჭრელე და ერთიანი ნორმების უქონლობა არ შეიძლება იყოს სალიტერატურო ენის ნიშნები.

ამდენად, თუ ვმსჯელობთ ქართული სალიტერატურო ენის თაობაზე, მართებული იქნება, გამოიყოს ორი ერთეული – ძველი ქართული სალიტერატურო ენა და ახლი ქართული სალიტერატურო ენა; რეალური ფაქტია როგორც ერთი, ასევე მეორე.

რა არის საშუალი ქართული? არსებობს თუ არა ასეთი რეალობა? ცხადია, არსებობს, მაგრამ ის არ არის სალიტერატურო ენა. უფრო სწორად, არ არსებობს საშუალო ქართული სალიტერატურო ენა ყველა იმ პარამეტრის მიხედვით, რომლებიც უნდა ახასიათებდეს სალიტერატურო ენას. გავიხსენოთ: „ყველა სალიტერატურო ენას აქვს თავისი ნიშნები:

ა) იგი არის საერთო და სავალდებულო ყველასათვის, ვინც ამ ენაზე მეტყველებს;

ბ) სალიტერატურო ენა არის სამწერლობო და ზეპირი...

გ) სალიტერატურო ენა არის ნორმირებული...

დ) სალიტერატურო ენა არის ოფიციალური ურთიერთობის საშუალება“ (ჯორბენაძე, 1989, 154).

საუბრებია სხვა ნიშნებზეც, მაგრამ არც ერთი ეს ნიშანი არაა დამახასიათებელი საშუალი ქართულისათვის. უფრო სწორად, XII-XVIII საუკუნეების ქართული არ შეიძლება გაერთიანდეს ამ ნიშნების მიხედვით; სხვაგვარად რომ ვთქვათ, ენობრივი ერთეული – სა-

შუალი ქართული – არ არის იმ ნიშნების მატარებელი, რომლებიც მას წარმოგვიდგენდა როგორც სალიტერატურო ენას, განსხვავებით ძველი და ახალი ქართული სალიტერატურო ენისაგან.

ამ მსჯელობით ჩვენ მხარს ვუჭერთ თვალსაზრისს ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში ორი პერიოდის გამოყოფის თაობაზე. მაგრამ მსჯელობას აქ ვერ შევწყვეტთ. არ არსებობს საშუალი ქართული სალიტერატურო ენა, მაგრამ საშუალი ქართული, როგორც ენობრივი რეალობა, ფაქტია – უაღრესად რთული და საინტერესო. მაგრამ იგი განიხილება, როგორც კონგლომერატი – სხვადასხვა ტიპის სახესხვაობათა ერთობლიობა.

დაიძებნა ცალკეული ენობრივი მოვლენები; ფაქტები, რომლებიც თავს იჩენს საშუალი ქართულის პერიოდში (იხ. ჭუმბურიძე, 1982); მაგრამ მათ შორის არ არის არც ერთი ენობრივი ფაქტი და მოვლენა, რომელიც თანაბრად იყოს დამახასიათებელი XII-XVIII საუკუნეების ქართულისათვის, როგორც ამ პერიოდის ენობრივი ნორმა. სხვაგვარად, არ დასტურდება არც ერთი ენობრივი ფაქტი თუ მოვლენა, რომელიც ძველისა და ახლის გვერდით (მათ მსგავსად) შეიძლება მივიჩნიოთ საშუალი ქართულის ნორმად. ჩვენ არ ვსაუბრობთ ისეთ ფაქტებსა თუ მოვლენებზე, რომლებიც ნორმა იყო ძველისათვის ან ნორმა ახალი ქართულისათვის და გვაქვს საშუალშიც. ჩვენი მსჯელობა, ცხადია, არ უარყოფს საშუალი ქართულის ფაქტებსა და მოვლენებს, მაგრამ სხვა კვალიფიკაციას აძლევს მას. კერძოდ: ეს ენობრივი ფაქტები თუ მოვლენები არის დამახასიათებელი საშუალი ქართულის სხვადასხვა სახესხვაობისათვის. ეს სახესხვაობები შეიძლება განიხილებოდეს დროშიც და სივრცეშიც. ანუ: არის ფაქტები და მოვლენები, რომლებიც დამახასიათებელია საშუალი ქართულის მხოლოდ ადრეული პერიოდისათვის და – პირიქით, დამახასიათებელია მხოლოდ მოგვიანო პერიოდისათვის.

ამავე პერიოდის ძეგლებში ჩვენ ვხვდებით ისეთ ენობრივ ფაქტებს, რომელთა კვალიფიკაცია შეიძლება მხოლოდ როგორც დიალექტიზმებისა... გასათვალისწინებელია სტილისტური სხვაობაც; ცალკეული ავტორის ენობრივი თავისებურებანი და სხვა...

ამის თაობაზე არაერთი სამეცნიერო ნაშრომი დაწერილა (მაგალითად, ქვთარაძე, 1964 და სხვა.); ბოლო პერიოდში რამდენიმე დისერტაცია იქნა დაცული. იმ დისერტაციათა განხილვისას აღვნიშნე კიდევ, რომ თითოეული ასეთი კვლევა ადასტურებს თვალსაზრისს, რომ არ არსებობს ერთიანი საშუალო ქართული სალიტერატურო ენა, მაგრამ არსებობს საშუალო ქართული, როგორც ენობრივი რეალობა თავისი მრავალგვარი ნაირსახეობით.

ამ გაგებით საშუალო ქართული ჩვენ შეიძლება დავაყენოთ ახალი ქართული ენის გვერდით – როგორც საერთო-ეროვნული ენის განვითარების ორი საფეხური.

თუ ჩვენ მხედველობაში მივიღებთ ისტორიული დიალექტოლოგიის კვლევის შედეგებს, შეიძლება მწირი, მაგრამ მაინც გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ ძველ ქართულ ენაზე – როგორც საერთო-სახალხო ენის განვითარების ადრეულ ეტაპზე.

ამის გათვალისწინებით საერთო-სახალხო ენის განვითარების საფეხურებზე როცა ვსაუბრობთ, შეიძლება გამოვყოთ: ა) ძველი ქართული ენა, ბ) საშუალო ქართული ენა, გ) ახალი ქართული ენა. პირობითად შეიძლებოდა გვემსჯელა უძველეს ეტაპზეც – V საუკუნემდე პერიოდზეც. ამ შემთხვევაში განიხილებოდა ის ენობრივი ვითარება, რამაც ხელი შეუწყო ძველი ქართულის პერიოდის ჩამოყალიბებას.

საგულისხმოა ის აზრი, რომლის მიხედვითაც ძველი ქართულის შემდგომ პერიოდში შესაძლებელია რამდენიმე ეტაპის გამოყოფა (ბ. ჯორბენაძე, ფ. ერთელიშვილი), მაგრამ ამჯერად ეს არ არის ჩვენი კვლევის მიზანი.

ჩვენ მსჯელობა შეიძლება ამგვარი სახით დავასრულოთ:

1. თუ ვმსჯელობთ ქართულ სალიტერატურო ენაზე, უნდა გამოვყოთ ორი ერთეული.

ა) ძველი ქართული სალიტერატურო ენა და ბ) ახალი ქართული სალიტერატურო ენა.

2. თუ ვსაუბრობთ ქართული ენის – საერთო-სახალხო ენის (არამხოლოდ სალიტერატურო ენის) შესახებ, შესაძლებლად მიგვაჩნია ვიმსჯელოდ სამ ერთეულზე:

- ა) ძველი ქართული ენა.
- ბ) საშუალი ქართული ენა.
- გ) ახალი ქართული ენა.

დასაშვებად მიგვაჩნია ამ შემთხვევაში საუბარი სამზე მეტ ერთეულზეც (მაგალითად: უძველესი ქართული, თანამედროვე ქართული და სხვა.).

ქრონოლოგიური თვალსაზრისით ახალი ქართული ენა, ალბათ, სწორედ XI-XII საუკუნეებში იღებს სათავეს. ცხადია, იმდროინდელი სალიტერატურო ენა და მისი ნორმები პრინციპულად სხვაობს იმ სალიტერატურო ენისა და მისი ნორმებისაგან, რომელსაც თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენას ვუწოდებთ. შესაბამისად, ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმების შესახებ ეტაპობრივად და არა ზოგადად. ცხადია, არის ისეთი ფაქტები, რომლებიც ნორმატული თვალსაზრისით საერთოა XII საუკუნის ქართულისათვისაც და XXI საუკუნის ქართულისათვისაც; თუმცა არაიშვიათია ისეთი ფაქტებიც, რომლებიც ნორმა ახალი ქართულის ადრეული პერიოდისათვის, ანაქრონიზმია თანამედროვე ენისათვის.

ლიტერატურა:

ერთელიშვილი, 1968 – ფ. ერთელიშვილი, ახალი ქართული სალიტერატურო ენის ისტორიისათვის: ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, №2, 1968

ვაინრაიხი, 1968 – უ. ვაინრაიხი, შესაძლებელია თუ არა სტრუქტურული დიალექტოლოგია: მიმოძხილველი, № 4-5, 1968

თვარაძე, 1968 – რ. თვარაძე, თხუთმეტსაუკუნოვანი მთლიანობა: ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, №3 1978

ქავთარაძე, 1964 — ი. ქავთარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის, I, თბილისი, 1964

შანიძე, 1920 — ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნაში, 1920

ჩიქობავა, 1953 — არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, 1952

ძიძიგური, 1978 — შ. ძიძიგური, მთლიანობა ოღონდ ნაირგვარი; ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, №3, 1978

ჭუმბურიძე, 1982 — ზ. ჭუმბურიძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის პერიოდიზაციისათვის: მაღლი დედაენისა, 1982

ჯორბენაძე, 1989 — ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, 1989.

ქართული სალიტერატურო ენის ნორმირების ისტორია და პერსპექტივა

1. მცირე ისტორიული ექსკურსი

არსებობს თვალსაზრისი, რომ სალიტერატურო ენის ნორმირებისათვის აუცილებელია ნორმატიული გრამატიკის არსებობა. ამ დებულების მიხედვით, ვერ ვისაუბრებთ ძველი ქართული სალიტერატურო ენის ნორმირებაზე, რადგანაც V-X საუკუნეებში ამ სახის გრამატიკული ნაშრომები არ მოგვეპოვება. მაგრამ ძველი ქართული სალიტერატურო ენის გაცნობა სხვაგვარი დასკვნის საშუალებას იძლევა; რომ ძველი ქართული „წერილობით ძეგლთა ენის შესწავლა უეჭველს ზღის იმას, რომ სალიტერატურო ენის ნორმები მტკიცედაა ჩამოყალიბებული და მათ მწერლები და გადამწერები მკაცრად იცავენ. სწორედ ამიტომაც თვალში საცემი ყოველი გადასხვევა სალიტერატურო ენის ნორმათაგან“ (სარჯველაძე, 1984, 89).

მწიგნობრებმა რომ კარგად იციან, რა არის ნორმა და რომ არსებობს ენაში ფორმები, რომლებიც არ არის სამწიგნობრო ქართული, ამის კარგი მაგალითია გიორგი მთაწმიდელის (1009-1065) ანდერძი: „ესე საცნაურ ყავნ ყოველთა, რამეთუ ესე წმინდაოთხთავი არა თუ ახლად გკუთარგმნია, არამედ ფრიადითა იძულებითა ძმათა ვიეთმე სულიერთაითა ბერძნულთა სახარებათა შეგკწამებია ფრიადითა გამოწულილვითა. და ვინცა-ვინ სწერდეთ, ვითა აქა კპოოთ, ეგრე დაწერეთ. თუ ამისგან ჯერ-გიჩნდეს დაწერაჲ, ღმრთისათჳს სიტყუათა ნუ სცვალებთ, არამედ ვითა აქა სწერია, ეგრე დაწერეთ. და თუ არა რამმე გაშუნდეს, ჩუენნი ყოველნი სახარებანი პირველითგან წმინდად თარგმნილნია და კეთილად – ხანმეტნიცა და საბაწმიდურნიცა, – მუნით დაწერეთ და ღმრთისათჳს ერთმანეთ-

სა ნუ გაპრევთ!“ (შანიძე, 1981, 283). ფაქტია: მოთხოვნა გიორგი მთაწმიდელისა ენის ნორმათა დაცვაა. გარდა ხაზგასმულისა, ერთი მომენტი საგულისხმო: „ჩუენნი ყოველნი სახარებანი პირველითგან წმინდად თარგმნილნია და კეთილად – ხანმეტნიცა და საბაწმიდურნიცა,“ – როცა ამას ამბობს, ეს ხაზგასმა იმისა, რომ ყველა თარგმანი სახარებისა, წმინდად და კარგად არის თარგმნილი, ცხადია, ენა იგულისხმება. წმინდა და კეთილი – სწორ ქართულს გულისხმობს, ნორმატიულ ენას ვარაუდობს. ამიტომ მოუწოდებს, არაფერი შეცვალოთ!

აქედან კარგად ჩანს, რომ ბიბლიის ქართული თარგმანის ენა იყო ნორმა სალიტერატურო ქართულისა და არა მხოლოდ მთაწმიდელების ეპოქაში; ასე იყო ეს, როგორც ჩანს, V საუკუნიდან მოყოლებული. ამიტომაც იყო მკაცრად ნორმირებული ძველი ქართული სალიტერატურო ენა. მწიგნობარს არ ჰქონდა ამ ნორმებიდან გადახვევის უფლება. მან ზეპირად იცის საღმრთო წიგნები. გავიხსენოთ გიორგი მერჩულე: გრიგოლმა „საღმრთონი წიგნნი ზეპირით მოიწუართნაო“... სწორედ საღმრთო, სულიერი რომ სწორ, წმინდა, ლიტერატურულ ქართულთან ასოცირდება, ეს ჩანს გიორგი ხუცეს-მონაზვნის მინიშებიდან მთაწმიდელების თაობაზე: „ხუცესი იგი ესევეთარი კაცი იყო, რომელ პირსა მისსა მსოფლიომ სიტყუამ არა გამოვიდოდა, არამედ ყოველივე საღმრთომ და სულიერი“. მსოფლიომ სიტყუამ კი არასალიტერატურო, დიალექტურ ფორმებს გულისხმობს. სწორი, ლიტერატურული ქართული – საღმრთომ და სულიერია! სალიტერატურო ენით საუბარი რომ ღირსება იყო კაცისა, ეს თავისთავად ფასს სდებდა წიგნიერებას, სალიტერატურო ენას.

და კიდევ ისიც უნდა ითქვას, რომ მიაჩნიათ – კარგი ქართული წმინდა სალიტერატურო ენით მოღვაწეობა ქართველთა ენისა და ქვეყნის ამაღლებაა. გიორგი მთაწმიდელი ექვთიმეს შესახებ ამბობს: „განანათლა ქართველთა ენამ და ქუეყანამ, რომლისა – იგი ნამუშააკევი ახარებს შორიელთა და მახლობელთა“.

ღიას, შედეგი ამგვარი დამოკიდებულებისა სამწიგნობრო ენისადმი, სალიტერატურო ენისადმი იყო ის, რომ სალიტერატურო ენა მეტ-ნაკლებად დაშორდა ცოცხალ სასაუბრო ენას, მსოფლიომ სიტყვად უკვე ამკარად სხვაობს სამწერლობო ენისგან. ეს სხვაობა თანდათან იზრდება. დაუკვირდეთ: წიგნის ენა შორდება ცოცხალ სასაუბრო ენას, საერთო-სახალხო ენას. მიუთითებენ: „სალიტერატურო ენის ნორმებსა და ცოცხალ მეტყველებას შორის გარკვეული წინააღმდეგობა არსებობს. სალიტერატურო ენის ნორმები კონსერვატული ხასიათისაა, საუკუნეებს უძლებს; ცოცხალი მეტყველების ფორმები გაცილებით სწრაფი ტემპით იცვლება. სალიტერატურო ენის ნორმები ხშირად მას შემდეგაც უცვლელია, რაც ცოცხალ მეტყველებაში ამ ნორმათა საფუძველი გრამატიკული თუ ფონეტიკური ევოლუციის შედეგად აღარ არსებობს“ (სარჯველაძე, 1984, 90).

სალიტერატურო ენის ნორმათა თვალსაზრისით რეფორმატორულ ცვლილებად უნდა განვიხილოთ ხანმეტობიდან ჰაემეტობამდე და შემდგომ სანნარევ ვითარებამდე მომხდარი ცვლილებები. რა იყო მექანიზმი ამგვარი გადასვლისა, რა გზით გატარდა ეს რეფორმა, ძნელია დღეს ამის შესახებ საუბარი. საორიენტაციო დიალექტის ცვლის საკითხი საინტერესო პიპოთეზად რჩება.

და პირველი პრინციპული ხასიათისა და ფართომასშტაბიანი რეფორმა ქართული სალიტერატურო ენისა მოახდინა შოთა რუსთაველმა.

როგორც ვთქვით, საკმაოდ დაშორდა „წიგნური“ და „ხალხური“ მეტყველება ერთმანეთს. შოთა რუსთაველმა, ფაქტობრივ, მოხსნა ეს განსხვავება და სამწერლობო ენა (ამ შემთხვევაში „ვეფხისტყაოსნის“ ენა) დააფუძნა ცოცხალ სასაუბრო ენას – საერთო-სახალხო ენას. პრინციპი – სალიტერატურო ენა საერთო-სახალხო ენას უნდა ეფუძნებოდეს – რუსთაველმა გაატარა ბოლომდე. ამიტომაცაა: X-XI საუკუნეების ძეგლების ენა უფრო მეტ სახესხვა-

ობას ამჟღავნებს რუსთაველის ენასთან, ვიდრე V-VI საუკუნეების ძეგლთა ენასთან.

რუსთაველის შემთხვევაში ვერ ვიტყვით, რომ იგი რომელიმე კონკრეტულ დიალექტს დაემყარა; მისთვის საორიენტაციო იყო საერთო-სახალხო ენა. საკითხის საგანგებო შესწავლის შემდეგ არნ. ჩიქობავა დაასკვნა, რომ შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ მოიპოვება როგორც აღმოსავლეთ საქართველოს ბარის კილოების (უმთავრესად ქართლურ-კახურის) დამახასიათებელი მოვლენები, ისე დასავლეთ საქართველოს (იმერეთ-გურია-აჭარის) დიალექტური სინამდვილისთვის ნიშანდობლივი მონაცემები; ფაქტია სამცხური დიალექტის თავისებურებათა დადასტურებაც (ჩიქობავა, 1938)...

ამიტომ ვიმეორებთ: შოთა რუსთაველის მიერ ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში მომხდარი რეფორმის მთავარი მიმართულება ასეთია: სალიტერატურო ენა უნდა ემყარებოდეს საერთო-სახალხო ენას და მასში უნდა აისახებოდეს ცოცხალ ენაში მიმდინარე ცვლილებები.

რეფორმა, რომელიც რუსთაველმა ჩაატარა, წარმატებული აღმოჩნდა...

რუსთაველის შემდგომ ეპოქაში საქართველოს პოლიტიკური ერთიანობის რღვევამ, ეროვნული და სახელმწიფოებრივი კონსოლიდაციის დასუსტებამ რეალური საფრთხე შეუქმნა ქართულ სალიტერატურო ენას. დიდია უცხო ენათა გავლენა... მაღალი პოეტური ენა რუსთაველისა გადაგვარების საფრთხის წინაშე დადგა. „სხვა ენათა განუკითხავმა მოძალეობამ გარდაუვალი შერყევის საშიშროება შეუქმნა მას. დარბაისლური მეტყველება გარმიანული ჟარგონით იცვლება. ენა კარგავს ეროვნულ ნიშატს, იესება ბარბარიზმებით. უცხოური კალკებით, იფიტება, მოუქნელი და მყიფე ხდება“ (ჯორბენაძე, 1989).

შეშფოთდნენ ერისკაცები.

„იგ ნუ გგონიათ, სხვა ენა მეც არ ვიცოდე სხვასავით, მაგრამ ცუდია გარევა ქართულ ენაში სხვას ავით“ — ეს მეფე-პოეტ არჩილის შეძახილია. სულხან-საბა ორბელიანმა ქართული ლექსი-

კონი შექმნა; თავთავისი ადგილი მიუჩინა დიალექტურ თუ უცხოენოვან სიტყვებს და სალიტერატურო ენის თვალსაზრისით ნორმატიული ფორმები წარმოაჩინა. არ შევლის...

XVII-XVIII საუკუნეებში განსაკუთრებით რეალური საფრთხის წინაშე დადგა ქართული ენა...

და ასპარეზზე გამოჩნდა ანტონ ბაგრატიონი – ანტონ I კათალიკოსი. ამ უდავოდ ბუმბერაზმა პიროვნებამ, თვალსაჩინო მოღვაწემ ქართული სალიტერატურო ენის რეფორმა შემოგვთავაზა.

2. ანტონ პირველი და ახალი ქართული სალიტერატურო ენა

ახალი ქართული სალიტერატურო ენა XIX საუკუნის ფაქტია. იგი ყალიბდება, ფაქტობრივ, ანტონ კათალიკოსის მიერ დამკვიდრებული ტრადიციის წინააღმდეგ ბრძოლის ფონზე.

ილია ჭავჭავაძე თავის ოპონენტებს „ანტონ კათალიკოზის გემოვნებით“ ცხოვრებას უწუნებს: „მე რომ სხვის გემოვნებით ვცხოვრობდე, როგორც უფ. ბარათოვი ანტონ კათალიკოზის გემოვნებითა, მე თქვენ მოგიწონებდით მაგ-გვარ აზრის გასხვივოსნებასა“ (ილია, 1953, 48.)

ცხადია, ამ შემთხვევაში ილია ენობრივ „ნორმებს“ გულისხმობს, თორემ ანტონს, როგორც მოღვაწეს, იგი ღირსეულ შეფასებას აძლევს: „ნურაევინ ნუ გაიფიქრებს, რომ არ მესმოდეს დიდი მნიშვნელობა ანტონ კათალიკოზისა. ანტონი დიდს ალაგს დაიჭერს ჩვენს ლიტერატურაში, როგორც წარმომადგენელი იმ ღროის საქართველოს განათლებისა, მაგრამ ეხლა რომ პოეზიის განხილვა იმ ღროის კანონებით მოვინდომოთ, ძალიან შევცდებით. მაშინ სხვა-რიგად ესმოდათ, ეხლა სხვა-გვარად...“ (ილია, 1953, 48-9)

რა ესმოდათ „მაშინ სხვა-რიგად“? რა უძლოდა წინ ილიას ეპოქას? რას წარმოადგენდა ანტონ პირველის ნორმები?

არსებობს ურთიერთსაპირისპირო, ურთიერთგამომრიცხავი შეფასებანი ანტონის ღვაწლისა ამ თვალსაზრისით:

არნოლდ ჩიქობავა: „ქართული სალიტერატურო ენის ბუნებრივი განვითარების ხაზი მეოვრამეტე საუკუნის მესამოცე წლებში გაწყდა. ეს დაკავშირებულია ანტონ კათალიკოსის (ანტონ პირველის) და მისი სკოლის მოღვაწეობასთან. ამ სკოლის ხელში იყო ქართული სალიტერატურო ენის განვითარება მთელი საუკუნის განმავლობაში – მეოვრამეტე საუკუნის მესამოცე წლებიდან მეცხრამეტე საუკუნის მესამოცე წლებამდე“ (ჩიქობავა, 1950, 020). ანტონის სახელთან აკავშირებენ სამი სტილის თეორიის დანერგვასა და გაბატონებას. ქართულ სინამდვილეში ამ თეორიის თანახმად „ყველა საგანზე მსჯელობა ერთი და იმავე ენით დაუშვებლად იყო მიჩნეული: „მაღალ მატერიას“ (მაგალ. ღვთისმეტყველებას) აღზევებული ენა – „მაღალი სტილი“ – შეუფერებოდა; ისტორიული თხრობა, მაგალითად, საშუალო სტილს მოითხოვდა; ყოველდღიური ამბები, საყოფაცხოვრებო მოვლენები „უბრალოდ“ ითქმოდა. მას ჩვეულებრივ სასაუბრო ენა გამოადგებოდა, – ეს იყო „დაბალი სტილის“ სამყარო“ (ჩიქობავა, იქვე). დასკვნა მკაცრია: „ამგვარად, ანტონ პირველმა რიტორიკას ჩააბარა ქართული სალიტერატურო ენის ბედი. რიტორიკის ნორმები – სამი სტილის თეორია – პრინციპში უარყოფდა ერთი სალიტერატურო ენის საკმარისობას: ერთი სალიტერატურო ქართულის ნაცვლად უნდა შეექმნათ სამი სახის წიგნიერი მეტყველება – სამი სტილის ქართული. ანტონ პირველმა დააკანონა მაღალი სტილისათვის ძველი ქართულის თავისებური სუროგატი, ენა ღვლარჭნილი, რთულ წინადადებათა მოტრფიალე. მიმღეობებით მდიდარი, ზმნებით ღარიბი, გასაგებად ძნელი“ (ჩიქობავა, იქვე).

სხვაგვარად ფიქრობს თ. უთურგაიძე: „ამ პარადიგმების (სახელის პარადიგმების – გ.გ.) შედარების საფუძველზე ჩანს, ეს არის ანტონის ცდა. სალიტერატურო ენა დაუახლოვოს ხალხის სამეტყველო ენას, ე.ი. მოახდინოს მისი დემოკრატიზაცია და ამავე დროს გარკვეული კანონზომიერების საფუძველზე შეინარჩუნოს ტრადიციული ლიტერატურული ხაზიც, რამდენადაც ამის შესაძლებლობას იძლეოდა მისი დროის სამწერლობო ენა. ეს დებულება

სხვა მეტყველების ნაწილებსაც ენება ანტონის გრამატიკაში“ (უთურგაიძე, 1999, 165).

შთაბეჭდილება „ძველი ქართულის თავისებური სუროგატი“ შესახებ, ამგვარად იხსნება: ანტონ პირველი „ცდილობდა ქართული სალიტერატურო ენაც ქართული თეოლოგიურ – ფილოსოფიური მწერლობის ენის ხალხურ სამეტყველო ენასთან შერწყმის გზით განვეითარებინა“ (უთურგაიძე, იქვე, 167)

როგორც ჩანს, ეს თემა კვლავაც დარჩება სპეციალისტთა დავა-კამათის საგნად. სალიტერატურო ქართული ენის ისტორიის სპეციალისტი ვერ აუვლის გვერდს იმას, რომ ანტონის მიზანი ნორმირებული სალიტერატურო ენის შექმნა იყო. საგულისხმოა ანტონის მიერ წიგნის წინასიტყვაობაში („შეყუანილება წიგნისა ღრამმატიკასა...“) თქმული: „არარამ მოყვარება სიბრძნისა იქმნების თუნიერ მართლებნობისა და წესიერწერისა“ (ანტონი, 1997, 8). ამ მიზნით იწერება ეს წიგნი. მიზანი ანტონისა არაა სადავო. მიზანი უადრესად კეთილშობილურია. თ. უთურგაიძის აზრით, ანტონი მომხრეა „ყველასათვის საერთო ერთიანი ლიტერატურული ენისა, რომლის ნორმები უნდა შემუშავებულიყო სამწერლობო ქართულის ტრადიციული ფორმების შერწყმით სახალხო ენასთან“ (უთურგაიძე, 1999, 167).

ახერხებს კი ამას ანტონი? რა მასალას ემყარება იგი, რას ანალიზებს და რა დასკვნას აკეთებს? ე. ბაბუნაშვილის აზრით, „ანტონს ყველგან ძველი ქართულის მასალა აქვს გათვალისწინებული, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ძველ ქართულში არარსებულ, ფსევდოარქაულ ფორმებს (პრწამნ... აღმიხუმიეს... ტიპისას...) (ბაბუნაშვილი, 1970, 176). ეს საინტერესო დაკვირვება საინტერესო კითხვას აღძრავს: ანტონი ძველი ქართულის მასალას ემყარება (ეს არა მარტო პარადიგმებიდან, დამოწმებული ტექსტებიდანაც ჩანს), მაგრამ ანტონის გრამატიკა ძველი ქართულის გრამატიკაა თუ ახალი ქართულისა, ე.ი. ანტონის დროინდელი ქართულისა? კითხვის დასმა იმდენად მიგვაჩნია ლოგიკურად, რამდენადაც ანტონის დროინდელი ქართული ახალი ქართულია. ცოცხალ, სასაუბრო ენაში

ძველი ქართულის ფაქტები ნაშთის სახითღაა შემორჩენილი XVIII საუკუნეში, ამის დასტურად სულხან-საბა ორბელიანისა და დავით გურამიშვილის განხეხვებაც კმარა.

მართალია, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ იმავე სულხან-საბა ორბელიანის საერო და სასულიერო ხასიათის თხზულებანი სხვაობენ სტილის თვალსაზრისით: სასულიერო ხასიათის თხზულებანი არქაული სტილით იწერება, მაგრამ იმავე არქაულ ფორმათა ფუნქციურ-სემანტიკური გააზრება, როგორც ჩანს, ახალი ქართულის პოზიციებიდან ხდება.

ვიმეორებთ კითხვას, ანტონის გრამატიკა ძველ-ქართულის გრამატიკაა თუ ახალი ქართულისა?

დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემას შევეცდებით ანტონის გრამატიკაში ზმნის უღლების საკითხების ავტორისეული სისტემის განხილვით. ვფიქრობთ, მიღებული დასკვნა შესაძლებელია განზოგადდეს.

შევეცდებით ცოტა ვრცლად მიმოვიხილოთ საუღლებელ ერთეულთა (დროების – ანტონის ტერმინით, მწკრივების – შემდგომში ა. შანიძის ტერმინით) წარმოების საკითხების განხილვის მაგალითზე. მსჯელობის გასაადვილებლად დროებს დავალაგებთ ა. შანიძის სისტემის მიხედვით.

I. სერიის ფორმები. ე. ბაბუნაშვილი აღნიშნავს: „ანტონს გამოუყენებია ძველი ქართულის თითქმის ყველა მწკრივი: აწმყო, უწყვეტლის ხოლმეობითი, I კავშირებითი, წყვეტილი, II კავშირებითი, I თურმეობითი, II თურმეობითი. სპორადულად: აწმყოს ხოლმეობითი, უწყვეტელი, I ბრძანებითი, II ბრძანებითი, II ხოლმეობითი. არ ჩანს მხოლოდ III კავშირებითი (ბაბუნაშვილი, 1970, 177).

მართალია, I სერიის ფორმათაგან ანტონი ამჩნევს ყველა ფორმას ძველი ქართულისას.

აწმყოს

აწმყოს ხოლმეობითს

უწყვეტელს

I ბრძანებითს

უწყვეტლის ხოლმეობითს

I კავშირებითს

მაგრამ ამ ექვსი მწკრივის ფორმებს პარადიგმებში სამ დროში ანაწილებს:

აწმყოში,

უწყვეტელში (ნამყო უსრულში – ავტორის ტერმინოლოგიით),

I კავშირებითში (საწადისისა სქესისა აწმყო – მყოფადში).

რა ხდება? ფორმებს ამჩნევს, ანალიზებს და უღვლილებს სისტემაში ყველას ვერ უძებნის ადგილს? ავტორისათვის დამახასიათებელი ენობრივი ალღოს პატრონისათვის და, საერთოდ, ენათმეცნიერული ანალიზის ხელოვანისათვის, ეს ფაქტი თითქოს უცნაურად უღერს.

ამთავითვე ვიტყვი: ახალი ქართულის ენობრივი სინამდვილე ახდენს გაელენას ანტონზე; ახალი ქართულის სემანტიკურ-ფუნქციური პოზიციებიდან უყურებს ძველი ქართულის ფაქტებს და ამიტომ ძველი ფაქტების კვალიფიკაცია ყოველთვის ვერ იქნება სწორი; სხვაგვარად: ფორმობრივად ძველი ქართულის მონაცემები სემანტიკურად ახალი ქართულის პოზიციებიდანაა გაანალიზებული.

აწმყო-მყოფადი. აწმყოს პარადიგმებში ანტონი ძველი ქართულის ვითარებას ასახავს: უზმნისწინო და ზმნისწინიანი ვარიანტები ანტონისათვის ორივე აწმყოა თხრობითი კილოსი; მაგ.: აწმყოა, ერთი მხრივ, ვასუამ, ვისუმევი, ვაწყენ, ვკვუმმ... მეორე მხრივ, შეეკრაგ, განვჰბან, განვიბანები, აღვიხუამ, აღვიხში...

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ზმნისწინის საკითხი ანტონთან საგანგებო ყურადღებას იმსახურებს. უღვლილებს პარადიგმებში (I ნაწილში) ზმნა ყველა დროში ან უზმნისწინოდაა წარმოდგენილი, ან – ზმნისწინით. ზმნისწინის ფუნქციათაგან მომავალი დროის გამონატყავზე ანტონი არას ამბობს. ისე კი, 12 ზმნის პარადიგმიდან

9 უზმნისწინოდაა წარმოდგენილი, 3 – ზმნისწინით (შევკერავ, გან-
ვკბან, აღვიხუამ)... საერთოდ კი, უღვლილების ტიპებზე და მის სა-
ხეობებზე მსჯელობისას ანტონი I ნაწილში 80-მდე ზმნას განიხი-
ლავს. ამათგან ათიოდეს წარმოადგენს ზმნისწინით. ჩვეულებრივ
მსჯელობისას აწმყოს ფორმას (უზმნისწინოს) ასახელებს და საუბ-
რობს მის მიმართებაზე ნამყო სრულსა და მყობადთან (ე.ი. მეორე
კავშირებითთან). ძნელი სათქმელია, ძირითადად უზმნისწინო ფორ-
მათა შესახებ მსჯელობა ნიშნავს თუ არა იმას, რომ სწორედ ამ-
გვარ ფორმებში ხედავს ავტორი აწმყოს მნიშვნელობას. ვფიქრობ,
არ უნდა იყოს გამორიცხული ამგვარი გაგებაც.

ზმნისწინის ფუნქციაზე, მიანიჭოს ზმნას მყოფადის გაგება,
არაა საუბარი ანტონთან. საერთოდ, ზმნისწინის საგანგებო როლს
ზმნური ფორმის სემანტიკურ გაგებაში, როგორც ჩანს, გრძნობს ავ-
ტორი, მაგრამ არაა ბოლომდე გააზრებული მისი მნიშვნელობა და
თავს არიდებს ერთსა და იმავე პარადიგმაში ზმნისწინიან და უზ-
მნისწინო ფორმათა წარმოდგენას. საგულისხმო ფაქტია, რომ ან-
ტონმა გამოყო ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი ყველა
ზმნისწინი (ვეშაპიძე, 1967, გვ. 4-8). გრამატიკის II ნაწილში, სა-
დაც საგანგებო მსჯელობაა ზმნისწინზე, აღნიშნავს, რომ ისინი არი-
ან „მცუალეებელნი მათისა მნიშვნელობისანი, რომლთაცა ზედ-დაე-
ლებიან“. ამ შემთხვევაში, ვფიქრობთ, ანტონი მიანიშნებს ზმნისწინის
არა რომელიმე კონკრეტულ მნიშვნელობაზე, არამედ ზოგადად შე-
ნიშნავს, რომ ზმნისწინის დართვა ზმნას გარკვეული თვალსაზრი-
სით მნიშვნელობას უცვლის (შდრ. ფოცხიშვილი, 1979, გვ. 106.).
ამგვარი დასკვნის უფლებას გვაძლევს ანტონის შემდგომი მსჯელო-
ბა: „ზოლო ესენი (ზმნისწინები – გ.გ.), წულილ მხედუშლობითა
ღრამმატიკოსისათა, არიან მნიშვნელ რამმესა“ (გვ. 160.) ე.ი. მათ
რალაც მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ კონკრეტულად რა, ამის თაობაზე
არას შენიშნავს.

საგანგებოდ ზმნისწინზე იმიტომ შევჩერდით, რომ ზმნისწინი-
ან და უზმნისწინო ფორმებს ავტორი ორივეს აწმყოდ მიიჩნევს, არა
იმიტომ, რომ ძველი ქართულის სინამდვილის გრამატიკულ აღწე-

რას ახდენს, არამედ თავს არიდებს ზმნისწინის ფორმაწარმოებით ფუნქციაზე ყურადღების გამახვილებას. ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმათა დაპირისპირების შესაძლებლობას ხედავს ყველა დროში. ყველგან ზმნისწინი ერთი ფუნქციისად მიიჩნევა.

ღირსსაცნობია ის ფაქტი, რომ ძველი ქართულის ე.წ. აწმყოს ხოლმეობითი, რომელსაც, რა თქმა უნდა, ამჩნევს ავტორი, მისთვის აწმყოს ვარიანტია მხოლოდ პირის ნიშნით განსხვავებული; მიანიშნებს იმასაც, რომ ამგვარი ვარიანტი ყველა ზმნას შეიძლება ჰქონდეს: „ყოველი ზმნად აწმყოსა დროსა შინად პირისამებრ მესამისა შესაძლებელ არს ნიშნითა ამით ნ განპიროვნებად, მაგალითებრ: პრწამნ, შეკრავნ, კტემნ და სხუანი“ (გვ. 171). აღნიშნავს იმასაც, რომ სანიან და ნარიან მხოლოდობითის ფორმებს მრავლობითებიც შესაბამისი აქვს; „რომელსაც აწმყოსა შინა დროსა, პირსა მესამესა, აპიროვნებს ნ, მაგალითებრ: პრწამნ, მამრავლებელ ექმნების კუალად ნ, მაგალითებრ: პრწამნნ“ (იქვე). ეს ფორმა სამეცნიერო ლიტერატურაში კვალიფიცირებულია „ქართულში არარსებულ, ფსევდოარქაულ ფორმად“ (ბაბუნაშვილი, 1970, 176) მართალია, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ანტონი ცდება, მაგრამ ამ შეცდომას საფუძველი ისევ ძველ ქართულში ეძებნება. ისეთი შემთხვევების არსებობა ძველ ქართულში, როგორცაა:

აწმყო: ა-ქუნ-ს // ა-ქუ-ს
ჩან-ს // ჩა-ს

აწმყ. ხოლმ. ა-ქუნ // ა-ქუნ-ნ
ჩან // ჩან-ნ

უბიძგებს ავტორს პრწამნნ ფორმის შექმნისაკენ. მართალია, ფორმა ხელოვნურია, მაგრამ საფუძველს ამგვარი ფორმის შექმნისას ძველი ქართულის ენობრივი სინამდვილე იძლევა.

შენიშნა: ეს რომ ასეა, ამას ისიც ადასტურებს, რომ ავტორისეულ მსჯელობაში აქუნნ ფორმას აწმყოს მრავლობითი რიცხვის მნიშვნელობით გამოიყენებს: „...მამრავლედ და მაპიროვნედ

აქუნ იგივე ნიშანნი“... (გვ. 181) შდრ.: „მესამისა მიმართ პირისა აქუს მაპიროვნედ მსოლობითად ა“ (გვ. 187). ასევე: „მრავალნი ნამყოსა სრულსა დროსა შინანი ზმნანი სხცსა და სხცსა უღლკლე-ბისანი ჰსჩანნ ერთშესახედაეყოფად“... (გვ. 187).

სამწუხაროდ, ანტონი ვერ ამჩნევს ძველი ქართულის აწმყოს ხოლმეობითის მრავლობითის ფორმებს -ედ ბოლოსართით, მაგრამ ფაქტი მაინც საგანგებო მსჯელობას მოითხოვს. საქმე ისაა, რომ პირველ ნაწილში, უღვლილების პარადიგმებში, ნარიანი აწმყო საერთოდ არაა წარმოდგენილი. ყველა შემთხვევაში სანიანი ფორმებია მესამე პირში შეჰკრავს ტიპისა. ე.ი. ავტორი პარალელურ სანიან და ნარიან ვარიანტთაგან ძირითადად პირველს მიიჩნევს; ნარიან ფორმებში აწმყოს გაგებას ხედავს; ვერ ამჩნევს სემანტიკურ სხვაობას არს და არნ ფორმებს შორის. ვითარება ნათელია: ანტონი ძველი ქართულის ფაქტებს ახალი ქართულის ფუნქციურ-სემანტიკური პოზიციებიდან ხედავს.

და ის ფაქტი, რომ პარალელურ (ნარიან და სანიან) ვარიანტთაგან ძირითადად სანიანს მიიჩნევს, პარალელურ ფორმათაგან ერთ-ერთის უპირატესობის მინიჭების ანტონისეულ პრინციპზე მიგვანიშნებს: არს და არნ ორივე აწმყოა (ანტონისათვის); სიხშირე სანიანი ფორმების გამოყენებისა წყვეტს არს ფორმის ძირითადობის საკითხს. პარალელურ ფორმათაგან ერთ-ერთის ძირითადად მიჩნევისას სიხშირული მონაცემების გათვალისწინება უმთავრესი პრინციპია ანტონისათვის. სიხშირული მონაცემები ძველი ქართულის მიხედვით განისაზღვრება. აქაც და სხვა შემთხვევაშიც ანტონი ცდილობს სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენასაც (ფოცხიშვილი, 1971, გვ. 117).

უწყვეტელი (ნამყო უსრული). ე. ბაბუნაშვილი აღნიშნავს, რომ „ანტონის აწმყო უსრული, როგორც ეს ჩანს მისი

მსჯელობიდან და პარადიგმებიდანაც, ეს არის ძირითადად ძველი ქართულის უწყვეტლის ხოლმეობითი („განკვბანი, განკვბანდი, განკვბანდის, განკვბანდით, განკვბანდით, განკვბანდიან. II, 16V) თუმცა ხანდახან მხოლობითის III პირში უწყვეტლის ფორმებიც დასტურდება („შეიყვარებენ – I, 21V)“ (ბაბუნაშვილი, 1970, 155).

ამგვარი დასკვნის გაკეთების საშუალებას, რა თქმა უნდა, გვაძლევს ძველი ქართული ენის ნორმათა გათვალისწინება და ანტონისეულ პარადიგმათა ანალიზი. მაგრამ, ვფიქრობთ, გასათვალისწინებელია ზოგი რამ. კერძოდ: განსხვავებულად უნდა მივუდგეთ, ერთი მხრივ, I და II პირის ფორმებს და, მეორე მხრივ, III პირის ფორმებს.

ფაქტია, რომ ანტონის პარადიგმებში წარმოდგენილი I და II პირის ფორმები ძველი ქართულის უწყვეტლის ხოლმეობითის ფორმებია როგორც დონიან, ისე ოდიან ზმნებში, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ძველსავე ქართულში დონიანი ზმნების უწყვეტლისა და უწყვეტლის ხოლმეობითის ფორმები I და II პირში ფორმოზრივად ემთხვევა ერთმანეთს; მათი გარჩევა არ ხერხდება ფორმოზრივად. ისიც გასათვალისწინებელია, რომ დონიან და ოდიან უწყვეტლის ფორმათა გაერთიანება ძველსავე ქართულში იწყება. რამდენადაც ანტონი ვერ ხედავს სხვაობას აწმყოსა და აწმყოს ხოლმეობითს შორის (არს-არან), მოსალოდნელია, რომ ვერც ის სხვაობა იქნეს დაფიქსირებული, რაც უწყვეტელსა და უწყვეტლის ხოლმეობითს შორისაა. ამ ორ ოდენობას ანტონი სემანტიკურად არ განარჩევს. უფრო მეტიც, რამდენადაც ოდიანი ზმნების ძველი ქართულის უწყვეტელი (ოდ-ე დაბოლოებით) არც ერთ შემთხვევაში არაა წარმოდგენილი ნამყო უსრულის პარადიგმაში და, პირიქით, ოდეთიპის დაბოლოების მქონე ფორმები I კავშირებითის (მყოფადის – ავტორის ტერმინოლოგიით) პარადიგმაშია წარმოდგენილი დე ტიპის დაბოლოების ფორმათა გვერდით, აშკარაა, რომ სემანტიკურ-ფუნქციური შეფასება ამ ფორმათა ახალი ქართულის პოზიციებიდან ხდება.

წყვეტილისა და უწყვეტლის ხოლმეობითის ფორმებზე მსჯელობა ამ შემთხვევაში ძირითადად III პირის ფორმათა მონაცემებს უნდა დაემყაროს. III პირის ფორმათა წარმოების თვალსაზრისით სამი შემთხვევა გაირჩევა:

1. როცა მხოლობითსა და მრავლობითში უწყვეტლის ხოლმეობითის ფორმებია წარმოდგენილი:

შეჰკრვდიან (გვ. 24)

განბანიდის, განბანიდიან (გვ. 27)

2. როცა ორივე რიცხვში უწყვეტლის ფორმებია წარმოდგენილი:

განიბანებოდა, განიბანებოდენ (გვ. 29)

აწყენდა, აწყენდენ (გვ. 49)

3. როცა ხდება პარადიგმათა აღრევა: მხოლობითში უწყვეტლის ფორმაა, მრავლობითში – უწყვეტლის ხოლმეობითის და პირიქით:

განიბანებოდა, განიბანებოდიან (გვ. 29)

ასმიდა, ასმიდიან (გვ. 39)

ჰგუჰმდა, ჰგუჰმდიან (გვ. 56)

ანდა:

შეიკრვოდის, შეიკრვოდენ (გვ. 26)

აყოფინებდის, აყოფინებდენ (გვ. 56)

შენიშვნა: 1. ღირსსაცნობია ის ფაქტიც, რომ უწყვეტელში სუბიექტური მესამე პირის მრავლობითობის ფორმები ახალი ქართულისაა (-ენ სუფიქსით); ძველი ქართულის ფორმები ანტონთან არ გვხვდება (-ეს ბოლოსართით).

2. უწყვეტლის პარადიგმაში წარმოდგენილი შეიყვარებდენ ტიპის ფორმათა გაგება I კავშირებითის ფორ-

მად (მდრ. ბაბუნაშვილი; 1970, 155) არ გვეჩვენებს მართებულად. ისინი ახალი ქართულის უწყვეტლის ფორმებია, რომლებიც ფორმობრივად ძველი ქართულის I კავშირებითს ემთხვევა. როგორც ქვევით ვნახავთ, ანტონის გრამატიკაში არ არის შემთხვევა ერთი საუღლე-ბელი ერთეულის პარადიგმაში სხვადასხვა სემანტიკის ფორმების წარმოდგენისა. აწყენდა და აწყენდენ მხოლოდ სუბიექტის რიცხვით განსხვავებული ფორმებია; შესაბამისად, მრავლობითის ახალი ქართულის უწყვეტლის ფორმად უნდა იქნეს მიჩნეული.

აღნიშნული სამი შემთხვევიდან II და III შემთხვევა იშვიათია. უფრო ხშირია I შემთხვევა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ III პირის უწყვეტლის ფორმები მხოლოდ პირველ ნაწილში, პარადიგმაში, არის წარმოდგენილი. II, თეორიულ, ნაწილში მხოლოდ უწყვეტლის ხოლმეობითის ფორმებია დამოწმებული. უფრო სწორად, მოყვანილი 15 მაგალითიდან მხოლოდ ერთია უწყვეტლისა, ისიც მხოლობითში: *ჰსწონიდა* (გვ. 179). არც ეს ჩანს შემთხვევითი: მეორე ნაწილში ჯერ წესებს გეთავაზობს უწყვეტლის წარმოებისას, ხოლო შემდგომ ამ წესების შესაბამისად წარმოადგენს ფორმებს. აქ აღრევა ნაკლებ მოსალოდნელიც იყო. ხოლო პირველ ნაწილში პარადიგმათა აგებისას სასაუბრო ენის გავლენამ იჩინა თავი და გაიპარა რეალური ფორმები.

ვეთქრობთ: უწყვეტლისა და უწყვეტლის ხოლმეობითის ფორმათა ამგვარი აღრევა იმის მაუწყებელია, რომ ეს ორი განსხვავებული ერთეული ანტონისათვის ფუნქციურ-სემანტიკურად ერთი და იგივეა. ამავე დროს, უწყვეტლის ფორმათა (III პირის მაგალითზე) სიმცირე და უწყვეტლის ხოლმეობითის ფორმათა სიჭარბე მოყვანილ საილუსტრაციო მასალაში გამოწვეული უნდა იყოს ანტონის ენობრივი პოზიციით – მაღალი სტილისათვის შესაფერისად – ის/-იან ტიპის დაბოლოებიან ფორმებს მიიჩნევს (ავტორისეული მსჯელობაც ამგვარი ფორმებით მიმდინარეობს). თავისი დროის სა-

საუბრო ქართულიდან გამომდინარე ამ ტიპის ფორმებს უფრო არქაულად თვლის.

ამდენად, უწყვეტლისა და უწყვეტლის ხოლმეობითის ფორმები ანტონისათვის ერთი და იგივე ფუნქციურ-სემანტიკური ოდენობაა. აღქმა აქაც ახალი ქართულის პოზიციებიდან ხდება. სინონიმურ (ანტონის გაგებით) ფორმათაგან ერთ-ერთის ძირითადად მიჩნევას ამ შემთხვევაში არქაულობის პრინციპი (ანტონისავე გაგებით) განსაზღვრავს.

ანტონი საგანგებო ყურადღებას ამახვილებს ნამყო უსრულის წარმოებაზე. აღნიშნავს, რომ „საზღურებითისა სქესისა ნამყოსა უსრულისა, ესე იგი, არა სრულისა დროსა შინანი ზმნანი წარმოებენ საზღურებითისავე სქესისა, აწყო დროთა შინათა ზმნათაგან“ (გვ. 178); რომ „მაპიროვნედ სამთავე პირთა მიმართ, იგივე არნნ, რადცალა არნნ აწყოთა დროთა შინათა. ეგ-სახედ მამრავლედ-ცა. ხოლო ნიშნათ თქსისა არა სრულებისა, მიიღებენ მარცუალსა...“ (გვ. 179); რომ „ღი და ოღი მარცუალთა მიერ არიან არა სრულ“ (გვ. 181). თუმცა ამ უკანასკნელთაც დაშლის და -ი-ს გამოყოფს, რომელსაც საკუთარ, ზოგად ნიშნად მიიჩნევს უწყვეტლისათვის: „იკიდურებენ უწინარეს ნიშნისა არა სრულებითისა ასოდსა ამის ი სამთავე პირთა შინა მხოლობითისამებრცა და მრავლობითისა“ (გვ. 180). ნამყო უსრულის ფორმის ანალიზი, როგორც ვხედავთ, სწორია: აწყოს ფუძე+ღ-ი, ანდა ოღ-ი; ი საკუთრივ ნამყო უსრულის მაწარმოებელია (ღ და ოღ ე-სთან კომბინაციაში პირველ კავშირებითშიც – საწადისისა სქესისა აწყოდ და მყობადი – გვხვდება. მასაც ამჩნევს ანტონი). ი-ს საკუთრივ ნამყო უსრულის ნიშნად მიჩნევა არ ჩანს შემთხვევითი ავტორისათვის. იგივე ი, როგორც ჩანს, ავტორს გაიგივებული აქვს II ხოლმეობითის -ი სუფიქსთან.

შენიშვნა: საინტერესო ჩანს ისიც, რომ ეგვე ი გაიგივებულია აწყოში ვნებითების ი სუფიქსთან: „ესე (ე. ი. II ხოლმეობითის ფორმები) მსგავსი არს ვნებითისა ვიბრწყინვი, ვისურვი“ (გვ. 181). აქ მხოლოდ

მასალებრივი იგივეობის საკითხი რომ არ ღვას, იქი-
დანაც ჩანს, რომ ნამყო სრულის ი-სთან მისი გაიგი-
ვება არ ხდება.

II ხოლმეობითის ფორმებს ანტონი, რა თქმა უნდა, ამჩნევს, მაგრამ მიიჩნევს მათ ნამყო უსრულად: „სხვთაცა ნიშნებითა იქმნე-
ბიან ზმნანი ნამყოსა დროსა არა სრულსა შინა მიმოზრილ ხოლო
ნიშანნი იგი არიან: 1, ი, 2, უ, მაგალითებრ: შევიკრი, განვიბანი,
შევიყუარი... ვჰყუ... ვჰსძრცუ... ესენი ორითა ნიშნითა არიან არა
სრულნი, ესე იგი განკიდურებით : 1. ი მარცხულისათა, მაგალითებრ:
ვჰნერგი, 2. უ, მაგალითებს: ვჰყუ, და სხუანი. ხოლო მამრავლედ და
მაპიროვნედ აქუნნ იგივე ნიშანი, რომელნიცა დი და ოდი მარცხალ-
თა მიერ არიან არა სრულ“ (გვ. 181).

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია: „არანაკლებ საინ-
ტერესოა ანტონის მიერ II ხოლმეობითის ფორმების უწყვეტლად
გამოცხადებაც. როგორც ჩანს, ანტონს შეუმჩნევია, რომ ძველ ქარ-
თულში ასეთი ფორმები უწყვეტლის ფუნქციით გამოიყენება“ (ბაბუ-
ნაშვილი, 1970, 156). ძველ ქართულში რომ II ხოლმეობითი
უწყვეტლის მნიშვნელობით გამოიყენება, ეს არ უნდა იყოს არსები-
თი საფუძველი ანტონისეული ანალიზისათვის, მთავარი აქაც ის
ჩანს, რომ ანტონი ვერ ამჩნევს იმ სემანტიკურ სხვაობას, რაცაა
უწყვეტელსა და II ხოლმეობითს შორის. ფორმათა ამგვარი ანალი-
ზის საფუძველი აქაც ახალი ქართულის პოზიციებიდან ჭკრეტაა.

ამგვარად: მეორე ხოლმეობითი ანტონის გაგებით იგივე ნამყო
უსრულია, მისი ფორმოზრივი ვარიანტი.

ნამყო უსრულადაა გაგებული, მის ფორმოზრივ ვარიანტად,
ძველი ქართულის I ბრძანებითიც: „კუალად მაპიროვნედ აქუს ზმნა-
თა ამათთა, მესამის პირისათა, ნამყოთა არა სრულთა დროთა შინა
ნ, მაგალითებრ: შეჰკრცდინ, განჰბანიდინ, ჰკუჭთდინ, ჰსძრცუდინ, და
სხუანი... – მაგრამ ცოტა ქვევით, I კავშირებითის ფორმებზე მსჯე-
ლობისას, I ბრძანებითის ფორმები მოჰყავს და სწორადაც! „მხო-
ლობითისამებრ მაპიროვნედ იქმნებიან ნ. მაგალითებრ: შეიკვროდინ,

შეიკურებოდინ, ხოლო მამრავლედ ედ მარცუალი, მაგალითებს: შე-
იკრვოდედ, განიბანებოდედ, აღიხუმოდედ და სხუანი“ (გვ. 184).

შენიშვნა: ისიც საგულისხმო ფაქტია, რომ მხო-
ლობითის ნარიან ფორმას მეწყვილედ მრავლობითში ედ-
იან ფორმას დაუყენებს.

როგორც ვნახეთ, ნამყო უსრულზე მსჯელობისას ანტონი გა-
ნიხილავს სხვადასხვა საუღლებელი ერთეულის ფორმებს: უწყვეტ-
ლისას, უწყვეტლის ხოლმეობითისას, I ბრძანებითისას, მეორე
ხოლმეობითისას. ყველა ეს ფორმა ანტონისთვის შინაარსობრივად
იღენტურია. ავტორი საჭიროდ ცნობს თითოეული მათგანის ანალიზს,
რამდენადაც მიზანი გრამატიკული ფორმის დახასიათებაა ფუნქცი-
ურ-სემანტიკური მხარის გათვალისწინებით. რადგან ერთ-ერთი ძირი-
თადი პრინციპი საუღლებელ ერთეულთა გამოყოფისა ფორმის ფუნ-
ქციურ-სემანტიკური მხარის გათვალისწინებაა, ამიტომ რამდენიმე
ფორმა ერთ საუღლებელ ერთეულში იყრის თავს. ე. ი. ანალიზებს
ძირითადად ძველი ქართული ენის მასალას, ფორმა არ რჩება შეუმ-
ჩნეველი, მაგრამ ზდება ფუნქციურ-სემანტიკურად ამ ფორმათა
იღენტიფიკაცია. გრამატიკის II ნაწილში ყველა მათგანს ეძებნება
ადგილი; პარადიგმებში ასე არაა. მაგრამ ღირსსაცნობია ის, რომ
პარადიგმებში ფორმობრივი პრინციპი მკაცრადაა გატარებული (თუ
მხედველობაში არ მივიღებთ უწყვეტლისა და უწყვეტლის ხოლმეო-
ბითის II პირის ფორმებს): ფუნქციურ-სემანტიკურად იღენტური
(ანტონისათვის) II ხოლმეობითის ფორმა არ შეიძლება მოხვდეს
უწყვეტლის ფორმის გვერდით ერთ პარადიგმაში. ერთადერთი შე-
მთხვევაა, როცა I ნაწილში II ხოლმეობითის ფორმებია ნამყო უს-
რულის პარადიგმაში: ვიყვი, იყვი, იყვის... (გვ. 21) საგულისხმო
შემთხვევაა: ვარ ზმნას უწყვეტლის ფორმა არა აქვს და ანტონმა
ნამყო უსრულის დროში II ხოლმეობითის ფორმა ჩასვა, მისი აზ-
რით, იგივე ნამყო უსრული. რა თქმა უნდა, ზმნას უწყვეტლის

ფორმა რომ ჰქონოდა, II ხოლმეობითი პარადიგმაში არ მოხვდებოდა.

ძირითადი საფუძველი სხვადასხვა ფორმათა ერთ სემანტიკურ-ფუნქციურ ოდენობად გააზრებისა ისაა, რომ ხოლმეობითის კატეგორია ანტონს შეუძნეველი დარჩა. ეს კი იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ აღნიშნული კატეგორია ანტონისდროინდელი ქართულისათვის უკვე ისტორიული ფაქტია. ანტონი ფორმას ახალი ქართულის ფუნქციურ-სემანტიკური პოზიციიდან აფასებს.

I კავშირებითი (საწადისისა სქესისა აწმყო და მყობადი).

I კავშირებითის ფორმები, ისევე როგორც საწადისი (კავშირებითი) კილოს სხვა ფორმები, ვაშათუ შორისდებულს დაირთავს.

I კავშირებითისათვის სპეციფიკურად ანტონი დე და ოდე დაბოლოებებს მიიჩნევს. ამასთანავე გახაზავს, რომ ოდე დაბოლოება ვნებითი გვარის ზმნათათვისაა დამახასიათებელი (გვ. 184).

ყურადღებას მივაქცევთ იმ ფაქტს, რომ ამ საუღლებელი ერთეულის ფორმობრივი ანალიზი ახალი ქართულის ვითარებას ასახავს: ოდ-იან ზმნებთან ე სუფიქსი გვაქვს. ე-ს სპეციფიკურ კავშირებითის ფორმანტად გააზრება ანტონს ერთ ლაფსუსს დაამკვიბინებს: შეიკრვოდედ, განიბანებოდედ ტიპის ფორმებს I კავშირებითად გაიაზრებს (გვ. 184).

II სერიის ფორმები.

ნ ა მ ყ ო ს რ უ ლ ი. ამ საუღლებელ ერთეულს ანტონი ერთ-ერთ ძირითად საუღლებელ ერთეულად მიიჩნევს. იგი ყველა ზმნის პარადიგმაშია წარმოდგენილი.

შენიშვნა: მხოლოდ ერთი ზმნის შემთხვევაშია არეული პარადიგმა (I ნაწილში). ნამყო სრულად წარმოგვიდგენს ფორმებს: ვპსციქუდ, ჰსციქუდ, ჰსციქუ-

და; ვპსციქუსთ, ჰსციქუსთ, ჰსციქუსს. ეს ერთადერთი შემთხვევაა ანტონთან, როცა ერთი და იმავე ზმნის ერთი დროის პარადიგმაში მხოლოდითი და მრავლობითი ასე სხვაობს ფორმობრივად. მხოლოდითის ფორმები ნამყო უსრულის ფორმებია, მრავლობითისა – ნამყო სრულისა. ფაქტის ახსნა ჭირს.

ნამყო სრულისთვის, ისევე როგორც აწმყოსთვის, საყრდენად ანტონს მასდარი მიაჩნია: „სრულსა დროსა შინანი ზმნანი, საზღვრებითისა სქესისა მებრნი, წარმოებენ ძირითგან თქმულთა“ (გვ. 187). თუმცა მას სხვაგვარი მსჯელობა მოსდევს; თუ სწორად გვესმის ანტონის აზრი, მსჯელობა ასე გრძელდება: ნამყო სრულისთვის ამოსავალია (საყრდენია) აწმყო, რომლისთვისაც თავისთავად ამოსავალია მასდარი: „კუალად უფორე შესაბამ არს, რათა პირველად იწარმოონცა ძირთაგან თვსთა, აწმყოსა შინა ზმნათა და მათგან სხუათა, მაგრამ, ვინაფთგან ნამყოდ სრულად დროებითნი სხუობენ, აწმყო დროებითთაგან ითქმიან საშუალობითა (ხაზი ავტორისაა – გ. გ.), აწმყო დროებითთა ზმნათთა ძირთაგან პირველად წარმოებად ზმნანი ნამყოსა სრულისა დროსა შინანი“ (გვ. 187).

ზმნური ფორმაწარმოების თვალსაზრისით ფასეულად მიგვაჩნია აწმყოსა და ნამყო სრულის ფორმათა წარმოების ურთიერთმომართების საკითხის დასმა. საგულისხმოა ანტონის დაკვირვება იმის თაობაზე, რომ აწმყოს ფორმის სტრუქტურა (წარმოება) არ განსაზღვრავს ნამყო სრულის წარმოების ტიპს. სხვაგვარად: ზმნები აწმყოში შეიძლება ერთგვარად იწარმოებდეს ფორმებს, მაგრამ განსხვავებული იყოს მათი ნამყო სრულის წარმოება: „აღვიხუამ, ვპსდგამ არიან ერთის უღლებისა ქუსშენი ერთ-ხატნი აწმყოსა დროსა შინანი, მაგრა ნამყოსა სრულსა დროსა შინა განსხვავებულნი ურთიერთას, მაგალითებრ: აღვიხუ, ვადგვ“ (გვ. 170).

ეს ფაქტი იმდენად გვეჩვენება საინტერესოდ, რამდენადაც კი ნამყო სრულის წარმოების საკითხებს აწმყოს ფორმათა წარმოებიდან ამოსვლით განიხილავენ.

მიუხედავად იმისა, რომ ნამყო სრულის ფორმათა წარმოება თითქოსდა მარტივია, ყველაზე მეტი აღრევა და სიჭრელე აქ გვაქვს ანტონთან. რვა ნიშანს გამოყოფს ნამყო სრულის მაწარმოებლად ავტორი:

1. ა (შეკპკარ, განკვყავ)
2. ე (შევიყუარე, ვეც)
3. ოდა (მქსუროდა)
4. ი (განვარლი)
5. უ (ავიხუ)
6. მ (ვისურუმ, ვქსძარცუმ)
7. გ (დავღგ)
8. „ვგღ, და ოღესმე ღ“ (ვქსღევღ, ვქსწონღ)
(გვ. 187)

როგორც ვხედავთ, მართებულადაა გამოყოფილი მე-2 და მე-4 შემთხვევაში ნამყო სრულის მაწარმოებელი ე და ი; აქვე შემოვა მე-6 შემთხვევაც – მ მაწარმოებელი: ეს ავტორის ორთოგრაფიის თავისებურებაა: უ-ს შემდგომ ე ყოველთვის მ-ს სახითაა წარმოდგენილი (ბაბუნაშვილი, 1970, 52). რა თქმა უნდა, შეცდომაა ვარ, ყავ, ვეც მაგალითთა შემთხვევაში ფუძისეული ხმოვნის მაწარმოებლად მიჩნევა, მაგრამ თავისთავად საინტერესოა ის, რომ ამ ხმოვანთა გამოვლენა ნამყო სრულის თავისებურებად მიიჩნევა (ამ ტიპის ზმნათა ძირი სრული სახით მხოლოდ ნამყო ძირითადში წარმოგვიდგება!). მე-3 შემთხვევაში შეცდომის წყარო მსურს სტატიკური ზმნის ფორმაწარმოების თავისებურებაა: მსუროდა ნამყო უსრულია, ნამყო სრული არ ეწარმოება; ფუნქციურად მსუროდა იტვირთავს ნამყო სრულის მნიშვნელობას. არასწორი ანალიზის მიზეზი მე-8 შემთხვევაშიც ნამყო სრულისა და ნამყო უსრულის ფუნქციურ-სემანტიკური მსგავსება უნდა იყოს. გაუგებარია მე-5 შემთხვევაში ბოლოკიდური უ-ს მიჩნევა ნამყო სრულის ნიშნად. ანტონი ჩვეულებრივ ნამყო სრულის ფორმის შეპირისპირებას ახდენს აწმყოს ფორმასთან და განსხვავებულ ნიშანს დაარქმევს ნამყო სრულის ნიშანს.

უ ამ ტიპის ზმნებთან აწმყოში გვაქვს (აღვიზუამ)... ფაქტის ახსნა ჭირს.

სწორია ავტორის დაკვირვება იმის თაობაზე, რომ სუბიექტური შესამე პირის ნიშნად ა და ო ნამყო სრულის ფორმათა წარმოების თავისებურებაა (გვ. 187). თუმცა შეცდომა იჩენს თავს მრავლობითის ფორმებზე მსჯელობისას: ჰწერეს, ჰკუჭთეს, ფორმებში მრავლობითის ნიშნად ს არის მიჩნეული; შეცდომა I-II პირთან III პირის ფორმის შეპირისპირებამ დააშვებინა: ვჰსწერეთ, ჰსწერეთ, ჰსწერეს...

ყურადღებას მივაქცევთ იმასაც, რომ III პირის მრავლობითი რიცხვის შესახებ მსჯელობისას ავტორი განასხვავებს ვითარებას მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნებში. განმარტავს, რომ „მესამისა მიმართ პირისა, ზმნათა ამათ ვნებითთა ნამყოდ სრულ დროებითთა მამრავლედ აქუსყე: 1. ენ, 2. ნენ ანუ ნეს. ნიშნათა ამათ ყოველთა მიიღებენ ყოვლისა უღვლილებისა ქუჭშენი ზმნანი ყოვლისა მაგალითისა მებრნი“ (გვ. 190). საინტერესოა ის, რომ ნენ და ნეს ერთიმეორის ვარიანტებადაა ჩათვლილი. მიუხედავად იმისა, რომ ანტონისთვის საანალიზო მასალა ძველი ქართულისაა, ავტორი მაინც ვერ გაექცა ახალი ქართულის ფაქტებს. თუმცა პარადიგმებში (I ნაწილში) ჭარბობს ნეს (ანდა ეს) ტიპის დაბოლოება. ვფიქრობ, ეს ანტონის ენობრივი პოზიციით უნდა აიხსნეს.

მეორე კავშირებითი (საზღვრებითისა სქესისა მყობადი). ეს საუღლებელი ერთეული სწორადაა გამოყოფილი და ანალიზიც მართებულია. სამ მაწარმოებელს გამოყოფს: ა, ე, ო. „არიან ნიშანნი მყობადსა შინა მოხრილთა ზმნათანი: 1. ა, მაგალითებრ: შევჰკრა, განვჰხსნა, ვჰქმნა, და სხუანი, 2. ო, მაგალითებრ: აღვლესო, ვჰკუჭთო, ვჰსწერო, და სხუანი. 3. ე, მაგალითებრ: ვჰსდგე, განვარდე, განვჰსძლიერდე, ვესვიდე, და სხუანი“ (გვ. 195).

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ I ნაწილში უღვლილების სახეობებზე მსჯელობისას, ერთ-ერთი არსებითი ნიშანი ზმნათა დახასიათებისა ნამყო სრულისა და მყობადის ფორმათა ურთიერთმიმართების საკითხია: „ესე სრულსა დროსა შინა საშუალ შემოიყვანს ა.

მაგალითებრ: შევკარ და მყობადსა შინა განიკიდურებს ა. მაგალითებრ: შევკარა... სრულსა დროსა შინა განიკიდურებს ე. მაგალითებრ: ვიესვე... და მყობადსა შინა ო. მაგალითებრ ვიესვი“ (გვ. 23) და მისთ.

შენიშვნა: ერთადერთ შემთხვევაში – ციქუა – აღრეულია პირველი და მეორე კავშირებითის ფორმები; II კავშირებითად არის გაგებული ფორმები ჰსციქვდეს, ჰსციქვდენ (გვ. 73). შდრ.: იმავე ზმნის ნამყო სრული.

საინტერესოა პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნათა II კავშირებითის მრავლობითის ფორმები. I-II პირი ახალი ქართულია: შევიკრათ, შეიკრათ (გვ. 26), განვიბანოთ, განიბანოთ (გვ. 29); მესამე პირის ფორმებში გვაქვს, ერთი მხრივ, ახალი ქართულის ვითარება – განიბანონ; მეორე მხრივ, ძველი ქართულისა – შეიკრნენ. ერთადერთი შემთხვევაა, როცა ძველი ქართულის ვითარებაა სამსავე პირში: ვიყუშნით, იყუშნით, იყუნენ (გვ. 21) (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ანტონის ორთოგრაფიის თავისებურებას); თუმცა შემდგომ ვიყოფით ზმნის პარადიგმაში, სადაც II და III სერიის ფორმები ემთხვევა ვარ ზმნის პარადიგმებს, მყობადი ასეა წარმოდგენილი: ვიყოთ, იყოთ, იყუნენ (გვ. 71).

ამგვარად, II კავშირებითის პარადიგმები ანტონთან ძირითადად ახალი ქართულის ვითარებას ასახავს.

მეორე ხოლმეობითის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი ნამყო უსრულის საკითხის განხილვისას. აღვნიშნავთ ისევ, რომ ანტონი ამ ფორმებს ამჩნევს, გამოყოფს მაწარმოებლად ი ელემენტს, ოღონდ არ მიიჩნევს მას დამოუკიდებელ საუღლებელ ერთეულად. ავტორისთვის მეორე ხოლმეობითი იგივე ნამყო უსრულია, მისი ფორმობრივი ვარიანტი.

მეორე ბრძანებითი (ბრძანებითისა სქესისა აწმყოფ). წართქმით ბრძანებითში ნამყო სრულის ფორმებია მოხმობილი II პირისთვის, II კავშირებითისა – III პირისთვის, ხოლო უკუთქმითი

ბრძანებითისათვის – აწმყოს ფორმები ნუ ნაწილაკითურთ. პარადიგმა ასეთ სახეს იღებს:

მხოლოდითად შეჰკარ, ნუ შეჰკარავ, შეჰკარას, ნუ შეჰკარავს.

მრავლობითად შეჰკართ, ნუ შეჰკარავთ. შეჰკარან, ნუ შეჰკარავენ (გვ. 25).

„ბრძანებითისა სქესისა აწმყოდ“ სისტემებრ ამ სახითაა წარმოდგენილი ანტონის პარადიგმებში. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ესაა ერთადერთი შემთხვევა უღვლილების პარადიგმაში, როცა ფორმობრივად სხვადასხვა მონაცემები სისტემებრ ერთ საუღლებელ ერთეულშია მოქცეული. ავტორისთვის ამ შემთხვევაში მხოლოდ ფუნქციაა ამოსავალი. სხვა შემთხვევაში, როგორც ვნახეთ, ფორმობრივ-ფუნქციური მონაცემებია გათვალისწინებული და ისეა გამოყოფილი საუღლებელი ერთეული. როგორც ჩანს, ვერ ახერხებს ავტორი იმას, რომ გვერდი აუაროს ბრძანებითის ფუნქციის მქონე ფორმებს და შესაბამის საუღლებელ ერთეულსაც გამოყოფს, თუმცა გრძნობს, რომ ეს ფორმობრივი პრინციპის დარღვევაა და მიუთითებს კიდევ, რომ: „შესახედავი და ნაკუჭთი ბრძანებითისა სქესისა აწმყოდ საზღურებითისა იგივე არს, რადცა არს ნამყოისა სრულისა, დროებითისა პირისა და ესე დამტკიცებითად იქმნების, მაგალითებრ: ჰქმენ. ხოლო პირისა მიმართ მესამისა, მყოობადისა დროებითისა ზმნისა, მესამისა მსგავსი არს და იგივე ყოვლითურთ, მაგალითებრ: ჰქმნას. ხოლო ნაბრძანნი უკუთქმითრე, ანუ ნავედრნი პირისა მიმართ მეორისა, მსგავსი არს ყოვლითურთ აწმყოდ დროებითისა, მეორისა და მესამისა პირისა, მაგალითებრ: ნუ იქმ, ნუ იქმს. ხოლო მრავლობითად წარმოდგომაჲ დამტკიცებითთა და უკუთქმითთა ბრძანებითთა, იგივე არს, ვითარ იგი მხოლოდითთა“ (გვ. 166-167). და რომ ბრძანებითი პირნაკლია, აკლია I პირის ფორმა (მხოლოდითიც და მრავლობითიც), ამაზეცაა მსჯელობა და მიზეზსაც იძიებს („მით რომელ არავინ არს თუსადმი თუსისა მბრძანებელ და მეედრებელ“ – გვ. 163). როგორც ვხედავთ, ბრძანებითი ანტონისთვის მხოლოდ ფუნქციური ერთეულია; ფორმობრივად სხვა საუღლებელი ერთეულებია გამოყენებული. დაკვირვება ფასეულია. ასევე, ფასე-

ულად მიგვაჩნია თხოვნით-ბრძანებითის ფუნქციის დაღანდვაც („ნა-ბრძანნი ანუ ნავედრნი“).

ისიც უნდა აღინიშნოს ალბათ, რომ ბრძანებითის ცალკე სა-ულლებელ ერთეულად გამოყოფა სხვა ენათა გრამატიკების გავლენის გარკვეული შედეგი უნდა იყოს.

III სერიის ფორმები. მესამე სერიის ფორმათაგან ანტონის პარადიგმებში მხოლოდ I და II თურმეობითის ფორმებია წარმოდგენილი. III კავშირებითი, როგორც ითქვა, ანტონს შეუმჩნეველი დარჩა.

I თურმეობითი (ნამყო უსრულესი). ამ საულლებელი ერთეულის ფორმათა ანალიზი კიდევ ერთხელ დაგვარწმუნებს ანტონის ღრმა მეცნიერული დაკვირვებისა და მსჯელობის უნარში. ნამყო უსრულესის (ე. ი. I თურმეობითის) წარმოებისას ანტონი განარჩევს მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნებს (ვნებითათაგან მხოლოდ ერთპირიანებს განიხილავს, ორპირიანებზე მსჯელობა არა აქვს).

მოქმედებითი გვარის ზმნებში სამგვარ წარმოებას გამოყოფს:

1. მითქუამს, შემიკრავს ტიპისა (თუმცა ნიშნად -ს-ს გამოყოფს),
2. მიწერიეს ტიპისა (მაწარმოებელი იეს)
3. წარმიყვანია, წარმიღია ტიპისა (მაწარმოებელი -ია)

აქვე ავტორი შენიშნავს, რომ „განაღა, რომელნიცა ზმნანი, მეორესა ნიშანსა მიიღებენ – მესამესაცა და რომელნიცა მესამესა – მეორესაცა“ (გვ. 192). ამგვარად, იეს და ია ტიპის დაბოლოებებს პარალელურ ვარიანტებად მიიჩნევს, რომლებიც ყველა შემთხვევაში შეიძლება შეენაცვლოს ერთმანეთს. მაგრამ ყურადღებას მივაქცევთ იმ ფაქტს, რომ I ნაწილში, უღვლილების პარადიგმებში, მხოლოდ იეს დაბოლოებას წარმოადგენს. ფაქტია, ანტონი გრძნობს, რომ ამგვარი დაბოლოება უფრო არქაულია და სხვაგვარად არც იყო მოსალოდნელი, ავტორის ენობრივ პოზიციას თუ გავითვალისწინებთ. ეს ტენდენცია (იეს დაბოლოების ძირითადად მიჩნევა) იმდენ-

ნად ძლიერია ანტონთან, რომ ერთგან ავ თემისნიშნიან ზმნასაც იეს დაბოლოებით წარმოგვიდგენს: შემიკრკეს, შეგიკრკეს, შეუკრკეს (გვ. 25). ეს ფორმები „საწადისისა სქესისა ნამყოფ სრულისა და უსრულესის“ პარადიგმაშია წარმოდგენილი. ეს დრო ჩვეულებრივ საზღვრებითი სქესის ნამყოფ უსრულესისგან მხოლოდ „ვაშათუ“ შორისდებულთ განსხვავდება: მიგუშმიეს და ვაშათუ მიგუშმიეს, მისმევიეს და ვაშათუ მისმევიეს და მისთ. შეკრავს ზმნის შემთხვევაში თხრობით კილოში სწორი ფორმებია წარმოდგენილი (შემიკრკავს, შეგიკრკავს, შეუკრკავს...), კავშირებითში იეს დაბოლოებიანი. II ნაწილში აღმიხუამს ზმნის სქემაში პარალელურად ორივე, იეს და ია, დაბოლოებაა წარმოდგენილი: აღ-მი-გი-უშ-ხუმიეს, ია, ია, ია, იათ, იათ (გვ. 133).

ამრიგად, როგორც ე. ბაბუნაშვილი შენიშნავს „ერთი და იმავე უღვლილების ზმნას ზოგჯერ შეიძლება სამი მაწარმოებელი დაერთოს“ (ბაბუნაშვილი, 1970, 168). ამათგან იეს დაბოლოებიანი ფორმები არაბუნებრივია. შეცდომის წყარო, როგორც ჩანს, სასაუბრო ენაში გავრცელებული ია დაბოლოებიანი ფორმებია. იმ წესის საყოველთაოდ გატარებამ („რომელნიცა ზმნანი, მეორესა ნიშანსა მიიღებენ – მესამესაცა და რომელნიცა მესამესა – მეორესაცა“) უკარნახა ანტონს შეუკრვია, აღუხუშია ფორმათა საფუძველზე შეუკრკეს, აღუხუშიეს ფორმების გაკეთება.

ძალიან საინტერესოა ერთპირიანი ვნებითი გვარის ზმნათა I თურმეობითის ანალიზი. მოვიყვანთ ციტატას: „ვნებითთა ზმნათა ნიშანნი უსრულესსა ნამყოსა დროსა შინა არის ზმნად არსებითი, აწმყოსა დროსა შინად, სამთავე მიმართ პირთა, ვითარმედ პირველად ზმნად იცვლების მიმღობად, ნამყოფ ვნებითად, და მერმელა დაედების თუთეულისა პირისა მიმართნი ზმნანი არსებითანი, აწმყოსა დროსა შინანი, მაგალითებრ: შეკრულ-ვარ, შეყუარებულ-ხარ, მოწყლულ-არს ანუ შეკრულ-არიან და სხუანი“ (გვ. 192), როგორც ვხედავთ, I თურმეობითის ფორმათა ანალიზი ერთპირიანი ვნებითი გვარის ზმნათათვის სწორია: წარსული დროის ვნებითი გვარის მიმღობა + მეშველი ზმნა აწმყოს ფორმით.

სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნულია ისიც, რომ ანტონი მოქმედებითი გვარის ზმნათა ინვერსიულობაზეც მიანიშნებს, გახაზავს იმ ფაქტს, რომ ობიექტური პირის ნიშნები იჩენს თავს: „მაჰროვნენი ნამყოსა უსრულსა ღროსა შინა არიან, პირველისა პირისა მიმართ – მ, მეორისა მიმართ – გ და მესამისა მიმართ – უ, ნადაგ და მარადის“ (გვ. 192).

II თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი (საზღვრებისა სქესისა ნამყოფ უსრულესი). ამ საუღლებელი ერთეულის შემთხვევაში რაიმე არსებითი ხასიათის თავისებურება არ გვხვდება. ფორმაწარმოების თვალსაზრისით პარადიგმა სწორადაა აგებული; მაგალითისათვის:

შემეკრა, შეგეკრა, შეეკრა

შეგუეკრა, შეგეკრათ, შეეკრათ (გვ. 25).

თუმცა როცა იმავე ზმნის ობიექტური წყობის პარადიგმას (პირნაკლ პარადიგმას – ავტორის აზრით) წარმოგვიდგენს, მესამე პირის მრავლობითობას თ სუფიქსის ნაცვლად -ყე ნაწილაკით აღნიშნავს: შეკარ-ყე (გვ. 35). ამგვარივე ფორმას იმეორებს საწადლის სქესის ნამყო უუსრულესში: ვაშათუ შემეკარ-ყე. საერთოდ, ანტონი აწმყოში მესამე პირის მრავლობითობის გამოხატვაზე როცა მსჯელობს, ყე ნაწილაკს მორფოლოგიურად -ან და -ენ სუფიქსთა ტოლფასად მიიჩნევს, მაგ: ჰსწერენ, განჰყიდიან და უყვარს-ყე (გვ. 171). როგორც ვხედავთ, აწმყოში ყე მხოლოდ ობიექტური წყობის ზმნასთანაა დამოწმებული. პარადიგმებში მხოლოდ ზემოაღნიშნულ შემთხვევაში იჩინა თავი (შეკრას-ყე). ფაქტი ერთია, ავტორი აშკარად გრძნობს, რომ ყე-ს ფუნქცია მიცემითში დასმული სუბიექტის (ან, რეალური სუბიექტის) მრავლობითობის გამოხატვაა. ერთიკაა, ყე ნაწილაკი პარადიგმებში დეფისითაა გამოყოფილი, მსგავსად მეშველი ზმნისა. პირის ნიშნებს ჩვეულებრივ არ გამოყოფს ანტონი ფორმაში. ეს ალბათ იმაზე მიგვანიშნებს, რომ ავტორი გრძნობს ყე-ს ნაწილაკურ წარმომავლობას. ისიცაა ღირსსაცნობი, რომ ამ შემთხვევაშიც სასაუბრო ენის გავლენა აშკარაა გრამატიკული ანალიზისას.

როგორც დავინახეთ, ანტონი ძირითადად ძველი ქართულის მასალის ანალიზს ახდენს და ფორმობრივი თვალსაზრისით ძველი ქართულის თითქმის ყველა საუღლებელი ერთეულია გამოყოფილი; მაგრამ აშკარაა ახალი ქართულის ენობრივი სინამდვილის გავლენა ავტორზე. ეს, უპირველეს ყოვლისა, ფორმათა ფუნქციურ-სემანტიკურ ანალიზში იგრძნობა.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს მსჯელობაში (როგორც დასაწყისში ვთქვით) ტერმინები „ძველი ქართული“ და „ახალი ქართული“, ასე ვთქვათ, პირობითი, სამუშაო ტერმინებია. ჩვენ ამ შემთხვევაში მივანიშნებთ, ერთი მხრივ, ძველი ქართულის პერიოდისათვის და, მეორე მხრივ – ახალი ქართულის პერიოდისათვის დამახასიათებელ ფორმებს. ანტონისათვის კი არ არსებობს ცნება ძველი და ახალი ქართულისა. მისთვის ქართული ერთია, ერთიანი ენაა, რომელშიც ზოგ შემთხვევაში ხდება ამა თუ იმ გრამატიკული კატეგორიის ნაირგვარი გამოხატვა, გვაქვს პარალელიზმი წარმოებაში (ჩვენი თვალსაზრისით ძველი და ახალი ფაქტების დაპირისპირება). ძველი ფაქტები მისთვის უფრო წიგნურია, ლიტერატურული და ამიტომაც ეძლევა ხშირ შემთხვევაში უპირატესობა.

3. ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბება და დამკვიდრება

XIX საუკუნის 60-იან წლებამდე, მართალია, დღია ანტონის გავლენა, მაგრამ გაჭირდება საუბარი ამ პერიოდის ქართულის ერთიან ენობრივ ნორმებზე. სალიტერატურო ენისადმი მიდგომა უფრო მეტად ინდივიდუალურია ამ თვალსაზრისით. ვისაც თუნდაც რომანტიკოსთა ენისათვის გადაუხედავს, დამეთანხმება.

მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის ლიტერატურული მასალის მიხედვით ამგვარი კვლევა არ ჩატარებულა. ვგულისხმობთ: რა არის საერთო ენობრივი თვალსაზრისით და რა – განსხვავებული. რას მიიჩნევს ესა თუ ის ავტორი ნორმად, რას აძლევს უპირა-

ტესობას მოსალოდნელ პარალელურ ფორმათაგან. არადა, ამის შესაძლებლობას იმ პერიოდის მწერლობა იძლევა.

ერთიანი ნორმის არარსებობა მწერალს გარკვეულ თავისუფლებას ანიჭებს, თუმცა შინაგანი მოთხოვნილება – განასხვავოს წიგნური მეტყველება არაწიგნურისაგან (ე. ი. იმ გაგებით – ლიტერატურული ენა არალიტერატურულისაგან) – ყველა მწერალს აქვს.

არ არის იოლი ამჟამად იმაზე საუბარი, თუ რას მიიჩნევდა ესა თუ ის მწერალი „ნორმად“ და რატომ. თუმცა არის შესაძლებელი, ცალკეულ შემთხვევებში ამ საკითხებზე მსჯელობისა.

მაგალითისთვის ნიკოლოზ ბარათიშვილი შემთხვევას მოვიყვანთ.

შემორჩენილია ნ. ბარათაშვილის რამდენიმე პირადი წერილი. ცხადია, ეს წერილები გამოსაქვეყნებლად არ იწერებოდა, ამიტომაც მეტ ენობრივ თავისუფლებას გრძნობს პოეტი ამგვარ წერილებში. თუმცა ისიცაა გასათვალისწინებელი, ვინაა ადრესატი, როგორია მწერლის პირადი დამოკიდებულება მისადმი, რა შინაარსისაა (რა მიზნით იწერება) წერილი და სხვა. ვიმეორებთ: ზოგადად ეს თემა არაა რიგიანად დამუშავებული.

ნ. ბარათაშვილის შემთხვევაში აშკარად ჩანს, რომ პოეტიისთვის არსებობს ის ენობრივი ვარიანტები, რომლებიც მართებულია და ამიტომაც ჩვეულებრივ ასეთი ფორმები გამოიყენება პოეზიაში და არსებობს ისეთი ვარიანტები, რომელთა გამოყენება არ შეიძლება პოეზიაში, თუმცა პირად წერილებში არაიშვიათია მათი გამოყენება.

ნ. ბარათაშვილის პირადი წერილების ადრესატები ჩვეულებრივ შინაური (სახლობლო) წრეა: გრიგოლ და ზაქარია ორბელიანები, მიხეილ თუმანიშვილი თუ ალექსანდრე საგინაშვილი, მაიკო ორბელიანი თუ ბაბაღე საგინაშვილი. განსაკუთრებით ენობრივ თავისუფლებას გრძნობს პოეტი ამ უკანასკნელებთან საუბრისას...

რამდენიმე კონკრეტული მაგალითი, რა პარალელიზმთან გვაქვს საქმე, ანუ რა არის ნორმა პოეტიისათვის და რა – არა:

პოეტის ნორმა

აქამდე, აქამდენ

სასაუბრო ვარიანტი

აქამდისინ

თვარემ	თორემ
მანდ, მანდეთ	მაანთ
მომაგონდა, მოაგონდა	მააგონდა, მამაგონდა
მომივიდა	მამივიდა
წარვედ, წარვიდენ	წავედით, წავიდენენ
მომიკითხეთ	მამიკითხე
მომსვლია,	მამსვლია
შემასწრა	შემასწრო
და სხვა...	

მო ზმნისწინის ა ხმოვნის ვარიანტი რომ სასაუბრო მეტყველების ფაქტია, ეს არაა დიდი მიგნება, მაგრამ ამ და სხვა ფორმათა დადასტურება პირად წერილებში საინტერესოა... ნ. ბარათაშვილს აქვს თავისი სალიტერატურო ენა. ასეა, როგორც ჩანს, სხვებიც. ვთქვით ზემოთ, რა არის საერთო და რა — განსხვავებული, ამას საგანგებო კვლევა გაარჩევს. ამ თვალსაზრისით 60-იანი წლების კლასიკოსთა შემოქმედების შესწავლაც არ იქნება უმნიშვნელო. მართალია, 60-იან წლების რეფორმაზე ბევრი თქმულა, მაგრამ ამ კუთხით არ შესწავლილა ეს საქმე.

ილიას თავისი ნორმები აქვს (თუნდაც ზმნის პირის ნიშანთა სისტემა გავიხსენოთ), აკაკის — სხვა. არადა, ორივე საფუძვლის ჩამყრელია ახალი ქართული სალიტერატურო ენისა, სხვას რომ ყოველივეს თავი დავანებოთ. ილია ჭავჭავაძის უდიდესი დამსახურება ისიცაა, რომ მან „ქართული ენა გამოაცხადა ქართველთა უპირველეს საუნჯედ („ღვთაებრივ საუნჯედ“). ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღორძინებას 60-იან წლებში ილიამ ქართული ენის დროშა წაუმძღვარა. არაა ეს მაღალფარდოვანი გამონათქვამი. იმ პირველ წერილში, „მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლის დასაწყისად რომ იქცა, უმთავრესი სწორედ ქართული ენის პრობლემა იყო. ენის გადარჩენა, ქვეყნის გადარჩენააო. ენისათვის ბრძოლა — ქვეყნისთვის ბრძოლააო. ენისათვის თავგამოდება, შეფასებები ამ პირველი წერილიდან:

„თარგმანი ხომ არ ვარგა, ენა უფრო უარგისი აქვს თავად ერისთავს“.

„უენო ენად ვნახეთ ჩვენი საყვარელი ენა“.

„როგორ უნდა გამოიმეტოს თავის დედ-მამის ენა ისე, როგორც თავად ერისთავს გამოუმეტნია“.

„არამც თუ იყოს ერის სიყვარული, არამედ ენის სრული უპატიობა და სიძულვილი“

„რატომ არა ვსწავლობთ იმათ მშვენიერს ლექსებში მშვენიერ ენას?“

მსგავსი რეპლიკები საძებარი არ არის. ენისადმი პატივისცემის დანერგვას ამგვარი გამოთქმითაც ცდილობს: „ქართული ენა ბრძანებს“.

და ყველასათვის ცნობილი დასკვნითი ნაწილი წერილისა, მრავალმხრივ საყურადღებო. რამდენიმე მონაკვეთი მცირე კომენტარებით. ქართული ენის მოვლა, პატრონობა, პატივისცემა ყველა ჩვენგანის ვალია. შეცდომის მხილებაა საჭირო, ესაა ერთადერთი გზა ენის განწმენდისა, ერთიანი სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებისა: „ჩვენ ყველანი ქართული ენის ხმარებაში ცოდვილნი ვართ და ჩვეულება ურთიერთის ცოდვების ჩვენებისა არ იქნება მომატებული. მაშ, როგორ უნდა გავსწორდეთ, თუ ჩვენი სიმრუდე არ გვეცოდინება?“

სწორი ქართულით წერა ენის პატრონობაა, ენის გადარჩენაა. ენა მამულისა და სარწმუნოების ტოლფასი ფენომენია: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას?“

მკაცრია ილია იმათ მიმართ, ვისაც შეუძლია უპასუხისმგებლოდ მოეპყროს ქართულ ენას. ესაა ალბათ მითითება იმაზე, რომ სალიტერატურო ენის ნორმებს დაცვა სჭირდება; ენის ნორმათა დარღვევა მკაცრად უნდა შეფასდეს: „სხვისა არა ვიცით და ჩვენ-კი მშობელ მამასაც არ დაუთმობთ ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას. ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კა-

ცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“. ეს არის ის პრინციპული დამოკიდებულება, რომელიც შემდგომ საფუძველად დაედო ერთიანი სალიტერატურო ენის დაფუძნებას.

სწორედ ის ფაქტი, რომ შემდგომ იტყვის ილია, „მტერობა ენის არს მტრობა ქვეყნის“, ისევ მოწოდებაა ერთიანი სალიტერატურო ქართული ენის ჩამოყალიბებისა და დაცვისა. ცხადია, ილია აქ მარტო არ არის (თუნდაც ეს აზრი გამოხმაურებაა გ. ორბელიანის ცნობილ შეგონებაზე: „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“).

შეიძლება ილიას ძალისხმევას ის შედეგი არ მოჰყოლოდა, რომ არა შემართება თაობისა. ამის შესახებ ბევრი თქმულა, მე აქ ერთ ფაქტზე მინდა გავამახვილო ყურადღება. როგორც აღვნიშნეთ, ილიასათვის ენა სამთაგან (მამული, ენა, სარწმუნოება) ერთ-ერთი უმთავრესი ფენომენია („ღვთაებრივი საუნჯე“).

ასეთივე მნიშვნელობას ანიჭებს ენას აკაკიც: „ჩვენ ჩვენი წინაპრების ანდერძის გამტეხი არა ვართ... გეწამს მათი ანდერძი და ღღესაც მოველით იმას, რასაც ისინი თხოულობენ: ენას, რჯულს და ეროვნული საქმის მოწყობას“ და იაკობიც: „საფუძველს ნაციონალურის ძალისას შეადგენს ტერიტორია, მიწა-წყალი, მამული, სამშობლო...“

მეორე ბურჯი ერის აღორძინებისათვის გახლავთ სამშობლო ენა.

მესამე ბურჯი ერის წარმატებისა გახლავთ სკოლა, მეოთხე ბურჯი ერის წარმატებისა არის ეკლესია.“

კლასიკოსთა მიერ ენის როლის ამგვარი წარმოჩენა ფაქტობრივ მოწოდებაა ქართული ენის სიწმინდის დაცვისა, ქართული ენის უფლებების აღდგენისა; ქართული სალიტერატურო ენის წინააღმდეგ მიმართული ყოველივე ქმედების აღკვეთისაკენ. ესაა ფაქტობრივ საფუძველი ერთიანი სალიტერატურო ქართული ენის დამკვიდრებისა.

ილიას შეგონება „ხალხია ენის კანონის დამდები და არა ანბანთთეორეტიკა“ არის მოწოდება იმისა, რომ ქართული სალიტერატურო ენის საფუძველი უნდა იყოს საერთო სახალხო ენა.

ხედებოდნენ ახალი თაობის მიზანს, ამიტომაც დაუპირისპირდნენ ასე მკვეთრად მათს ენობრივ პოზიციას. ერთი საგულისხმო ფაქტი – 1860 წელს აკაკი წერეთელი „ცისკარში“ აქვეყნებს ლექსს „საიდუმლო ბარათი“. ანჩისხატის დეკანოზს – ეფრემს – მიუწერია: „გილოცავ მეშირობას და თანვე გთხოვთ, მამა-შვილობას, ამისთანა ლექსებს მდაბიო ენით ნუ წერ... ვაი თუ მაგ შენ ენას მიეჩვიონ და გადაიგდონ გულიდან ძველი დარბაისლური ქართულიო“. ამ მოგონებას აკაკი ასე დაასრულებს: „და მეც გადავწყვიტე, რომ თავი დაეუდვა მწერლობას, მაგრამ სახალხო ენით და არა დარბაისლურად ვწერო“.

ეს აზრი აკაკი წერეთელისა 1860 წელს გამოქვეყნებული ლექსის გამო გამოითქვა. ე. ი. ამ წლით თარიღდება აკაკის გადაწყვეტილება, „სახალხო ენით“ ემსახუროს მწერლობას. 1860 წელს დაიწერა, „ხალხია ენის კანონის დამდებო“.

ფაქტობრივ, ეს არის დასაწყისი მეორე დიდი რეფორმისა ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში. მთავარი დევიზი: სალიტერატურო ენა უნდა იყოს ერთი და იგი უნდა ეფუძნებოდეს საერთო სახალხო ენას.

ბევრი თქმულა და დაწერილა ილიას და აკაკის როლზე ახალი სალიტერატურო ქართული ენის დამკვიდრებაში.

არნ. ჩიქობავა წერს: „ილიას მხატვრულ სიტყვას ავტორის შემოქმედებითი ინდივიდუალურობის ბეჭედი აზის. იგივე ითქმის აკაკისა და ვაჟას შესახებაც. და მაინც, სამივე ერთი ენით (ახალი სალიტერატურო ქართულით) მეტყველებს. ეს მეტყველება ორგანული განვითარებაა იმ მდიდარი ტრადიციისა, რასაც ქართული სალიტერატურო ენის მრავალსაუკუნოვანი ისტორია ქმნის... ილიას, აკაკის, ვაჟას მხატვრულ სიტყვას ასაზრდოებს ქართული ხალხური ენათშემოქმედების უმრეტი წყარო...“

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა შემდგომი განვითარებაა ილიას, აკაკის და ვაჟას ენისა“ (ჩიქობავა, 1950, 026).

ცხადია, განუზომელია ილიას და აკაკის როლი ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებაში, მაგრამ, ვფიქრობთ, ვაჟას როლი განსხვავებულია; უფრო სწორად, ვაჟას როლიც განუზომელია ახალი ქართული სალიტერატურო ენის დახვეწასა და დამკვიდრებაში.

ამ ვითარებაში უსამართლოდ არის შეუფასებელი იაკობ გოგებაშვილის როლი. მართალია, ამ თემაზე საუბრისას არ ივიწყებენ მას, მაგრამ შეფასებაში მთლიანად შეიძლება არ დავეთანხმოთ: „იაკობ გოგებაშვილის შესანიშნავი სასწავლო წიგნები „დედა-ენა“ და „ბუნების-კარი“, რომლებზედაც არა ერთმა თაობამ გაიკვთა წერა-კითხვა, კვლავ ამ ახალი სალიტერატურო ქართულის განმტკიცებას უწყობს ხელს“ (არნ. ჩიქობავა). სხვა შეფასებანი: „ახალი სალიტერატურო ქართულის წარმატება ორგანულადაა დაკავშირებული ილიასა და აკაკის სახელებთან. ეს ორი უდიდესი პიროვნება თავიანთი მოღვაწეობითა და მრწამსით თავდადებით იღვწოდა და უძღვებოდა ბრძოლას ქართული ენის ღირსების დასაცავად, უფლებების აღსადგენად, ამის დასახვეწად“ (ლეჟავა, 2004, 88). იგივე ავტორი ასე აფასებს იაკობის ღვაწლს ამ საქმეში: „XIX ს-ის ჟურნალ-გაზეთებში ქართული ენის შესახებ ბევრ წერილს აქვეყნებდა დიდი ქართველი პედაგოგი ი. გოგებაშვილი. ამ წერილების უმეტესი ნაწილი დედაენის სწავლებას ეხებოდა, ბევრიც – სადავო კერძო საკითხებს (აღვიარებ / ვაღიარებ, სწორი / სწორე, კარგათ / კარგად...), ამასთანავე, ზოგადთეორიული ხასიათის ბევრ საინტერესო მოსაზრებასაც შეიცავს ეს მასალა“ (ლეჟავა, 2004, 38).

ვფიქრობთ, ი. გოგებაშვილის მნიშვნელობა არაა სრულყოფილად შეფასებული.

XIX საუკუნის 60-ინი წლებიდან მოყოლებული ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბება-დამკვიდრებაში იაკობ გოგებაშვილს სხვაზე მეტი თუ არა, ნაკლები დამსახურება არ მიუძღვის. არ იყო შემთხვევითი აკაკი წერეთლის ნათქვამი: „მთელ საქართველოში იაკობ გოგებაშვილი ერთ-ერთი ქართველი მოღვაწეა, რომელიც თავის შრომით და ენერგიით, თავის მძლავრი კალმით

უდიდეს სამსახურს უწევს მთელ ქართველობას. იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილი ქართული სახელმძღვანელოებით მოფენილია მთელი სააქართველო. ვინაა ისეთი ქართველი, რომ იაკობ გოგებაშვილის „დედაენაზე“ არ აეხილოს თვალები. ჩემი და ილიას ღვაწლი რა მოსატანია იმ დიდ ღვაწლთან, რომელიც იაკობ გოგებაშვილს მიუძღვის ქართველი ერის წინაშე: ქართველი მწერლობის ნაწერებს დღესდღეობით თუ გასავალი აქვს, იაკობ გოგებაშვილს უნდა ვუმაღლოდეთ. იაკობ გოგებაშვილმა ქართველ ხალხს ქართული ენა შეაყვარა. განა ეს პატარა საქმეა! იაკობ გოგებაშვილი ღირსია, რომ ქართველმა ხალხმა სიცოცხლეშივე ძეგლი დაუდგას. ეს ღირსეული მამულიშვილი შეუპოვარ დარაჯად უდგას ქართველ ერს და სიტყვით, საქმით, მწერლობის საშუალებით მედგრად იგერიებს ჩვენზედ მოსულ მტერს“. ეს არ არის ნათქვამი სიტყვისთვის. ვისაც თვალი მიუღვენება იაკობის დამოკიდებულებისათვის სალიტერატურო ენისადმი, იმ ენობრივი პრინციპებისათვის, რომელიც იაკობმა გაატარა თავის სახელმძღვანელოში, დამეთანხმება: იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოებში – „დედა-ენასა“ და „ბუნების კარში“ – იყო ფაქტობრივ XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ნორმირებული სახელმძღვანელოები; „ნორმათა კრებული“... იაკობი ნორმებს მიუსადაგებდა ილიასა და აკაკის ნაწერებსაც კი. სახელმძღვანელოში შესატან თითოეულ სადავო ფორმას, თითოეულ სიტყვას საფუძვლიანად განიხილავდა და მხოლოდ ამის შემდეგ შეჰქონდა სახელმძღვანელოში. ხოლო ამის შემდგომ მკაცრად მოითხოვდა ამ ფორმათა დაცვას.

ვიმეორებთ: XIX საუკუნის მეორე ნახევარში, როცა ფართოდ გაიშალა ბრძოლა ერთიანი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებისათვის, როცა არ არსებობდა ერთიანი ენობრივი ნორმები, უპირველესად ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოებმა იტვირთეს ეს მისია. „დედაენისა“ და „ბუნების კარის“ ქართული იყო ნორმა, ნიმუში სალიტერატურო ქართულისა... ამას გულისხმობდა ზაქარია ჭიჭინაძე, როცა წერდა: „გოგებაშვილმა თავის „დედაენაში“ აღადგინა დაცემული ენა ქართველთა... და ამ წიგნის მეოხებით მთელი ქართველობა, ყველა თემისა და ხეობის მონათესავენი ერთის ქართული ენით იწყებენ წერა-კითხვის სწავლებას და ლაპარაკს, ყველ-

გან ამ წიგნის მეოხებით ქართული ენა ეფინება“. იგივე აზრი მხატვრული ფორმით შალვა დადიანმა ასე გამოხატა: „დედაენა“ ამაფეთქებელი ნაღმოსანით მისრიალდა ჩვენს მიუვალ მთა-კლდეებში – თუშეთსა და სვანეთში; მიდიოდა ბარად, შეუყვებოდა აჭარას და მესხეთს და ყველგან სძრავდა ენას საქართველოდ. ყველგან აფეთქებდა გრძნობას ეროვნულსა“ .

რა იყო ნორმა იაკობ გოგებაშვილისათვის და რა – არა, რა პრინციპით არჩევდა პარალელურ ფორმათაგან უპირატესს, როგორ მოითხოვდა წიგნში გატარებული „ნორმების“ დაცვას?...

იაკობ გოგებაშვილის როლი ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებაში, დახვეწასა და დამკვიდრებაში საგანგებო კვლევას ითხოვს. ამ მხრივ ძალიან მდიდარ მასალას იძლევა იაკობის პოლემიკური წერილები (აკაკისთან, გ. წერეთელთან და სხვებთან); ასევე წერილები „დედაენის“ შესახებ.

საინტერესოა ისიც, თუ რა შეიცვალა ნორმატული თვალსაზრისით 1876 წლიდან 1912 წლამდე (33-ე გამოცემამდე) „დედა ენაში“.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას: „დედაენამ“ ერთიანი ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებასა და დამკვიდრებაში შეასრულა იგივე როლი, რაც ძველი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებასა და დამკვიდრებაში შეასრულა „სახარებაში“. ვიმეორებთ, ეს ეტაპი ქართული სალიტერატურო ენის განვითარებისა, ამ კუთხით დანახული, წარმოსაჩენია.

სხვა მხრივ ახალი სალიტერატურო ენის განვითარება 60-იანი წლებიდან მოყოლებული საკმაოდ კარგადაა შესწავლილი. უპირველესად ლ. ლეჟავას წიგნი (ლეჟავა, 2004) უნდა მოვიხსენიოთ... აქვე კარგადაა წარმოდგენილი „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის ისტორიის საკითხები (სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი კომისიები)“ (ლეჟავა, 2004).

რა ვითარებაა ამჟამად და რა პერსპექტივა აქვს ქართული სალიტერატურო ენის განვითარებას?

XX საუკუნის ბოლო ათწლეულში საგრძნობლად შესუსტდა ყურადღება ქართული სალიტერატურო ენის ნორმირების საკითხზე-

ბისადმი. მუშაობა შეწყვიტა ნორმათა დამდგენმა მუდმივმა სახელმწიფო კომისიამ (შეიქმნა 1935 წელს). 1995 წელს საქართველოს პრეზიდენტთან შეიქმნა ქართული ენის სახელმწიფო კომისია, რომელმაც იარსება 2004 წლამდე (თუმცა ნაყოფიერებითა და აქტიური საქმიანობით ეს კომისია არ გამოირჩეოდა. მხოლოდ ერთხელ იმსჯელა ნორმირების თაობაზე)...

პრობლემა უამრავია: მოჭარბებული პარალელური ფორმები, მომრავლებული (მომადლებული) უცხოური ტერმინოლოგია... საჭიროება გასული საუკუნის დასაწყისში მიღებული ნორმების გადასინჯვისა...

შექმნილ ვითარებაში არცთუ ოპტიმისტური პერსპექტივა ჩანს.

ლიტერატურა:

ანტონი, 1885 – ქართული ღრამმატიკა შედგენილი ანტონ I-ის მიერ, თბილისი, 1885

ბაბუნაშვილი, 1970 – ე. ბაბუნაშვილი, ანტონ პირველი და ქართული გრამმატიკის საკითხები, 1970

ილია, 1953 – ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. 3, 1953

ლეჟავა, 2004 – ლ. ლეჟავა, ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის ისტორია და პრინციპები, 2004

სარჯველაძე, 1984 – ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, 1984

უთურგაიძე, 1999 – თ. უთურგაიძე, ქართული ენის ისტორიის საკითხები, 1999

ფოცხიშვილი, 1979 – ა. ფოცხიშვილი, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიიდან, 1979

შანიძე, 1981 – ა. შანიძე, თხზულებანი, ტ. II, 1981

ჩიქობავა, 1938 – არნ. ჩიქობავა, დიალექტიზმების საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში“: ენიმკის მოამბე, ტ. 3, 1938

ჩიქობავა, 1950 – არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება: ქველ, ტ. I, 1950

იაკობ გოგებაშვილი და ქართული სალიტერატურო ენა

დედა ენა მთავარი ეროვნული ძალააო. ამბობს იაკობი და სწორედ ამ ძალას მომართავს იგი ერის სასიკეთოდ. დედაენაზე სწავლის აუცილებლობაც სწორედ ამისთვისაა საჭირო. ამიტომ იტყვის გულდაწყვეტილი: „ჩვენ გვერდით მცხოვრებმა სომხის ერმა, ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ, მოიპოვა სრული უფლება — ასწავლოს თავისი ღვიძლი ენა ყოველ დღეს და ყველა საგნები ამ ენაზე არამცთუ ერთკლასიან სკოლებში, არამედ ორს კლასშიაც მთელს რვა წლის განმავლობაში და ჩვენ კი ხელს ვუწყობთ თითქმის მოსპობას ქართულის ენისას და წიგნისას ერთკლასიანს სკოლაშიაც“ (იაკობი, IV. 345).

ეს კომენტარია „სახალხო გაზეთში“ (1910. № 78) დაბეჭდილ ვინმე ჭილაძის წერილზე; უფრო სწორად, იმ აზრზე, რომ ქართული ენა გამოუსადეგარი ენააო: „მშობლები ხშირად ამბობენ სკოლისადმი საყვედურსა, რომ იქ რუსულის ენის სწავლებას ნაკლები ყურადღება ექცევა, ვიდრე ქართულის ენისა, რომელიც გამოუსადეგარი არისო“. იაკობის აღშფოთებას განსაკუთრებით იწვევს ის, რომ „უჩინო ავტორი“ (იაკობის სიტყვებია) გურიის სახელით საუბრობს: „საქართველოს იმ კუთხეშიაც კი, რომელიც კულტურულათ, დაწინაურებულათ ითვლება, სხვა მხარეებთან შედარებით, გურიაში ხშირათ შეხვდებით ამის მაგალითსა: ქართული ენა და „დედა-ენის“ კითხვა მე კაი ხანია კარგათ ვიცი, მაგრამ ეს ჩემთვის გამოუსადეგარია, ბავშვებს სკოლაში იმიტომ ვაბარებ, რომ ორიოდე რუსული სიტყვა ისწავლოსო“.

ეს რომ „სიცრუეა და ცილისწამება“, ამის საინტერესო მაგალითები მოჰყავს იაკობს, მაგრამ არსებითი ისაა, რომ ამ სიცრუესა და ცილისწამებას დიდი ზიანის მოტანა შეუძლია ქვეყნისთვის,

ხალხისთვის: „ყველა ხალხს მშობლიური ენა მიაჩნიათ განათლები-
სა და განვითარების დედა-ბოძათ და მის ფართო დაყენებაზე სკო-
ლებში დაუცხრომლათ ზრუნავს“ (იაკობი, IV. 343); რომ ამგვარს
აზრს „შეუძლია დიდი ვნება მოუტანოს ჩვენს ბედკრულს ხალხსა“
(იაკობი, IV. 344).

ხალხი და ქვეყანა რა შუაშიაო, იაკობის მკითხველი არ
იტყვის, რადგან იცის, რომ, თუ უარს ვიტყვით ერთიანი ქართული
სალიტერატურო ენით სწავლებაზე, სწორედ ამით შევუწყობთ
ხელს „პროვინციალურს სეპარატიზმს“, რომელიც უფრო მანებე-
ლია, ვიდრე „ისტორიული პოლიტიკური სეპარატიზმი“ (იაკობი,
IV. 319).

* * *

XIX საუკუნეში არსებულმა მძიმე ენობრივმა თუ ეროვნულმა
პოლიტიკამ ერთიან სალიტერატურო ენას საფრთხე შეუქმნა. დაი-
წყო ინსპირირება მეგრულ და სვანურ ენებზე სკოლების გამართვის
აუცილებლობისა. აქ იაკობ გოგებაშვილი, როგორც ყოველთვის, თა-
ვის სიმაღლეზე აღმოჩნდა.

საჭირო გახდა გარკვევა-დასაბუთება იმისა, რა არის სალიტე-
რატურო ენა და რა – არასალიტერატურო. ეს საკითხი ქართვე-
ლოლოგიაში არასწორი ინტერპრეტაციის საგანიც გახდა; დღეს
ასეთი აზრის დამკვიდრებას ცდილობენ: იაკობისთვის მეგრული და
სვანური ისეთივე ენობრივი რეალობაა, როგორიც იმერული, კახური
თუ ხევსურული, ანუ: იაკობის აზრით, მეგრული და სვანური ქარ-
თული ენის ისეთივე დიალექტებია, როგორიც იმერული, კახური და
ა.შ. (გვანცელაძე 2006, ფუტკარაძე 2006). იაკობის ნააზრევის
ასეთი გააზრება, მარტივად რომ ვთქვათ, შეურაცხყოფაა ავტორისა:
იაკობი იმ დროისათვის ღრმად განსწავლული ლინგვისტია. ამი-
ტომაც თავის ნაწერებში არაერთგზის მსჯელობს იმის თაობაზე, რა
არის სალიტერატურო ენა, რა არის დიალექტი, რას წარმოადგენს
ენობრივი ერთეულები მეგრული და სვანური... ასევე, საინტერესოა,

რა ტერმინებს გამოიყენებს იაკობი და როგორია ამ ტერმინებით აღნიშნულ ცნებათა იაკობისეული გაგება.

იაკობს კარგად აქვს გაცნობიერებული არსებული ენობრივი რეალობა — მეგრული და სვანური მეტყველება განსხვავებულია ქართულისაგან; ზოგ შემთხვევაში სკოლებში ქართულის გასაგებად (განსამარტავად) მასწავლებლები ადგილობრივ მეტყველებას მიმართავენ: „ყველა სკოლებში სწავლება მოწყობილია დედა-ენაზე და ადგილობრივს კილოკავებს ხმარობენ ასახსნელად და განსამარტავად იმ საერთო სიტყვებისა, რომელნიც ადგილობრივ ბავშვებს კარგად არ ესმით“ (იაკობი, III. 321).

ერთ-ერთ წერილს იაკობი ასე იწყებს: „ცნობილია, რომ ყოველს ერს აქვს მთავარი ენა, რომელიც საერთო საუნჯეს შეადგენს ამ ერის ყველა ნაწილისათვის და იწოდება მისს დედა-ენად, და თემიური კილო-კავები (наречия), რომელნიც იხმარებიან ადგილობრივ“ (იაკობი, III. 320).

ქართველურ ენობრივ სივრცეში იაკობი სამი დონის ენობრივ ერთეულებს გამოყოფს:

ქართული სალიტერატურო ენა,
სვანური და მეგრული,
ქართული დიალექტები.

ამ პრობლემამ იაკობის მოღვაწეობაში მაშინ იჩინა თავი, როცა დაისვა სამეგრელოს სკოლებში მეგრულ ენაზე სწავლების საკითხი. მეგრელები და სვანები სხვა ხალხია, ქართველები — სხვაო. იაკობის წერილებში არის მტკიცება ამგვარი მსჯელობის უაზრობისა; იგი ცდილობს დაასაბუთოს, რომ ქართული არის სალიტერატურო ენა ყველა ტომის ქართველთათვის, მთავარი დედაენა, ძირითადი დედაენა.

ქართული სალიტერატურო ენის სინონიმად იაკობი რამდენიმე ტერმინს გამოიყენებს (ვუთითებთ მხოლოდ ხმარების თითო შემთხვევას):

ქართული სალიტერატურო ენა (იაკობი, III. 438),
ლიტერატურული დედა-ენა (იაკობი, III. 437)

ძირითადი ქართული ენა (იაკობი, III. 320),
 ძირითადი მშობლიური ენა (დედა-ენა) (იაკობი, III. 439)
 მთავარი ენა (იაკობი, III. 320),
 მთავარი დედა-ენა (იაკობი, III. 477),
 საერთო ენა (იაკობი, IV. 320),
 ზოგადი დედა-ენა (იაკობი, IV.109),
 ზოგად-ქართული კულტურული ენა (იაკობი, IV. 109),
 საღმრთო ენა (იაკობი, VI. 625)

(ტერმინს – სახელმწიფო ენა – იაკობი გამოიყენებს რუსული ენისათვის: „იგი ვერც სახელმწიფო ენის ცოდნას გაავრცელებს და დედა-ენაზედ წიგნის ცოდნასაც ააცდენს ბავშვებსა“ (იაკობი, III. 54).

მეგრულ-ჭანურისა და სვანურის აღსანიშნავად გამოიყენებს ტერმინებს:

ადგილობრივი კილო (იაკობი, III. 477),
 ადგილობრივი დიალექტი (იაკობი, III. 439),
 ადგილობრივი კილო-კავი (იაკობი, III. 321),
 მშობლიური კილო (იაკობი, III. 439),
 თემიური კილო-კავი (იაკობი, III. 320).
 პროვინციული კილო (იაკობი, III. 439),
 პროვინციალური კილო-კავი (იაკობი, III. 320).

კილო, კილო-კავი და დიალექტი ამ შემთხვევისათვის სინონიმებია. ქართული ენობრივი სივრცის დასახასიათებლად ამ ტერმინების სინონიმად ენის გამოყენებას პუბლიცისტურ წერილებში ერიდეზა (ამის თაობაზე ქვემოთაც ვისაუბრებთ). ქართული ენობრივი სიტუაციის უფრო ნათლად წარმოჩენისათვის მაგალითად მოიყვანს რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენობრივ სიტუაციას. ქართულისათვის ამ ტერმინების (კერძოდ თემიური კილო-კავის) განსამარტავად наречие-ს მოიშველიებს. იმავე რუსულ ტერმინს აზერბაიჯანულის შემთხვევაში თარგმნის როგორც ენა: *адернайджанское наречие* – ადერბეიჯანური ენა (იაკობი, III. 320). ადგილობრივი დიალექტი ენად იწოდება ამ შემთხვევაში: „კაკკასიის თათრებს

აქვთ მაგალითად რამდენიმე პროვინციალური ენა, ადგილობრივი კილო, რომელიც დიდად განირჩევა მათის დედაენისაგან, რომელსაცაჲ ჰქვიან ადერბეიჟანური ენა“ (იაკობი, III. 477).

იაკობი ადგილობრივ კილოკავს ენად მოიხსენიებს სომხურისა და რუსულის შემთხვევაშიც: „ასეთი წესია სომეხთა შორისაც. ამ ხალხსაც მთავარის სომხურის გარდა, აქვთ პროვინციალური ენებიც. მაგალითად, ზოკური, რომელნიც ისე განირჩევიან მათი დედაენისაგან, რომ ბევრგან ბავშვებს ძლიერ უჭირთ ამ უკანასკნელის გაგება“ (იაკობი, III. 321). „ასეთივე წესი არსებობს რუსეთის ხალხთა შორის“ (იაკობი, III. 477).

ფაქტია, კილო // კილო-კავი // დიალექტი „პროვინციალური ენა“, „ადგილობრივი ენა“. ეს, ცხადია, ამ ლოგიკიდანაც გამომდინარეობს: თუ არსებობს ძირითადი ენა, არსებობს არაძირითადი ენაც; თუ არსებობს მთავარი ენა, არსებობს არამთავარი ენაც.

ასე რომ, ერთ ენობრივ სივრცეში ენა შეიძლება იყოს:

მთავარი და არამთავარი,

ძირითადი და არაძირითადი,

ლიტერატურული და არალიტერატურული,

საყოველთაო და ადგილობრივი.

როგორც ვთქვით, ქართული ენობრივი სინამდვილისათვის ენას უწოდებს მხოლოდ: ლიტერატურულს, მთავარს, ძირითადს, საყოველთაოს, საერთოს, ზოგად-ქართულს, საღმრთოს...

რაც შეეხება ტერიტორიულ დიალექტებს (იმერული, გურული, კახური, ქართლური...), მათ იაკობი ამგვარი ტერმინებით არ განმარტავს, არ მოიხსენიებს ამგვარად; ჩვეულებრივ მიანიშნებს: ასე იტყვიან იმერეთში, ქართლში, კახეთში... თუ ფაქტი ან მოვლენა საერთოდასავლურია ან საერთოაღმოსავლური, წერს: „ბავშვები სრული შეგნებით ითვისებენ ამიერ სინონიმებს და ამიერი მოსწავლენიც უნებლიედ სწავლობენ კითხვის დროს იმიერ სინონიმებსა“ (იაკობი, IV. 317); „... აქეთა და იქითა საქართველოსი“ (იაკობი, IV. 429).

როგორც ვთქვით, ამგვარი მსჯელობა გვხვდება, ეს ტერმინები გამოიყენება იმ წერილებში, რომლებიც იწერება გართულებული ეროვნული ვითარების გამო; წინააღმდეგ იმ მცდელობისა, რომელიც ქართულ ეროვნულ სკოლაში შეინიშნებოდა; კერძოდ, იყო მოთხოვნა სამეგრელოში სასწავლებელთა მეგრულ ენაზე გამართვისა, საღვთისმეტყველო ლიტერატურის მეგრულად და სვანურად თარგმნისა. მოკლედ რომ ვთქვათ, წმინდა პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა თავშეკავებას, რომ მეგრულისა და სვანურისათვის ეწოდებინა ენა. ეს პრობლემა (პოლიტიკური) არ ედგა იაკობს „ბუნების კარში“, ამიტომ მისი მსჯელობა მეგრულისა და სვანურის შესახებ შესაბამისი ტერმინებით მიმდინარეობს:

იაკობის მტკიცებით, მეგრული და სვანური შტოებია ქართულისა (იაკობი, III. 447). „რაც მეგრელთა შტოს შესახებ ითქვა, სავსებით შეეხება ქართველი ხალხის მეორე შტოსაც — სვანებს, რომელთა არაქართველებად გადაქცევას ლამობენ იგივე გულმოდგინე, მაგრამ ხეპრე პოლიტიკანები, წინააღმდეგ ამ სიმპატიური მთელი ქართველების სურვილისა, რომლებიც ჩვენი წელთაღრიცხვის მეოთხე საუკუნიდან დღემდე მხოლოდ ქართულ ენას და ქართულ ალფაბეტს ხმარობენ ეკლესიაშიც, სკოლაშიც და თავისი ცხოვრების ყველა სხვა სფეროშიც“ (იაკობი, III. 448).

ქართველური ტომების, ქართველური ენების ურთიერთდამოკიდებულებაზე უფრო ვრცლად და გახსნილად (პოლიტიკისაგან თავდაღწეულად) მსჯელობს იაკობი „ბუნების კარში“:

„მეგრელები შეადგენენ ქართველთა შტოსა, სხვა ქართველებისაგან ბევრით არაფრით განსხვავდებიან“ (იაკობი, VI. 625); „ჭანები ძმები არიან მეგრელებისა, ძველის-ძველად ჭანები და მეგრელები შეადგენდნენ ერთს ერსა და გაბმით ეჭირათ მთელი აღმოსავლეთი ნაპირი შავის ზღვისა და სამხრეთი ნაპირი ნახევრობით, შემდეგში გურულები აღმოსავლეთით მიაწვნენ შავი ზღვის პირას, შუაგააქეს მეგრელ-ჭანების ტომი, დასახლდნენ ეხლანდელს საცხოვრებელს ადგილებზედ და გააცალკევეს დიდის ხნის ერთად მცხოვრები ძმები“ (იაკობი, VI. 647). „ქართველების ტომის უფრო შორეულს

შტოს სვანები შეადგენენ“ (იაკობი, VI. 632). ეს რაც შეეხება ქართველ ტომთა ეთნიკურ ერთობას (წარმომავლობას).

ქართულ ენობრივ სივრცეს იაკობი „ბუნების კარში“ ასე წარმოგვიდგენს: მეგრელები „მარტო ენით არიან ცოტათი განცალკევებულნი, მაგრამ ეს ენაც ღვიძლი ძმაა ქართულის ენისა, გარდა ამისა, თითქმის ყველა მეგრელებმა კარგად იციან ქართული ლაპარაკი და ქართული ენა ძლიერ უყვართ. იმათ ეს საღმრთო ენად მიაჩნიათ, რადგან წირვა-ლოცვა მთელს სამეგრელოში იმთავიდანვე ქართულს ენაზედ სრულდებოდა და ახლაც სრულდება“ (იაკობი, VI. 625).

თუმცა მთლად ვერ თავისუფლდება პოლიტიკისგან და მოსწავლეებსაც მიანიშნებს მოსალოდნელ საფრთხეს „მეგრულ-ქართული განხეთქილების“ მოსურნეთაგან: „ოცის წლის წინად სასულიერო მთავრობამ მოინდომა მეგრულს ენაზედ წირვა-ლოცვის შემოღება და კიდევ გადაათარგმნინა ოქროპირის წირვა ამ ენაზედ, მაგრამ ყველა წოდებამ სამეგრელოში ერთ-ხმად უარ-ჰყვეს ცვლილება და არ დასთანხმდა ეკლესიაში მეგრულის კილოს ხმარებას ქართულის ენის მაგივრად“ (იაკობი, VI. 626). საინტერესო ფაქტია: როცა საუბრობს მეგრულზე, ენად მოიხსენიებს; როცა ქართული ენის გვერდით სჭირდება მეგრულის დასახელება, ზოგჯერ კილოს უწოდებს (ამით ქართულს მეგრულზე მაღლა აყენებს...); მაგრამ არასოდეს კილოს (დიალექტს) არ უწოდებს კახურს, იმერულს: რომ არ მოხდეს სვანურის (მეგრულის, ჭანურის) და იმერულის (კახურის, თუშურის...) ერთი დონის ენობრივ ერთეულებად გააზრება... ასე რომ, მეგრული ენა (ჩვეულებრივ ხმარებული ტერმინი) და მეგრული კილო (იშვიათად ხმარებული ტერმინი) „ბუნების კარში“ სინონიმებია.

ჭანური და მეგრული იაკობისთვის ერთი ენაა „ცოტაოდენის განსხვავებით“: „ჭანური ენა იგივე მეგრული ენაა ცოტაოდენის განსხვავებით. ქართული ენაც ბევრმა ჭანმა ისევე კარგად იცის, როგორც მეგრელებმა“ (იაკობი, VI. 647). „სვანური ენაც ქართული ენიდან არის წარმომდგარი“ (იაკობი, VI. 632).

იმავე „ბუნების კარში“ საქართველოს ცალკეულ კუთხეებზე საუბრისას, განსხვავებით სამეგრელოს, სვანეთისა და ჭანეთისა, უმეტესად არას ამბობს მათს ენაზე; იგულისხმება, რომ ქართულია მათი ენა; მხოლოდ ორიოდ შემთხვევაში მიანიშნებს: „ზემო თუშები ქართულად ლაპარაკობენ, ქვემო თუშები კი – თუშურად (იგულისხმება წოვა-თუშური – გ.გ.), მაგრამ ქართული ყველამ იცის“ (იაკობი, VI. 595); აჭარლები „შინ ოჯახობაში ქართულად ლაპარაკობენ, თათრული ენა მხოლოდ ხანშიშესულმა კაცებმა იციან“ (იაკობი, VI. 643). იაკობს მოჰყავს გ. ყაზბეგის ციტატა: „შავშელები ლაპარაკობენ წმინდა ქართულ ენაზედ და გამოთქმით ძლიერ ემსგავსებიან ხევსურებს“ (იაკობი, VI. 643).

როგორც ვხედავთ, იაკობ გოგებაშვილის თვალსაზრისი ქართველურ ენათა რაობისა და ურთიერთმიმართების თაობაზე ასეთ სახეს იღებს: მეგრულ-ჭანური ერთი ენაა („ცოტაოდენი განსხვავებით“). ქართული ეროვნული ენის ტოტებია (შტოებია) მეგრულ-ჭანური და სვანური („ბუნების კარის“ პირველ გამოცემაში ტოტებს ეძახის, ბოლო გამოცემაში – შტოებს). სვანურის შტო უფრო ადრე გამოეყო ეროვნულ ხეს, ვიდრე მეგრულ-ჭანურისა. მეგრულ-ჭანური და სვანური ენების მოწყვეტა ეროვნული ხისაგან (რისი მცდელობაც იყო ამ ენებზე ანბანის შექმნა) დაღუპავს ამ ენებს: „დაჭკნობა და გახმობა აუცილებელი შედეგია მათის მოწყვეტისა საერთო ნიადაგიდან... დიად, განცალკევება ჰლუპავს ეროვნულ ხესაც და მისგან მოშორებულს ტოტებსაც“ (იაკობი, III. 479).

შედარება ტოტებთან (შტოებთან) ხაზგასმია იმისა, რომ ეს ენები საერთო წარმომავლობისანი არიან, მონათესავენი არიან: „შტომ შეიძლება იხაროს მხოლოდ ახლოს ნათესავს ხეზე, მაგრამ თუ იგი ამყნეს სრულიდ სხვა გვარის ხეზე, ვერც გაიხარებს და ვერც იხარებს“ (იაკობი, III. 479).

ლინგვისტური თვალსაზრისით იაკობის აზრი სრულიად თანამედროვე და მისაღებია დღეს. თავად ტერმინები – მეგრული შტო ქართული ენისა, სვანური შტო ქართული ენისა – საგულისხმოა დღეკანდელი სოციოლინგვისტური თვალსაზრისითაც.

წარმოდგენილ მსჯელობაში სრულიად გარკვეულია ქართული სალიტერატურო ენის როლი და მნიშვნელობა ქართველთა ეროვნულ ერთიანობაში.

* * *

„სიკვდილის გზას ადგია ყოველი ენა, რომელიც გამეფებული არ არის ოჯახსა და სკოლაში... იზრდება, ძალით და ღონით ივსება ყოველი ენა, რომელიც მეფობს ოჯახსა და სკოლაში“ (იაკობი, IV. 89). ოჯახის დამსახურება — ეს ერთი მხარეა ენის სიცოცხლისა, სიძლიერისა... იაკობი ეროვნული სკოლის თავკაცია და ამიტომაც განსაკუთრებულ ყურადღებას ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში სწორედ ეროვნული სკოლის დამსახურებაზე ამახვილებს... თუმცა მარტივად და უბრალოდაა ნათქვამი „ამაზვილებს“; ყველაფერს გვერდზე გადადებს და სიცოცხლეს მიუძღვნის ეროვნულ სკოლას.

რა არის ეროვნული სკოლა იაკობისათვის? გვახსოვს, რა თქმა უნდა, ილიას შეგონება: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამაპაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას?“ (ილია, III. 27). ეს ილიამ 1860 წელს თქვა.

ილია რომ იაკობისათვის უდიდესი ავტორიტეტია, ფაქტია. გავიხსენოთ: იაკობს 1900 წელს იუბილეს გადახდა შესთავაზეს. გაზეთ „ივერიის“ (1900. № 43) „ახალ ამბებში“ ცნობა იყო მოთავსებული: „როგორც შევიტყეთ, ბ-ნ იაკობ სიმონის-ძის გოგებაშვილის პატივისმცემელთ, მისდა პატივსაცემლად, მისის სალიტერატურო და საპედაგოგიო ასპარეზზედ მოღვაწეობის 35 წლის შესრულებისა გამო, განუზრახავთ სადილი გამართონ. სადილის გამართვის დრო ცალკე იქნება გამოცხადებული“. იაკობი შეწუხებული ჩანს ამ „ახალი ამბის“ გაგებით; წერილს მისწერს რედაქციას: „როგორც თქვენი ახალი ამბებიდან სჩანს, ზოგიერთ ქართველს მოუწადინია გამართონ საიუბილეო სადილი. დიდ მადლობას მოვახსენებ და ვთხოვ დიდი თხოვნით, ხელი აიღონ ამ თავის წადილზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს სადილი უჩემოდ ჩაივლის. ჯერ ქარ-

თველმა საზოგადოებამ უნდა გადაიხადოს ის დიდი ვალი, რომელიც მას აწევს კისერზე შესახებ ჩვენის მთავარ-მოღვაწეებისა, რომელთაც ჩემზე უფრო დიდხანს უმოქმედნიათ და ჩემზედ უზომოდ მეტი გაუკეთებიათ. ჯერ იალბუზსა და მყინვარს ღირსეული იუბილეები გაუმართონ, და მერე გაუწიონ თავაზიანობა სერებსაც, თუ არ დაუშლიათ“ (იაკობი, III. 197).

მყინვარი მთავარმოღვაწე ილია ჭავჭავაძეა, იალბუზი — მთავარმოღვაწე აკაკი წერეთელი; სერი — თავად იაკობი... ეს ბარათი „ივერიამ“ დაბეჭდა (1900. № 85).

ილიასადმი იაკობის განსაკუთრებული დამოკიდებულება ამ ჭკემმარიტებაშიც ჩანს: „იქნება არც ერთს მსოფლიო გენიოსს არა ჰქონდეს იმოდენა მნიშვნელობა თავისი ერისათვის, რამოდენაც აქვს ილია ჭავჭავაძეს საქართველოსათვის“ (იაკობი, IV. 215).

დიახ, ილია იაკობისათვის უდიდესი ავტორიტეტია და, რა თქმა უნდა, იზიარებს აზრს სამი ღვთაებრივი საუნჯის შესახებ; ოღონდ ესაა, იაკობი მას ეროვნების ბურჯს უწოდებს და, რაც დიდად მნიშვნელოვანია, მეოთხე ბურჯს დაუმატებს — ეროვნულ სკოლას. იტყვის, ჩვენი ეროვნულობა ოთხ ბურჯზე დგასო:

პირველი ბურჯი: „საძირკველს ნაციონალურის ძალისას შეადგენს ტერიტორია, მიწა-წყალი, მამული, სამშობლო... წაართვით ერს მისი მიწა-წყალი, მისი ტერიტორია, და იგი დაჰკარგავს არა მარტო ნიადაგს არსებობისას, არამედ მოსწყდება იმ დიდებულს სულსაც, რომელიც სამშობლოში ტრიალებს“.

„მეორე ბურჯი ერის აღორძინებისათვის გახლავთ სამშობლო ენა. ერის განვითარება პირდაპირ დამოკიდებულია ენის განვითარებაზე“...

„მესამე ბურჯი ერის წარმატებისა გახლავთ სკოლა. რომელ ქვეყანაშიაც კი უმრავლესიათ სკოლები, ყველგან მათ მოუხდენიათ საოცარი ძირითადი ცვლილება: ერი გამდიდრებულა ცოდნით, ამაღლებულა ზნობით, ავსილა დოვლათით“...

„მეოთხე ბურჯი ერის წარმატებისა არის ეკლესია... თუ საქართველომ მთელის თხუთმეტის საუკუნის განმავლობაში გაუძლო

აუარებელს და მძლავრს მტრებს და კავკასიაში დიდი ადგილი დაა-
ჭკერინა მართლ-მადიდებელს ქრისტიანობას, ამისათვის უარესად
უნდა ვუმაღლოდეთ ქართულს ეკლესიასა“ (იაკობი, III. 245-249).

შეენიშნავთ: ერთ ჩვენს წიგნში („მარადიულნი თანა-
მედროვენი“, 2000, გვ. 6) ვწერდით. იაკობის აზრით, ეროვნულობას სამი ბურჯი აქვს-თქო. შეცდომაში შეგვიყვანა
წიგნმა – ი. გოგებაშვილი, რჩეული პედაგოგიური თხზულებ-
ბანი, შედგენილი დ. გურგენიძისა და გ. საჯაიას მიერ, 1977,
– რომელშიც იაკობის წერილი „ქართული მიმართულება“
დაბეჭდილია შემოკლებით: მთლიანად ამოღებულია მონაკვე-
თი, რომელშიც მეოთხე ბურჯზე – ეკლესიაზე – არის სა-
უბარი (ცხადია, არაა მინიშნება, რომ წერილი იბეჭდება
შემოკლებით)...

ერთგან იაკობი წერს: „ხალხის არსებობას და წარმატებას
ორი ბურჯი ჰქონია და აქვს: სარწმუნოება და ცოდნა, ეკლესია და
სკოლა“ (იაკობი, II. 443). ეროვნული სკოლა ყველა შემთხვევაში
უმთავრესია. ამასაც იტყვის: „ხალხის განათლება დედაბოძია, მთა-
ვარი ბურჯია ქვეყნის კეთილდღეობისა, ბედნიერებისა“ (იაკობი, II.
464).

როცა იღია ორ ღვთაებრივ საუნჯეს ასახელებს, მამულსა და
სარწმუნოებას გამოყოფს:

„ორი რამ იყო, რისთვისაც ძე შენი იღვწოდა, ბედ-
მა უწყალომ სხვა საქმისთვის არ მოაცალა, მამულისა
და რჯულისათვის იგი იბრძოდა, ორივე დაიცვა, მაგრამ
ყველა მას ანაცვალა“.

ეს ისე, სხვათაშორის... თუმცა ამგვარი კლასიფიკაცია არ
არის საგულისხმო: ხომ ცნობილია იაკობის აზრი: დედაენა „არის
მთავარი ბურჯი ერის არსებობისა და წარმატებისა, ესმით, რომ
დედა-ენის შეუსწავლელობა მათს შვილებს დააქვეითებს ზნეობითაც,
გონებითაც, ხასიათითაც და მისწრაფებითაც“ (იაკობი, III. 333).
ასევე ფიქრობს ილიაც: „ენა ხალხის გონებრივი და ზნეობრივი სა-

უნჯის გასაღებია“, ანდა „უდღაენოდ გონების გახსნა ბავშვისა ყოველად შეუძლებელია“ და სხვა...

და მაინც: ეროვნული სკოლა იაკობისთვის ეროვნულობის უმთავრესი ბურჯია. ეროვნული სკოლა დედაენას უნდა ემყარებოდესო... ეს ერთ-ერთი მთავარი თემაა იაკობის მოღვაწეობისა.

რით აძლევს ძალას დედაენას ეროვნული სკოლა? – სწორი გეზი სწავლებისა, სწორად შედგენილი სახელმძღვანელოები – ესააო არსებითი!

იაკობი ასეთ მოგონებას გეთავაზობს: „ამ ოცდაათი წლის წინათ ჩვენს სასწავლებლებში გრამატიკა იოსელიანისა ქართული ენის სახელმძღვანელოდ იყო მიღებული. ვერ წარმოიდგენს მკითხველი, რა ჭირივით მეჯავრებოდა ქართული ენის გააკვეთილები და რა სიძულვილი ჩამისახა გულში დედა-ენისა ამ გრამატიკამ იმ დრომდინ, ვიდრე იგი არ შემაყვარეს ჩვენმა მალაღნიჭიერმა პოეტებმა და ლიტერატორებმა“ (იაკობი, II, 90). ამიტომაც ანიჭებს უდიდეს მნიშვნელობას იაკობი კარგად შედგენილ სახელმძღვანელოს; ამიტომაც ზრუნავს ასე თავდადებით სახელმძღვანელოთა შედგენაზე: სახელმძღვანელომ უნდა შეაყვაროს მოზარდს დედაენა.

იაკობის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოების ენას იწუნებენ; ედავებიან, შენი სახელმძღვანელოების ენა არააო გასაგები ყოველი კუთხის ქართველთათვისო. იაკობი იძულებულია, განმარტოს, ამ თვალსაზრისით როგორ მუშაობს სახელმძღვანელოს ენაზე. მისთვის, როგორც აღმოსავლელი კაცისთვის, დასავლური ქართულის „მთავარი ექსპერტი“ აკაკი წერეთელია. წერს: „რამდენიმე წლის წინად „დედა-ენის“ ანბანში, აკაკის დახმარებით, გამოვტოვეთ ყველა ის სიტყვები, რომელნიც დასავლეთ საქართველოში არ იხმარებიან, აგრეთვე გამოვტოვეთ სურათები, რომელთაც იქ სხვა სახელი ჰქვიათ, მაგალითად ლოქო, რომელსაც იქაურად ღლავე ეწოდება“ (იაკობი, IV, 317). ეს თემა იაკობისთვის ძალიან მნიშვნელოვანი თემაა. საგანგებოდ მსჯელობს, „დედა-ენის“ საანბანე ნაწილში რატომ

შეიტანა თითა, რომელიც დასავლელი ბავშვისთვის უცხოა, მაგრამ საანბანე ტექსტის აუცილებლობა ითხოვდა: „ვერ გამოვტოვე იმის გამო, რომ აქ ყოველი შემდეგი სიტყვა, გასაადვილებლად კითხვის პროცესისა, უნდა იწყებოდეს იმ მარცვლით, რომლითაც მთავრდება წინა სიტყვა. აი ეს გაკვეთილი: ა-თი, თი-თა, თა-თი, თითი. შეიძლება დასავლეთ საქართველოში ყველგან არ იცოდნენ, რომ თითა გრძელ მარცვლოვანს ყურძენსა ჰქვია, მაგრამ ამით არა წახდება-რა“ (იაკობი, IV. 317).

ამ მაგალითს იაკობი გამოყოფს იმ შემთხვევებისაგან, როცა ერთსა და იმავე საგანს აღმოსავლეთსა და დასავლეთში სხვადასხვა სახელი ჰქვია; ასეთი სინონიმების ცოდნა ქართული ენის ნებისმიერი წარმომადგენლისათვის აუცილებელია, ოღონდ ეს მოგვიანებით უნდა შეისწავლოს მოსწავლემო: „რაც შეეხება „დედა-ენის“ მეორე ნაწილსა, აქ ჩვენ თვით ტექსტში, აკაკისავე დახმარებით, ამერს ტერმინებს გვერდში ამოვუყენოთ იმერი სინონიმები... ამ ხერხის წყალობით იმერი ბავშვები სრული შეგნებით ითვისებენ ამიერ სინონიმებსა და ამიერი მოსწავლენიც უნებლიედ სწავლობენ კითხვის დროს იმერი სინონიმებსა, და ამ სახით ლექსიკონი სიტყვისა ორივე მხარეს უმდიდრდება“ (იაკობი, IV. 317). კიდევ ერთი ციტატა დასტურად იმისა, რაც ვთქვით: ერთმა იმერმა „ჩვენის თხოვნით გულდასმით გადაიკითხა „დედა-ენა“, დაგვისახელა იმერულთათვის გაუგებარი სიტყვები და ჩვენ ისინი, საცა კი შეიძლებოდა, შევცვალებთ იმისთანა სიტყვებზედ, რომელნიც იხმარებიან იქით და აქეთ საქართველოში. რასაკვირველია, „დედა-ენაში“ კიდევ მოიძებნება რაოდენიმე სიტყვა, იშვიათად სახმარი იმერეთში, მაგრამ მათ ბავშვი გაიგებს ან აზრის მიმდინარეობით, ან მასწავლებლის შემწეობით... ბოლოს ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველოს ზოგიერთ კუთხეში იხმარებიან იმისთანა გამოთქმანი, რომელნიც ზედგამოჭრილნი არიან საგანზედ, აზრზედ და რომელნიც იშვიათად იხმარებიან დანარჩენს კუთხეში“ (იაკობი, I. 299-300).

მსჯელობა მკაფიო და ნათელია: სალიტერატურო ენის ღრმად შესწავლისათვის, დაუფლებისათვის აუცილებელია სწორედ ლექსი-

კური მარაგის გამდიდრება; სრულიად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებულ სიტყვათა გაცნობა... პედაგოგთათვის და სახელმძღვანელოთა ავტორთათვის საგულისხმოა კიდევ ერთი მსჯელობა: „მართალია, ეს გლახობა (იგულისხმება დასავლეთის გლახობა – გ.გ.) აქა-იქ შეხვდება წიგნის ტექსტში აღმოსავლეთის სინონიმებს, რომელთა ნაცვლად დასავლეთის საქართველოში სხვა სინონიმები იხმარება; მაგრამ უცნობს სინონიმებს კითხულობს იგი არა ცალკე და განმარტოებულად, არამედ ფრაზებში, რომლის ყოველი სიტყვა, ერთის გარდა, კარგად ესმის, და ამ სიტყვების შემწეობით ტყობილობს მნიშვნელობას უცნობის ტერმინისასა“ (იაკობი, IV. 318)...

საინტერესო მსჯელობა პასუხია გაზეთ „დროებაში“ მასწავლებელ მიხ. კვაჭაძის კრიტიკულ წერილზე („ორივე სიტყვა სახელმძღვანელოზე“, 1909, № 239). დასკვნაა იაკობის წერილისა ძალიან საინტერესო: „ამგვარს გაზვიადებას (იგულისხმება კრიტიკის ტონი – გ.გ.) ჩვენ უნდა ვერიდოთ, რადგანაც მას შეუძლია ხელი შეუწყოს პროვინციალურს სეპარატიზმს, რომელიც უფრო მეტად იქნება მანებელი, ვიდრე იყო ჩვენი ისტორიული პოლიტიკური სეპარატიზმი, რომელმაც დააქუცმაცა ჩვენი ქვეყანა, დააუძღურა და მტრების ლუკმად აქცია“ (იაკობი, IV. 319).

ეს კიდევ ერთხელ ხაზგასმია სალიტერატურო ენის, შესაბამისად, ამ ენაზე შექმნილი სახელმძღვანელოების მნიშვნელობაზე ეროვნული მთლიანობის აღსადგენად, შესანარჩუნებლად. ესაა სწორედ ის აზრი, რომელსაც ილია დაბეჯითებით ამტკიცებდა: „დიდმა და პატარამ შეიტყოს და გაიგოს, რა ღონეა დედა-ენა სკოლისათვის და საეროსათვის საკუთრივ“ (ილია, IV, 1987, 195).

XIX საუკუნის მეორე ნახევარში იყო უაღრესად აქტიური ბრძოლა ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებისა და დამკვიდრებისათვის. არ არის შემთხვევითი ის ფაქტი, რომ მთავარ „დარტყმას“ იაკობ გოგებაშვილი იღებს. აკაკი ხაზგასმით აღნიშნავს: „ბატონმა დოდაშვილმა, გიორგი წერეთელმა და მე დავსკვენით პირობა, რომ „კვალისათვის“ კიდევ ერთი განყოფილება მიგვე-

მატებია — „სასწორმეტყველო“ და ჩვენს მწერლობაში როცა შევნიშნავდით ურიგო ქართულს, გვემხილება ხოლმე. პირველი სანიმუშო ისარი მე გავტყორცნე და იმ ისარმაც ყურთან გაუზუზუნა ბატონ იაკობ სიმონიძეს. ბატონი იაკობი მისთანა კაცია, რომ ბუზსაც არავის ააფრენინებს, თვარა ყურთან ისრის გაზუზუნებას როგორ აიცილენდა? ეს ჩვენ წინდაწინვე ვიცოდით, მაგრამ პირველად სიმონიძეს იმიტომ გამოვეთამამეთ, რომ ის სხვებზე უფრო შესამჩნევია: ისა ზრდის და ისა წვრთნის ქართველ ახალგაზრდობას. ენასაც ყველა მისგან სწავლობს და, მაშასადამე, იმის მცირე შეცდომასაც უფრო მეტი ვნების მოტანა შეუძლია, ვიდრე სხვისას“ (აკაკი, XIII. 14).

ცხადია, ეს იაკობმაც იცის — მის მცირე შეცდომასაც დიდი ზიანის მოტანა რომ შეუძლია ქართული ენისათვის და, შესაბამისად, ქართველი ხალხისათვის. ცოტა რომ გადაუხვიოთ, კორექტურის მიმართაც იმიტომ აქვს მას გამძაფრებული ყურადღება. შალვა გოგებაშვილის მოგონებიდან: „კორექტურას იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა; ამ საქმეში ყველას იშველიებდა; ასოთამწყოებს, გამოცდილ კორექტორებს, ამხანაგებს, ნაცნობებს და უცნობებსაც კი, რომელთაც თითოეული შეცდომის აღმოჩენაზე შაურს აძლევდა ჰონორარად“ (სამრეკლო, 364). გავითვალისწინოთ: საანბანე წიგნი ორი შაური ღირდა!.. იგონებენ. თურმე ქალაქის თავს, ვასილ ჩერქეზიშვილს, სთხოვდა კორექტურის წაკითხვას — კარგი თვალი გაქვსო...

ადვილი წარმოსადგენია, კორექტურულ შეცდომას რომ ასეთ მნიშვნელობას ანიჭებდა, ენობრივი შეცდომა რა ფასისა იქნებოდა მისთვის!

იაკობის სახელმძღვანელოები — „დედა-ენა“ და „ბუნების კარი“ — იყო სრულიად საქართველოში ქართული ენის სახელმძღვანელოები. იაკობის ენობრივი ნორმა — საყოველთაო ნორმად იქცეოდა. თავად იაკობი მიანიშნებს ამის თაობაზე ერთ-ერთი კრიტიკოსის საპასუხო წერილში: „ეს პატარა, იაფი წიგნაკი (იგულისხმება „დედა ენის“ პირველი ნაწილი — გ. გ.), შემკული მრავალი სურათით

და დედნით, პატარა მინონოსკასავით, ნაღმოსანივით მისცურავს სოფლებში, შეისრიალებს ხეობებში, ადის მთაში, უწევს ოსეთსა და ქისტეთსა და ჰბადავს მოთხოვნილებას და სიყვარულს ქართულის მწიგნობრობისას“ (იაკობი, IV. 499).

ამას გულისხმობდა შალვა დადიანი: „დედა ენა“ ამაფეთქებელი ნაღმოსანით მისრიალდა ჩვენს მიუვალ მთა-კლდეებში – თუ შეთსა და სვანეთში, მიდიოდა ბარად, შეუყვებოდა აჭარასა და მესხეთს და ყველგან სძრავდა ენას საქართველოდ, ყველგან აფეთქებდა გრძნობას ეროვნულსა“.

კიდევ ერთი დასტური ამ თვალსაზრისით „დედა ენის“ მნიშვნელობისა: ზ. ჭიჭინაძის აზრით – „გოგებაშვილმა თავის „დედა ენაში“ აღადგინა დაცემული ენა ქართველთა... და ამ წიგნის მეოხებით მთელი ქართველობა, ყველა თემისა და ხეობის მონათესავენი ერთის ქართული ენით იწყებენ წერა-კითხვის სწავლებას და ლაპარაკს, ყველგან ამ წიგნის მეოხებით ქართული ენა ეუფნება“.

აკაკის შეფასება: „იაკობ გოგებაშვილმა ქართველ ხალხს ქართულის ენის სიტკბოება ვურში ჩააწვეთა, ქართველ ხალხს ქართული ენა შეაყვარა“... (შ. დადიანის, ზ. ჭიჭინაძისა და აკაკის შეფასებებს ვიმოწმებთ წიგნიდან: გ. გოგოლაშვილი. ი. ავალიანი, „დედა ენა“ – წიგნთა-წიგნი, 2001).

* * *

იაკობ გოგებაშვილს თავისი მართლწერა აქვს შემუშავებული და ამ წესებს ამკვიდრებს თავის სახელმძღვანელოებში. იგი არავის აძლევს უფლებას (იგულისხმება რედაქციები), შეცვალონ მისი მართლწერა. „ვეჯილს“ მიუწერია: „თქვენ არავის აძლევთ ნებას ენას შეეხონ, ჩვენ კი უცვლელად არავის ვბეჭდავთ ამ ბოლო ხანებში“ (იაკობი, III. 75).

ეს ის პერიოდი, როცა არ არსებობს ერთიანი ქართული სალიტერატურო ენა, ერთიანი ნორმები. ყოველ რედაქციას თავისი პრინციპები აქვს. ამის თაობაზე თავის დროზე ვაჟაც ჩიოდა და მოითხოვდა, ენობრივი შესწორებანი არ შეეტანათ მის ნაწერებში. იაკობს, როგორც ჩანს, ძნელად უბედავენ შესწორებას, მაგრამ მაინც

სჭირდება განმარტება: „ჩემი მართლწერა (...) მიმაჩნია ქართულ ლიტერატურულ მართლწერად, რომელსაც მისდევდნენ ბოლოს დრომდე საზოგადოდ ქართველი მწერლები იმერნი და აიერნი. ყველა ჩვენებური პერიოდული გამოცემანი აღმოსავლეთის და დასავლეთის საქართველოსა“ (იაკობი, IV. 456).

იაკობმა იცის, რომ დედაენის მდგომარეობა სავალალოა. უკომპრომისო, პრინციპული პოზიციის დაჭერაა საჭირო, რომ ეშველოს ქართულ ენას. ამიტომ მისი თავგამოდება არ უნდა გაუკვირდეთ: „ქართული ენის ბედი რომ ნორმალურს მდგომარეობაში იყოს, ჩვენ ყურსაც არ გავიბერტყავდით, კრინტსაც არ დაეძრავდით, რადგანაც მაშინ წიგნს თავის-თავად ეწეოდა ის ბედი, რისაც ღირსია იგი“ (იაკობი, III. 95).

მართლწერისათვის იაკობი საინტერესო ტერმინებს შემოგვთავაზებს: მთავარი მართლწერა, საზოგადო მართლწერა, ინდივიდუალური მართლწერა, პროვინციალური მართლწერა.

ინდივიდუალური მართლწერა მთავარი მართლწერის (საზოგადო მართლწერის) სახესხვაობაა, მცირეოდენი განსხვავებით; როგორც ჩანს, აქ უფრო სტილურ თავისებურებებს გულისხმობს აუტორისას: „ბოლოს ხანამდის ქართულ ლიტერატურაში მიღებული იყო ერთი მთავარი მართლწერა, მცირეოდენი ინდივიდუალური განსხვავებით, რომელსაც მე მივდევი“ (იაკობი, IV. 456).

იაკობის სახელმძღვანელოებში შესული ნაწარმოებები სწორედ ამ მართლწერის (იაკობის მართლწერის) წესებს ექვემდებარება. საგანგებოდ მიანიშნებს იმის თაობაზეც, რომ აკაკის ნაწარმოებებსაც კი ამ წესს ვუქვემდებარებო: აკაკის „ხელთნაწერი ჩვენ ხელუხლებლივ ვერ დავბეჭდეთ. მასში ჩვენ, თანახმად პედაგოგიურის მოთხოვნილებისა და ბავშვის ფსიქიკისა, ჩვენ მოვახდინეთ შიგა და შიგ ზოგიერთი ცვლილება“ (იაკობი, IV. 244) და ეამყება ის, რომ აკაკიმ თავის წიგნში სწორედ იმ სახით შეიტანა იაკობის მიერ გასწორებული ნაწარმოებები, როგორც „დედა ენაში“ დაიბეჭდა. რა სახის იყო ეს ცვლილება, აქ არ ჩანს, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ იაკობი ენობრივად ბევრ საკითხში არ ეთანხმება აკაკის (ცნო-

ბილი ხანგრძლივი პოლემიკაა ამის დასტური). ასე რომ, სახელმძღვანელო ერთ ნორმებზე უნდა იყოს აგებული. სხვადასხვა ავტორის (ილიასა და აკაკისაც კი...) თუ ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები იაკობის ქურაში გაივლის.

ვთქვით, იაკობი დაუნდობელია სალიტერატურო ენის ნორმათა დამრღვევის მიმართ. თუმცა ისიც ვთქვათ: ძირითადად ენობრივ შეცდომათა ორ ჯგუფს გამოყოფს: ა) წვრილმანი და უნებლიე და ბ) „ბლომი მნიშვნელობის“ მქონე:

„ეს დეფექტები წვრილმანია და უნებლიეთნი, რომელნიც არავითარს ზიანს ჩვენს ენას არ აყენებენ“ (იაკობი, IV. 464).

„მართლწერას ენაში მხოლოდ მაშინ აქვს ბლომი მნიშვნელობა, როცა მისი დარღვევა არღვევს აზროვნებას, ხელს უშლის მას“ (იაკობი, IV. 464).

აი, ამ უკანასკნელი ტიპის შეცდომები „რეგრესულია და ენის გალატაკებას უწყობს ხელს“ (იქვე). სალიტერატურო ენის რაობაზე, მართებულ და არამართებულ ფორმებზე ხშირად საუბრობს იაკობი. მან ამ თემაზე რამდენიმე პოლემიკაც გადაიტანა

გამოსვლისთანავე დაუწყეს ბრძოლა „დედა ენას“. წერს ერთგან იაკობი: „რაც მე ღრო და შრომა მოვანდომე ჩემის სახელმძღვანელოების შედგენას და ხან-გამოშვებით გაუკეთესებას, ათი იმდენა ღრო და შრომა მომინდა მათი დაცვისათვის სხვა და სხვა ცილისწამებისაგან“ (იაკობი, II. 179). ერთ-ერთი ცილისწამება სწორედ ენობრივი გაუმართაობაა „დედა ენისა“. გავიხსენოთ: „ცილისწამება ჰქვიან იმისთანა სიცრუეს, რომელშიც შედის ბოროტი განზრახვაო“ (იაკობი, IV. 407), – ბრძანებს იაკობი ერთგან და ამით მიანიშნებს იმაზე, რომ „დედა ენის“ წინააღმდეგ გალაშქრება ბოროტებაა...

იაკობისთვის ყველაზე დიდი ბრალდება (ცილისწამება) ენის უცოდინარობის დაბრალებაა. აკაკის წერილის გამო თქვა: „მივაქციოთ ჩვენი ყურადღება მხოლოდ ენის უცოდინარობის დაბრალებას“ (იაკობი, II. 341) და ამ „დაბრალების“ გამო გაიმართა XIX საუკუნის პრესაში ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი და საინტერესო პოლემიკა.

ვთქვით, თავისი მართლწერა იაკობს მიაჩნია წმინდა, ლიტერატურულ მართლწერად (კარგ ქართულს ასე ახასიათებს: „წმინდა ქართული ენა და შესაბამისი კილო“ – რაფიელ ერისთავზე იტყვის – იაკობი, I. 272). არალიტერატურულ, არაწმინდა ქართულს – პროვინციალურს უწოდებს.

სილოვან ხუნდაძე გაეპაექრა იაკობს – ქართული დაუწუნა. იაკობი თვლის, რომ გაზეთ „კოლხიდაში“ სილოვანს „ჯიუტურად შეაქვს თავისი პროვინციალური მართლწერა ჩემს სტატიებში, ნაცვლად ჩემის ქართულ-ლიტერატურულ მართლწერისა, რომელსაც მისდევენ ყველა ქართველნი მწერალნი იმერნი და ამერნი და ყველა პერიოდული გამოცემანი აქეთა და იქითა საქართველოსი“ (იაკობი, IV. 429).

იაკობი ამ კამათში კიდევ ერთხელ გახაზავს იმას, რომ ერთიანი სალიტერატურო ენა ამთლიანებს ერს; ენობრივი მთლიანობის დაკარგვა ეროვნულ მთლიანობას დაშლისო: „მთავარ საგნად მან (სილოვანმა – გ. გ.) გაიხადა რაღაც პროვინციალური მართლწერის შემოღება და გავრცელება და ისეთი ჭირვეულობით მიჰყავს ეს უმნიშვნელო საკითხი, რომ ჰხადებს განხეთქილებას იმერთა და ამერთა შორის... ეს ხომ ნამდვილი პროვოკაციაა, რომელიც ხელს უწყობს ძმათა შორის განხეთქილებასა, პროვინციალურს სეპარატიზმსა, და ყოველს მტერს ჩვენის ქვეყნის სიტკბოებით ავსებს“ (იაკობი, IV. 454).

ერთ რომელიმე კუთხეში გავრცელებული თუ რომელიმე პირის მიერ ნახმარი ფორმა არ შეიძლება ჩაითვალოს ლიტერატურულ ფორმად (იაკობი, II. 381); ის პირი თუნდაც აკაკი იყოს (ამას კ. ლოდაშვილთან კამათში ამბობს). ისეთი ავტორიტეტული პირი, როგორც აკაკია, განსაკუთრებით ფრთხილად უნდა იყოს, რომ მისი ავტორიტეტის წყალობით არ დამკვიდრდეს ენაში უსწორო ფორმა: „მაშასადამე ჭკვიერი არის უხეირო, ნაძალადევი ჩიქორთული და მის ხმარებას აკაკი უნდა ერიდოს, რადგანაც თავისი ავტორიტეტის გამო ეს მდარე, შეუსაბამო ფორმა შეიძლება დაამკვიდროს ლიტერატურაში, ქართულის ენის საზიანოდ“ (იაკობი, II. 385).

თავად ის პოლემიკა აკაკისთან (და „კვალის“ ავტორებთან) ბევრი რამით არის საინტერესო. უპირველესად იმით, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებს თითოეული მოკამათე წმინდა, სალიტერატურო ქართულს; მეორე – რამდენად უკომპრომისონი და თავდადებულნი არიან ენობრივ საკითხებზე მსჯელობისას; მესამე – თითოეულის პოზიცია შემაგრებულია თეორიულად და პრაქტიკულად; და მთავარი, უფრო სწორად, უმთავრესი ავტორიტეტი არის ქართული ენა და მის წინაშე ყველანი ვალდებულნი ვართ, გონივრულად მოვიქცეთ.

ორიოდე მაგალითი იაკობის მსჯელობიდან; აკაკის საპოლემიკო წერილი გვახსოვს: იაკობს დაუწუნა ფორმა გაღიარებ; სწორია აღგიარებო, – წერდა აკაკი. იაკობი: „აღგიარებ ძველი ფორმაა, გაღიარებ ახალი, ორივე კანონიერია“ (იაკობი, II. 341); ე. ი. ენის ისტორიის თვალსაზრისით ერთი ცვლის მეორეს: „საღმრთო წერილში ასეა ნახმარიო... მაგრამ საღმრთო წერილის ენაზედ მეთუ საუკუნინდან აღარა სდგას საქართველო და ახლა მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს როგორ დავუბრუნდეთ... განა ეს ათი საუკუნით უკან გადახტომა არ იქნება?“ (იაკობი, II. 345). შემდეგ თეორიული მსჯელობა: „საკამათო ზმნამ გამოიარა სამი ფაზისი, სამი გვარი ცვლილება: აღ-ვი-არო, ვ-აღ-ვი-არო, ვ-აღ-ი-არო... პირველი ფორმა არის ძველი კლასიკური, მეორე შუალა, მესამე ახალი. შუალა ფორმა ძლიერ გავრცელებულია ხალხში და იხმარება იმისთანა ქართულის ენის მცოდნეთაგან, როგორც არიან თ. ი. ჭავჭავაძე და თ. ს. გუგუნავა, მაგრამ იგი უნდა ჩაითვალოს მძიმე ფორმად... უკანასკნელი ფორმა გავრცელებულია შუაგულს საქართველოში და იხმარება მწერლობაში ქართველ ლიტერატორთაგან. იგი უნდა მივიჩნიოთ დაწინაურებულ, პროგრესულ ფორმად, რომელიც შემდგომში მიუცილებლად გააუქმებს ორსავე დანარჩენ ფორმას“ (იაკობი, II. 414-415).

ამ მსჯელობაში ერთი რამ არის ძალზე საგულისხმო: იაკობი ფორმაცვალების ისტორიას ითვალისწინებს და კი არ აცხადებს რომელიმე ფორმას უკანონოდ, უპირატესობას აძლევს ერთ-ერთ

მათგანს, დაწინაურებულ, პროგრესულ ფორმად მიიჩნევს: აკაკი ფაქტობრივ კრძალავს ვალიარებ ფორმას; იაკობი ითხოვს, აკრძალვა მოეხსნას, არ აიკრძალოს... იგი არც აღვიარებ ფორმის აკრძალვას ითხოვს; ფორმათა გავრცელების ტენდენციის გათვალისწინება მას აიძულებს, რომ ვალიარებ „შემდგომში მიუცილებლად გააუქმებს ორსავე დანარჩენ ფორმას“. ამის იმედს ის აძლევს, რომ „ეს უკანასკნელი ფორმა გავრცელებულია მთელს აღმოსავლეთს საქართველოში, ზემო იმერეთში, რაჭაში და იქნება სხვა იმიერს კუთხეებშიაც. წიგნის მკაზმავმა ვასილ ყიფიანმა, ქვემო იმერეთის მცხოვრებმა, მითხრა: აღვიარებ მხოლოდ ეკლესიაში გვესმისო, ეკლესიის გარეშე კი გლეხები ყოველთვის ვამბობთ: ვალიარებ ან ვალეიარებ“ (იაკობი, IV. 461)

ასე აქვს გამოკვლეული ეს ფორმა იაკობს: წარმოგვიდგენს მის ისტორიას, ჩაატარებს მორფოლოგიურ ანალიზს, გამოიკვლევს მისი გავრცელების სიხშირეს და მერე აკეთებს დასკვნას.

საინტერესოა ერთი ფაქტიც: კი სჯერა, რომ სიმართლე მის მხარესაა, მაგრამ მაინც მეტი ობიექტურობისა და სამართლიანობისათვის მიაჩნია, რომ ნორმის საკითხი ინდივიდუალურად არ უნდა წყდებოდეს; ენობრივ საკითხს, უფრო სწორად, ნორმის საკითხს, საგანგებო კომისია უნდა წყვეტდეს. წერს:

„მსგავსს საკითხებს რუსეთში სწყვეტს მეცნიერებათა აკადემია, ჩვენი სამეცნიერო აკადემია არის „წერა-კითხვის საზოგადოება“. აი ამ საზოგადოების გამგებამ უნდა აირჩიოს ექვსიოდე ქართველი ინტელიგენტი, საფუძვლიანი განათლებით აღჭურვილი, ევროპიულის ენების და ჩვენის ქართული ენის კარგი მცოდნე. შეადგინოს კომიტეტი, რომელმაც უნდა დააეალოს – განიხილოს მართლწერა ბ-ნი სილოვან ხუნდაძისა და მისი აკკარგის შესახებ ვრცელი მოხსენება წარუდგინოს გამგებებს. კომიტეტის წევრებად უნდა იყვნენ არჩეულნი ნახევრად იმერნი და ნახევრად ამერნი. ჩემის მხრივ დავასახელებ სამს იმერს ინტელიგენტს კომიტეტის წევრებად; ესენი არიან: ნიკოლოზ ბესარიონის ძე ლოლობერიძე, რომელიც მთელს ზამთარს თბილისში რჩება, ფილიპე გაბრიელის ძე

გოგინაიშვილი და ივანე გვდევანის ძე გომართელი. პირადად მე დავემორჩილები ყოველს გადაწყვეტილებას არჩეულის კომიტეტისას იმ შემთხვევაშიც, თუნდაც არ ვეთანხმებოდე ზოგიერთ რამეში, და შესაბამ ცვლილებას შევიტან ჩემის წიგნების და ნაწერების მარ-თლწერაში“ (იაკობი, IV. 465-466).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, დარწმუნებით შეიძლება ით-ქვას, რომ იაკობის მიერ ქართული ენობრივი სივრცის სწორმა გა-აზრებამ, სალიტერატურო ენის როლის მართებულმა შეფასებამ ხე-ლი შეუწყო ქართველთა ენობრივი და ეროვნული მთლიანობის შე-ნარჩუნებას; უდიდესია იაკობის როლი ახალი ქართული სალიტერა-ტურო ენის ჩამოყალიბებასა და დამკვიდრებაში; ამ მხრივ XIX სა-უკუნის მოღვაწეთა შორის იაკობ გოგებაშვილი ერთ-ერთი უპირვე-ლესია.

ლიტერატურა:

იაკობ გოგებაშვილი, თხზულებათა სრული კრებული ათ ტო-მად: ტ. I, 1955; ტ. II, 1954; ტ. III, 1954; ტ. IV, 1955; ტ. VI, 1958.

ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად: ტ. III, 1956.

აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. XIII, 1961.

იაკობის სამრეკლო, 1990.

გ. გოგოლაშვილი, მარადიულნი თანამედროვენი, 2000.

გ. გოგოლაშვილი. ი. ავალიანი, „დედაენა“ – წიგნთა წიგნი, 2001.

თ. გვანცელაძე, ენისა და დიალექტის საკითხი ქართველოლო-გიაში, 2006.

ტ. ფუტკარაძე, სათავე და პერსპექტივა ქართული სამწიგნობ-რო ენისა, 2006.

სამეცნიერო ლიტერატურის ენა

ქართული სამეცნიერო ენის აღდგენა-აღორძინება XX საუკუნის დასაწყისში დაკავშირებულია ქართული უნივერსიტეტის დაარსებასთან. ვსაუბრობთ აღდგენა-აღორძინებაზე და არა შექმნაზე. იგულისხმება: ქართული სამეცნიერო აზროვნება (შესაბამისად, ქართული სამეცნიერო ენა) ძნელბედობის გამო დაკნინდა და დაეცა. XX ს-ის ოცდაათიან წლებში ი. ჯავახიშვილი წერდა: „ქართული მეცნიერების განვითარებას ვერფერი შეაკავებს, მკვდრეთით აღდგას მეცნიერება და კულტურა, რომელიც მე-13 საუკუნის ბოლოდან მოკვდინებული იყო“ (ოქმები, გვ. 75). თბილისის უნივერსიტეტის დაარსება გახდა საფუძველი ქართული სამეცნიერო აზრის აღორძინებისა, – წერს არნ. ჩიქობავა (ჩიქობავა, 1968).

ქართული უნივერსიტეტის დაარსების ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი ქართული ენის ფუნქციონირების არის გაფართოება იყო. ამ მოვლენას ზოგადად ასეთი შეფასება ეძლევა: „XX საუკუნის 10-20-იან წლებში ცხოვრების რევოლუციურმა გარდაქმნებმა, ქართული უნივერსიტეტის დაარსებამ, ეროვნული თვითშეგნების აღორძინებამ, ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებამ ახალი თვალსაწიერი გადაუშალა ქართულ სალიტერატურო ენას... უკვე გეგმაზომიერი, მეცნიერულად გააზრებული ენობრივი პოლიტიკის სახეს ატარებს ის, რაც ადრე მეტ-ნაკლებად სტიქიური ხასიათისა იყო“ (ჯორბენაძე, 1989, 166).

ახლადდაარსებულმა უნივერსიტეტმა უპირველეს მიზნად დაისახა, მეცნიერების ყველა დარგი ქართულად ამეტყველებულიყო. უნივერსიტეტის პირველმა რექტორმა, ცნობილმა ქიმიკოსმა, პროფესორმა პეტრე მელიქიშვილმა უნივერსიტეტის გახსნის დღეს, 1918 წლის 26 იანვარს, თავის სიტყვაში თქვა: „ჩვენ, ქართველები,

მცირე ხალხი ვართ, ჩვენ არ ვთამამდებით, შევადაროთ საკუთარი თავი დიდ ხალხებს, ჩვენი სწრაფვაც ასევე მოკრძალებულია. ჩვენ გვსურს, იმ ენაზე, რომელზეც პირველად გავიგონეთ დედის ალერსი და პირველად ავლაპარაკდით, მოვისმინოთ მეცნიერული ჭეშმარიტებანი და ის ჰუმანიტარული პრინციპები, რომლებიც ნამდვილი კულტურის საფუძვლებია. ჩვენ ვაფუძნებთ ქართულ უნივერსიტეტს იმისთვის, რომ საშუალება მივცეთ ჩვენს ხალხს, მშობლიურ ენაზე გაეცნოს და აითვისოს მეცნიერული ჭეშმარიტების საწყისები“ (მელიქიშვილი, 2000).

ეს საჯაროდ გაცხადებული მიზანია უნივერსიტეტის დაარსებისა.

ამ თემაზე (ქართულის, როგორც სამეცნიერო ენის, აუცილებლობაზე...) ვრცლად საუბრობს ი. ჯავახიშვილი ქართული უნივერსიტეტის 20 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სხდომაზე. ამ სიტყვის სტენოგრაფიული ჩანაწერი გამოქვეყნდა 1971 წელს (ჯავახიშვილი, 1971).

მოვიყვანოთ რამდენიმე ციტატას:

„საქართველოში მოსპობილი იყო ქართული ენა, როგორც სავალდებულო ენა. მე-19 საუკუნის განმავლობაში არაერთხელ აღძრულა საკითხი უნივერსიტეტის, ან, საერთოდ, უმაღლეს სასწავლებლის დაარსების შესახებ, მაგრამ მაშინ ქართულ უმაღლეს სასწავლებელზე კი არ ოცნებობდნენ, — რომლის განხორციელება იმ პირობებში სრულიად შეუძლებელი იყო, იმიტომ რომ სწავლება ქართულად არ შეიძლებოდა, არამედ ეს უნდა ყოფილიყო სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელი სავალდებულო რუსული ენით, რომელიც, რასაკვირველია, საქართველოს მოსახლეობისათვის, ხალხისთვის გაუგებარი იქნებოდა. მეტის თქმა შემიძლია: ქართველმა ინტელიგენციამ თვითონ არ იცოდა ზერიანად ქართული ლაპარაკი... ქართველ ინტელიგენციას საყველპურო ლაპარაკის გარდა სხვა საგანზე ქართულად ლაპარაკი არ ეხერხებოდა. ეს ჩვეულებრივი იყო და, თუ გნებავთ, ამის გამო ქართული ენა არასავალდებულოდ

ცხადდებოდა, ის იკითხებოდა მესამე კლასამდე ან მეექვსე გაკვეთილად, ან იმ დროს, როდესაც გერმანულს და ფრანგულს ასწავლიდნენ და ამ არასავალდებულო საგანს თითქმის არავინ სწავლობდა“ (გვ. 6).

ამ მონაკვეთში ი. ჯავახიშვილი დაასკვნის: „ამგვარად, ქართველი ინტელიგენცია სრულიად დაშორებული იყო ხალხს; ხალხისა და ინტელიგენციისათვის გაუგებარი იყო ხშირად ზრახვები, რომლებიც მათ ჰქონდათ... მე, რასაკვირველია, არ ვგულისხმობ პოლიტიკურ საკითხებს, — პოლიტიკური საკითხები გაშუქებული იყო და პრესაშიც მოიპოვებოდა, — ვგულისხმობ სამეცნიერო მწერლობას და სამეცნიერო აზროვნებას“ (იქვე).

გავხაზავთ: ი. ჯავახიშვილი საგანგებოდ მიანიშნებს — XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში არ არსებობს ქართული სამეცნიერო ენა, განსხვავებით ქართული პოლიტიკური ენისაგან.

ქართული სამეცნიერო ენის ჩამოყალიბება (აღორძინება და განვითარება — როგორც მიუთითებდა ი. ჯავახიშვილი) არ იყო იოლი საქმე. დღევანდელი გადასახედიდან არც ისე ძნელია შევაფასოთ ის ღვაწლი, რაც XX საუკუნის დასაწყისის ქართველ მოღვაწეებს მიუძღვით ამ თვალსაზრისით.

ეს საქმე (ქართული სამეცნიერო ენის ჩამოყალიბება) ინტელიგენციას უნდა ეტვირთა. XIX საუკუნეში რუსულმა პოლიტიკამ შეძლო ქართველი ინტელიგენციისათვის ისეთი პირობები შეექმნა, მათ ეს ტვირთი ვერ ეზიდათ: „განათლებული ინტელიგენცია ჩამოშორებული იყო თავის ქვეყანას, მას რომ სურვებოდა კიდევ, ემოღვაწევა იმ სფეროში, რომელიც მას დასახული ჰქონდა მიზნად. ამის შესაძლებლობა არ იყო... ქართულ ენას არათუ განვითარების შესაძლებლობა მოსპობილი ჰქონდა, არამედ პირდაპირ ისეთი პირობები იყო, რომ უნდა დაევიწყა ინტელიგენციას ქართული ენა. რასაკვირველია, ხალხი, მასა, რომელიც ეროვნული განძის პირველი მატარებელია, განაგრძობდა ამ ენაზე ლაპარაკს, მაგრამ ინტელიგენციისათვის ეს ენა უკვე ღედაენა აღარ იყო... ბევრი რუსულად აზროვნ-

ნებდა და ქართულად წერდა. თავიანთი აზრის გამოთქმა უძნელდებოდათ“ (ჯავახიშვილი, 1971, 7).

ცხადია, რამდენადაც უფრო ძნელია და რთული საქმე, იმდენად საპატიო და მნიშვნელოვანია მისი განხორციელება. როცა ესაუბრობთ ქართული სამეცნიერო ენის ჩამოყალიბებაზე, ფასდაუდებელია ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა და მისი თანამებრძოლებისა.

ქართული უნივერსიტეტი – ეს არის ქართულად ამეტყველებული საუნივერსიტეტო დისციპლინები. როგორც ითქვა, ამისათვის ნიადაგი თითქმის არ არსებობდა. სწორედ XX საუკუნის დასაწყისში დაიგემა ნაბიჯ-ნაბიჯ ამ დიდი საქმის განხორციელება. კვლავ მოვესმინოთ ი. ჯავახიშვილს: „პირველი, რასაც უნდა მიქცეოდა ყურადღება – ეს არის ქართული კულტურის შესწავლა; ქართული კულტურის ცოდნა მოგვცემდა საშუალებას, იმ ძველი მარაგის გამოსაყენებლად, რომელზედაც უნდა აღმოცენებულიყო, თუ გნებავთ, აღმდგარიყო მკვდრეთით ძველი ქართული მეცნიერება. – ოდესღაც მდიდარი, მაგრამ შემდეგ დაკნინებული. ამ მიზნით საჭირო იყო ტერმინოლოგიის მასალების დაგროვება, ამათანავე, საშუალება უნდა ჰქონოდა ახალგაზრდობას, მეცნიერება შეესწავლა ქართულად და მსჯელობის უნარი გამოემუშაებინა. ამისთვის 1907 წელს დაარსებული იყო პეტერბურგში ქართული სამეცნიერო წრე. თითქმის სრულიად მარტივი და უმნიშვნელო ამბავია, მაგრამ ამ სამეცნიერო წრეში სტუდენტები რომ თავს იყრიდნენ, მსჯელობა წარმოებდა ქართულად“ (ჯავახიშვილი, 1971, 10).

ფაქტობრივ, ამ დროიდან, პეტერბურგის სტუდენტთა სამეცნიერო წრის მუშაობის დაწყებიდან, დაელო სათავე თანამედროვე ქართული სამეცნიერო ენის ჩამოყალიბებას. ცხადია, საკმაოდ მწირი, მაგრამ უაღრესად ენერგიული და თავდადებული ძალებით დაიწყო ამ იდეის ხორცშესხმა. „ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრე ერთ-ერთი პირველი ორგანიზაციული წარმონაქმნი იყო, სადაც ქართულად მეცნიერული ენა გაიკვეთა“ (ჯორბენაძე, 1981, 148). აქვე ფართოდ გაიშალა ტერმინოლოგიური მუშაობა – უპირველესი პირობა ქართული სამეცნიერო ენის განვითარების: „საკვირველი უნა-

რი კქონდა პრიატ-ლოცენტ ივანე ჯავახიშვილს. იგი ახერხებდა სატახტო ქალაქის საიმპერატორო უნივერსიტეტში ქართულადც წაეკითხა ლექცია (როცა მსმენელები მხოლოდ ქართველები იყვნენ) და შეექმნა მომავალ მეცნიერთა ახალგაზრდული ბირთვი, რომლებიც მეცნიერების ძველ და ახალ ცნებებს თამამად აამეტყველებდნენ ქართულ ენაზე. წამოწყება მარტოდენ ჰუმანიტარულ დარგებში მეცნიერული ტერმინოლოგიის დახვეწა-დაწინაურებით როდი იზღუდებოდა. თანდათან წრის წევრები ბუნებისმეტყველების დარგის ტერმინოლოგიაზეც ზრუნვდნენ. ასე, 1915 წელს წრის წევრები აგროვებდნენ მასალას ქართული ენის ტექნიკური ლექსიკონისათვის. ქართული ხელნაწერებიდან და ძველი ნაბეჭდი წიგნებიდან იწერდნენ მეცნიერულ ტერმინებს და გამოთქმებს ფიზიკაში, მათემატიკაში, ბოტანიკაში, მედიცინაში, ლოგიკასა და სხვა დარგებში“ (ჯორბენაძე, 1881, 148).

„ქართული სამეცნიერო წრის წევრებმა შეადგინეს ქართულ ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილი სტატიებისა და მასალების (1852-1910) ბიბლიოგრაფია. მისი გამოცემა განზრახული იყო რამდენიმე წიგნად. დაიბეჭდა მხოლოდ I ტომი, რომელიც შეიცავს ენათმეცნიერების, ეთნოგრაფიის, არქეოლოგიის, ისტორიის, ხალხური სიტყვიერებისა და ძველი მწერლობის ბიბლიოგრაფიას“ (ა. შანიძე, 1984, 41). წიგნი გამოიცა პეტერბურგში 1916 წელს ი. ყიფშიძის წინასიტყვაობით.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ წრის მიერ მომზადებულ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებულს, რომელიც თბილისში დაიბეჭდა 1915 წელს. იგი გამოიცა სამეცნიერო წრის ხელმძღვანელის, ივანე ჯავახიშვილის, წინასიტყვაობით. კრებულში 7 მოხსენება გამოქვეყნდა:

1. ა. შანიძე — ქართული კილოები მთაში;
2. შოთა დადიანი — ქართველი ქალები ისტორიული წყაროებისა და „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით;
3. ი. ანთაძე — ყმების მფლობელობის ხასიათი საქართველოში;
4. დ. კაკაბაძე — ქართული ხატების მოჭედულობის სახეები;

5. გ. თარხნიშვილი – სასამართლო წარმოება საქართველოში;

6. ი. ანთაძე – წყლის მულობელობა და სარწყავი წყალი საქართველოში;

7. გ. ჭუბაბრია – მოქალაქეობრივი ჰანგები ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებებში.

ამ კრებულის მნიშვნელობის შესაფასებლად მოვიხმობთ ამონაწერს ი. ჯავახიშვილის წინასიტყვაობიდან: „გული სიხარულით მევსება, როდესაც ვრწმუნდები, რომ ქართული სამეცნიერო წრის მუშაობამ არამცთუ ამაოდ არ ჩაიარა, არამედ თავისი ნაყოფიც გამოიღო და იმედი მაქვს, რომ ამ პირველი კრებულის თანამშრომელთა უმეტესი ნაწილი, თუ ყველანი არა, მომავალშიც სამეცნიერო მუშაობას თავს არ დაანებებს და შეძლებისაგვარად ქართულ ღარიბ სამეცნიერო მწერლობის გამდიდრებას ხელს შეუწყობს“.

„ქართულ ღარიბ სამეცნიერო მწერლობის“, ანუ ქართული სამეცნიერო ენის ჩამოყალიბებაში ეს იყო უაღრესად წარმატებული ნაბიჯი – პირველი სამეცნიერო კრებული ქართულ ენაზე!

მოგვიანებით ამ ფაქტს ასე შეაფასებს ი. ჯავახიშვილი: „სამეცნიერო წრის მუშაობამ საშუალება მისცა ახალგაზრდობას დასწაფებოდა მეცნიერებას თავის დედაენაზე და ამის ნაყოფი გახლავთ პირველი კრებული, რომელიც დაიბეჭდა, პეტერბურგის ქართული სამეცნიერო წრის კრებული, რომელშიც სხვადასხვა დარგების გამოკვლევები იყო დაბეჭდილი, დაწერილია სტუდენტთა მიერ: ხელოვნების, ისტორიის, სამართლის, ეკონომიკის – ყველა ამ დარგის – შესახებ წერილებია მოთავსებული. ამგვარად, საქმე ნაწილობრივ გაიჩარხა“ (ჯავახიშვილი, 1971, 11).

„საქმის ნაწილობრივ გაჩარხვად“ ი. ჯავახიშვილი საუნივერსიტეტო იდეის განხორციელების გზაზე მიღწეულ წარმატებას გულისხმობს.

იმჟამად, როცა პეტერბურგში მუშაობას იწყებდა „ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრე“ (1907წ.), თბილისში ე. თაყაიშვილის თაოსნობით დაარსდა „საქართველოს საისტორიო და საეთნოგ-

რაფიო საზოგადოება“. „რეალურად, სწორედ ამ გაერთიანებათა სამეცნიერო და საზოგადოებრივი საქმიანობის გამოცდილებამ გადაადგმევინა საბოლოო ნაბიჯი ქართულ საზოგადოებას ეროვნული უნივერსიტეტის დასაფუძნებლად“ (მარგველაშვილი, 2000, 67). საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას ჰქონდა განყოფილებები: საისტორიო, საარქეოლოგიო, საეთნოგრაფიო, საანთროპოლოგიო, სალინგვისტო და სანუმიზმატიკო (მეტრეველი, 1982; მეტრეველი 1985) „საზოგადოებამ დაარსებისთანავე დიდი თანაგრძნობა მოიპოვა საქართველოს მოსახლეობაში“ (მეტრეველი, 1985).

საზოგადოების საქმიანობის განსაკუთრებულ დამსახურებად უნდა მივიჩნიო მის მიერ გამოცემული ორი სერია: „ძველი საქართველო“ და „საქართველოს სიძველენი“.

„ძველი საქართველო“ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მიერ დაარსებული სერიული სამეცნიერო კრებული იყო. სულ გამოიცა 4 ტომი: ტ. I – 1909 წ.; ტ. II – 1913 წ.; ტ. III – 1913-14 წ.; ტ. IV – 1914-15 წ. როგორც ითქვა, საზოგადოება თბილისში დაარსდა და ეს კრებულებიც თბილისში გამოიცა. კრებულში იბეჭდებოდა იმდროინდელ ქართველ მეცნიერთა გამოკვლევები, რეფერატები, სხვადასხვა ისტორიული, ლიტერატურული, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალა. კრებული გამოდიოდა ე. თაყაიშვილის რედაქტორობით (მეტრეველი, 1982). ქართული სამეცნიერო ენისა და სამეცნიერო აზრის ჩამოყალიბებისათვის განუსაზღვრელია ამ გამოცემის როლი.

ასევე დიდმნიშვნელოვანია საზოგადოების მიერ დაარსებული მეორე სერიაც – „საქართველოს სიძველენი“. ფაქტობრივ, ეს იყო ქართულ დოკუმენტთა კრებული, რომელიც გამოდიოდა ე. თაყაიშვილის რედაქტორობით. „საქართველოს სიძველენის“ პირველი ტომი ე. თაყაიშვილმა გამოსცა საზოგადოების დაარსებამდე – 1899 წელს. ტომში შევიდა 1362-1848 წლების 431 დოკუმენტი. როგორც მიუთითებენ (მეტრეველი, 1982), ამ I ტომის მთელი ტირაჟი მოსვლისთანავე დაიწვა (გადარჩა რამდენიმე ცალი). ამ ტომში დაბეჭდილი მასალებიდან 201 დოკუმენტი შემდეგ ტომებში გამოაქვეყნა

ე. თაყაიშვილმა. შემდეგი ტომების გამოქვეყნება შესაძლებელი გახდა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დაარსების შემდეგ. II ტომი გამოქვეყნდა 1909 წელს; იგი შეიცავს XI-XIX საუკუნეების 509 დოკუმენტს; III ტ. დაიბეჭდა 1910 წელს; იგი შეიცავს 1408-1836 წლების 587 დოკუმენტს. IV ტომის პირველი თაბახი დაიბეჭდა 1911 წელს, მაგრამ მიზეზთა გამო ბეჭდვა შეწყდა (ტომი გამოქვეყნდა 1926 წელს). გამოცემა „ძვირფასი წყაროა საქართველოს პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, ისტორიული კულტურული ვითარების, სამართლის წარმოების, ყოფა-ცხოვრების, გარეშე ქვეყნებთან ურთიერთობის ისტორიული და სხვა საკითხების შესასწავლად“ (მეტრეველი, 1985). გამოცემას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის შესამუშავებლად.

ვიმეორებთ: პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრემ და საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საქმიანობამ გარკვეული საფუძველი მოამზადა ქართული უნივერსიტეტის შესაქმნელად.

არის სერიოზული წინააღმდეგობანი. ი. ჯავახიშვილსა და მის თანამებრძოლებს უხდებათ ბრძოლა იმ აზრის წინააღმდეგ, რომ „ეროვნული უნივერსიტეტი ვერ შეძლებს მეცნიერების ამეტყველებას ქართულ ენაზე“ (იხ. ჯორბენაძე, 1981, 200). „ოლდენბურგი, ვასილიევი და სხვები (რუსეთის იმპერიის განათლების სამინისტროს უმაღლესი სკოლის რეფორმის კომისიის წევრები – გ. გ.) მზრუნველობითი კილოთი გვირგვინენ, ხელი აგველო ამ უიმედო საქმის დაწყებაზე, რომელსაც საქართველოს უნივერსიტეტი ეწოდებოდა. ქართულ ენას არა აქვს არც მეცნიერული ტერმინოლოგია, არც მეცნიერული ტრადიცია. ყველა ამის შექმნა არა თუ ძნელი, უიმედო საქმეაო“ (ნუცუბიძე, 1968). სამწუხაროდ, ამგვარივე აზრის იყო ცნობილი აკადემიკოსი ნ. მარი. მან თავისი აზრი გააცნო 1917 წლის ოქტომბერში რუსეთის დროებითი მთავრობის სახალხო განათლების რეაქციულ კომისიას (ჯორბენაძე, 1981, 211).

უნივერსიტეტის გახსნის უაღრესად საინტერესო და მძიმე ისტორია (ამის თაობაზე იხ. ჯავახიშვილი, 1948; ჯორბენაძე, 1988 და სხვა) წარმატებით დასრულდა. 1918 წლის 26 იანვარს (დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს) გაიხსნა ქართული უნივერსიტეტი. არ იყო შემთხვევით შერჩეული დავით აღმაშენებლის ხსენების დღეც — ამით გაიხაზა მემკვიდრეობითობა: აღმაშენებლის ეპოქაში გელათში იყო იმ დროისათვის ტიპური უმაღლესი სასწავლებელი — გელათის აკადემია (მეტრეველი, 1998). სახელწოდება ქართული უნივერსიტეტი ასევე მიანიშნებდა მიზანზე ამ უმაღლესი სასწავლებლისა. სწავლების ენა ქართულ უნივერსიტეტში მხოლოდ ქართულია. ეს ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა. კავკასიაში პირველმა უმაღლესმა სასწავლებელმა არაქართველთა ყურადღებაც მიიპყრო.

ამონაწერი პროფესორთა საბჭოს 1918 წლის 13 აპრილის სხდომის №9 ოქმიდან:

„12. განსახილველი საგანი: ჩრდილო ოსეთის სამოსწავლო საბჭოსაგან მილოცვა ქართულ უნივერსიტეტს და შეკითხვა, რა ენაზე იკითხება ლექციები უნივერსიტეტში და მიიღებიან თუ არა ოსები?“

განაჩენი: გაეგზავნოს მადლობა და ეცნობოს. რომ ლექციები ქართულად იკითხება, ხოლო მიღებით ყველა მიიღებიან განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა“ (ოქმები, 112).

სხვა განაცხადებაც კეთდება: „ლექციები იკითხება ქართულ ენაზე. უნივერსიტეტში მიიღებიან ორივე სქესის პირები საშუალო განათლებით, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა“ (ჯორბენაძე, 1981, 227).

სწორად ხელავენ მიზანს ქართული უნივერსიტეტის შექმნისას მეზობელი ერები და მაგალითად მიიჩნევენ თავიანთთვის. გამოქვეყნდა სომეხი ექიმის გ. აბელიანის წერილი, რომელსაც „სჯერა ეროვნული უნივერსიტეტისა და ქართული მეცნიერული აზრის წარმატებისა, ვინაიდან მისი სწორი სიტყვებით, სიძნელები შეიძ-

ლება გადაილახოს, თუ უნივერსიტეტი შექმნილია, ვინაიდან, არცერთ ერს არ შეუქმნია ჯერ სახელმძღვანელოები, მეცნიერული მწერლობა და შემდეგ უნივერსიტეტიო“ (ჯორბენამე, 1981, 228).

ქართული უნივერსიტეტის წარმატების საწინდარი ქართულ ენაზე სწავლება იყო. მოვეუსმინოთ ი. ჯავახიშვილს: „დიდი დაბრკოლება გვეღობებოდა წინ უნივერსიტეტის დაწყება-გაფართოებასთან დაკავშირებით. ის პირები, რომლებიც მოწვეულნი იყვნენ და რომელთაც დაიწყეს ლექციების კითხვა, კარგად იყვნენ მომზადებულნი იმდენად, რომ ქართულად თავისუფლად შეეძლოთ ლექციების წაკითხვა, მაგრამ შემდგომში როგორც იქნებოდა საქმე, სად იყო ის ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია, ურომლისოდაც ლექციების კითხვა არ შეიძლებოდა... ცოდნა საჭირო მეცნიერებისა. უმაღლესი სასწავლებელი უნდა ჰგავდეს უმაღლეს სასწავლებელს. ის უნდა წარმოადგენდეს მართლაც მეცნიერების მწვერვალს და როგორც უნდა მოხერხებულიყო ეს, როდესაც ჩვენ საშუალო სასწავლებლისთვისაც არ გვქონდა მომზადებული ტერმინოლოგია. ჯერ ტერმინოლოგია უნდა შეგვექმნა. როდის შეიქმნებოდა ტერმინოლოგია? ამას შეიძლება მონაწილე გრძნობდა... წინადადება მივეცით მათ, შესდგომოდნენ მუშაობას (უსასყიდლოდ, იმიტომ რომ სხვა საშუალება არ გვქონდა), რომ ფიზიკაში, ქიმიაში, რაც კი რამ არსებობდა, ტერმინოლოგია ამოეკრიბათ“ (ჯავახიშვილი, 1971, 15).

ქართულ სამეცნიერო ენას მყარი საფუძველი ექმნება. „ყოველ დარგში დამზადებული სატერმინოლოგიო მასალა ყოველი ლექციის შემდეგ სხლომებზე განიხილებოდა. ასე შეიქმნა სახელდახელო შეთანხმებაზე დამყარებული ტერმინოლოგია“ (იქვე).

საგანგებოდ ამაზვილებენ ყურადღებას სკოლის სახელმძღვანელოების ენაზე: ეს ერთ-ერთი მთავარი პირობაა ერთიანი სამეცნიერო ენის, ერთიანი სამეცნიერო ტერმინოლოგიის დამკვიდრებისა. „უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როდესაც სამეცნიერო ტერმინოლოგია ერთგვარია ყველგან – საშუალო სასწავლებელშიც და უმაღლეს სასწავლებელშიც... საერთო ტერმინოლოგია იყო შესაქმნელი, რომ, როცა საშუალო სკოლიდან შემოვლენ უმაღლეს სკოლაში, მათთვის

უცნობი არ ყოფილიყო ეს ტერმინოლოგია... შემდეგ შეიქმნა სატერმინოლოგიო კომიტეტი“ (ჯავახიშვილი, 1971, 16)

სიზუსტისათვის: „სატერმინოლოგიო სექცია“ ქართულ უნივერსიტეტში დაარსდა 1918 წელსვე. მას ი. ჯავახიშვილი ხელმძღვანელობდა. გაზეთი „სახალხო საქმე“ წერდა: „ტერმინოლოგიის ხაზით უნივერსიტეტში სასწრაფო მუშაობა სწარმოებს ყველა დარგში, განსაკუთრებით კი ქართული ენის ტერმინების შედგენაში. ამიერიდან კი ვინც სახელმძღვანელოების შედგენაზე იმუშაებს, ანგარიში უნდა გაუწიოს იმ ტერმინებს, რომლებიც უკვე შემუშავებულია უნივერსიტეტის პროფესორების მიერ“ („სახალხო საქმე“).

სატერმინოლოგიო კომისიის მუშაობა ჩვენი თემისათვის. ცხადია, მნიშვნელოვანია, მაგრამ ამჯერად ამაზე ზედმეტ ყურადღებას აღარ შევაჩერებთ. ამ საკითხს მკითხველი შეიძლება გაეცნოს რ. ღამბაშიძის მონოგრაფიიდან „ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები“ (თბილისი, 1986წ.)

ქართველი საზოგადოება მონატრებულია ქართულ ენაზე ლექციის წაკითხვას. ამიტომ კიდევ ერთი სიმძიმე იტვირთა ი. ჯავახიშვილმა, როცა ქართულ უნივერსიტეტში პირველი ლექციის წაკითხვა დაიწყო. იგი „ჯერ კიდევ პეტერბურგის უნივერსიტეტში ახერხებდა ლექციების ქართულად წაკითხვას... 1917 წლის მაისში თბილისსა და ქუთაისში წაკითხული დიდებული ლექცია იყო და უნივერსიტეტის დაარსების სამოქმედო პროგრამაც“ (ჯორბენაძე, 1981, 229).

პირველი ლექცია ქართულ უნივერსიტეტში დაინიშნა 1918 წლის 30 იანვარს. ეს არის ფაქტობრივ ოფიციალური თარიღი ქართული სამეცნიერო ენის ოფიციალური ახალი სიცოცხლის დაწყებისა. „30 იანვარს არავის გაჰკვირვებია, რომ ივანე ჯავახიშვილის მოსასმენად მოსულთა რიცხვმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა“ (ჯორბენაძე, 1991, 229).

თუ რამდენად დიდი იყო ქართველი საზოგადოების სურვილი და მოლოდინი, ქართულად მოესმინათ სამეცნიერო თემებზე საუბარი, ამის კარგი დასტურია დ. კლდიაშვილის მოგონება გრიგოლ

რობაქიძის მიერ წაკითხული საჯარო ლექციების თაობაზე. XX საუკუნის დასაწყისია; „ამ ხანებში იყო ქუთაისში პირველი გამოსვლები საჯარო ლექციებით რ. გ.-ის (გრიგოლ რობაქიძის – გ. გ.). იგი ლექციებს კითხულობდა რუსულ ენაზე. ხალხი უზომოდ ესწრებოდა. დიდად ვწუხდით, რომ ლექტორი ერიდებოდა ქართულად გამოსვლას და ენატრობდით მოვსწრებოდით ქართულ ენაზე წარმოთქმულ ლექციას. ბევრი ამართლებდა ლექტორს, ქართულად არ შეიძლება ამ ლექციების გადმოცემაო“ (კლდიაშვილი, 1981, 290). შეუთვლიათ ლექტორისთვის, ლექციები ქართულად ეკითხა. გ. რობაქიძეს პირობა მიუცია. „მოკლე ხანში კიდევ აასრულა თავისი დანაპირები. მახსოვს პირველი მისი საჯარო ქართულად წაკითხული ლექცია. ლექცია იყო ბარათაშვილზე“ (იქვე, 291). დ. კლდიაშვილი განაგრძობს: „საზოგადოება განსხვავებულ აღტაცებაში მოიყვანა ამ ლექციამ. გაზეთებში დიადი ქებით იხსენიებდნენ ლექციის შინაარსს, ლექტორის ცოდნას და განსაკუთრებით აღნიშნავდნენ ლექტორის საუცხოო ქართულს... ლექტორის არაჩვეულებრივი ლამაზი ქართულის გამგონე მსურველთა რიცხვი შესამჩნევად იზრდებოდა. უსმენდნენ ლექტორს სულგანაბულნი და თავის ყურებს არ უჯერებდნენ, თუ ასეთი შნოიანი ქართულით შესაძლებელი იყო ლექციების კითხვა...“

თამამად ვამბობ, რომ რ. გ.-მ გამოაცოცხლა მაშინდელი ქართველობა; თავისი საჯარო ლექციებით ნათლად დაუმტკიცა საზოგადოებას, რომ ქართული ენა შვენივით საესეა, რომ მისით მშვენივრად გამოითქმება ადამიანის ყოველგვარი სულისკვეთება, გამოიხატება იმის აზროვნება“ (კლდიაშვილი, 1981, 201-202).

ყოველ დარგში ქართულად წაკითხული პირველი ლექცია საგანგებო მოვლენად მიიჩნეოდა. ქართული სამეცნიერო ენის ახალი კუთხით წარმოჩენა ხდებოდა. ამიტომ ექცეოდა საგანგებო ყურადღება ამ ფაქტებს. „რასაკვირველია, ლექციების ქართულად კითხვა სამათემატიკო, საბუნებისმეტყველო და სამედიცინო დარგებზე მეტად და უფრო ძნელი საქმე იყო, ვიდრე ჰუმანიტარულ დარგებზე: ისტორიასა და ფილოლოგიაში, ფილოსოფიასა და იურისპრუდენცია-

ში... მათემატიკასა და ფიზიკაში, ქიმიასა და ბიოლოგიაში – აქ, სულ ერთიაო, ქართულ ენას თავისი ფუნქციის შესრულება არ შეუძლიაო“ (ჯორბენაძე, 1981, 246)...

პირველ ლექციას ქართულ ენაზე მათემატიკურ ანალიზში კითხულობს პროფ. ა. რაზმაძე. „მას არა მარტო სტუდენტები და მსმენელები ესწრებიან, არამედ პროფესორთა კოლეგიის მთელი შემადგენლობა, რაც ლექციას საზეიმო ხასიათს აძლევს... ოვაციით ხვდებიან პროფესორ ა. რაზმაძის პირველ ლექციას მათემატიკაში... ასე გეგონებოდათ, თითქოს მათემატიკაში ქართულად ლექციის წაკითხვას დიდი წინაისტორია ჰქონდა“ (ჯორბენაძე, 1981, 246).

კიდევ რამდენიმე მაგალითი: „დახვეწილი, ჩამოქნილი ქართული იწყებს ლექციების კითხვას დოცენტის მოვალეობის აღმსრულებელი არჩილ ხარაძე...“ (იქვე).

ასტრონომიაში „დახვეწილი ლიტერატურული ქართული“ კითხულობს ლექციას პროფ. ანდრია ბენაშვილი. „მის მიერ შემოდებული რიგი ასტრონომიული ტერმინებისა საბოლოოდ დამკვიდრდა მეცნიერულ მეტყველებაში“ (იქვე, 247). დავაკვირდეთ: რა სიზუსტით აღრიცხავენ: „ბუნებისმეტყველების განყოფილებაზე პირველ ლექციას არაორგანულ ქიმიაში 1918 წლის ოქტომბერს (აუდიტორია №86) გაჭვდილი მსმენელების წინაშე კითხულობს დამსახურებული პროფესორნი პ. მელიქიშვილი. პირველი ქართული ლექცია ქიმიაში ყველაზე ადრე დარბაზში მყოფმა ივ. ჯავახიშვილმა მიულოცა მას“ (იქვე, 247).

იგონებენ: უდიდეს მათემატიკოს ნ. მუსხელიშვილს ქართული მეტყველება უჭირდა. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ ის მოიწვია, 10 თვე ხელფასს უხდიდა და შესაძლებლობა მისცა, მოემზადებინა ლექციები ქართულად მათემატიკაში...

პირველი ლექცია მედიცინის მეცნიერებაში 1918 წლის 15 ნოემბერს წაიკითხა პროფ. ალექსანდრე ნათიშვილმა. პროფ. არკადი ჯორბენაძე იგონებდა: ალ. ნათიშვილი თბილისში 14 ნოემბერს ჩამოვიდა. მეორე დღეს ლექციაა დანიშნული. საღამოს ი. ჯავახიშვილი ესტუმრა და ჰკითხა, რა ენაზე აპირებდა ლექციის წაკითხვას?

თხვას. გაირკვა რომ მას ქართულად ლექციის წაკითხვა გაუჭირდებოდა, ი. ჯავახიშვილი იმ ღამით დარჩა ალ. ნათიშვილთან: ერთად მოამზადეს ქართულად პირველი ლექცია. თავზე დაათენდათ. დილით ერთი აუდიტორიისაკენ წავიდა, მეორე – სამუშაო კაბინეტისაკენ. ალ. ნათიშვილი „შემდგომ ერთ-ერთი მოთავე გახდა ქართული სამედიცინო ტერმინოლოგიის დაფუძნებისა“...

შეიძლება ზედმეტი მოგვეჩვენოს ამდენი მაგალითის მოყვანა, მაგრამ ფაქტია: ქართული სამეცნიერო ენა ფეხს იდგამს. მისი ყოველი ნაბიჯი აღნუსხულია; ყოველ ნაბიჯს საგანგებო ყურადღება ექცევა...

უნივერსიტეტის გაფართოებამ, ფაკულტეტების გამრავლებამ (1919 წელს უკვე სამი ფაკულტეტია, – სიბრძნისმეტყველების, სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო და სამკურნალო) მაინც მწვავედ დასვა სამეცნიერო-პედაგოგიური კადრებით დაკომპლექტების საკითხი. „ვინაიდან ქართველ მეცნიერთა ნაკლებობა საგრძნობი იყო, გადაწყდა, მოეწვიათ რუსი მეცნიერები, ქართული ენის არმცოდნენი, მაგრამ მხოლოდ სამი წლის ვადით, რომლის განმავლობაში ისინი ვალდებული იყვნენ, ქართული შეესწავლათ ისე, რომ ლექციების კითხვა ქართულად შესძლებოდათ. გარდა ამისა, იმ პროფესორებს, რომლებიც ლექციებს რუსულად კითხულობდნენ, თანაშემწეები (ასისტენტები, ორდინატორები) ქართული ენის მცოდნენი უნდა ჰყოლოდა“ (ოქმები, 40).

ამ წესით მოიწვიეს აკად ს. ნავაშინი (ბოტანიკა), ი. ფიგუროვსკი (კლიმატოლოგია და მეტეოროლოგია), ბ. უვაროვი (ზოოლოგია და ანთომოლოგია) და სხვა. სპეციალისტებს იწვევდნენ ევროპიდან, მაგ. პოლანდიიდან მოიწვიეს ერენფესტი (ფიზიკა).

1920 წელს არსებობა შეწყვიტა ამიერკავკასიის კერძო უნივერსიტეტმა (ვერ გავარკვიეთ, რომელი წლიდან არსებობდა). პროფესორთა საბჭომ 1920 წლის 7 ენკენისთვის სხდომაზე (ოქმი №17) განიხილა „მთავრობის წინადადება, მოეწყოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან პარალელური კურსები რუსულ ენაზე იმ სტუდენტთათვის, რომელნიც სწავლობდნენ ყოფილს ამიერკავკასიის კერძო

უნივერსიტეტში“ (ოქმები, გვ. 136). პროფესორთა საბჭო იღებს მთავრობის წინადადებას: პარალელურ რუსულ განყოფილებას ქმნის საბუნებისმეტყველო და სამკურნალო ფაკულტეტების მეორე და მესამე კურსებზე; სხვა კურსები არც არსებობდა ფაქტობრივ. ამან საკმაოდ გაურთულა უნივერსიტეტს საქმე, თუმცა საბჭო მაინც ახერხებს საქმის მოგვარებას (ლექციები ცალკე იკითხება გადმოსულთათვის რუსულად...).

ერთი მხარეა ლექციების ქართულად კითხვა; სამეცნიერო ტერმინოლოგიის შემუშავება. მეორე მხრივ, ამ ტერმინოლოგიის დამკვიდრება, გავრცელება; ქართული სამეცნიერო კრებულების, სახელმძღვანელოების, მონოგრაფიების გამოცემა.

უნივერსიტეტის დაარსების 20 წლისთავზე ი. ჯავახიშვილი საგანგებოდ აღნიშნავდა: „რამდენჯერ გამიგონია, რომ ქართული მეცნიერული მწერლობა ვერ შეიქმნებაო. 1917 წელს ამას გვიმტკიცებენ, რომ ქართული მეცნიერების დაფუძნება შეუძლებელიაო და ვასილ პეტრიაშვილმა არა-თუ უარყო, არამედ დაამტკიცა, რომ საუცხოო სამეცნიერო თხზულების დაწერა შეუძლია, დაწერა და გამოსცა კიდევ ისეთი თხზულება, რომელიც არ ჩამორჩება არცერთ ევროპულ ენაზე დაწერილს!“ (ჯავახიშვილი, 1971, 9).

ახლადდაარსებულ უნივერსიტეტში საგანგებო მსჯელობის საგანი იყო „უნივერსიტეტის ორგანოს დაარსება“ (ოქმები, გვ. 159). 1919 წლის 9 აპრილის პროფესორთა საბჭოს სხდომაზე დაადგინეს: „გამოცემულ იქნეს უნივერსიტეტის ორგანო, რომელიც ჯერჯერობით საერთო იქნება ყველა ფაკულტეტისათვის“ (ოქმები, გვ. 150). უნივერსიტეტის ორგანოს „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე“ ეწოდა. სარედაქციო კოლეგიაში შევიდნენ: ი. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, ა. შანიძე, ა. რაზმაძე, სპ. ვირსალაძე.

უკვე 1919 წელს გამოიცა „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, №1, 1 ნაკვეთი“, რომელიც შეიცავდა სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის პროფესორთა შრომებს:

ი. ყიფშიძე – ასიმილაციისა და დისიმილაციის წესი ქართულსა და მეგრულში;

შ. ნუცუბიძე – ბუნებისათვის ცნებისა;

კ. კეკელიძე – ნაწყვეტი ქართული ჰაგიოგრაფიის ისტორიიდან (ცხოვრება ილარიონ ქართველისა);

დ. უზნაძე – ლაიბნიცის ატიტეს პერცეპტიონს-თა ადგილი ფსიქოლოგიაში;

ა. შანიძე – ნასახელარი ზმნები ქართულში;

ს. ავალიანი – ხიზანი;

ე. თაყაიშვილი – შენიშვნები ზარზმის ეკლესიისა და მის სიძველეთა შესახებ.

სტატიები იბეჭდება მხოლოდ ქართულად; არ ახლავს უცხოური რეზიუმეები.

„ტფილისის უნივერსიტეტის მოამბის“ გამოცემა იმდენად მნიშვნელოვნად მიაჩნიათ, რომ პროფესორთა საბჭო საგანგებოდ მსჯელობს, „უნივერსიტეტის მოამბე“ ვის დაურიგდეს (ოქმები, გვ. 203). ასევე 1920 წლის 15 მაისს „განიხილეს: პროფ. ივ. ბერიტაშვილის განცხადება „უნივერსიტეტის მოამბის“ გამოცემისა და სარედაქციო კოლეგიის შესახებ. დაადგინეს: მიენდოს ფაკულტეტებს გამომარკიონ „მოამბის“ გამოცემის საქმე, თუ როგორ იქნეს დაყენებული მომავალში“ (ოქმები, გვ. 219). პროფესორთა საბჭოს 1920 წლის 30 ივნისის სხდომაზე „განიხილეს უნივერსიტეტის მოამბის გამოცემის საქმე. დაადგინეს: თანახმად სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის მოხსენებისა, პროფესორთა საბჭომ დაადგინა:

ა) უნივერსიტეტის ორგანოს გამოცემის ხელმძღვანელად და პასუხისმგებლად უნდა იყოს ერთი პირი;

ბ) სარედაქციო კოლეგია უნდა შედგებოდეს ფაკულტეტების წარმომადგენელთაგან;

გ) მოწვეულ იქნეს საგანგებო კორექტორი, და უკანასკნელ,

დ) სასურველია, რომ ხელმძღვანელ რედაქტორად სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის წარმომადგენელი იყოს“ (ოქმები, 233).

არ არის მსჯელობა პუბლიკაციათა ენაზე: ცხადია, იგულისხმება, რომ ეს არის ქართული გამოცემა. ყურადღების გამახვილება

იმ ფაქტზე, რომ ხელმძღვანელი უნდა იყოს სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის წარმომადგენელი და მოწვეულ იქნეს სპეციალური კორექტორი, მიანიშნებს იმის შესახებ, რომ საგანგებო ყურადღება ექცეოდა კრებულის ენას.

1921 წლის 16 ნოემბერს პროფესორთა საბჭო ისევ უბრუნდება „უნივერსიტეტის მოამბის“ გამოცემის საკითხს:

„განიხილეს: მოხსენება პროფ. ა. შანიძისა შესახებ „უნივერსიტეტის მოამბის“ გამოცემის წესის შეცვლისა.

1. „უნივერსიტეტის მოამბე“ გადაკეთდეს იმ გვარად, რომ შიგნით იბეჭდებოდეს გამოკვლევანი უნივერსიტეტის მუშაკებისა იმ რიგით, როგორც შემოდის რედაქციაში, და წერილები არ იქნეს განაწილებული ფაკულტეტების მიხედვით.

2. მოამბე გამოდიოდეს ნაკვეთებად (შეძლებისდაგვარად წელიწადში ოთხჯერ), საერთო პაგინაციით, ოციდან ოცდაათ თაბახამდე, რაიცა შეადგენს ერთ ტომს.

3. ჟურნალი დაიბეჭდოს 900 ცალად. ავტორებს მიეცეს 50 გადმონაბეჭდი.

4. წარმოდგენილი ხელნაწერი სავსებით მზად უნდა იყოს დასაბეჭდად და ადვილად იკითხებოდეს.

დაადგინეს: დაკმაყოფილდეს უცვლელად“ (ოქმები, 294-295).

1919 წლიდან მოყოლებული უნივერსიტეტის სამეცნიერო გამოცემები არ შეწყვეტილა თითქმის საუკუნის ბოლომდე. „უნივერსიტეტის მოამბეს“ „უნივერსიტეტის შრომები“ ცვლის. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გაიზარდა რუსული ენის როლი სამეცნიერო ცხოვრებაში. მომრავლდა რუსულად გამოქვეყნებული ნაშრომები პერიოდულ გამოცემებში. მაგალითისათვის:

„ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები“

ტ. V, 1930წ.

გამოქვეყნებულია 19 სტატია; ქართულია 14; რუსული — 5. საინტერესოა რუსულად დაბეჭდილ სტატიათა თემატიკა (მარქსიზმ-ლენინიზმი, პაპიროლოგია, რუსული ლიტერატურა, მსოფლიო ლი-

ტერატურა...)). რეზიუმე უცხო ენაზე არაა სავალდებულო. 19 სტატიიდან მხოლოდ ერთს აქვს რეზიუმე რუსულად (გამოკვეცვა ოსურ ენას ეხება).

ტ. XVIII, 1941

გამოქვეყნებულია 12 სტატია; 9 – ქართულ ენაზე, 3 – რუსულად. უცხოური რეზიუმე აქვს 7 ქართულ სტატიას; ერთ მათგანს 2 ენაზე (რუსულად და ფრანგულად), დანარჩენებს – რუსულად. სარჩევი დაბეჭდილია ორ ენაზე (ქართულად და რუსულად).

ტ. 55, 1954.

გამოქვეყნებულია 19 სტატია; 14 ქართულ ენაზე, 5 – რუსულად. ქართულ სტატიათაგან 7-ს აქვს რეზიუმე რუსულ ენაზე.

ტ. 114 (ფილოლოგიურ მეცნიერებათა სერია), 1965

გამოქვეყნებულია 22 სტატია. ყველა ქართულია. რეზიუმე არა აქვს ორ სტატიას. დანარჩენებს ახლავს რუსული რეზიუმე.

ტ. 138 (B 1) ჰუმანიტარული მეცნიერებანი, 1971

დაბეჭდილია 15 სამეცნიერო სტატია. მათ შორის 2 – რუსულად. ქართულ სტატიებს ახლავს რუსული რეზიუმე, რუსულ სტატიებს – ქართული რეზიუმე. სარჩევი იბეჭდება სამ ენაზე (ქართულად, რუსულად და ინგლისურად).

ტ. 140 (B 2) ჰუმანიტარული მეცნიერებანი, 1971

ტომი საინტერესოა იმით, რომ მასში წერილები გამოქვეყნებულია 3 ენაზე: ქართულად 13; რუსულად 2 და გერმანულად – 7. თითქმის ყველას ახლავს ორი რეზიუმე – ქართულს რუსულ-გერმანულად, გერმანულს – ქართულ-რუსულად, რუსულს – ქართულ-გერმანულად. ამგვარი რთული ენობრივი ვითარება იმის შედეგია, რომ ტომი იენის და თბილისის უნივერსიტეტების ერთობლივი გამოცემაა.

თუმცა ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ რეზიუმეების სისტემა თითქმის სავალდებულო ზდება. მომდევნო ტომებში ძირითადად რუსული რეზიუმეებია, შიგადაშიგ ფრანგული, გერმანული თუ ინგლისური. ინგლისური რეზიუმეები 90-იანი წლებიდან თითქმის მთლიანად ჩაენაცვლა რუსულს.

ჩვენ აქ ბოლო მაგალითები ჰუმანიტარული სერიიდან მოვიყვანეთ. წარმოვადგინოთ 1940 წელს გამოქვეყნებული 7 ტომის (სხვადასხვა დარგის) მონაცემებს სტატიის ენის თვალსაზრისით (თსუ შრომები, ტ. XI-XVII).

მათემატიკა – 1 სტატია რუსულად

ქიმია – 3 სტატია ქართულად, 1 – რუსულად

გეოლოგია – 2 სტატია რუსულად

ბიოლოგია – 2 სტატია ქართულად, 2 – რუსულად

ფსიქოლოგია – 11 სტატია ქართულად

პედაგოგია – 1 სტატია ქართულად

ფილოსოფია – 1 სტატია ქართულად

ეკონომიკური მეცნიერებანი – 5 სტატია ქართულად, 1 – რუსულად

ისტორია – 5 სტატია ქართულად, 5 რუსულად

სამართალი – 1 სტატია ქართულად

ლიტერატურათმცოდნეობა – 2 სტატია ქართულად, 1 რუსულად

ქართული ლიტერატურის ისტორია – 5 სტატია ქართულად

დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორია – 1 სტატია

რუსულად

ენათმეცნიერება – 3 სტატია ქართულად, 2 – რუსულად.

არცერთ რუსულ სტატიას არა აქვს რეზიუმე სხვა ენაზე; ცხადია, არც ქართულად. ქართულ სტატიებს აქვს რეზიუმე რუსულად.

ფაქტია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომების მიხედვით სამეცნიერო ლიტერატურის ენა ქართულია. ოციანი წლების შუა ხანებიდან არცთუ იშვიათია რუსული ენა; უცხოური (ვთქვათ, გერმანული) სპეციალურ ტომში გამოიყენება სტატიის ენად.

სახელმძღვანელოების ენა ჩვეულებრივ ქართულია, გარდა იმ გამოცემებისა, რომლებიც განკუთვნილია იმ განყოფილებებისათვის, რომლებშიც სწავლების ენა არის რუსული (მაგალითად, რუსული

ფილოლოგიის განყოფილება, ფიზიკის ფაკულტეტის რუსული სექტორი...)

90-იან წლებში უნივერსიტეტში გაჩნდა ნაწილობრივ ინგლისურენოვანი განყოფილება – ბიზნესისა; სპეციალური სახელმძღვანელოები ამ განყოფილებისათვის არ გამოცემულა.

აქ წარმოდგენილი სურათი რომ სწორად ასახავს სწავლებისა და შესწავლის ენის ვითარებას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ამის ნათელი მაგალითია „სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემათა ბიბლიოგრაფია 1919-1960“ (თბ., 1961წ.).

ქართული სამეცნიერო ლიტერატურის და შესაბამისად ქართული სამეცნიერო ენის განვითარება მჭიდროდ უკავშირდება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჩამოყალიბებას. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შექმნამდე (1941 წ.) თბილისში არსებობს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი; მას აქვს ინსტიტუტი – კავკასიისმცოდნეობისა. ამ ინსტიტუტის ბაზაზე 1936 წელს შეიქმნა ენის, ისტორიის და მატერიალური კულტურის (ენიმკის) ინსტიტუტი აკად. ნ. მარის სახელობისა. ინსტიტუტს ჰქონდა 10 განყოფილება (ქართველურ ენათა, კავკასიურ ენათა, ლექსიკოლოგიის, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, მახლობელი აღმოსავლეთის ენათა, ტერმინოლოგიის, ზოგადი ენათმეცნიერების, ფილოლოგიის).

ენიმკის გრიფით გამოიცა რამდენიმე მონოგრაფია: ი. ჯავახიშვილისა – „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“ (1937), არნ. ჩიქობავას – „ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი“, „საქართველოს ისტორია“ (ნ. ბერძენიშვილის, ი. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას – 1943). რუსულ-ქართული ლექსიკონი, რამდენიმე ტერმინოლოგიური ლექსიკონი... ამ გამოცემებს თავიანთი მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს, ამიტომ განსაკუთრებულია მათი როლი ქართული სამეცნიერო ენის განვითარებაში. ენიმკი სცემდა პერიოდულ გამოცემებს – „ენიმკის მოამ-

ბე“ და „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“. 1937-1944 წლებში გამოქვეყნდა „ენიმკის მოამბის“ 14 ტომი; „მასალების“ 7 ტომი 21 ნაკეთად. ეს იყო მაღალმეცნიერული ქართულენოვანი გამოცემები.

მაგალითისათვის წარმოვადგენთ „ენიმკის მოამბის“ რამდენიმე ნომერს:

ტ. III, 1938 წ.

გამოქვეყნებულია 19 სტატია. ერთი ფრანგულად (ფრანგი ავტორისა), დანარჩენი — ქართულად. სტატიებს არა აქვთ უცხოური რეზიუმე.

საგანგებო ხასიათისაა IV ტომის I ნაკვეთი (1938წ.). მასში გამოქვეყნებულია ა. შანიძის ვრცელი გამოკვლევა ახლად აღმოჩენილი ალბანური ანბანის შესახებ. წერილი რუსულენოვანია, ახლავს ვრცელი რეზიუმე ქართულად და ფრანგულად. ამავე ნაკვეთში იბეჭდება ი. აბულაძის მოკლე წერილი ამავე თემაზე რუსულად. მიზანი ცხადია — ინფორმაციის უფრო ფართოდ გავრცელება.

სხვა ტომები ჩვეულებრივია:

ტ. V-VI, 1940წ.

გამოქვეყნებულია 32 წერილი. 30 ქართულ ენაზე, 2 — რუსულად. 6 ქართულ წერილს ახლავს რეზიუმე რუსულად და ფრანგულად, 1-ს რუსულად.

ტ. XIV, 1941წ.

გამოქვეყნებულია 15 წერილი. 1 წერილი რუსულ ენაზე; მას ახლავს ქართული რეზიუმე. სამ ქართულ წერილს ახლავს რეზიუმე რუსულ-ფრანგულად, ერთს — რუსულად.

ამგვარად, ისევე როგორც უნივერსიტეტის სამეცნიერო გამოცემებს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შექმნამდე, აკადემიურ გამოცემებსაც ეს პრინციპი აქვს: არაა სავალდებულო უცხოური რეზიუმე. უცხოური რეზიუმეს შემთხვევაში ჩვეულებრივია რუსული; ევროპულ ენათაგან უპირატესობა ეძლევა ფრანგულს.

1940 წელს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის კავკასიის ფილიალის კავკასიისმცოდნეობის ინსტიტუტმა გამოსცა „აკადე-

მიის მოამბე“. 1941 წლიდან – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შექმნის შემდეგ გაგრძელდა აკადემიის მოამბის გამოცემა. წელიწადში გამოდიოდა თითო ტომი ათ ნომრად; მოგვიანებით 12 ნომრად (თვეში ერთი). თუ რა ვითარება იყო ენობრივი თვალსაზრისით, შეიძლება დავინახოთ I-XI ტომების (1949-1950 წლების) გამოცემათა ანალიზის საფუძველზე. ამთავითვე შევნიშნავთ: არაა ერთიანი სტანდარტი. წერილები იბეჭდება ძირითადად ქართულად, ასევე რუსულად, ინგლისურად, გერმანულად, ფრანგულად. ზოგ ქართულ გამოცემას (ნომერს, სტატიას) აქვს პარალელური ტექსტი რუსულ ენაზე, ზოგს აქვს რეზიუმე ერთ ენაზე, ზოგს – ორ ენაზე, ზოგიც რეზიუმეს გარეშეა.

ვითარებას წარმოვადგენთ დარგების მიხედვით იმ თანმიმდევრობით, რა თანმიმდევრობითაც იბეჭდება „აკადემიის მოამბეში“.

I. მარქსიზმ-ლენინიზმი

1. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები.

3 სტატია ქართულად. სამივე პარალელურ რუსულ გამოცემაში.

2. ლიტერატურა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შესახებ.

3 სტატია ქართულად. ერთს აქვს პარალელური რუსული ტექსტი, ორი პარალელურ რუსულ გამოცემაში.

ანუ ყველას აქვს პარალელური რუსული ტექსტი.

II. ფიზიკო-მათემატიკური, საბუნებისმეტყველო და ტექნიკური მეცნიერებანი

1. მათემატიკა

ა) მათემატიკის დაფუძნების საკითხები.

4 სტატია ქართულად; 1 – პარალელურ რუსულ გამოცემაში; 3-ს ახლავს პარალელური რუსული ტექსტი; 1-ს – რეზიუმე ფრანგულად.

5 სტატია რუსულად, 3-ს რეზიუმე ქართულად და ფრანგულად, 1-ს – ქართულად.

ბ) რიცხვთა თეორია და ალგებრა.

7 სტატია ქართულად; 5 – პარალელურ რუსულ გამოცემაში.

1 სტატია რუსულად, რეზიუმე ქართულ ენაზე.

1 სტატია ინგლისურად, რეზიუმე ქართულ ენაზე.

3 სტატია გერმანულად; 1-ს რეზიუმე ქართულად, 1-ს ქართულად და რუსულად.

გ) გეომეტრია

3 სტატია ქართულად; 1-ს რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენაზე; 2 პარალელურ გამოცემაში რუსულ ენაზე.

4 სტატია რუსულად, 4-ეეს რეზიუმე გერმანულ ენაზე.

2 სტატია ინგლისურად, 2-ეეს რეზიუმე ქართულ ენაზე.

დ) ანალიზი და დიფერენციული აღრიცხვა

78 სტატია ქართულად, აქედან 7-ს პარალელური ტექსტი რუსულ ენაზე, 2-ს რეზიუმე რუსულად, 1-ს რეზიუმე ინგლისურად.

49 – პარალელურ გამოცემაში რუსულ ენაზე

56 სტატია რუსულ ენაზე, 2-ს პარალელური ტექსტი გერმანულად, 30-ს რეზიუმე ქართულად, 2-ს ქართულად და ფრანგულად, 5-ს გერმანულად.

2 სტატია გერმანულ ენაზე, 2-ეეს რეზიუმე ქართულად და ინგლისურად

2. ასტრონომია

1 ქართული სტატია. რეზიუმე რუსულად

3 რუსული სტატია, 1-ს რეზიუმე ქართულად და ინგლისურად, 1-ს გერმანულად.

3 ინგლისური სტატია, სამივეს რეზიუმე ქართულად.

3. მექანიკა

ა) ზოგადი საკითხები

2 სტატია ქართულ ენაზე, ორივეს რეზიუმე ქართულად.

ბ) ჰიდროდინამიკა

8 სტატია ქართულ ენაზე, 2-ს პარალელური ტექსტი რუსულად, 1-ს რეზიუმე რუსულად, 1-ს რუსულად და ინგლისურად; 4 პარალელურ გამოცემაში რუსულ ენაზე.

5 სტატია რუსულ ენაზე, 2-ს რეზიუმე ქართულად, 2-ს – გერმანულად, 1-ს გერმანულად და ქართულად.

გ) დრეკადობის თეორია

13 სტატია ქართულ ენაზე, 2-ს რეზიუმე რუსულად. 11 პარალელურ გამოცემაში რუსულ ენაზე.

17 სტატია რუსულ ენაზე, 10-ს რეზიუმე ქართულად, 1-ს – გერმანულად.

დ) მათემატიკური ფიზიკა

4 სტატია რუსულად, 1-ს პარალელური ტექსტი გერმანულ ენაზე.

4. ფიზიკა

ა) ქვანტური მექანიკა

7 სტატია ქართულ ენაზე, 1-ს პარალელური ტექსტი რუსულად, 2-ს რეზიუმე რუსულად. 3 პარალელურ გამოცემაში რუსულ ენაზე.

5 სტატია რუსულ ენაზე, 3-ს რეზიუმე ქართულად.

ბ) ნივთიერების აგებულება. ატომის ბირთვის ფიზიკა. ატომური ენერჯია.

5 სტატია ქართულ ენაზე, 1-ს პარალელური ტექსტი რუსულად, 1-ს რეზიუმე – რუსულად; 3 – პარალელურ გამოცემაში რუსულ ენაზე.

4 სტატია რუსულ ენაზე, 3-ს რეზიუმე ქართულად.

გ) მოლეკულური ფიზიკა, თერმოდინამიკა

9 სტატია ქართულ ენაზე, 2-ს რეზიუმე რუსულად. 7 პარალელურ გამოცემაში რუსულ ენაზე.

დ) ელექტრობა, მაგნეტიზმი, ელექტრონიკა

3 სტატია ქართულ ენაზე, 1-ს პარალელური ტექსტი რუსულად, 1-ს რეზიუმე რუსულად. 1 პარალელურ გამოცემაში რუსულ ენაზე.

4 რუსული სტატია, ოთხივეს რეზიუმე ქართულად.

ე) ოპტიკა

1 რუსული სტატია, რეზიუმე ქართულად

5. გეოფიზიკური მეცნიერებანი

ა) გეოფიზიკა

20 სტატია ქართულ ენაზე, 5-ს პარალელური ტექსტი რუსულად, 3-ს რეზიუმე ინგლისურად, 1-ს რუსულად, 1-ს რუსულ-გერმანულად, 1-ს რუსულ-ინგლისურად. 9 პარალელური გამოცემაში რუსულ ენაზე.

12 სტატია რუსულ ენაზე, 6-ს რეზიუმე გერმანულად, 2-ს ქართულად, 1-ს ინგლისურ-ქართულად.

ბ) მეტეოროლოგია

2 სტატია ქართულ ენაზე, 2 პარალელურ გამოცემაში რუსულ ენაზე.

გ) კლიმატოლოგია

5 სტატია ქართულ ენაზე, 5 პარალელურ გამოცემაში რუსულ ენაზე.

1 სტატია რუსულ ენაზე

დ) ჰიდროლოგია

1 სტატია ქართულ ენაზე, 1 პარალელურ გამოცემაში რუსულ ენაზე.

6. ქიმიური მეცნიერებანი

ა) ფიზიკური ქიმია

17 ქართული სტატია, 11-ს რეზიუმე რუსულად, 4 პარალელურ გამოცემაში რუსულ ენაზე.

9 რუსული სტატია, 3-ს რეზიუმე ქართულად, 4-ს რეზიუმე ქართულ-ინგლისურად.

ბ) არაორგანული ქიმია

10 სტატია ქართულ ენაზე, ათივეს რეზიუმე რუსულად. 2 სტატია რუსულ ენაზე, ორივეს რეზიუმე ქართულად.

გ) ორგანული ქიმია

17 ქართული სტატია, 4-ს რეზიუმე რუსულად, 2-ს რეზიუმე რუსულ-ინგლისურად; 11 პარალელურ გამოცემაში რუსულ ენაზე.

4 რუსული სტატია, 3-ს რეზიუმე ქართულ-ინგლისურად, 1-ს – ქართულად.

დ) ანალიზური ქიმია

5 სტატია ქართულ ენაზე, 1-ს პარალელური ტექსტი რუსულად, 3-ს რეზიუმე რუსულად. 1 პარალელურ გამოცემაში რუსულ ენაზე.

3 სტატია რუსულ ენაზე; 2-ს რეზიუმე ქართულად.

ე) გამოყენებითი ქიმია

13 სტატია ქართულ ენაზე, 2-ს რეზიუმე რუსულად. 11 პარალელურ გამოცემაში რუსულ ენაზე.

4 სტატია რუსულ ენაზე, 1-ს პარალელური ტექსტი გერმანულად, 1-ს რეზიუმე გერმანულად, 2-ს რეზიუმე ქართულად.

7. გეოლოგიური მეცნიერებანი

ა) გეოლოგია

37 სტატია ქართულ ენაზე, 18-ს რეზიუმე რუსულად, 1-ს პარალელური ტექსტი რუსულად; 17 პარალელურ გამოცემაში რუსულ ენაზე.

11 სტატია რუსულად, 5-ს რეზიუმე ქართულად.

ბ) მინერალოგია

6 სტატია ქართულ ენაზე, 1-ს პარალელური ტექსტი რუსულად, 4-ს რეზიუმე რუსულად, 1 პარალელურ გამოცემაში რუსულ ენაზე.

4 სტატია რუსულ ენაზე, 1-ს რეზიუმე ქართულად, 1-ს ქართულ-ინგლისურად.

გ) პეტროგრაფია

18 სტატია ქართულ ენაზე, 6-ს პარალელური ტექსტი რუსულად, 6-ს რეზიუმე რუსულად. 6 – პარალელურ გამოცემაში რუსულ ენაზე.

7 სტატია რუსულ ენაზე, 5-ს რეზიუმე ქართულად, 1-ს ქართულ-ინგლისურად.

დ) პალეონტოლოგია

21 სტატია ქართულ ენაზე, 3-ს პარალელური ტექსტი რუსულად, 3-ს რეზიუმე რუსულად, 1-ს – ინგლისურად; 14 – პარალელურ გამოცემაში რუსულ ენაზე.

3 სტატია რუსულ ენაზე, 1-ს რეზიუმე ქართულ-ინგლისურად.

1 სტატია ფრანგულ ენაზე, რეზიუმე ქართულად

ე) ჰიდროგეოლოგია

3 სტატია ქართულ ენაზე; 3 – პარალელურ გამოცემაში რუსულ ენაზე.

1. გეოგრაფია

4 სტატია ქართულ ენაზე, 4-ვე პარალელურ გამოცემაში რუსულ ენაზე

9. ნიადაგმცოდნეობა

13 სტატია ქართულ ენაზე, 1-ს რეზიუმე რუსულად; 12 პარალელურ გამოცემაში რუსულ ენაზე.

2. ბიოლოგიური მეცნიერებანი

ა) ბიოქიმია

11 სტატია ქართულ ენაზე, 1-ს პარალელური ტექსტი რუსულად, 1-ს რეზიუმე ინგლისურად, 1-ს რუსულად, 1-ს რუსულ-ინგლისურად; 8 პარალელურ გამოცემაში რუსულ ენაზე.

3 სტატია რუსულ ენაზე, 2-ს რეზიუმე ქართულ-ინგლისურად, 1-ს ქართულად.

ბ) გენეტიკა

14 სტატია ქართულ ენაზე, 1-ს პარალელური ტექსტი რუსულად; 7-ს რეზიუმე რუსულად; 3-ს – რუსულ-ინგლისურად, 1-ს – ინგლისურად; 3 პარალელურ გამოცემაში რუსულ ენაზე.

3 სტატია რუსულ ენაზე, 1-ს რეზიუმე ქართულ-ინგლისურად, 1-ს – ქართულად, 1-ს – რუსულ-ინგლისურად.

გ) ემბრიოლოგია

15 სტატია ქართულ ენაზე, 4-ს პარალელური ტექსტი რუსულად, 5-ს რეზიუმე რუსულად, 1-ს ინგლისურად, 1-ს რუსულ-ინგლისურად; 5 პარალელურ გამოცემაში რუსულ ენაზე;

5 სტატია რუსულ ენაზე, 4-ს რეზიუმე ქართულ-ინგლისურად; 1-ს ქართულად.

დ) ბოტანიკა

1 სტატია რუსულ ენაზე

მცენარეთა მორფოლოგია, სისტემატიკა და გეოგრაფიული განაწილება

32 სტატია ქართულ ენაზე, 1-ს პარალელური ტექსტი რუსულად, 9-ს რეზიუმე რუსულად. 22 პარალელურ გამოცემაში რუსულ ენაზე.

25 სტატია რუსულ ენაზე, 19-ს რეზიუმე ქართულად, 1-ს – რუსულად, 1-ს – ინგლისურად, 1-ს – ფრანგულად, 1-ს პარალელური ტექსტი ფრანგულად.

მცენარეთა ანატომია, ფიზიოლოგია, ეკოლოგია

76 სტატია ქართულ ენაზე, 3-ს რეზიუმე რუსულად, 6-ს რუსულ-ინგლისურად, 3-ს – ინგლისურად, 11-ს – პარალელური ტექსტი რუსულად. 25 პარალელურ გამოცემაში რუსულ ენაზე.

30 სტატია რუსულ ენაზე, 14-ს რეზიუმე ქართულად, 4-ს – ინგლისურად, 2-ს – ქართულ-ინგლისურად, 2-ს – ქართულ-ფრანგულად, 2-ს – ფრანგულად, 1-ს – გერმანულად.

ე) ზოოლოგია

1 სტატია ქართულ ენაზე, 1 – პარალელურ გამოცემაში რუსულ ენაზე.

უხერხემლონი

71 სტატია ქართულ ენაზე, 13-ს რეზიუმე რუსულად; 2-ს პარალელური ტექსტი რუსულ-ინგლისურად, 1-ს რუსულად. 55 – პარალელურ გამოცემაში რუსულად, მათგან 1-ს რეზიუმე ფრანგულად, 2-ს – ინგლისურად.

22 სტატია რუსულ ენაზე, 5-ს რეზიუმე გერმანულად, 1-ს – ფრანგულად; 5-ს – ქართულად; 5-ს – ქართულ-ინგლისურად; 1-ს – ინგლისურად.

3 სტატია ინგლისურ ენაზე, 2-ს – რეზიუმე რუსულად, 1-ს რუსულ-ქართულად.

ხერხემლიანები

17 სტატია ქართულ ენაზე, 11-ს რეზიუმე რუსულად, 1-ს – რუსულ-ინგლისურად; 1-ს – ინგლისურად; 1-ს – პარალელური ტექსტი რუსულ-ინგლისურად; 1-ს რუსულად; 3 – პარალელურ გამოცემაში რუსულად.

5 სტატია რუსულ ენაზე; 2-ს – რეზიუმე გერმანულად; 1-ს – ქართულად.

ვ) ჰიდრობიოლოგია

3 სტატია ქართულ ენაზე; 3 პარალელურ გამოცემაში რუსულად.

6 სტატია რუსულ ენაზე; 3-ს რეზიუმე ქართულად, 1-ს გერმანულად.

ზ) ფიზიოლოგია

23 სტატია ქართულ ენაზე, 5-ს რეზიუმე რუსულ-ინგლისურად; 3-ს პარალელური ტექსტი რუსულ-ინგლისურად; 3-ს პარალელური ტექსტი რუსულად; 2-ს რეზიუმე ინგლისურად. 11 პარალელურ გამოცემაში რუსულად; 5-ს რეზიუმე ინგლისურად.

12 სტატია რუსულ ენაზე; 3-ს რეზიუმე ინგლისურად; 1-ს ქართულად, 1-ს – გერმანულად, 3-ს ქართულ-ინგლისურად, 1-ს – ქართულ-გერმანულად.

2 სტატია გერმანულ ენაზე; 2-ვეს რეზიუმე რუსულად;

1 სტატია ინგლისურ ენაზე; რეზიუმე ქართულად.

თ) ანატომია, ჰისტოლოგია

8 სტატია ქართულ ენაზე; 2-ს რეზიუმე რუსულად; 1-ს ინგლისურად, 6 პარალელურ გამოცემაში რუსულად, 3-ს რეზიუმე ინგლისურად.

4 სტატია რუსულ ენაზე; 2-ს რეზიუმე ქართულად, 1-ს გერმანულად.

11. მედიცინა

5 სტატია ქართულ ენაზე; 3-ს რეზიუმე რუსულად, 2 პარალელურ გამოცემაში რუსულ ენაზე.

1 სტატია რუსულ ენაზე; რეზიუმე ქართულად.

12. სოფლის მეურნეობა

ა) მემცენარეობა

26 სტატია ქართულ ენაზე; 5-ს რეზიუმე რუსულად; 1-ს – ინგლისურად. 3 – პარალელური ტექსტი რუსულად. 18 პარალელურ გამოცემაში რუსულ ენაზე.

1 სტატია რუსულ ენაზე.

ბ) მეცხოველეობა

1 სტატია ქართულ ენაზე; რეზიუმე – რუსულ-ინგლისურად.

13. ტექნიკური მეცნიერებანი

ა) საერთო დისციპლინები

5 სტატია ქართულ ენაზე, 1-ს პარალელური ტექსტი რუსულად, 1-ს რეზიუმე რუსულად;

2 სტატია რუსულ ენაზე; 2-ს რეზიუმე ქართულად

ბ) ენერგეტიკა, ელექტროტექნიკა

22 სტატია ქართულ ენაზე; 4-ს რეზიუმე რუსულად; 18 პარალელურ გამოცემაში რუსულ ენაზე.

8 სტატია რუსულ ენაზე; 3-ს რეზიუმე ქართულად.

გ) სამთო საქმე და მეტალურგია

10 სტატია ქართულ ენაზე; 1-ს პარალელური ტექსტი რუსულად; 4-ს რეზიუმე რუსულად; 1-ს – რუსულ-ინგლისურად; 4 პარალელური გამოცემაში რუსულ ენაზე; 1-ს რეზიუმე ინგლისურად.

7 სტატია რუსულ ენაზე; 1-ს რეზიუმე ქართულ-ინგლისურად; 5-ს რეზიუმე ქართულად; 1-ს რეზიუმე რუსულად;

დ) მასალათა ტექნოლოგია და მანქანათმშენობა

5 სტატია ქართულ ენაზე; 5 პარალელურ გამოცემაში რუსულ ენაზე;

2 სტატია რუსულ ენაზე; 1-ს რეზიუმე ქართულად; 1-ს ქართულ-ინგლისურად.

ე) სამშენებლო საქმე

33 სტატია ქართულ ენაზე; 1-ს პარალელური ტექსტი რუსულად; 31 პარალელურ გამოცემაში რუსულ ენაზე;

6 სტატია რუსულ ენაზე; 5-ს რეზიუმე ქართულად.

III. საზოგადოებრივი მეცნიერებანი

1. ისტორია

57 სტატია ქართულ ენაზე; 26-ს რეზიუმე რუსულად; 2-ს - რუსულ-ინგლისურად; 1-ს პარალელური ტექსტი რუსულად.

6 სტატია რუსულ ენაზე

2. ეკონომიკა

2 სტატია ქართულ ენაზე; 2-ს რეზიუმე რუსულად; 1 პარალელურ გამოცემაში რუსულ ენაზე;

3. ენათმეცნიერება

ა) ზოგადი ენათმეცნიერება

6 სტატია ქართულ ენაზე; 4-ს რეზიუმე რუსულად; 2 პარალელურ გამოცემაში რუსულად.

ბ) ქართველური ენები

50 სტატია ქართულ ენაზე; 35-ს რეზიუმე რუსულად; 3-ს რუსულ-ინგლისურად; 10 პარალელურ გამოცემაში რუსულ ენაზე.

3 სტატია რუსულ ენაზე; 1-ს ფრანგული რეზიუმე; 1-ს ქართული.

გ) კავკასიური ენები

22 სტატია ქართულ ენაზე; 18-ს რეზიუმე რუსულად; 1-ს რუსულ-ინგლისურად; 3 პარალელურ გამოცემაში რუსულად;

დ) ინდო-ევროპული, სემიტური და სხვა ენები

12 სტატია ქართულ ენაზე; 2-ს რეზიუმე რუსულად; 2-ს - რუსულ-ინგლისურად;

1 სტატია რუსულ ენაზე.

4. ლიტერატურათმცოდნეობა

28 სტატია ქართულ ენაზე; 24-ს რეზიუმე რუსულად; 4 პარალელურ გამოცემაში რუსულ ენაზე;

4 სტატია რუსულ ენაზე; 4-ს რეზიუმე ქართულად.

5. ეთნოგრაფია

5 სტატია ქართულ ენაზე; 1-ს რეზიუმე რუსულად; 1-ს – რუსულ-ფრანგულად; 3 პარალელურ გამოცემაში რუსულ ენაზე;
1 სტატია რუსულ ენაზე; რეზიუმე გერმანულად;

6. ხელოვნებათმცოდნეობა

15 სტატია ქართულ ენაზე; 4-ს რეზიუმე რუსულად; 10 პარალელურ გამოცემაში რუსულ ენაზე;
1 სტატია რუსულ ენაზე; რეზიუმე ქართულად.

7. ფსიქოლოგია

8 სტატია ქართულ ენაზე; 6-ს რეზიუმე რუსულად.

როგორც ვხედავთ, ვითარება საკმაოდ რთულია, არაერთგვაროვანია. 60-იანი წლებიდან მოხდა გარკვეული სტანდარტის შემუშავება. ქართულ ენას ფაქტობრივ გაუთანაბრეს რუსული ენა. რედაქციის მოთხოვნა ასეთია: „წერილები წარმოდგენილი უნდა იყოს ავტორის სურვილისამებრ ქართულ ან რუსულ ენაზე. ქართულ ტექსტს თან უნდა ახლდეს რუსული და მოკლე ინგლისური რეზიუმე. ხოლო რუსულ ტექსტს – ქართული და მოკლე ინგლისური რეზიუმე“ (მოამბე, 1974).

თუ 60-იან წლებამდე აშკარად ჭარბობდა ქართულენოვანი სტატიები, 60-იანი წლებიდან მოკიდებული (განსაკუთრებით 70-იანი წლებიდან) ჭარბობს რუსულენოვანი სტატიები. ქართულენოვანი ძირითადად ჰუმანიტარულ (ქართველოლოგიურ) დარგებშია.

მაგალითისათვის ერთი ნომერი „მოამბისა“ (ტ. 75, №3, 1974): გამოქვეყნებულია 56 სტატია; 51 რუსულად, 4 ქართულად (ფსიქოლოგია, ენათმეცნიერება, ფილოლოგია, არქეოლოგია). ეს ტიპური ვარიანტია. ამ მოვლენას ხელი იმანაც შეუწყო, რომ მოსკოვი – უმაღლესი საატესტაციო კომისია (BAK) ითხოვს დისერტაციის რუსულ ენაზე თარგმნას. 1975 წლამდე დისერტაცია შეიძლებოდა გაგზავნილიყო BAK-ში ქართულადაც, ხოლო 1975 წლიდან – მხოლოდ რუსულად; იგზავნებოდა ჰუმლიკაციებიც, ამიტომ

ავტორები „იოლებდენ“ საქმეს (აღარ სჭირდებოდათ რუსულად თარგმანა...). ეს პრობლემა მოიხსნა 90-იანი წლებიდან: საქართველოში შეიქმნა სწავლულ ექსპერტთა საბჭო და აღარ იყო საჭირო დისერტაციის მოსკოვში გაგზავნა, მაგრამ ამას ძირითად პუბლიკაციების ენაზე გავლენა არ მოუხდენია.

მეტიც, სწავლულ ექსპერტთა საბჭოს მოთხოვნა არის, დისერტაციის დაცვა გაიმართოს ქართულ ენაზე, მაგრამ უცხოენოვანი პუბლიკაციების რაოდენობა არ იკლებს. მოხდა ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება: უცხო ენათაგან პრიორიტეტი მიენიჭა ინგლისურს. სამეცნიერო კრებულების რეზიუმირება ხდება უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ ინგლისურად. მაგალითად „აკადემიის მოამბის“ თაობაზე აღვნიშნეთ. ასეთივეა ვითარება უნივერსიტეტის შრომების ბოლო ტომებში. გამოვიდა 23 ტომი „საენათმეცნიერო ძიებებისა“. 1-3 ტომში (1980-1983) რეზიუმეები რუსულია. მე-4 – მე-6 ტომებს (1994-96) რეზიუმე საერთოდ არ ახლავს, მე-7 ტომიდან მოყოლებული (1997) ყველა სტატიას ახლავს ინგლისური რეზიუმე (გამონაკლისია XXI ტომი, სადაც რეზიუმე საერთოდ არაა!).

არ იქნებოდა უინტერესო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კიდევ ერთი პერიოდული გამოცემის გაცნობა.

1961 წლიდან მეცნიერებათა აკადემია 10 წლის განმავლობაში გამოსცემდა „საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბეს“. გამოდიოდა წელიწადში 6 ნომერი. ეს გამოცემა 10 წლის მანძილზე ერთგვაროვანი იყო.

გამოცემის პირველ წელს ექვსივე ნომერში გამოქვეყნდა 113 სტატია (ნომრების მიხედვით ასეა განაწილებული: 23-14-15-17-20-24); მათგან 97 ქართულ ენაზე, 16 – რუსულად. რუსული ენის გამოყენებას განაპირობებს ორი ფაქტორი: ავტორთა ვინაობა (არაქართველები: მაგ. ალ. მაჰომეტოვი, ვ. სარბეი...) და თემატიკა; მაგალითად პ. მურადიანის საპასუხოდ (სომხური წარწერები ჯვრის მონასტერში) იბეჭდება წერილები რუსულ ენაზე... ყველა ნომერს აქვს სარჩევი პარალელურად რუსულ ენაზეც. რეზიუმე იშვიათია; მაგალითად 6 ნომერში 4-ს აქვს რუსული რეზიუმე. „საზოგადოებ-

რევი მეცნიერებათა განყოფილების მოამბე“ ამ პრინციპით გამოდიოდა 10 წელი.

შემდეგ (1971 წლიდან) „მოამბე“ დაიშალა. თითქმის ყველა განყოფილება აკადემიისა (ქართული ენა და ლიტერატურა, ისტორია, ქიმია, ბიოლოგია...) გამოსცემს „მაცნეს“. ესაა კვარტალური გამოცემა.

თავიდან „მაცნე“ გამოდიოდა იმავე პრინციპით, რა პრინციპითაც მისი წინამორბედი. წერილები იბეჭდებოდა ქართულად, „ქართულ წერილებს ავტორის სურვილის მიხედვით დაერთვის რეზიუმე რუსულ და ერთ-ერთ უცხო ენაზე“. მაგალითად 1971 წლის პირველ ნომერში გამოქვეყნდა 16 წერილი, მათგან ერთი რუსულად; რეზიუმე ჰქონდა ერთ წერილს, სარჩევი იბეჭდებოდა რუსულ ენაზეც.

ასევე: 1972 წლის ოთხივე ნომერში გამოქვეყნდა 78 წერილი, მათგან 10 რუსულად (ამ შემთხვევაშიც ავტორის სადაურობისა და თემატიკის პრინციპი მოქმედებს). რეზიუმეების რაოდენობა თანდათან იზრდება. 80-იანი წლებიდან რუსული რეზიუმე სავალდებულო გახდა.

აკადემიის სისტემაში უამრავი გამოცემა — ინსტიტუტების შრომები, თემატური კრებულები, ერთჯერადი გამოცემები. ვითარება თითქმის ერთგვარია (ანალოგიური „მოამბის“ ვითარებისა). ჰუმანიტარულ (განსაკუთრებით ქართველოლოგიურ) დარგებში პუბლიკაციების ენა ქართულია. არის არაქართულენოვანი გამოცემებიც.

ერთი ნიმუში: 1946 წელს გამოიცა I ტომი „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერებისა“; 30-ე ტომამდე (1991) სულ რამდენიმე სტატია გამოქვეყნდა ევროპულ ენებზე (მაგალითად, ტ. XVIII, 1973; 1 ფრანგულად, 2 გერმანულად, 9 რუსულად, 22 — ქართულად). XXX-XXXIV ტომები ფაქტობრივ ქართულია (რეზიუმეებიც კი არ ახლავს უცხო ენაზე). თუმცა ეს ერთი უკიდურესობაა. სხვა შემთხვევაში (მაგალითად ტექნიკური გამოცემები) ძირითადად არაქართულენოვანია.

სხვაგვარია თბილისში გამოძავალი საკავშირო გამოცემების ენობრივი ვითარება. მაგალითად: „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწადული“ (I ტ. – 1974წ.; 22-ე ტ. – 2003წ.). სტატიების ენა – რუსულია; რეზიუმეების – ქართული და ინგლისური. რამდენიმე ტექსტი გამოქვეყნდა პარალელურად ქართულ ენაზე.

ანალოგიურია სამეცნიერო სესიების ენაც. თუ კონფერენცია იყო ადგილობრივი ან რესპუბლიკური მნიშვნელობის, სამუშაო ენა იყო ქართული და რუსული, იშვიათად უცხოური. ევროპულ ენაზე წაკითხული მოხსენება ითარგმნებოდა. საერთაშორისო მნიშვნელობის სიმპოზიუმების სამუშაო ენა საქართველოში ქართულთან ერთად იყო ევროპულიც.

თუ ჩვენ მიერ წარმოდგენილ გრძელ ისტორიას გადავავლებთ თვალს, დავასკვნით: XX საუკუნის დასაწყისში, როცა ხდება აღორძინება-დამკვიდრება ქართული სამეცნიერო ენისა; როცა სამეცნიერო ლიტერატურის ენად ფუძნდებოდა ქართული, გაცილებით დიდი იყო ყურადღება ამ საქმისადმი. ეს გასაგებიცაა – იქმნებოდა ფაქტობრივ ახალი რამ. ათეული წლების შემდეგ, როცა შეიქმნა და დამკვიდრდა ქართული სამეცნიერო ენა, განელდა მისადმი ყურადღება, რამაც შეიძლება სავალალო შედეგამდე მიგვიყვანოს. შიში არ არის უსაფუძვლო: უცხოური ტერმინოლოგიის მოჭარბება იმ შემთხვევაშიც, როცა გვაქვს შესაბამისი ქართული ტერმინები; ახალი უცხოური ტერმინების უაპელაციო გადმოტანა – ქართული ენის ბუნების გაუთვალისწინებლად; არასავალდებულოება ქართული ენისა მეცნიერულ აზროვნებაში და მისთანანი ამ შიშის საფუძველს ქმნის.

ლიტერატურა:

მარგველაშვილი, 2000 – ტაძარი (ტექსტის ავტორი პ. მარგველაშვილი), თბილისი, 2000.

მელიქიშვილი, 2000 – პ. მელიქიშვილი, ფრაგმენტი საჯაროდ წარმოთქმული სიტყვიდან: „ბურჯი ეროვნებისა“, №1-2, 2000.

მეტრეველი, 1982 – რ. მეტრეველი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, თბილისი, 1982.

მეტრეველი, 1985 – რ. მეტრეველი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 9, თბილისი, 1985.

მეტრეველი, 1998 – რ. მეტრეველი, ფუძედ დაედო გელათი: „ბურჯი ეროვნებისა“, №2, 1998.

მოამბე, 1974 – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 75, №3, 1974.

ნუცუბიძე, 1968 – შ. ნუცუბიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია: „სკოლა და ცხოვრება“, 1968.

ოქმები – პროფესორთა საბჭოს ოქმები, თბილისი, 2006.

სახალხო საქმე – გაზეთი „სახალხო საქმე“, 1919წ. 2 იანვარი.

ღამბაშიძე, 1986 – რ. ღამბაშიძე, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები, თბილისი, 1986.

შანიძე, 1983 – ა. შანიძე, პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართული სამეცნიერო წრე: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 8, 1983.

ჩიქობავა, 1968 – არნ. ჩიქობავა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ქართული სამეცნიერო აზროვნების აღორძინება, „ცისკარი“, №10, 1968.

ჯავახიშვილი, 1971 – ი. ჯავახიშვილი, ბრძოლა საქართველოში უნივერსიტეტის დაარსებისათვის, თსუ შრომები, 1 (138), 1971.

ჯავახიშვილი, 1948 – ი. ჯავახიშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების ისტორიისათვის, თსუ შრომები, XXX, 1948.

ჯორბენაძე, 1989 – ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, ტ. I, თბილისი, 1989.

ჯორბენაძე, 1981 – ს. ჯორბენაძე, ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თბილისი, 1981.

ჯორბენაძე, 1988 – ს. ჯორბენაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია, თბილისი.

საენათმეცნიერო ტერმინოლოგიის გაქართულება დინამიკაში

ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის წარმოქმნა-ჩამოყალიბებას ხანგრძლივი ისტორია აქვს. თუმცა აქ უნდა გაირჩეს ტრადიციული ქართული სამეცნიერო დარგები და, ასე ვთქვათ, არატრადიციული დარგები. ტრადიციულ ქართულ დარგებს მიეკუთვნება ძირითადად ჰუმანიტარული დარგები, არატრადიციულად განიხილება ძირითადად საბუნებისმეტყველო და ტექნიკური მეცნიერებანი, თუმცა მეტ-ნაკლებად ასეთი მსჯელობა პირობითია.

საინტერესოა გავიხსენოთ გელათის აკადემიაში (დაარსდა 1106 წელს გელათის მონასტერთან დავით აღმაშენებლის მიერ) სწავლება მიმდინარეობდა ტრივიუმისა და კვადრიუმის ციკლების მიხედვით.

ტრივიუმის ციკლის საგნები იყო:

1. ქვეყნის საზომლოდ (ე. ი. გეომეტრია);
2. რიცხუნი (ე. ი. არითმეტიკა);
3. სამუსოდ (ე. ი. მუსიკა).

კვადრიუმის ციკლის საგნები იყო:

1. ფილოსოფია – ა) საქმითი
ბ) მხედველობითი
გ) განმსიტყველობითი
2. რიტორიკა – ა) თანამზრახველობისა
ბ) მეპაექრობისა
გ) დღესასწაულობისა
3. გრამატიკა

4. ვარსკვლავთმრიცხველობად (ე. ი. ასტრონომია)

(ქართ. ენც. 3, 36).

იმავე ეპოქის მეორე საგანმანათლებლო და სამეცნიერო ცენტრში, იყალთოში, გარდა მსგავსი საგნებისა, ისწავლებოდაო მჭედლობა, კერამიკა („მეკეცეობა“), შევენახეობა, მელვინეობა (თავზიშვილი, 1938).

როგორც მიუთითებენ, ეს აკადემიები „ქართული კულტურისა და განათლების მძლავრ კერას წარმოადგენდა... კულტურის მძლავრ კერებად ითვლებოდა საქართველოს საზღვრებს გარეთ დაარსებული საგანმანათლებლო ცენტრებიც, სადაც ინტენსიური მწიგნობრული და სამეცნიერო საქმიანობა წარმოებდა... სწორედ ამ დროს შეიქმნა მყარი ტრადიციები სიტყვათა წარმოებისა და თხზვისა“ (ღამბაშიძე, 1986, 90).

სამწუხაროდ, იმდროინდელი საგანმანათლებლო კერების სასწავლო გეგმებისა თუ პროგრამების შესახებ მასალები ნაკლებად შემოგვრჩა. ჩვენ ძირითადად შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმ სამეცნიერო ნაშრომების მიხედვით, რომლებიც შეიქმნა ამ ცენტრებში. ამ ცენტრებში მოღვაწეთა ორიგინალური თუ ნათარგმნი ძეგლების ენის ანალიზმა ბევრი საინტერესო მასალა გამოავლინა ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის ისტორიისათვის (ყაუხჩიშვილი, 1940; შანიძე, 1946; კახაძე, 1947; აბულაძე, 1964; მელიქიშვილი, 1975 და სხვ.).

მიუთითებენ იმასაც, რომ ბევრი იმ დროს შექმნილი ტერმინი დღესაც არ კარგავს მნიშვნელობას; ეს განსაკუთრებით ითქმის ფილოსოფიაზე, ისტორიულ მეცნიერებებზე თუ სხვა. ენათმეცნიერებაში გამოყენებული არაერთი ტერმინი იმ ეპოქიდან იღებს სათავეს: არსებითი, მეტყველება, სიბრძნის-მეტყველება, გონიერი, ნივთი, ნივთიერი, სულიერი, წარმოება, მსგავსებითი, მოძღვრება, მეცნიერება, სიტყვიერება, იგივეობა, ცვალებადი, მოქმედებითი, რომელობა, რაოდენობა და სხვა (ღამბაშიძე, 1986, 91). ცხადია, იმ ცნებათა შინაარსი, რომლებიც ამ ტერმინებით აღინიშნება, არ შეესაბამება (უმე-

ტესად) დღევანდელ ვითარებას. თუმცა ეს ამჯერად არ არის ჩვენი მიზანი, ეს დამატებითი კვლევის საგანია.

ასე რომ, ფილოლოგიურ, კერძოდ კი ენათმეცნიერულ, ტერმინოლოგიას ქართულ ენაში საკმაოდ ხანგრძლივი და საინტერესო ისტორია აქვს. თუმცა ძველი დროის საგრამატიკო თუ ფილოსოფიური შრომები ნაკლებად შემოგვრჩა. მათ შორის მნიშვნელოვანია მე-11 საუკუნის მეორე ნახევრის გრამატიკული ტარქტატი „სიტყუაჲ ართრონთათჳს“, რომელიც 1990 წელს გამოსცა მ. შანიძემ. მისი აზრით, ტარქტატის ავტორი უნდა იყოს არსენ იყალთოელი. ამჟამად, რომ არსენ იყალთოელი თავის ნაშრომში „ბერძნული ართრონების ფუნქციისა და ბრუნების მიხედვით ფორმაცვალების გვერდით განიხილავს მათ მიმართებას სათანადო ქართულ ფორმებთან. ამ მსჯელობაში ჩვენთვის ფრიად საინტერესოა გრამატიკული ტერმინები და მათი წარმოების წესი“ (უთურგაიძე, 1999, 11).

როგორც ირკვევა, უკვე საკმაოდ მკაფიოდ არის შემუშავებული ტერმინთა წარმოების წესი და საკმაოდ კარგად არის ჩამოყალიბებული საენათმეცნიერო ტერმინოლოგია:

„ტარქტატში გამოყენებულ ტერმინთაგან ბევრი დღემდე შემოგვრჩა; ბუნებრივია, მათ ვხვდებით მე-18 საუკუნის გრამატიკებში; სწორედ მათი საშუალებით გადმოეცა მე-19 და მე-20 საუკუნეებს ეს ტერმინები; კერძოდ: სახელი, ნათესავი „სქესი“, მიცემითი, წოდებითი; ბრუნვათა სახელების წარმოება ხდება საწყისთა ფორმებიდან წარმოქმნილი -ით სუფიქსით: მიცემა – მიცემითი, წოდება – წოდებითი... აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ტერმინთა წარმოების ეს ყალიბი უფრო ადრეც გვხვდება ქართულ სახელთა დერივაციაში“ (უთურგაიძე, 1999, 11-12).

მიუთითებენ იმასაც, რომ არის შემთხვევები, როცა ბერძნული ტერმინი პირდაპირ გადმოაქვთ ქართულად, არის შემთხვევები, როცა მისი ქართული შესატყვისი კეთდება (ფაქტობრივ ითარგმნება). ჩვენი შემთხვევისათვის ამ თემაზე ვრცლად აღარ გავაგრძელებთ მსჯელობას... ამის თაობაზე არსებობს სპეციალური ლიტერატურა

(ქურციკიძე, 1983; რაფაეა, 1983; ღამბაშიძე, 1986; ფოცხიშვილი, 1995; სარჯველაძე, 1984 ქაროსანიძე, 2006 და სხვა).

ერთს კი აღვნიშნავთ: „სიტყვად ართრონთათუს“ არ ჩანს ერთადერთი ნაშრომი საგრამატიკო ხასიათისა იმ დროისათვის. მ. შანიძე ასეთ დასკვნას გეთავაზობს: „სიტყუად ართრონთათუს“ არის უტყუარი საბუთი იმისა, რომ ქართველებს XI-XII საუკუნეებში მართლაც ჰქონდათ გრამატიკული ლიტერატურა; ეს იმასაც მოწმობს, რომ მოგვიანო ეპოქაში XVI-XVII საუკუნეების მწიგნობართ წინ დაუხვდათ ენათმეცნიერული კვლევის ხანგრძლივი ტრადიციები. როგორც ირკვევა, ამ ტრადიციათა ჩამოყალიბებას ხელს უწყობდა არა სომხური, არამედ ბერძნული კულტურის გარემო“ (შანიძე, 1990).

ამასაც აღვნიშნავთ: „ის ფაქტი, რომ ძველი ქართული სალიტერატურო ენა ნორმებს მტკიცედ იცავს, საფუძველს იძლევა, ვივარაუდოთ ძველ პერიოდში გარკვეული ტიპის გრამატიკის, ან ნორმათა კრებულის არსებობა“ (სარჯველაძე, 1984, 198).

განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო XVIII-XIX საუკუნეები ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის განვითარების თვალსაზრისით. ამ პერიოდში ზ. შანშოვანიდან („მოკლე ღრამმატიკა ქართულისა ენისა, ქმნული ზურაბ შანშოვანისაგან, 1737 წელსა“) მოყოლებული არაერთი პრაქტიკული გრამატიკა შეიქმნა. განუსაზღვრელია მნიშვნელობა ანტონ პირველის გრამატიკისა. „ანტონის გრამატიკა არსებითად პირველი გრამატიკაა ქართული ენისა, მასთან ყველაზე ვრცელი პრაქტიკულ (წინარემეცნიერულ) გრამატიკათა შორის, რაც კი დღემდე დაწერილა“ (ჩიქობავა, 1965, 90) და მას „ემყარება რიგი გრამატიკა ქართული ენისა XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში და XIX საუკუნის პირველ მეოთხედში“ (იქვე, 19). კიდევ ერთი შეფასება: „ანტონ პირველის „ქართული ღრამმატიკის“ მნიშვნელობა არა მარტო იმით განისაზღვრება, რომ ეს არის პირველი სრული სასკოლო გრამატიკა, არამედ იმითაც, რომ მისი გავლენა შემდგომი დროის გრამატიკოსებზე დიდზე დიდი იყო და გრამატიკული აზრის განვითარება საქართველოში სრულად არ იქ

ნება წარმოდგენილი, თუ ანტონის გრამატიკა გამოწველილვით არ იქნება შესწავლილი“ (ბაბუნაშვილი, 1970, 3).

ი. აბულაძის თქმით, „ზ. შანშოვანის „ქართულ გრამატიკას“ მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა აქვს. იგი პირველი ცდაა ქართული გრამატიკის შედგენისა“: ცდა, რომელსაც ზურაბის თანამედროვეთაგანი და ახლო თანამშრომელი – ვახუშტი ბატონიშვილი – სამართლიანად უყურებს როგორც „გზას ღრამატიკისას უსრულს“ (აბულაძე, 1940, 158). მიუხედავად იმისა, რომ ზ. შანშოვანის გრამატიკა სომხური გრამატიკის მიხედვით იქმნებოდა (ჩიქობავა, 1965, 87), მასში არის ზოგი ფასეული დაკვირვება. ტერმინოლოგიური სიახლე, რაც „უცვლელად (ანდა ერთგვარად ცვლილი) ანტონის გრამატიკაშიც იყო შემდეგ გამოყენებული და ქართული ენის გრამატიკაში დამკვიდრდა (ამჟამად ძნელია იმის თქმა, აქედან რა უკვე მოიპოვებოდა და რა არის ზ. შანშოვანის შექმნილი. საგრამატიკო ტერმინების ისტორია ქართული ენის გრამატიკის ისტორიას განიშნებს. საკითხს ცალკე შესწავლა ესაჭიროება“ (ჩიქობავა, 1965, 87).

ამდენად, ანტონი გარკვეულად ემყარება წინამორბედ გრამატიკოსთა (ყოველ შემთხვევაში ზ. შანშოვანის) მონაპოვარს, ისევე, როგორც ზ. შანშოვანი, ივარაუდება, ადრინდელ გრამატიკებს – ქართული თუ სხვა ენებისას: მაგრამ მთავარი ისაა, რომ პირველად ქართულ სინამდვილეში ანტონმა შეძლო სისტემური სახე მიეცა. ერთგვარად შეეჯამებინა არსებული და განეგრძო იგი თავისი უბადლო ნიჭის წყალობით; ფაქტობრივ შეექმნა სრული გრამატიკა ქართული ენისა და საფუძველი მოემზადებინა ქართული ენის შემდგომი კვლევისათვის.

ორიოდე სიტყვა კვლავ ანტონის გრამატიკაზე. როგორც ცნობილია, ანტონის გრამატიკის ორი ვარიანტი არსებობს: პირველი – 1753 წლისა და მეორე – 1767 წლისა. ჩვენი მსჯელობა ემყარება მეორე ვარიანტს, რომელიც პირველად რ. ერისთავმა გამოსცა 1885 წელს, ხოლო მეორედ 1997 წელს გამოიცა; ტექსტი გამოსაცემად

მომზადეს ე. ბაბუნაშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. კიკნაძემ. ლექსიკონი დაურთო ე. ბაბუნაშვილმა.

ჩვენ სწორედ ეს თანდართული ლექსიკონი გვაინტერესებს ამჯერად. ეს არის გრამატიკულ ტერმინთა მოკლე ლექსიკონი, რომელშიც სამასამდე ტერმინია განმარტებული (ანტონი, 1997, 397-406), როგორც გამომცემელი წერს, „ანტონის გრამატიკულ ნაზრევში გარკვევის გასაადვილებლად“ (იქვე, 7). საგანგებო კვლევის გარეშე შეუძლებელია ანტონის მიერ გამოყენებულ ტერმინებზე მსჯელობა. ყურადღება უნდა მივაპყროთ იმას, რომ ანტონი თავად წერს: „და მუნვე როსსიასა შინა ყოფასა ჩემს ვიკითხვდი ელიზურისა და ლათინურისა და ფრანცისულისა და იტალიანურისა და გერმანულისა და რუსულისა ენათა მეცნიერად, ვითარმედ ვითარიმე იყო გუარი მარებად ნაწილთა სიტყვსათა და სახელთა მათთა ენათა მათ შორის თქმულთა“ (ანტონი, 1997, 9). ასე რომ, ამ ტერმინთაგან რომელი არის აღებული რომელი ენიდან, კალკირებული თუ თარგმნილი, მიხედვით გაკეთებული თუ შექმნილი, საგანგებო კვლევის გარეშე ამის გარკვევა ძნელია. ჩვენთვის ისაა საგულისხმო, რომ ანტონის გავლენა გასდევს მთელ XVIII-XIX საუკუნეებს და, როგორც ითქვა, ბევრი ტერმინი ანტონის მიერ შექმნილი თუ ანტონის მიერ გამოყენებული დღესაც არ კარგავს მნიშვნელობას, თუმცა ამ ტერმინით აღნიშნული ცნება შეიძლება განსხვავებული იყოს.

მაგალითისათვის, იმავე მნიშვნელობით იხმარება ანტონის მიერ გამოყენებული ტერმინები: ასო, ბრძანებითი, დადებითი (ზარისხი), მარცვალი, ნამყო, სახელზმნა, სქესი, მარცვალი, ქვემდებარე, შორისდებული, უკუთქმითი, ჩვენებითი (ზმნიზედა) და სხვა...

განსხვავებული შინაარსით გამოიყენება: არსებითი (ზმნა), აღმატებითი, განუსაზღვრელი (სიტყვა, სქესი...), დაწყებითი (კავშირი), მოქმედებითი (წინადადებაში რომელიმე წევრის რეალურად არსებობა), ნათესაობითი (წარმოქმნილ სახელთა ჯგუფი), პირობითი (პირიანი ზმნა), საზოგადო (ქარაგმის სახეობა), სქესი (ზმნის კილო) და სხვა...

ხშირია შემთხვევა, როცა ანტონი ბერძნულ-რომაულ ტერმინებს უცვლელად გადმოიღებს: იპოდოსტოლი (= გარემორთხული), იპოტეტიკა (= თუბითი სქესი), კანკლელობა (ბრძანება), ლატრია (ქარაგმის სახე), ოკსია (მახვილი), პროსოდიანი (თქმა), სტილმა (წერტილი), ღრამში (ასო, ბგერა) და სხვა; თუმცა ისიც საგულისხმოა, რომ ზოგი ამ ტერმინთაგანი სინონიმურად გამოიყენება: მახვილი, თქმა, ასო... რა შემთხვევაში გამოიყენება ლათინური და რა შემთხვევაში ქართული, ამჯერად ძნელი სათქმელია, ამას ძიება უნდა.

„ტერმინოლოგიური თვალსაზრისით სრული აღმავლობა გამოჩენილი ქართველი ლექსიკოგრაფის სულხან-საბა ორბელიანის (1658-1725) სახელს უკავშირდება, როდესაც მწერლობასთან ერთად კვლავ აღორძინდა ჩვენში ფილოსოფიური აზროვნება და ლიტერატურა. მისი ლექსიკონი ცნებათა უჩვეულო დეტალიზაციისა და მეცნიერული განსაზღვრის თვალსაზრისით დღესაც ერთ-ერთი ძირითადი წყაროა ამა თუ იმ დარგის ტერმინების შემუშავების დროს“ (ღამბაშიძე, 1986, 92).

განსაკუთრებით ინტენსიური იყო ტერმინოლოგიური მუშაობა XIX საუკუნეში. ჩვენ აქ არ ვაპირებთ ამ მუშაობის დეტალურ განხილვას, დავასახელებთ მხოლოდ ძირითად ფაქტებს ამ პრობლემასთან დაკავშირებულს, რომ საერთო სურათი შეიქმნას, დღევანდელი ვითარება საენათმეცნიერო ტერმინოლოგიისა რა ტრადიციებს ემყარება, რა გზა გაიარა მან და რამდენად სწორად შეიძლება შეფასდეს თანამედროვე მდგომარეობა.

როცა XIX საუკუნის ტერმინოლოგიურ საქმიანობას ვეხებით, უპირველესად დავით და იოანე ბაგრატიონების ლექსიკოგრაფიული მოღვაწეობა უნდა გავისხენოთ. ისინი არა მარტო აგრძელებენ წინამორბედთა ტრადიციებს (განსაკუთრებით ს.-ს. ორბელიანისა), არამედ ქმნიან ახალი ტიპის ორენოვან და მრავალენოვან ლექსიკონებს; ისინი არიან პირველი დარგობრივი ლექსიკონების ავტორები (ქუთათელაძე, 1967); დიდძალ ტერმინოლოგიურ მასალას შეიცავს იოანე

ბაგრატიონის „ექსტომიანი“ (40 000 სიტყვის შემცველი) რუსულ-ქართული ლექსიკონი, შედგენილი 1807 წელს; მასში შეტანილია, ერთი მხრით, ტერმინები ცოდნის ისეთი დარგებიდან, როგორიცაა: ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ეთიკა, ლოგიკა, იურისპრუდენცია, მითოლოგია, ენათმეცნიერება, პოეტიკა, რიტორიკა, გრამატიკა, ისტორია და, მეორე მხრით, სოფლის მეურნეობასა და მრეწველობასთან, რელიგიურ რიტუალებსა და სამხედრო ცერემონიალთან დაკავშირებული სიტყვები, სამედიცინო, ბოტანიკური და ზოოლოგიური ტერმინები. მხოლოდ ბუნებისმეტყველებასთან დაკავშირებული ტერმინები 5 000-მდეა. ეს თარგმნით-განმარტებითი ლექსიკონი, რომელშიც თავმოყრილია დიდძალი დიალექტოლოგიური მასალა, თანამედროვე ლექსიკოგრაფიის თვალსაზრისით დიდი ინტერესს იწვევს“ (ღამბაშიძე, 1986, 95). ისიცაა საგულისხმო, რომ იოანე ბაგრატიონისთვის ხელმისაწვდომია რამდენიმე ენა: რუსული, თურქული, არაბული, სპარსული, სომხური, ფრანგული, ლათინური... ეს გარკვეულ ფასს სდებს მის ნაშრომს...

საგანგებო შესწავლის საგნად უნდა იქცეს სამოციანელთა ტერმინოლოგიური მოღვაწეობა. არის ცალკეულ ავტორთა შესახებ არსებულ გამოკვლევებში ამის თაობაზე საუბარი (მაგალითად: შალამბერიძე, 1966; ძიძიგური, 1963 და სხვა). მაგრამ ესაა ზღვაში წვეთი, თუ გავითვალისწინებთ ი. გოგებაშვილის, რ. ერისთავისა და სხვათა დამსახურებას ამ სფეროში. განსაკუთრებით კი რ. ერისთავის მოღვაწეობას, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს XIX საუკუნის II ნახევრის საქართველოში მამამთავრად ტერმინოლოგიური მუშაობისა.

1882 წელს გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნდა, ფაქტობრივ, განცხადება: „ტერმინოლოგიის უქონლობა აბრკოლებს როგორც სხვადასხვა სახელმძღვანელოთა შედგენას, ისე დედაენაზედაც სწავლებას, რადგან მასწავლებლებს არა აქვთ სკოლაში სახმარებელი სხვადასხვა საგნების ტერმინები, რომელნიც აუცილებლად საჭიროა სკოლაში ადვილად და თავისუფლად სწავლის წაყვანისათვის“

(„დროება“, № 225, 1882) ამ განცხადების ავტორები იყვნენ თბილისის სახელოსნო სასწავლებლის მასწავლებლები ა. ლულაძე და ი. მრეველიშვილი.

ყურადღებას მივაპყრობთ: ქართული ტერმინოლოგიის უქონლობა

ა) აბრკოლებს სახელმძღვანელოთა შედგენას;

ბ) აბრკოლებს დედაენაზე სწავლებას და

ბ) ხელს უშლის სწავლის პროცესის ადვილად და თავისუფლად წაყვანას.

საკითხი პრინციპულად სწორადაა დასმული. იქვე ტერმინოლოგიის ერთგვაროვნებაზეც არის ყურადღება გამახვილებული: „ტერმინები გვაქვს, მაგრამ გაფანტულია; საჭიროა მათი შეკრება და გამოცხადება საყოველთაო სახმარებლად, რომ ყველგან ერთგვარი ტერმინების ხმარება იქნეს შემოდებული და არა ხელმძღვანელობდეს მასწავლებელი თავისთავად მოგონებულის ტერმინებით“ (იქვე).

ამ განცხადებას საკმაოდ საინტერესო გამოსხმაურება მოჰყვა. იმჟამინდელი ინტელიგენცია ხედავს პრინციპულ აუცილებლობას ქართული ტერმინოლოგიის შემუშავებისას; ტერმინთა უნიფიცირების საკითხი მწვავედ დაისვა: „დღევანდლამდის, ვინც კი მოჰკიდებდა ხელს, მარტო თავის ქეიფზედ აგებდა ტერმინებს და ამის გამო ლიტერატურაში ერთსა და იმავე საგნის სახელად ას ტერმინს შეხვდებით, რომელიც რევს და უკან აყენებს საქმეს“ („დროება“, № 258, 1887).

1882 წელს შეიქმნა საგანგებო ტერმინოლოგიური კომისია. თუ რამდენად სერიოზული იყო ეს საკითხი, იქიდანაც ჩანს, რომ კომისიის წევრები იყვნენ: ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ი. მაჩაბელი, ზ. ჭიჭინაძე და სხვანი – კომისიის თავმჯდომარედ რ. ერისთავი აურჩევიათ.

გაზეთ „შრომაში“ გამოქვეყნდა სხდომის ანგარიში, რაშიც საორგანიზაციო საკითხები განიხილებოდა; რა პრინციპით უნდა შეემუშავებინათ ტერმინები: „რ. ერისთავი, ა. წერეთელი და სხვები მოითხოვდნენ: 1. შევიტყოთ რა ტერმინები გვაქვს ქართულ ენაზე,

გადავხედოთ ძველ წიგნებს, რომლებიც ახლა დავიწყებულია, ამისთვის საჭიროა კრებამ რიგ-რიგად განიხილოს ძველი სამეცნიერო წიგნები, შეკრიბოს ყველა ქართულ ენაზე ნახმარი ტერმინები. 2. ის, რაც ძველ წიგნებში რიგიანადაა ნახმარი, უცვლელად შემოვიტანოთ, 3. ურიგოდ ნახმარი გადავაკეთოთ. 4. ტერმინები, რომლებიც ჩვენ ენაზე სრულებით არ არიან ნახმარი, შემოვიტანოთ სხვა ხალხის ენიდან... ამის წინააღმდეგნი იყვნენ: ი. ჭავჭავაძე და ი. გოგებაშვილი. ისინი ამტკიცებდნენ, რომ: 1. ასე წამოწყებული საქმე შორს ვერ წავა. შესაძლებელია, ჩვენთვის საჭირო სიტყვები ძველ წიგნებში ცუდად იყოს ნახმარი; 2. უმჯობესია, კრება თავიდანვე შეუდგეს ტერმინების დამუშავებას და დრო არ დაჰკარგოს ძველი წიგნების ჩიჩქნაში“ („შრომა“, № 46, 1882). ეს ვრცელი ამონაწერი იმისთვის მოვიყვანეთ, წარმოდგენა შევიქმნათ იმ საქმიანობაზე, რომელიც გაიმართა XIX საუკუნის მიწურულს. შედეგად დამუშავდა არაერთი მნიშვნელოვანი ტერმინოლოგია. ამ მხრივ ფასდაუღებელია

რ. ერისთავის მოღვაწეობა (იხ.: იორდანიშვილი, 1968). ეს პერიოდი ტერმინოლოგიური კვლევა-ძიებისა მეტ ყურადღებას იმსახურებს... ისიც საგულისხმოა, რომ იმდროინდელი ქართული პრესა დიდ ინტერესს იჩენდა ამ სამუშაოსადმი და სისტემატურად აშუქებდა (უფრო დაწერილებით ამის თაობაზე იხ. ღამბაშიძე, 1986. იქვე შეგიძლიათ გაეცნოთ ბიბლიოგრაფიასაც, იმჟამად პრესაში გამოქვეყნებული ნაშრომებისა).

ყოველივე ამან საკმაოდ მყარი ნიადაგი მოუშადა XX საუკუნის ტერმინოლოგიურ საქმიანობას. ჩვენ ამჯერად ყურადღებას ვამახვილებთ ენათმეცნიერულ ტერმინოლოგიაზე, თუმცა ზოგჯერ არ მოხერხდება ასე განცალკავებება — საერთო პრობლემატიკიდან გამომდინარე.

ტერმინოლოგიური მუშაობა განსაკუთრებით ფართო ხასიათს იძენს XX საუკუნეში. ამისათვის არსებობს ხელშემწყობი რამდენიმე პირობა:

- ა) ვითარდება მეცნიერების სხვადასხვა დარგი;
- ბ) იქმნება ეროვნული განათლების სისტემა;
- დ) ფუძნდება სხვადასხვა ტიპის უმაღლესი თუ სპეციალური სასწავლებლები.

როგორც აღნიშნავდნენ, XX საუკუნის დასაწყისიდან ყველა ტიპის სასწავლებელში ძირითადი საგნები ქართულ ენაზე იკითხებოდა. ამ თემას ჩვენ ჩვენს წინა სტატიაშიც შევეხეთ – სამეცნიერო ლიტერატურის ენა. განსაკუთრებით უნივერსიტეტის დაარსებას აქვს ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა.

შეიმჩნევა ორი მიმართულება, ერთი ესაა ძირითადად 20-იან წლებში ტექნიკური დარგის სეციალისტთა პოზიცია. XX საუკუნის მეორე ათწლეულში შეიქმნა საქართველოს ტექნიკური საზოგადოება, რომელმაც 1920 წელს გამოსცა „რუსულ-ქართული ტექნიკური ლექსიკონი“ (ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ნაწილი). როგორც აღნიშნავენ, ამ ლექსიკონს ბევრი ნაკლი ჰქონდა. ეს არ იყო გამოწვეული მხოლოდ იმით, რომ თითქმის პირველი ცდა იყო ტექნიკური ტერმინოლოგიური ლექსიკონის გამოცემისა, აქ არსებითი ის იყო, რომ „ავტორებისათვის მთავარი ღოზუნგი იყო ინტერნაციონალურ ტერმინთა სრული უგულებელყოფა, ყველა ტერმინისათვის ქართული შესატყვისის დაძებნა. ამიტომაც იყო, რომ საერთაშორისო ტერმინთა ქართული თარგმანები ლექსიკონში ხელოვნურ ხასიათს ატარებდა (бензин – ბანყინი, кантора – ანგარანი, депо – საყუდი, комплект – საესი, монополия – ხოლოუფლება, термин – სახელსახი, итструкция – ხელსაძღვანო და სხვა) (ღამბაშიძე, 1986, 102).

მიუთითებენ იმასაც, რომ ახალ ტერმინთა შექმნისას „ავტორებისათვის ხან ხალხური ეტიმოლოგიზაციის პრინციპი იყო ამოსავალი, ხან ემოციურ-ექსპრესიული, ხან კეთილზმონებისა ანუ ევფონიისა, ხან კი ქართული სიტყვაწარმოების თვალსაზრისით სრულიად გაუგებარი გზა იყო არჩეული (არ იყო გამჭვირვალე სიტყვის შედგენილობა, მისი კომპონენტები – ძირი, მაწარმოებელი, აფიქსები

და სხვ.). ამიტომაც იყო, რომ ეს ფორმები ფეხს ვერ იკიდებდა და ენა ადვილად იცილებდა მათ თავიდან“ (ლაბაშიძე, 1986, 103).

ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა პრინციპი ტერმინოლოგიური მუშაობისა. ვუკოლ ბერიძის აზრით, „ეს ლექსიკონი წარმოიშვა როგორც რეაქცია, როგორც პასუხი თვითმპყრობელურ, გამარუსებელი პოლიტიკისა (ბერიძე, 1952, 30). ეს ძალზე საინტერესო დასკვნაა: საუკუნოვანმა ანტიქართულმა პოლიტიკამ, რუსიფიკაციის ინტენსიურმა პროცესმა წარმოშვა ეს რეაქცია. ერთ-ერთ ავტორს ამ ლექსიკონისა, გიორგი ნიკოლაძეს, დღიურში ჩაუწერია: „მე გაქართულებას, ცხადია, გაღმა გადავების მიზნით ვქადაგებ, თორემ გიჟი ხომ არა ვარ, რომ მათემატიკას, ქიმიას ან ფიზიკას სახელების შეცვლას ვუპირებდე, ან მოველოდე ჩვენი პლანეტის რომელიმე კუთხეში“ (ნიკოლაძე, მოგონებები; ვიმოწმებთ რ. ლაბაშიძის წიგნიდან, 103). ამ პრინციპმა არ გაამართლა. ეს პრინციპი გახდა 1921 წელს შექმნილი სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს მსჯელობის საგანი. ამ საბჭოს ფაქტობრივი თავმჯდომარე იყო ივანე ჯავახიშვილი (ოფიციალურად მოადგილე; თავმჯდომარე იყო განათლების სახალხო კომისარი დ. კანდელაკი) (ჯორბენაძე, 1981, 349). „ივანე ჯავახიშვილის მეთაურობით სამეცნიერო საბჭო არ ზოგავდა დახარჯულ დროს, ენერგიას სამეცნიერო ტერმინოლოგიის დამუშავებაზე. პირველ სამ წელს 165 სხდომა ჩაატარა სამეცნიერო საბჭომ და ყველაზე დიდი დრო სწორედ სამეცნიერო ტერმინოლოგიაზე მუშაობას მოანდომა. არა მარტო ჰუმანიტარული დარგების ტერმინოლოგია შემუშავდა“ (ჯორბენაძე, 1981, 351). ჩვენ ამჯერად ჰუმანიტარული, კერძოდ საენათმეცნიერო ტერმინოლოგია გვინტერესებს. ამ თვალსაზრისით საგანგებოდ უნდა აღინიშნოს სწორედ ივანე ჯავახიშვილის დამსახურება.

ჩვენ სახელმწიფო სამეცნიერო საბჭო ვახსენეთ. ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობა ტერმინოლოგიური თვალსაზრისით გაცილებით ადრე დაიწყო. 1938 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 20 წლისთავზე ი. ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „პირველი, რასაც უნდა მიქცეოდა ყურადღება, ეს იყო ქართული კულტურის შე-

სწავლა; ქართული კულტურის ცოდნა მოგვეცემდა საშუალებას, იმ ძველი მარაგის გამოსაყენებლად, რომელზედაც აღმოცენებულიყო, თუ გნებავთ, აღმდგარიყო მკვდრეთით ძველი ქართული მეცნიერება – ოდესღაც მდიდარი, მაგრამ შემდეგ დაკნინებული. ამ მიზნით საჭირო იყო ტერმინოლოგიის მასალების დაგროვება, ამასთანავე, საშუალება უნდა ჰქონოდა ახალგაზრდობას, მეცნიერება შეესწავლა ქართულად და მსჯელობის უნარი გამოემუშავებინა. ამისთვის 1907 წელს დაარსებული იყო პეტერბურგში ქართული სამეცნიერო წრე. თითქოს სრულიად მარტივი და უმნიშვნელო ამბავია, მაგრამ ამ სამეცნიერო წრეში სტუდენტები რომ თავს იყრიდნენ, მსჯელობა წარიმართებოდა ქართულად“ (ჯავახიშვილი, 1971, 10).

ერთ-ერთი მიზანი ამ წამოწყებისა, როგორც ითქვა, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის დამუშავება იყო. ძირითადად ამ წრეში ჰუმანიტარები იყვნენ, მაგრამ, როგორც აღნიშნავენ, ეს „წამოწყება მარტოოდენ ჰუმანიტარულ დარგებში მეცნიერული ტერმინოლოგიის დახვეწა-დაწინაურებით როდი იზღუდებოდა (ჯორბენაძე, 1981, 148).

ივანე ჯავახიშვილი არ იზღუდებოდა ამ წრის ხელმძღვანელობით და „1908 წელს თბილისში ქართველ ინტელიგენტთა დიდი ჯგუფი შეკრიბა (40 კაცამდე), სადაც ქართული ტერმინოლოგიის შემუშავების საკითხები დააყენა“ (ჯორბენაძე, 1981, 351). ი. ჯავახიშვილი მიზნად ისახავს ქართული სამეცნიერო ლექსიკონის შემუშავებასა და გამოცემას. ესაა ფაქტობრივ ტერმინოლოგიური ლექსიკონი. ამ მიზნით 1913 წელს ი. ჯავახიშვილს ვ. ბერიძის, ს. გორგაძის, კ. კეკელიძისა და ა. შანიძის თანაავტორობით წიგნაკი გამოუცია, სადაც საუბარი ყოფილა „იმ დიდ როლზე, რაც ქართული სამეცნიერო ლექსიკონის შექმნას შეუძლია შეასრულოს“ (ჯორბენაძე, 1981, 351). წიგნაკში წერდნენ თურმე: „ეს საჭიროა თავადაზნაურთა და ინტელიგენციის იმ გადაგვარებული წრეებისათვის კი არა, რომელნიც ქართულზე მწყრალად ბრძანდებიან და დედა-ენის დაკნინება სრულებითაც არ აწუხებთ იმიტომ, რომ პირადი კეთილდღეობა და დაწინაურება შეადგენს მათს უმთავრეს საზრუნავს. არამედ ჩვე-

ნი ხალხის და ეროვნების იმ უმრავლესობისათვის, რომლისთვისაც ქართული წინანდებურად სტიქიურად დედა-ენაა და მისი აზროვნებისა და გრძნობების ერთადერთი გამომხატველი“ (ვამოწმებთ: ჯორბენაძე, 1981, 351).

ასე რომ, საუკუნის დასაწყისში დაწყებული ტერმინოლოგიური საქმიანობა წარმატებით გაგრძელდა 20-იან წლებში. ტექნიკური ტერმინოლოგიის შემდგენელთა მთავარი ლოზუნგი გვახსოვს: ყველაფერი ქართულად. ი. ჯავახიშვილი შენიშნავდა ამის პასუხად, რომ „ტერმინების ამ ხელოვნური სუროგატების შესწავლა უფრო ძნელი იქნებოდა, ვიდრე არსებული საერთაშორისო ტერმინებისა“ და სამი ძირითადი პრინციპი აიღეს სახელმძღვანელოდ:

1. როდესაც ორი ტერმინია, ერთი საერთაშორისო და მეორე ქართულად ნათარგმნი, მაგრამ უვარგისი ენის კანონებისა თუ მნიშვნელობის თვალსაზრისით, რჩება საერთაშორისო და ქართული უარყოფილი უნდა იყოს.

2. როდესაც მეორე ქართული ტერმინები წესიერად არის ნაწარმოები და შეეფერება ცნებას, ორივე ტერმინი რჩება.

3. თუ რამდენიმე ქართული ტერმინია, უპირატესობა ეძლევა იმას, რომელიც ენის კანონების თვალსაზრისით წესიერად არის ნაწარმოები (იხ. ჯორბენაძე, 1981, 352-353).

ეს იყო პრინციპები, რომელთა მიხედვითაც შეიქმნა მათემატიკურ ტერმინთა ლექსიკონი 1925 წელს, ლიტერატურისა და ენათმეცნიერების ტერმინოლოგია 1928 წელს... ჩვენ ეს უკანასკნელი გვიანტერესებს, თუმცა მანამდე გვინდა შევხვთ აკაკი შანიძის წვლილს ქართული საენათმეცნიერო ტერმინოლოგიის შემუშავებისა და დახვეწის საქმეში.

XX საუკუნის ქართულ საენათმეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნაში განუზომელია აკაკი შანიძის როლი და მნიშვნელობა.

ა. შანიძეს პრინციპული დამოკიდებულება აქვს სამეცნიერო ტერმინოლოგიისადმი. იგი, ცხადია, ზედმიწევნით იცნობს ტრადიციულ ტერმინოლოგიას, როგორც ქართულ ენაზე არსებულს, ისე

უცხოურს. თავისი მოღვაწეობის დასაწყისში იგი სამეცნიერო შრომებს წერს როგორც ქართულ, ისე რუსულ ენებზე; იგი არის თავმჯდომარე ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრისა პეტერბურგში და აქტიური წარმომადგენელი იქაური სამეცნიერო საზოგადოებისა.

ა. შანიძის პირველი პერიოდის ქართულენოვანი და რუსულენოვანი ნაშრომების შედარება საშუალებას მოგვცემს დავინახოთ მისი დამოკიდებულება სამეცნიერო ტერმინოლოგიისადმი. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი პირველი მონოგრაფია – „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში.“ ჩვენ ხელთა გვაქვს ამ მონოგრაფიის რუსული და ქართული ვარიანტები. როგორც ავტორი მიუთითებს, რუსული ვარიანტი „Субъектный префикс второго лица и объектный третьего в грузинских глаголах“ „იბეჭდებოდა რუსეთის სამეცნიერო აკადემიის „Материали по Яфетическому языко-знанию“ სერიაში. სტამბაში ჩაბარებული იყო 1915 წელს შემოდგომაზე, დაიბეჭდა სამი რვეული, მაგრამ წიგნის დამთავრება, სხვადასხვა დაბრკოლებათა გამო ვერ მოხერხდა“ (შანიძე, 1981, 530). ქართული ვარიანტი წიგნად გამოიცა 1920 წელს. იმავე წელს იქნა დაცული სადოქტორო დისერტაციად.

იმავე პერიოდში, როცა იბეჭდება რუსული ვარიანტი (1915 წ.), პეტერბურგში გამოქვეყნებულ ქართული სამეცნიერო წრის „კრებულში“ დაიბეჭდა ა. შანიძის ქართულენოვანი ნაშრომი „ქართული კილოები მთაში“.

ჩვენ შევეცადეთ, ამ ათგვერდიანი ნაშრომიდან ამოგვეწერა სამეცნიერო ტერმინები. დავინახეთ, თუ როგორ ზრუნავს ავტორი ნაშრომის „ქართული სახის“ შექმნაზე. ტერმინთა ერთი ნაწილი ტრადიციული ქართული ტერმინებია, ადრეულ ნაშრომებში დადასტურებული (სახელობითი, მოქმედებითი, ნამყო სრული, მყოფადი და სხვა), თუმცა ზოგჯერ შეცვლილი შინაარსით., ნაწილი ავტორის შექმნილი ჩანს (წყვილობითი, ოცობითი, მრავალგზისი, თემა და სხვა), ნაწილიც – შედარებით უმნიშვნელო – უცხოური ტერმინია გამოყენებული (კონიუქტივი, პრეფიქსი, სუფიქსი): (ნაშრომს ვიძოწ-

მებთ 1981 წლის გამოცემიდან. როგორც წიგნის რედაქტორი (შ. ძიძიგური) მიუთითებს, ნაშრომი „დაბეჭდილია იმ სახით, როგორც ეს ადრეულ გამოცემებში იყო... დატოვებულ იქნა ძირითადად იმდროინდელი ტერმინოლოგიაც. მცირეოდენი შესწორება შეეხო მხოლოდ აშკარა შეცდომებს, თითო-ოროლა ტერმინს (მაგ., მოთხრობითი კილო – თხრობითი კილო, უღვლილება – უღლება) და რამდენიმე ორთოგრაფიას“ (შანიძე, 1981, 5-6). ამ ნაშრომში („ქართული კილოები მთაში“) გამოყენებული ტერმინებისათვის თვალის ერთი გადავლევაც საკმარისია, რომ დავინახოთ ავტორის დამოკიდებულება ამ საკითხებისადმი – „რამდენად ქართულია“ იგი.

ამოღება ხმოვნისა (= რედუქცია), აწმყო, ბგერა, ბრუნვა, ბრძანებითი, გუდამაყრული, დრო (1. ზმნის დრო, 2. მწკრივი), ზედსართავი, თემა (= ფუძე), თუშური, თხოვნის კილო, კატეგორიული ბრძანებითი, კბილისმიერი, კილო, კილოკავი, კნინობითი, კონიუქტივი, მეშველი ზმნა, მიცემითი, მიცემითი ობიექტი, მოქმედებითი ბრუნვა, მოქმედებითი ზმნა, მოხეური, მჟღერი, მრავალგზისი, მრავლობითი, მყოფადი, მხოლობითი, ნამყო, ნამყოს სრული, ნამყო უსრული, ნაცვალსახელი, ოცობითი, პრეფიქსი, რიცხვითი, სადაურობა, სახელი (= არსებითის), სახელობითი, სუფიქსი, უღვლილება, ფშაური, ფხოური, ყრუ ბგერა, ძირი, წყვილობითი, ხევსურული...

აღვნიშნეთ ზემოთ, რომ ამ ტერმინებს სხვადასხვა კვალიფიკაცია უნდა მიეცეს. ამ ეტაპზე ჩვენ გავვიჭირდება დაზუსტებით ვისაუბროთ თითოეული ტერმინის წარმომავლობაზე, ფაქტია ისიც, რომ ბევრი მათგანი ა. შანიძის კუთვნილებაა. ერთი კი არსებითია: თითქმის ყველა მათგანი დღეს მოქმედი ტერმინია და ამაშიცაა აკაკი შანიძის დიდი დამსახურება. ამის თაობაზე ქვემოთაც ვიტყვით.

ჩვენ გვინდოდა ამ მცირე მოცულობის ნაშრომის მაგალითზე გვეჩვენებინა ზოგადი დამოკიდებულება ა. შანიძისა სამეცნიერო ტერმინოლოგიისადმი. ამ თემაზე ორიოდე სიტყვას კვლავაც ვიტყვით: თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდა აკაკი შანიძე ტერმინის სიზუსტეს, მოხერხებულობას (სიმარჯვეს), ამის თაობაზე საკმაოდ

ვრცლად მსჯელობს ქართული ენის „გრამატიკის საფუძვლებში“ (შანიძე, 1973).

აქვე შევნიშნეთ: როცა ვსაუბრობთ ა. შანიძის დამსახურებაზე ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნა-დამკვიდრებაში, ძირითადად ვემყარებით (ხელთა გვაქვს) ა. შანიძის გრამატიკის შემდეგი გამოცემები:

ქართული ენის გრამატიკა – 1930

ძველი ქართული ენა (სახელმძღვანელო სკოლებისათვის – ძველი ქართული ენა და ლიტერატურა) – 1935

ქართული გრამატიკის საფუძვლები, ნაკვეთი I, – 1942

ქართული გრამატიკის საფუძვლები, ნაკვეთი II, – 1943

ქართული გრამატიკის საფუძვლები – 1953

ქართული ენის გრამატიკა – 1955

ქართული ენის გრამატიკა – 1962

ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები – 1973.

ამ სახელმძღვანელოთა შედარება ტერმინოლოგიური თვალსაზრისით საინტერესო სურათს ქმნის: ა. შანიძე მუდმივად ხვეწს, აზუსტებს, საჭიროების შემთხვევაში ცვლის ტერმინს, ამის მაგალითებსაც მოვიყვანთ ქვემოთ, მანამდე კი შემოგვთავაზებთ ვრცელ მსჯელობას მცირე კომენტარებით.

„ცნობილია, რომ ტრადიციულად შემუშავებული გრამატიკული ნომენკლატურა ხშირად არ შეეფერება საქმის ნამდვილ ვითარებას და ზოგჯერ ისეთია, რომ პირდაპირ ხელს გვიშლის მოვლენის შესწავლისა და სწორად შეფასების საქმეში. მაგრამ არსად ტრადიციული ტერმინები ისე ხელის შემშლელი არ ყოფილა, როგორც ზმნათა უღლების დარგში. ტრადიციის უგულვებელყოფა რომ შესაძლებელი იყოს, სულ შესაცვლელია მთელი კომპლექტი მწკრივთა სახელებისა. იდეალური იქნებოდა, რომ მწკრივთა სახელების დარქმევის დროს მხედველობაში არ ყოფილიყო მიღებული მათი შემადგენელი ელემენტები, როგორცაა დრო, კილო, გზისობა და სხვა, არამედ მონახულიყო სრულიად ნეიტრალური სახელები, – თუნდაც ხელოვნური, რომლებიც მიეკუთვნებოდა ამა თუ იმ მწკრივს;

ეთქვათ, სახელები დარქმეოდათ მათ ხეების სახელების მიხედვით: არყისა, ფიჭვისა, ნაძვისა, სოჭისა, წიფლისა, რცხილისა, წაბლისა, მუხისა და სხვა (ეს აზრი — „ხეების სახელები“ — 1942 წლის გამოცემაში არაა, ჩნდება 1953 წ. — გ. გ.), რაც არსებითად ერთგვარი რეფორმა იქნებოდა. მაგრამ რადგანაც ამის შესაძლებლობა ამჟამად არ არის, ისეთი ხერხი მაინც უნდა იქნეს მოძებნილი, რომ მოვლენის არსებითი მხარე არ დაიჩრდილოს“ (შანიძე, თბ., 1973, 217).

აქვე იმასაც შევნიშნავთ, რომ ტერმინებად ნეიტრალური სახელების გამოყენების უპირატესობაზე მიანიშნებს არნ. ჩიქობავაც: „გაუგებრობას აგვაცილებდა ნაკეთის სახელი სტრუქტურული თეალსაზრისით (უბრალო ნომერაციის წესითაც კი!), ხოლო თუ ფუნქციებზე დაყრდნობით დავახსიანებდით ნაკეთს, ძირითადი ფუნქცია უნდა გამოვეყოთ და არ ვივარაუდოთ, თითქოს ამით სრული ფუნქციური დახასიათება წარმოვადგინეთ“ (ჩიქობავა, 1962, 102).

ა. შანიძის ზემომოყვანილი მსჯელობა კიდევ უფრო კონკრეტდება მწკრივთა სახელების დარქმევის შემთხვევისათვის: „მწკრივების სახელთა დარქმევის დროს შეიძლება შემდეგი პრინციპით ვიხელმძღვანელოთ: როდესაც მწკრივში ელემენტთაგან მარტო დრო და კილო არის, თხრობით კილოიან მწკრივებს დროის მიხედვით დავარქვით სახელი, სხვა კილოიან მწკრივებს კი — კილოთა მიხედვით. როდესაც მწკრივში დროისა და კილოს სხვა ელემენტიც ემატება, მაშინ სახელის არჩევის დროს მთავარი ყურადღება ამ დამატებულ ელემენტს მიექცეს. თუ სადმე ნეიტრალური სახელი მოიძებნება, ტრადიციულად შემუშავებული, ის თავის ალაგას იქნეს გამოყენებული... ამ შემთხვევაშიც მწკრივის ცნება არ უნდა ავრიოთ დროის ან კილოს ცნებასთან“ (შანიძე, 1973, 217).

ფაქტობრივ, ეს ორი მსჯელობა არის ინსტრუქცია იმისათვის, თუ როგორ უნდა შემუშავდეს ტერმინები, რას უნდა მიექცეს ყურადღება. კიდევ ერთი მსჯელობა ტერმინოლოგიური ხასიათისა: „გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად აქვე უნდა განვაცხადოთ, რომ დროის აღსანიშნავად მხოლოდ ეს სამი ტერმინი გვაქვს

გამოყენებული: ეხლანდელი, წარსული და მომავალი. რაც შეეხება აქამომდე არსებულებს აწმყო, ნამყო და მყოფად, ისინი შეიძლება გარკვეულ მწკრივებს მივაკუთვნოთ. აქაც ქართულში ამითგან მარტო „აწმყო“ და „მყოფადი“ გვჭირდება. „ნამყო“ კი შეიძლება სხვა ენებისთვის გამოგვაღდეს“ (შანიძე, 1973, 199). აქ კიდევ ერთ მომენტს მივაპყროთ ყურადღება: ა. შანიძე როცა აკეთებს არჩევანს, ეს არჩევანი ყოველთვის მოტივირებულია, არგუმენტირებულია. მაგალითად, განმარტება იმისა, თუ რატომ ამჯობინა ეს ტერმინები: „ტერმინები აწმყო, ნამყო, მყოფადი ხენლოვნურია და ანტონ I-ისაგან მომდინარეობს. პირველ ორ მათგანს ჩამოკვეცილი აქვს ბოლო მარცვალი: აწ-მყო(ფი), ნა-მყოფ(ფი). მყოფადი (მყოზადი, მყოზადი) იგივეა, რაც ყოფადი, ე. ი. რაც იქნება, რაც უნდა იყოს.

აღნიშნული ტერმინები, ხელოვნურობის გარდა, რამდენადმე უხერხულიც არის ამჟამად, რადგანაც „აწმყო“-ში აწ ძველი მნიშვნელობით არის ნახმარი: აწ – ეხლა, აწ-მყო(ფი) – ეხლა მყოფი, მაგრამ დღეს ტერმინის პირველ ნაწილს „აწის“ უკავშირებენ, რომელსაც დასავლურ კილოებში სულ სხვა მნიშვნელობა აქვს: აწი (აწით) – ამას იქით, ამიერიდან“ (შანიძე, 1973, 199).

ერთი კონკრეტული მაგალითი: პრაქტიკულ გრამატიკებში საუღლებელი ერთეულის სახელად ძირითადად დრო იხმარება, მაგალითად, ანტონთან (ბაბუნაშვილი, 1970, 140). იმასაც მიუთითებენ, რომ ზოგჯერ ჟამ-საც გამოიყენებს (იქვე), ზ. შანშოვანის ტერმინს (ჩიქობავა, 1965, 85). ხშირ შემთხვევაში აღრეულია დრო, კილო, როგორც საკუთრივ კატეგორია თუ საუღლებელი ერთეული. აღრეულ შრომებში, მაგალითად, სადოქტორო დისერტაციაში, ა. შანიძე გამოიყენებს დროს, კილოს: „თუ ზემორე მოყვანილ ზოგად ტაბულას (II) კერძო შემთხვევებისათვის ვიხმართ, ე. ი. ამა თუ იმ დროისა და კილოსათვის გამოვიყენებთ, მაშინ იგი...ასეთ სახეს მიიღებს“ (შანიძე, 1981, 118) და იქვე სქემაა მოცემული:

ნამყო სრულის ჯგუფი

ნამყო სრული

მყოფადი (ანუ ნატვრ. კ.)

ნამყო მრავალგზითი

ბრძანებითი

აწმყოს ჯგუფი

აწმყო ერთგზითი

აწმყოს მრავალგზითი

ნამყო უსრული

ბრძანებითი

(იქვე, 118-120).

ამავე ნაშრომში დრო-კილოც გამოიყენება: „აწმყოს ჯგუფის დრო-კილოთა ფორმები უფრო ნაკლებად იხმარება“ (იქვე, 194).

1930 წლის გრამატიკაში საუბრეებელ ერთეულს წვერი დაერქვა: „პირველ სერიაში სამი წვერია“... შემდგომში წვერი იცვლება ტერმინით რიგი: „ყველა პირიანი ფორმა ზმნისა შეიძლება გაიყოს ათ რიგად..“ (შანიძე, 1935, 025). ეს ციტატა ძველი ქართული ენის სახელმძღვანელოდან, რომელიც 1934 წელს გამოვიდა (ჩვენ დავიმოწმეთ მეორე გამოცემა); ამ სახელმძღვანელოს V გამოცემაში (1938 წ.) ავტორმა გამოიყენა რიგის სინონიმური სიტყვა მწკრივი და მწკრივი კატეგორიად გამოცხადდა; საბოლოოდ დამკვიდრდა კიდევ ეს ტერმინი ქართულ გრამატიკაში. 1941 წელს სპეციალური გამოკვლევა მიემდგნა ამ თემას (შანიძე, 1941), რომლის ძირითადი დებულებები შევიდა „ქართული გრამატიკის საფუძვლებში“, სადაც ავტორი ამ ტერმინის (მწკრივი) უცხო ენებზე თარგმანის საკითხზეც მსჯელობს: „სასურველი იქნებოდა, რომ ეს ტერმინი შესულიყო საერთაშორისო გრამატიკულ ტერმინოლოგიაში, მაგრამ გამარტივებული სახით, რომ სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებს გაუადვილდეთ მათი გამოთქმა. ჩემი წინადადება ასეთია: რუს. скрива (ж. р.), ფრ. ლა სკრივე, გერმ. დიე შკრივე, ინგლ. ტჰე სკრივე (გამოთქვან, როგორც მოეხერხებათ). ამით საშუალება მოგვეცემა, თავი დავანწიოთ უხერხულობას ბევრგან და განსაკუთრებით სემიტური ენების ზმნებში, სადაც უღლების ფორმები უხვად გვაქვს, მაგრამ „დრო“ ხშირად არცკი“ (შანიძე, 1942, 210). ეს შენიშვნა (და წინაც, რომელშიც ტერმინის დასაბუთება იყო) გრამატიკის საფუძვლების მომდევნო გამოცემებში (1953 და შემდგომი) ამოღებულია; გასაგებია: ტერმინის მოხერხებულობის, საშუალო სკოლის სახელმძღვანელოებისა და ავტორის ავტორიტეტის წყალობით ეს ტერმინი თითქმის საყოველთაოდ დამკვიდრდა:

შენიშვნა: ამ ტერმინის შესატყვისად არნ. ჩიქობავამ იხმარა „ნაკვთი“. როგორც ჩანს, ეს ტერმინი ადრეც ყოფილა გამოყენებული საუღლებელი ერთეულის აღსანიშნავად (იხ. კარიჭაშვილი, 1930). არნ. ჩიქობავას დამსახურებაა ის, რომ მისი სკოლის ენათმეცნიერთა შრომებში ეს ტერმინი დაამკვიდრდა. აქ ერთი მომენტი საგულისხმო: ამ ტერმინის დამკვიდრებას ახლდა ცნების განსხვავებული გაგება – არნ. ჩიქობავას აზრით, „ნაკვთი ტექნიკური ტერმინია და მიუთითებს უღვლილების ერთეულზე ამ ერთეულის ფუნქციის აღუნიშნავად, ამიტომ ნაკვთი ვერ იქნება გრამატიკული კატეგორია (უფუნქციო კატეგორია არ არის კატეგორია!) ისევე, როგორც გრამატიკულ კატეგორიას არ გულისხმობენ ტერმინები „ბგერა“, „მარცვალი“, „ხმოვანი“, „ფუძე“ (ჩიქობავა, 1948, 8). მოგეხსენებათ, ა. შანიძის აზრით, მწკრივი გრამატიკული კატეგორიაა. ამიტომაც შემდგომში არჩევანი – მწკრივი თუ ნაკვთი – იმის შესაბამისად წყდებოდა, ამ ცნების როგორ გაგებასთან გვექნებოდა საქმე...

კიდევ ერთი კონკრეტული მაგალითი იმისა, თუ როგორ იცვლება ტერმინი, როგორ ხდება ცნების შინაარსთან მისი მისადაგება.

„ქართული გრამატიკის საფუძვლებში“ 1942 წელს გაჩნდა პარაგრაფი „ინტენსიობის და“ : „და“ ზმნისწინის ხმარებასთან ხშირად დაკავშირებულია მოქმედების ინტენსიობა, რაც პირდაპირი ობიექტის სიმრავლეს გულისხმობს; ეს კი გარდამავალ ზმნასთან არის შესაძლებელი“ (შანიძე, 1942, 248). ინტენსიობის და გვხვდება 1953 და 1955 წლების გამოცემებში. 1962 წლის „ქართული ენის გრამატიკაში“ ინტენსიობის ნაცვლად გაჩნდა ტერმინი „რიგრიგობის და“ : „და ზმნისწინის ხმარებასთან ხშირად დაკავშირებულია მოქმედების რიგრიგობა, რაც პირდაპირის ობიექტის სიმრავლეს გუ-

ლისხმობს“ (შანიძე, 1961, 153); საბოლოოდ, 1973 წლის გამოცემაში დამკვიდრდა ტერმინი „თითობის და“ : „და ზმნისწინის ხმა-რებასთან ხშირად დაკავშირებულია ისეთი მოქმედება, რომელიც შესრულებულია პირდაპირ ობიექტზე ცალ-ცალკე“ (შანიძე, 1973, 255). ე. ი. სამი ტერმინი ენაცვლება ერთმანეთს: ინტენსიობის, რიგრიგობის, თითობის. ცხადია, ცნების შინაარსთან მიმართებით მარჯვე ეს უკანასკნელი ტერმინი უფროა. მსგავსი მაგალითების მოძიება სხვაც შეიძლება. 1930 და 1953 წლების გრამატიკების შედარება გვიჩვენებს, როგორ იცვლება ტერმინოლოგია: ვნებითი – ვითარებითი (ბრუნვა), არსობითი – არსებითი (სახელი), კლასი – ტიპი (ბრუნების), მითითებითი – ჩვენებითი (ზმნიზედა), ლიტონი – მარტივი (ფუძე), პირიელი – პირიანი (ფორმა), ზმულობა – მოქმედება და სხვა. არის შემთხვევები, როცა ქართული უცხოურით ჩაანაცვლა: მდინარეობითი – დინამიკური (ვნებითი), მდგომარეობითი – სტატიკური (ვნებითი), გზა – კონტაქტი...

1915 წლის გამოკვლევაში ნახმარია ტერმინი ნაცვალსახელი.

1930 წლის გრამატიკაში პირის ნაცვალსახელი პირთა სახელით მოიხსენიება; 1942 წლის გამოცემაში იყენებს ტერმინის სახელთნაცვალსახელი, ხოლო 1953 წელს კვლავ უბრუნდება ტერმინს ნაცვალსახელი. ეს კარგი მაგალითია იმისა, თუ რას ისახავს მიზნად ტერმინოლოგიური ძიება – მთავარია სიზუსტე, მოხერხებულობა და არა ახირებული თვითმიზანი ორიგინალურობისა...

„ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებს“ ერთვის ტერმინთა საძიებელი, სადაც 700-მდე ტერმინია წარმოდგენილი. ფაქტია, რომ აქ არის ერთი ნაწილი ტრადიციული საერთაშორისო ტერმინოლოგია, მეორე ნაწილი – ქართული ტრადიციული ტერმინები და მესამე ნაწილი – აკაკი შანიძის მიერ შემოღებული ტერმინები. რა შემთხვევაში იღებს ტრადიციულ უცხოურ თუ ქართულ ტერმინებს და რა შემთხვევაში ქმნის ახალს, საძიებელია. დასაზუსტებელია და გასარკვევი ა. შანიძის მიერ გამოყენებული ტრადიციული ტერმინის შინაარსობრივი მიმართება. თითქმის ყველა ეს ტერმინი რომ ღღეს დამკვიდრებულია ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში, განპი-

რობებულა იმ ფაქტით, რომ ა. შანიძის სახელმძღვანელოები სკოლაში ერთადერთია 30-იანი წლებიდან მოყოლებული (ძველი ქართული ენა და ლიტერატურა გამოდის 1934 წლიდან; ქართული ენის გრამატიკა, ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი. სახელმძღვანელო V-VII კლასებისათვის, I გამოცემა – 1939 წ.; 1948 წლიდან (IV გამოცემა) გამოდის ორ წიგნად – ფონეტიკა-მორფოლოგია და სინტაქსი); ასევე უმაღლეს სკოლებში ფაქტობრივ მორფოლოგიის ერთადერთი სახელმძღვანელო იყო 1930 წლის „გრამატიკა“ და შემდგომ „გრამატიკის საფუძვლები“, და მის საფუძველზე გაკეთებული გამოცემები 1955 და 1962 წლებისა.

ცხადია, გზადაგზა არაერთ ავტორთან იყო მცდელობა ახალი ტერმინის შემოღებისა, ანდა არსებული ტერმინის შეცვლისა, თუმცა ფაქტობრივ ვერ მოხერხდა ამ ტერმინთა საყოველთაოდ დამკვიდრება.

ერთი მაგალითი – მწკრივის მნიშვნელობით ნაკეთის შემოღების მცდელობისა – ზემოთ მოვიყვანეთ.

სხვაც არის მსგავსი შემთხვევა და ბევრი მათგანი – უდავოდ საინტერესო. ვთქვათ ქცევის შემთხვევაში: არნ. ჩიქობავა თელის, რომ ცნებასთან შესაბამისობის თვალსაზრისით უფრო მართებული იქნება ვისმართ ტერმინები სასუბიექტო (= სათავისო) და საობიექტო (= სასხვისო). მწკრივის სახელები: ნამყო ძირითადი ან ნამყო სრული, ნამყო უსრული, შედეგობრივი ან რეზულტატივი და სხვა... ცხადია, ყოველ ასეთ შემოთავაზებას აქვს ობიექტური საფუძველი. მაგრამ აკაკი შანიძის მიერ დამკვიდრებულ ტერმინებს კონკურენციას ვერ უწევს (მიზეზები ზემოთ ვთქვით).

მეოცე საუკუნეში ქართული საენათმეცნიერო ტერმინოლოგიის ჩამოყალიბება-განვითარებაზე როცა ვსაუბრობთ, გვერდს ვერ აუუვლით გიორგი ახვლედიანის დამსახურებას ზოგადი ენათმეცნიერებისა და ფონეტიკის ტერმინოლოგიის შექმნა-დამუშავებაში. დავასახელებთ რამდენიმე ფუნდამენტურ ნაშრომს; ქართულ ენაზე გამოცე-

მული ფაქტობრივ პირველი სახელმძღვანელოები ზოგადი ენათმეცნიერებისა და ზოგადი თუ კერძო ფონეტიკის დარგში:

1918 წელს გამოიცა სამი ნაკვეთი „ენათმეცნიერების შესავალი“; გამოცემა განმეორდა 1927 წელს.

1930 წელს გამოიცა – „ფონეტიკა. I. სამეტყველო ბგერა და წერა (კონსპექტი);

1932 წელს არნ. ჩიქობავას თანაავტორობით გამოიცა სახელმძღვანელო „ენათმეცნიერების პროპედევტიკა და ზოგადი ფონეტიკა“;

განსაკუთრებული ღირებულებისა იყო 1938 წელს გამოცემული „ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები“; რომლის საფუძველზეც 1949 წელს გამოსცა ფუნდამენტური მონოგრაფია „ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები“; რომლის მეორე გამოცემა გამოვიდა 1966 წელს სათაურით „ზოგადი ფონეტიკის შესავალი“... ფაქტობრივ, თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე ქართული უმაღლესი სასწავლებლებისათვის გ. ახვლედიანის ეს წიგნები იყო ძირითადი სახელმძღვანელოები და როგორც გრამატიკის სფეროში ა. შანიძის სახელმძღვანელოები, ისე ფონეტიკის დარგში გ. ახვლედიანის დასახელებული (და არა მხოლოდ ესენი) ნაშრომები განსაზღვრავენ ამ დარგის განვითარებას საქართველოში.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია ჟურნალ „ჩვენი მეცნიერების“ 1923 წლის მეორე და მესამე ნომრებში გამოქვეყნებული „საენათმეცნიერო ტერმინოლოგია“. ეს ტერმინოლოგია განხილული და მიღებული იყო ჩვენ მიერ ზემოთ უკვე ხსენებულ საქართველოს სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს მიერ; დაიბეჭდა ამ საბჭოს წევრის გ. ახვლედიანის რედაქციით. სწორედ ეს მასალები დაედო საფუძვლად 1928 წელს გამოცემულ „ლიტერატურისა და ენათმეცნიერების ტერმინოლოგიას“ (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული). თითოეულ ნაწილში 1500-მდე ტერმინია მოცემული. ცხადია, ეს არ არის მხოლოდ ენათმეცნიერული, არის ლიტერატურისაც, თუმცა ზოგჯერ არ იმიჯნება (სტილი, სტილისტიკა, სახე, ფორმა...), ამიტომ ცალკე ენათმეცნიერულის გამოყოფა არ ხერხდება. წიგნაკს

აწერია: „ვამტკიცებ. ს.ს.რ. ცაკთან არსებული მთავარი სატერმინოლოგიო კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე“. სამწუხაროდ, ამ სატერმინოლოგიო კომიტეტის მუშაობის შესახებ მასალა ვერ მოვიძიე, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს კომიტეტი განიხილავდა (თუკი ფორმალური არ იყო ამგვარი კომიტეტი) საქართველოს სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს მიერ შემუშავებულ და მიღებულ ტერმინოლოგიებს...

ფაქტია, რომ ტერმინოლოგიური მუშაობა გასული საუკუნის 20-იან წლებში სახელმწიფოებრივ დონეზე იყო აყვანილი.

ამ ტერმინოლოგიური ლექსიკონის განხილვა, იმდროინდელი საენათმეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინება საინტერესო სურათს წარმოაჩენს; კერძოდ, შესაძლებლობა გვეძლევა, წარმოდგენა შევიქმნათ იმდროინდელ ტერმინთშემოქმედების პრინციპებზე. ვთქვით ზემოთ (გვ. 44), თუ რა ძირითადი სამი პრინციპი აიღეს საფუძვლად. ზოგ მომენტს დავაზუსტებთ:

წინასწარ შევნიშნავთ: ჩვენს დასკვნებს არ ახლავს კატეგორიულობა იმის თაობაზე, როცა ვამბობთ ითარგმნა. ამ ლექსიკონის შედგენისას შესრულდა ეს, თუ იყო ასეთი ტერმინი და მიესადაგა რუსულ ტერმინს; ეს ხშირ შემთხვევაში მომავალი კვლევა-ძიების საგანია. პირობითობა ჩვენს მსჯელობას, ცხადია, ახლავს. ჩვენ უფრო მეტად პრინციპი გვანტერესებს, როგორც ჩვენში საენათმეცნიერო ტერმინოლოგიური მუშაობის ერთი ეტაპი.

კვარაუდობთ, რადგანაც იმჟამინდელი ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წარმომადგენლებს განათლება ძირითადად რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში ჰქონდათ მიღებული, მათთვის საბაზო სამეცნიერო ენა რუსული იყო; ამიტომაც რუსული ენიდან ხდებოდა ტერმინების გადმოღება; თუმცა ეს მეტ-ნაკლებად პირობითია: უცხოური ენები (და მათ შორის ლათინურ-ბერძნული) მათთვის ასევე ხელმისაწვდომია. ჩვენ მაინც ვისაუბრებთ ქართულ და რუსულ ტერმინთა შესაბამისობაზე.

ა) რუსულ ენაში გამოყენებული უცხოური ტერმინები ორგვარად გადმოდის ქართულში: უცხოური სახითაც და ქართული თარგმნითაც:

Аккомодация — აკომოდაცია, შეგუება

Артикуляция — არტიკულაცია, ბგერათწარმოება

Ассимиляция — ასიმილაცია, დამსგავსება

Аугмент — აუგმენტი, ნამატი

Аффикс — აფიქსი, სართი

Преффикс — პრეფიქსი, თავსართი

Суффикс — სუფიქსი, ბოლოსართი

თუმცა ქართულმა ვარიანტმა ფეხი ვერ მოიკიდა:

Аналогия — ანალოგია, თანაგვარობა

Трифтонг — სამხმოვანა, ტრიფთონგი

Дифтонг — ორხმოვანა, დიფთონგი.

Евфемизм — კრძალულსიტყვაობა, ევფემიზმი...

არის შემთხვევები, როცა ტერმინი რჩება უცხოური, მაგრამ ქართული გაფორმებით:

Жестикуляция — ჟესტიკულაცია, ჟესტიკულობა.

თუმცა ასეთი წარმოება ხელოვნურ ელფერს ატარებს და არ მკვიდრდება.

იყო შემთხვევები, როცა უცხოური ტერმინის თარგმნა, უფრო სწორად, ძველი ტერმინით ჩანაცვლება მოისურვეს, მაგრამ არ და-
მკვიდრდა:

გემინაცია — მრჩობლობა

გემინანტი — მრჩობელი თანხმოვანი...

კაუზატივი — მიზეზობრივი...

უცხოური ტერმინის გადმოღება ხდება ორი ვარიანტით —

Атрибутивный — ატრიბუტული, საატრიბუტო;

როგორც ჩანს, სატერმინოლოგიო კომისია ასეთ შემთხვევაში არჩევანის წინაშე აყენებს მომხმარებელს და დროის იმედზეა...

არის შემთხვევები, როცა უცხოურ ტერმინს რუსული სინონიმური ვარიანტი აქვს, ქართულში უცხოური ვარიანტი გადმოაქვთ:

Аспирация, Придыхание — ასპირაცია

უცხოური (იგულისხმება ბერძნულ-ლათინური წარმოშობის) ტერმინები ძირითადად გადმოაქვთ უცხოურადვე, თუმცა უმეტეს შემთხვევაში ქართულ შესატყვისსაც მიუწერენ:

ანალოგია, თანაგვარობა

არტიკულაცია, ბგერათწარმოება.

ჩვეულებრივ ასეთ შემთხვევაში მკვიდრდება უცხოური, თუმცა არის საპირისპირო შემთხვევებიც:

Адвербиальный, Отглагольный – აღვერბალი, ზმნისმიერი, ნაზმნარი

Адноминальный, Отыменный – ადნომინალი, სახელისმიერი, ნასახელარი...

მკვიდრდება ქართული ტერმინი.

არის შემთხვევები, როცა ერთადერთ ვარიანტად გვთავაზობენ უცხოურ ტერმინს:

ჰიპოტაქსი, პარატაქსი, გრაფემა, ფონემა, ფონეტიკა, ფორმანტი...

როცა რუსულში გვაქვს პარალელური ვარიანტები – უცხოური და რუსული, ქართულშიც ანალოგიური ვითარებაა:

Манускрипт, рукопись – მანუსკრიპტი, ხელთნაწერი

Орфография, правописание – ორთოგრაფია, მართლწერა (გავიხსენოთ ანტონთან იყო ტერმინი – წესიერწერა და მართლუბნობა)

Алфавит, азбука – ალფაბეტი, ანბანი...

არის შემთხვევები, როცა რუსულში პარალელური ვარიანტებია – უცხოური და რუსული, ქართულში ერთადერთი შესატყვისი აქვს:

Нарратив, Повествовательный падеж – მოთხრობითი ბრუნვა.

ასეთი შემთხვევებიცაა, როცა უცხოურს რუსული ორი ვარიანტი შეესაბამება, ქართულში გვაქვს ორი – უცხოური და ქართული:

Лингвистика, языковедение, языкознание – ლინგვისტიკა, ენათმეცნიერება.

ძირითადია ქართული, თუმცა 50-იანი წლებიდან გააქტიურება ხდება უცხოური ტერმინისა – სტრუქტურალიზმის შემოსვლასთან დაკავშირებით – ტერმინი ლინგვისტიკა ძირითადად სტრუქტურალიზმს დაუკავშირდა.

არის შემთხვევა, როცა ქართულად გადმოაქვთ უცხოურიც, იძებნება რამდენიმე ქართული შესატყვისიც, მათ შორის ტრადიციულიც:

Артикл, Член – არტიკლი, ნაწევარი, წილაკი, ართრონი.

თუმცა ასეთი შემთხვევა იშვიათია (ოთხი ვარიანტი!).

არის შემთხვევები რუსული ტერმინების ორგვარი თარგმანისა:

Придаточное предложение – თანაწინადადება, დამოკიდებული წინადადება

Произношение – წარმოთქმა, გამოთქმა

Словоизменение – სიტყვათცვალება, სიტყვათცვლა

Сложное слово – სიტყვართული, რთული სიტყვა

Описательный – აღწერითი, აღწერილობითი.

მოგეხსენებათ, სინონიმური ვარიანტები ტერმინოლოგიაში ნაკლებადსაგულისხმო ამბავია, მაგრამ ტერმინოლოგიური კომისია, როგორც ჩანს, ანგარიშს უწევს იმას, რომ ეს ტერმინები იმუამად მკვიდრდება და როცა არ არის მყარი არგუმენტები ვარიანტთაგან ერთ-ერთის სასარგებლოდ, სთავაზობენ ორივე ვარიანტს. ესეც საინტერესო პრინციპული მიდგომაა.

ჩვეულებრივ ერთი ქართული ვარიანტით ხდება გადმოღება:

Безличный глагол – უპირო ზმნა

Словообразование – სიტყვათწარმოება

Ударение – მახვილი

Частица – ნაწილაკი

არის შემთხვევები, როცა ერთი და იმავე რუსული სიტყვის შესატყვისად ქართულში სხვადასხვა სიტყვა გამოიყენეს:

Косвенный вопрос – არაპირდაპირი კითხვა

Косвенный падеж – არასწორი ბრუნვა,

თუმცა მოგვიანებით ორივე შემთხვევისათვის სხვა სიტყვა მოიძებნა – ირიბი.

როგორც ვხედავთ, XX საუკუნის 20-იან წლებში ტერმინოლოგიური მუშაობა ენათმეცნიერების სფეროში მყარ მეცნიერულ საფუძველზე იდგა. რაც მთავარია, ეს მუშაობა იყო ინტენსიური და შედეგების (ამ შემთხვევაში შემუშავებული ტერმინების) დანერგვა – ხდებოდა განუხრელად. ტენდენცია აშკარა იყო: ეროვნული მეცნიერება უნდა ყოფილიყო მკვიდრი ნაწილი საერთაშორისო მეცნიერებისა, ამტომაც ფაქტად ეკიდებოდნენ საერთაშორისო ტერმინების დანერგვას, საკუთრივ ქართული ტერმინების შემუშავებისას. ამის კონკრეტული მაგალითი იყო სწორედ XX საუკუნის ქართველ ენათმეცნიერთა მოღვაწეობა.

XX საუკუნის 50-იანი წლებიდან ჩვენში ფეხი მოიკიდა სტრუქტურულმა ენათმეცნიერებამ, რომელმაც, ცხადია, სიახლეს მრავლად შემოგვთავაზა. ამ თვალსაზრისით განუზომელია გ. მაჭავარიანისა და თ. გამყრელიძის დამოუკიდებელი (გამყრელიძე, 1959; მაჭავარიანი, 1965) თუ ერთობლივი (გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965) ნაშრომები. სწორედ ამ უკანასკნელის შესახებ ითქვა: „ეს არის პირველი ნაშრომი ქართველური ენათმეცნიერების დარგიდან, დაწერილი ენობრივი ანალიზის სტრუქტურული მეთოდების თანმიმდევრული გამოყენებით და ამდენად – შესატყვისი ლინგვისტური მეცნიერების განვითარების თანამედროვე ღონისა“ (წერეთელი, 1965, 029). ამ ნაშრომმა შეასრულა უდიდესი როლი ქართული ენათმეცნიერების შემდგომ განვითარებაში; შეიქმნა მძლავრი სკოლა სტრუქტურული ლინგვისტიკისა. ფაქტია, ახალი სამეცნიერო ტერმინოლოგია სწორედ რომ ღირსეული გაგრძელება იყო ტრადიციისა. ეს საკითხიც საგანგებო დაკვირვებას იმსახურებს.

ქართულ ენათმეცნიერებაში ამ ეტაპის საინტერესო ტერმინოლოგიურ ძიებად გვესახება 1974 წელს დასტამბული ბ. ქობალავას ნაშრომი „მასალები გლოსემატიკურ ტერმინთა ლექსიკონისათვის“ (ქობალავა, 1974). სამართლიანია ავტორის შენიშვნა: „სხვადასხვა ლინგვისტური მიმდინარეობების, სკოლების არსებობით განპირობებულია სპეციფიკური ცნებებისა და შესაბამისი ტერმინების დიდი მრავალფეროვნება. ამიტომ თანდათან სულ უფრო და უფრო მწვავედ იგრძნობა ლინგვისტურ ტერმინთა ლექსიკონების საჭიროება“ (ქობალავა, 1974, 104). გლოსემატიკური თეორიის შესწავლა და, მით უმეტეს, ამ თეორიის მიხედვით კვლევა-ძიება შეუძლებელი იყო ამგვარი ტერმინოლოგიური ლექსიკონის უქონლობის გამო. ავტორი იმასაც მიუთითებს, რომ „გლოსემატიკის ტერმინოლოგია საკმაოდ რთულია. აქ ლინგვისტიკაში საყოველთაოდ გავრცელებული ტერმინების გვერდით, რომლებიც გამოყენებულია მათი ჩვეულებრივი მნიშვნელობით (მაგ.: აბლაუტი, მართვა, ნექსუსი და მისთ.), გვაქვს სპეციფიკური ტერმინოლოგია. მასში შედის როგორც ენათმეცნიერებაში უკვე არსებული, მაგრამ საკუთრივ გლოსემატიკური მნიშვნელობით გამოყენებული ტერმინები (მაგ., ტექსტი, ენა, რელაცია, ფუნქცია და მისთ.), ისე სრულიად ახალი ტერმინებიც (მაგ., გლოსემა, კენემატი და მისთ.). ჩვენ შევეცადეთ შეძლებისამებრ სრულად წარმოგვედგინა სწორედ სპეციფიკური გლოსემატიკური ტერმინები“ (ქობალავა, 1974, 105).

ამ ლექსიკონში საინტერესოდ გვეჩვენება ისიც, რომ თითოეულ ტერმინთან მითითებულია მისი დანიური (მოგეხსენებათ, გლოსემატიკა მიჩნეულია კოპენჰაგენის ლინგვისტური სკოლის თეორიად), ფრანგული, ინგლისური, გერმანული და რუსული შესატყვისობები.

საინტერესოა ის პრინციპი, რომლითაც ავტორი ხელმძღვანელობდა გლოსემატიკური ტერმინებისათვის ქართული შესატყვისების შერჩევას (ფაქტობრივ, ეს არის ტრადიციული მიდგომა ტერმინოლოგიისადმი):

„1. უცვლელად იქნა დატოვებული ძვ. ბერძნულის საფუძველზე შექმნილი საკუთრივ გლოსემატიკური ტერმინები (მაგ., გლოსემა, პლერემა და მისთ.). ჩვენ შევეცადეთ მხოლოდ დაგვეცვა ბერძნული სიტყვების ქართულად გადმოცემის ტრადიცია (ამიტომაც ბერძნ. κενος-ისაგან ნაწარმოები ტერმინები გადმოცემულია როგორც კენემა, კენი და ა. შ. და არა როგორც სენემა, სენი და ა. შ.), ან აღგვედგინა ბერძნული ფორმა (ფრ. lexic – ქართ. ლექსიონი). ასევე უცვლელად იქნა დატოვებული მრავალი უცხოური, მაგრამ ქართულ საენათმეცნიერო ან საერთოდ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყენებული ტერმინები (კატალიზი, სელექცია და მისთ.).

2. ისეთი შემთხვევებისათვის, როდესაც ქართულში სათანადო უცხოური ტერმინი არ დამკვიდრებულა, ლექსიკონში წარმოდგენილია ან უბრალოდ მისი თარგმანი (დან. plan, ფრ. plan, ინგლ. plane, გერმ. Plan, რუს. план – ქართ. სიბრტყე) ან ქართულის ნიადაგზე შექმნილი შესაბამისი ტერმინები (ფრ. hétéroplane – გერმ. heteroplane – ქართ. ნაირსიბრტყივი; დან. constellation, ფრ. constellation, ინგლ. constellation, რუს. консте-ляция – ქართ. თავსებადობა) (ქობალავა, 1974, 107).

ვიმეორებთ, ეს არის კარგი მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა მოხდეს ტრადიციების გაგრძელება ტერმინოლოგიურ საქმიანობაში. ამ პრინციპებით არის შემუშავებული და დადგენილი 306 ტერმინი. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ტრადიცია თითქოსდა იკარგება.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, განსაკუთრებით ბოლო ათწლეულში, სრულიად უკონტროლო გახდა საენათმეცნიერო ტერმინოლოგიასთან დამოკიდებულება. ენათმეცნიერების ახალი დარგების განვითარებამ – ენათა სტრუქტურული ტიპოლოგია და ენობრივი უნივერსალები, ტექსტის ლინგვისტიკა, სოციოლინგვისტიკა, კოგნიტური ლინგვისტიკა, ფსიქოლინგვისტიკა, ბიოლინგვისტიკა (გამყრელიძე, 2003, 399-487) – საკმაოდ რთული პრობლემები შეგვიქმნა ტერმინოლოგიური თვალსაზრისით. ამას რამდენიმე პირობა აქვს:

ა) 90-იან წლებამდე სავალდებულო იყო, ნებისმიერი ტერმინოლოგიური ლექსიკონი ენათმეცნიერების ინსტიტუტის დასტურით გამოცემულიყო. გამომცემლობას არ ჰქონდა უფლება, დაესტამბა ტერმინოლოგიური ლექსიკონი ამგვარი გზის გავლის გარეშე;

ბ) არსებობდა ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი კომისია, რომელიც ასევე ნორმატული ხასიათის ენობრივი აქტების გამოცემას აქცევდა ყურადღებას. 90-იან წლებში საქართველოს პრეზიდენტთან შეიქმნა ქართული ენის სახელმწიფო კომისია, რომელსაც უნდა დაერეგულირებინა ნორმირებასთან დაკავშირებული ენობრივი პრობლემები, მაგრამ ამ კომისიამ ვერ იმუშავა და დღეს აღარც მოქმედებს...

ყოველივე ეს ქმნის საფუძველს ტერმინოლოგიური ქაოსისათვის. იმისდამიხედვით, თუ რომელი ენების შესახებ არის საუბარი, რომელი ენიდან მოიხმობს მასალას, რომელი ენიდან იმოწმებს ლიტერატურას, ტერმინებიც ინდივიდუალური წესით გადმოაქვთ. არ ხდება ტერმინთა განმარტება, ახსნა... ზოგჯერ ერთი და იმავე ცნების აღსანიშნავად სხვადასხვა ტერმინი იქნა გამოყენებული ანდა ერთი და იმავე ტერმინის სხვადასხვა ფორმა (დისკურსი, დისქორსი...)...

2003 წელს აკად. თ. გამყრელიძის რედაქციით გამოიცა „თეორიული ენათმეცნიერების კურსი“ (გამყრელიძე, 2003), რომელსაც ერთვის საგნობრივი საძიებლები. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის სიტყვანი ლინგვისტური ტერმინოლოგიური ლექსიკონისათვის ვფიქრობთ, ეს შესაძლებლობა უნდა იქნეს გამოყენებული ტერმინოლოგიური ლექსიკონის შესადგენად. წინააღმდეგ შემთხვევაში შექმნილი ქაოსური მდგომარეობიდან ვერ გამოვალთ. თუ რამდენად რთულია ვითარება და რა პრობლემების წინაშე დგება მკითხველი, ძნელი წარმოსადგენი არ იქნება, თუ რამდენიმე მაგალითს მოვიყვანთ თანამედროვე ლინგვისტური ნაშრომებიდან: „მოქმედების სახეობის აღმნიშვნელი ზმნების (Artionsart) გაერთიანებამ მათი სემანტიკის მიხედვით მოგვცა სხვა ჯგუფი. ისინი გამოხატავენ:

1. ინტერატიულობას (interative verben) – განმეორებად მოქმედებას
2. მუტატიურობას (mutative verben) – მოქმედების შეცვლას
3. ინგრესიულობას (ingressive verben) – მოქმედების ფაზას
4. დურატიულობას (darative verben) – განგრძობითობას
5. ეგრესიულობას (egrassive verben) – მოქმედების დასრულებულობას
6. ორატიულობას (orative verben) – რამით რამის აღჭურვას
7. ინხოატიურობას (inchoative verben) – მდგომარეობის შეცვლას
8. ატენატიურობას (atenative verben) – მოქმედების ფაზების აღნიშვნას“

(ბოლქვაძე, 2005, 58).

ამ შემთხვევაში საგულისხმო რამ არის: რამდენად ზუსტია და სწორი ქართული გამოსატყულება ტერმინისა. მაგ.: ადრე იყო გამოყენებული ტერმინი დიურატიული, გვთავაზობენ დურატიულობას; მნიშვნელობა იდენტურია (განგრძობითი), მით უმეტეს, დიურატიული არ დამკვიდრდა მისი ქართული შესატყვისის წყალობით. ანდა, გვთავაზობენ ინხვატივს, იყო ადრე ტერმინი ინხოატივი და მისთანანი. თუ ქართული განმარტებები ზუსტია, მაშინ საჭირო იყო თუ არა უცხოური ტერმინის გადმოტანა და მისთანანი.

სხვა მაგალითი:

„ნაშრომის მეცნიერული სიახლეა: 1. ინფერენცისა, როგორც ტექსტის დახურულობასა და ღიაობაზე დაფუძნებული კოგნიტური პროცესის კვლევა; 2. ინფერენცის, როგორც კოჰერენცის ერთ-ერთი გამოვლინების კვლევა. იმპლიციტური კადაფორის გამოვლენა“...

„ნაშრომი ასახავს ტექსტის ონტიურ თვისებებს“. „რეფერენცია – კოჰეზიისა და კოჰერენცის არსებობის ფუნდამენტი...“ (შარაშენიძე, 2006).

ანდა:

„მაშასადამე, ადამიანის კოგნიტურ-ემოციური ფსიქოსომატური მდგომარეობის ფენომენოლოგიური ეიდეტური დესკრიფცია, მისი

ონტოლოგიის აღწერა განაპირობებს ადამიანის ქცევის განმსაზღვრელ პროტოტიპულ მოდელებს (ფრეიმბს)“... (სიორიძე, 2005, 212).

ერთი მაგალითიც: „მთლიან ტექსტში პუნტირების სიმძიმე გადატანილია გრაფემებზე, კერძოდ მაიუსკულით ჩაწერილი კონექტორი „რომ“, ერთი მხრივ, ტექსტის დელიმიტაციას ახდენს; მეორე მხრივ, ის დანარჩენ ორ კონექტორთან ერთად ტექსტის კოპერენტულობას განაპირობებს... დასახელებული კონექტორის მაიუსკულით გაფორმებამ, ბუნებრივია, ორთოგრაფიული ცვლილება განაპირობა; მინუსკული „B“ შეცვალა „S მაიუსკულმა“ (ქიმერიძე, 2003, 8).“

მსგავსი მაგალითების მოყვანა შეიძლება გაგრძელდეს. ჩვენ ხელთა გვაქვს ბოლო ათწლეულში დაცული 100-ზე მეტი დისერტაციის ავტორეფერატი და სამეცნიერო გამოცემების „ენათმეცნიერების საკითხებისა“ ნომრები და „საენათმეცნიერო ძიებანის“ ოცი ტომი. სურათი ნამდვილად ყურადღებამისაქცევია. იშვიათია შემთხვევა ტერმინოლოგიური კვლევა-ძიებისა ამ მხრივ. ჩვენ გვესმის, რომ თანამედროვე ენათმეცნიერებას აქვს თავისი მოთხოვნები, მაგრამ ასეთივე მოთხოვნები ჰქონდა თავის დროზე ნებისმიერი ეპოქის თანამედროვე მეცნიერებას. ხდებოდა ამ მოთხოვნათა გათვალისწინებაც და ქართული ინტერესების დაცვაც. ამის თაობაზე ზევით ვისაუბრეთ.

ნაკლებად (ან არ) ხდება ტრადიციის გათვალისწინება. თუმცა ამის სასიკეთო მაგალითები დღესაცაა – ზემოთ დასახელებული „თეორიულ ენათმეცნიერების კურსი“. ცნობილია, რომ ბგერის წარმოქმნის სამი ფაზის აღმნიშვნელი ქართული ტერმინები იქნა შემოღებული და დამკვიდრებული, თუმცა ლათინურიც გამოიყენება: ექსკურსია – შემართვა, რეკურსია – დამართვა და დაყოვნება. საჭიროებამ მოითხოვა და კონკრეტულად ხშულთა მიმართ – ხშულთა შემართვის, ხშვის, დაყოვნებისა და განხშვის აღმნიშვნელად ფრანგული წარმოშობის ტერმინები გადმოიტანეს: იმპლოზია, ოკლუზია და ექსპლოზია (გამყრელიძე, 2003, 85). ამავე სახელმძღვა-

ნელოში არის არაერთი საინტერესო მაგალითი ტერმინთშემოქმედებისა: შეწოვნითი ხშული, წკლაპუნა ბგერები (ინგლისური clicks-ის შესაბამისი) (გამყრელიძე, 2003, 84).

მოკლედ, შეიძლება დავასკვნათ: ათეული წლებით (შეიძლება ითქვას, საუკუნეობით) განმტკიცებული ტრადიცია საენათმეცნიერო ტერმინოლოგიის გაქართულებისა შებრუნებულ ხასიათს იღებს. ქართული ენათმეცნიერების განვითარებისა და წინსვლის ერთ-ერთი პირობა ქართული ტერმინოლოგიის ეროვნული ტრადიციების შენარჩუნება და განვითარებაცაა.

ლიტერატურა

აბულაძე, 1940 – ი. აბულაძე, ქართული გრამატიკული ლიტერატურის ადრინდელი ძეგლები I. ზ. შანშოვანი; სახ. მუხ. მოამბე, X, 1940.

აბულაძე, 1964 – ი. აბულაძე, უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაჲსა“ და გრ. ნოსელის თარგმანებისა „კაცისა აგებულებისათჳს“, გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. აბულაძემ, 1964.

ანტონი, 1997 – ანტონ პირველი (ბაგრატიონი), ქართული გრამატიკა, 1997.

ბერიძე, 1952 – ვ. ბერიძე, „მეცნიერება და ტექნიკა“, 1952. ვიომწებთ რ. ლამბაშიძის წიგნიდან (იხ. ლამბაშიძე, 1986).

ბოლქვაძე, 2005 – მ. ბოლქვაძე, ზმნის უნივერსალური და სპეციფიკური თავისებურებები გერმანულსა და ქართულ ენაში: საენათმეცნიერო ძიებანი, XIX, 2005.

გამყრელიძე, 1959 – თ. გამყრელიძე, სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგიერთი საკითხი, 1959.

გამყრელიძე, 2003 – თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ლ. შადური, ნ. შენგელია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი, 2003.

გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965 – თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, 1965.

„დროება“ – გაზეთი „დროება“.

თავზიშვილი, 1938 – გ. თავზიშვილი, უმაღლესი განათლების ისტორიისათვის საქართველოში, ნაკ. I, 1938.

იორდანიშვილი, 1968 – ლ. იორდანიშვილი, რაფიელ ერისთავის ტერმინოლოგიური შრომები: იკე, XVI, 1968.

კარიჭაშვილი, 1930 – დ. კარიჭაშვილი, ქართული ენის გრამატიკა, ეტიმოლოგია, 1930.

კახაძე, 1947 – მ. კახაძე, ბასილი დიდი – ექუსთა დღეთამ, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მ. კახაძემ, 1947.

მაჭავარიანი, 1965 – გ. მაჭავარიანი, საერთოქართველური კონსონანტური სისტემა, 1965.

მელიქიშვილი, 1975 – დ. მელიქიშვილი, იოანე ჰეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი, 1975.

რაფაეა, 1983 – მ. რაფაეა, ამონიოს ერმიანის თხზულებები ქართულ მწერლობაში. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს მ. კეჭყაძემ და მ. რაფაევამ; გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო მ. რაფაევამ, 1983.

სარჯველაძე, 1984 – ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, 1984.

სიორიძე, 2005 – მ. სიორიძე, ადამიანის კოგნიტურ-ემოციური ფსიქოლოგიური მდგომარეობის ფენომენოლოგიური ეიდეტური დესკრიფცია: საენათმეცნიერო ძიებანი, XIX, 2005.

ფოცხიშვილი, 1995 – ა. ფოცხიშვილი, ქართული ენათმეცნიერების ისტორია, 1995.

ქართ. ენც. 3 – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. III, 1978.

ქაროსანიძე, 2006 – ლ. ქაროსანიძე, ნარკვევები ძველი ქართული გრამატიკულ ტერმინთა ისტორიაში, 2006.

ქიმერიძე, 2003 – ნ. ქიმერიძე, გრამატიკულ-გრაფიკულად პუნტირებული ტექსტების ლინგვისტური ინტერპრეტაცია, 2003.

ქურციკიძე, 1983 – ც. ქურციკიძე, ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ეფთვიძე ათონელისეული თარგმანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ, 1983.

ღამბაშიძე, 1986 – რ. ღამბაშიძე, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები, 1986.

ყაუხჩიშვილი, 1940 – ს. ყაუხჩიშვილი, იოანე პეტრიწის ენა, იოანე პეტრიწის წყაროები: ი. პეტრიწის შრომები, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, 1940.

შალამბერიძე, 1966 – გ. შალამბერიძე, ილია ჭავჭავაძის ენა, 1966.

შანიძე, 1920 – ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნაში, 1920.

შანიძე, 1930 – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, 1930.

შანიძე, 1941 – А. Шанидзе, Категория ряда в глаголах: еნიმკის მოამბე, X, 1941.

შანიძე, 1942 – ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, ნაკვეთი I, 1942.

შანიძე, 1943 – ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, ნაკვეთი II, 1943.

შანიძე, 1953 – ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953.

შანიძე, 1955 – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, 1955.

შანიძე, 1962 – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, 1962.

შანიძე, 1973 – ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1973.

შანიძე, 1981 – ა. შანიძე, თხზულებები, ტ. II, 1981.

მ. შანიძე, 1990 – მ. შანიძე, სიტყუაჲ ართრონთათჳს – ძველი ქართული გრამატიკული ტრაქტატი, 1990.

„შრომა“ – გაზეთი „შრომა“.

ჩიქობავა, 1948 — არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, თბ., 1948.

ჩიქობავა, 1962 — არნ. ჩიქობავა, ქართული ზმნის ნაკვეთულთა დაჯგუფების პრინციპისათვის: იკე, XIII, 1962.

ჩიქობავა, 1965 — არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, 1965.

ძიძიგური, 1963 — შ. ძიძიგური, ილია ჭავჭავაძე და ქართული ლექსიკა: მნათობი, № 1, 1963.

ჯავახიშვილი, 1971 — ი. ჯავახიშვილი, ბრძოლა საქართველოში უნივერსიტეტის დაარსებისათვის: თსუ შრომები, 1(138), 1971.

ჯორბენაძე, 1981 — ს. ჯორბენაძე, ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, 1981.

სისტემური ენობრივი ცვლილებები და ნორმატული რეკომენდაციები

1. ენობრივი ნორმა – მუდმივი თუ ცვალებადი?

ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში არის არაერთი შემთხვევა, როცა საყოველთაოდ დამკვიდრებული ნორმა იცვლება ახლით. ამის კლასიკური მაგალითი არის ხანმეტობის ჰაემეტობით, ხოლო ჰაემეტობისა სანნარევი ფორმებით შეცვლა.

ძნელია დღეს იმის თქმა, რა ტიპის ცვლილება იყო ეს. უფრო სწორად, რამ გამოიწვია ეს ცვლილება (ახსნა არსებობს, მაგრამ ამჯერად ეს არაა ჩვენი თემა). ფაქტი ერთია: ენის განვითარების ერთი ეტაპის ნორმა იცვლება მეორით. არადა ეს ხდება ერთ ენობრივ პერიოდში (ძველ ქართულში). ფაქტი პრინციპულად საინტერესოა – არსებობს ნორმა, დრო ითხოვს მის შეცვლას.

ჩვენს სინამდვილეში რა ვითარებაა? თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები გასული საუკუნის 30-იან წლებში იქმნება. უფრო სწორად, ნორმათა დადგენა იწყება 30-იან წლებში. ჩვენ ვგულისხმობთ იმ ნორმებს, რომლებიც ნორმათა დამდგენი შესაბამისი კომისიის მიერ იქნა მიღებული და იქნეს კანონის ძალას; („სახელმწიფო კომისიის მიერ დამტკიცებული ნორმები სავალდებულოდ ითვლება“ (ნორმები, 1986, VII), გვასწავლიან), და არასწორ ფორმად მიიჩნევენ ენობრივ ფაქტს, რომლის შესახებაც ნორმის სანქცია არ გაცემულა. პერმანენტულად, გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან მოყოლებული, სადავო საკითხებს აგვარებდა ნორმათა დამდგენი სახელმწიფო კომისია (დადგენილმა ნორმებმა თავი მოიყარა ერთ სოლიდურ კრებულსა და სამიოდე ბიულეტენში). არის არაერთი სადავო საკითხი, რომელთა შესახებაც ნორმა არაა მიღებული; ცხადია, ასეთ შემთხვევებში სავალდებულოობის

საკითხი არ დგას. მაგალითები იმისა, პარალელურ ფორმათაგან ერთ-ერთი რომ არაა ნორმად მიღებული, მრავლადაა: სახლისაკენ და სახლისკენ, სახლამდე და სახლამდის... დარგა და დარგო, შევიპყარი და შევიპყრე, გადაიჭრას და გადაიჭრეს და სხვა. ასეთ შემთხვევებში, თუკი ჩავთვლით, რომ საჭიროა ნორმის მიღება, უნდა მოხდეს გამოწველილეთი ანალიზი და შემდეგ იქნეს მიღებული გადაწყვეტილება. წარმოდგენილ შემთხვევებში არც დასმულა და უმეტესად არც არის აუცილებელი ერთ-ერთისათვის უპირატესობის მინიჭება. ამგვარი შემთხვევები უფრო სტილისტურ ვარიანტებად უნდა იქნეს განხილული და არა გრამატიკულ ვარიანტებად; თუმცა ზოგჯერ საჭირო გახდება ამის დამტკიცება...

არის შემთხვევები, როცა თავის დროზე სადავო საკითხი დღეს უღავოა; ანუ სადავო ფორმათაგან ერთ-ერთი მათგანის უპირატესობა აშკარაა; მოცილე ფორმა ფაქტობრივ დღეს აღარაა აქტიური. ასეთ შემთხვევაში მექანიკურად უნდა მოხდეს ნორმათა კრებულებსა თუ ცნობარებში ასეთი ფორმების ამოღება და „პრობლემის“ მოხსნა. მხედველობაში ასეთი მაგალითები გვაქვს: დადგენილი ნორმების მიხედვით მიღებულია

ძირითადი ვარიანტი

რალამ

ვილაცამ

რალაცამ

რამდენიმე სიტყვის

რამდენიმე სიტყვით

რომელიმე მოწაფის

რომელიმე მოწაფით

ორივე სკოლის

ორივე სკოლით

დასაშვები ვარიანტი

რამლა

ვილამაც

რალამაც (ნორმები 1986, 92)

რამდენისამე სიტყვის

რამდენისამე სიტყვით

რომელისამე მოწაფის

რომელისამე მოწაფით

ორისავე სკოლის

ორისავე სკოლით

(ნორმები, 1986, 94)

ცხადია, დასაშვები ფორმები დღეს ისტორიის კუთვნილებაა. ამიტომ არცაა საჭირო მასზე ყურადღების გამახვილება. მსგავსი მაგალითები არსებულ ნორმათა კრებულში საკმაოაა. მომდევნო

გამოცემებში მათი მექანიკური გადატანის აუცილებლობა აღარაა (მეტიც, ალბათ დაუშვებელია)...

მაგრამ არის შემთხვევები, როცა საკითხი ასე იოლად ვერ გადაწყდება. თითქმის საუკუნის წინანდელი ნორმა აღარ ასახავს დღევანდელ ენობრივ რეალობას. ასეთ შემთხვევაში ნორმათა გადასინჯვა იქნება საჭირო. უნდა მივიღოთ პრინციპული გადაწყვეტილება. ასეთი საკითხი არაერთია. სისტემური ენობრივი ცვლილებები სერიოზული კორექტივების შეტანას გვიკარნახებს თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმებში. საკითხით დაინტერესებულთ არნ. ჩიქობავას აზრსაც შევახსენებთ: „სალიტერატურო ქართული ენა, როგორც ყოველი ცოცხალი ენა, უცვლელი ვერ იქნება. ამოცანა ისაა, რომ ცვლის ეს პროცესი მიზანშეწონილად წარგმართოთ: შევინარჩუნოთ და დავიცვათ ყველაფერი, რაც ფასეული შეუქმნია ქართული ენის მრავალსაუკუნოვან ისტორიას, ერთი მხრით, მეორეცაა და სალიტერატურო ქართულ ენას შევუნარჩუნოთ სათანადო კავშირი ცოცხალი ხალხური მეტყველების უშრეტ წყაროსთან“ (ჩიქობავა, 1972, 13).

როცა ნორმებზე ვსაუბრობთ, მივანიშნებთ, რომ ესაა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები. რას ნიშნავს თანამედროვე ენა? აუცილებელია თუ არა არსებული ნორმები შეესაბამებოდეს ენის დღევანდელ რეალურ ვითარებას? საუკუნის წინანდელი ვითარება რიგ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს თანამედროვედ, თუ ხდება სისტემური ენობრივი ცვლილება.

თუ რა მიგვაჩნია სისტემურ ენობრივ ცვლილებად და როგორი ნორმის გადასინჯვას ვთვლით აუცილებლად, ამის თაობაზე მომდევნო პარაგრაფში ვისაუბრებთ.

2. -ავ და -ამ თემისნიშნიან ორპირიან გარდამავალ ზმნათა პირველი თურმეობითის ფორმათა შესახებ

განვიხილავთ ორპირიან -ავ და -ამ თემისნიშნიან ზმნებში I თურმეობითის პარალელურ ფორმათა (დაუმაღლავს//დაუმაღლია, უთქვამს//უთქვია) ნორმირებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

დასახელებულ პარალელურ ფორმათაგან თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმის მიხედვით „ერთადერთ სალიტერატურო ფორმად“ მიიჩნევა თემისნიშნიანი ვარიანტები; „არალიტერატურულად უნდა იქნეს მიჩნეული“ -ია დაბოლოებიანი ფორმები (ნორმები, 1986, 217).

მიჩნეულია რომ -ია დაბოლოება -ავ და -ამ თემისნიშნიან ზმნებში მიიღება „სხვა ზმნების ანალოგიით, რომელთაც I თურმეობითში -ია დაბოლოება აქვთ“ (იქვე, 216).

არაორაზროვანი და პრინციპულია დასკვნა: „თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ერთადერთ ლიტერატურულ ფორმად უნდა დარჩეს -ავ და -ამ სუფიქსიანი ფორმები, ხოლო -ია დაბოლოებიანი ფორმები უკუგდებულ უნდა იქნეს“ (იქვე, 217).

რატომ? – იმიტომ, რომ თემისნიშნიანი ფორმები

- „ა) მართებული ფორმებია წარმოების თვალსაზრისით;
- ბ) მართებული ფორმებია ისტორიული თვალსაზრისით;
- გ) გაბატონებული ფორმებია თანამედროვე სალიტერატურო ქართულში“ (იქვე, 216).

შესაბამისად იგულისხმება, რომ -ია დაბოლოებიანი ფორმები

- ა) არ არის მართებული ფორმები წარმოების თვალსაზრისით;
- ბ) არ არის მართებული ფორმები ისტორიული თვალსაზრისით;
- გ) არ არის გაბატონებული ფორმები თანამედროვე სალიტერატურო ქართულში.

სამი ძირითადი არგუმენტიდან ჩვენთვის მისაღებია მესამე.

უფრო სწორად, ეჭვი არ შეგვიძლია შევიტანოთ იმაში, რომ თითქმის საუკუნის წინათ, როცა ეს ნორმა მუშავდებოდა, -აჲ და -ამ თემისნიშნიანი ფორმები იყო გაბატონებული (მით უმეტეს, რომ დასკვნა კეთდებოდა XIX საუკუნის კლასიკური ლიტერატურის მასალაზე). მაგრამ ეს არგუმენტი ფაქტობრივ დღეს აღარ გამოდგება; დღეს ვითარება შეიცვალა.

განსახილველ საკითხს საგანგებო გამოკვლევა მიუძღვნა ზურაბ ჭუმბურიძემ 1970 წელს. მისი აზრით, -აჲ და -ამ თემისნიშნიან ზმნათა I თურმეობითის ორივეგვარი წარმოება სალიტერატურო ენაში დასაშვებად უნდა იქნეს მიჩნეული. ამის საფუძვლად მკვლევარი ასახელებს იმ არგუმენტს, რომ „იგი საერთო ენობრივი ტენდენციის გამოხატულებაა, გავრცელებულია მთელი ხალხის სასაუბრო ენაში და არ წარმოადგენს ერთი რომელიმე დიალექტის (ან დიალექტთა წრის) შემონატანს სალიტერატურო ენაში; საკვებით ეგუება სალიტერატურო ენის განვითარების ტენდენციას, გამართლებულია ქართული ენის დღევანდელი გრამატიკული სისტემით და არ არღვევს ამ სისტემით ნაგულისხმევ თანმიმდევრობას; წარმოების პრინციპის მიხედვით მარტივია (ხელს უწყობს უნიფიკაციას, თავიდან გვარიდებს ხელოვნურ ფორმებს); მნიშვნელობის მიხედვით უფრო ნათელია (თავიდან გვაცვილებს ფორმათა დამთხვევას და ორაზროვნებას)“ (ჭუმბურიძე, 1976, 35-36).

ჩვენ ვეთანხმებით ზ. ჭუმბურიძის თვალსაზრისს და შევეცდებით დამატებითი არგუმენტების მოტანას.

უპირველესად გვინდა ყურადღება მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ არაა ერთგვაროვანი ვითარება I-II და III სუბიექტური პირების (იგულისხმება ვინის რიგი) ფორმათა წარმოების თვალსაზრისით.

თუ III სუბიექტური პირის ფორმათა შემთხვევაში პარალელიზმი ფაქტია (უნახავს//უნახია), I და II სუბიექტური პირების ფორმათა შემთხვევაში თემის ნიშნიანი ფორმები (ეუნახავვარ, გინახავვარ, მინახავვარ, უნახავვარ...) თითქმის აღარ გვხვდება არც ზეპირ და არც წერილობით მეტყველებაში; ამ ფორმებს ძირითადად ლინგვისტური განათლების პროფესიონალები თუ გამოიყენებენ. ჩვე-

ულებრივია -ია დაბოლოებიან პარადიგმათა მეშველზმნიანი ფორმები (კუნახივარ, გინახივარ, მინახიხარ, უნახიხარ...)

მესამე სუბიექტური პირის შემთხვევაში ზეპირმეტყველებაში ძირითადად -ია დაბოლოებიანი ფორმები გამოიყენება (უნახია, უთქვამს, დაუბია, დაუდგია...), -ავ სუფიქსიანი ფორმები შედარებით იშვიათია; სადაც არის, ძირითადად ნორმათა გავლენის შედეგია.

ასე რომ, ნორმათა დამდგენი კომისიის მიერ შემოთავაზებული ეს არგუმენტი დღეს აღარ გამოდგება -ია დაბოლოებიანი ფორმების „უკუსაგდებად“.

რას ნიშნავს ისტორიულად მართებული ფორმები (მეორე არგუმენტი)? თუ ენაში ზდება სისტემური ცვლილება, ამ ცვლილების ნებისმიერი ეტაპი ისტორიულად მართებულია. ვთქვათ, სუბიექტური II პირის გამოხატვაში ისტორიულად მართებულია ხანმეტიც, ჰაემეტიც, სანნარევი და „უნიშნო“ (დღევანდელი ნორმა) ვარიანტებიც. ამდენად, -ავ და -ამ თემისნიშნიან ზმნათა I თურმეობითის შემთხვევაში ისტორიულად მართებულია როგორც თემისნიშნიანი, ისე -ია დაბოლოებიანი ფორმები, რადგან ეს უკანასკნელი არის ამ ტიპის ფორმათა განვითარების ბოლო საფეხური.

დაუ-მალ-ავ-ს > დაუ-მალ-ვ-ია > დაუ-მალ-ია.

ამ პროცესის თაობაზე ქვევითაც ვისაუბრებთ, ასე რომ, მეორე არგუმენტი ჩვენთვის არაა გასაზიარებელი.

რაც შეეხება პირველ არგუმენტს, ჩვენი მსჯელობა არის ცდა იმის დასაბუთებისა, რომ -ია დაბოლოებიანი ფორმები მართებულია წარმოების თვალსაზრისით. თუ ეს ჩვენი მსჯელობა მისაღები იქნება, მაშინ გამოვა, რომ სამივე არგუმენტი, რაც -ავ და -ამ თემისნიშნიან ფორმათა მართებულობას ამტკიცებს, დღეს -ია დაბოლოების სასარგებლოდ მეტყველებს.

მაგრამ ჯერ უნდა გავარკვიოთ, არის თუ არა წარმოების თვალსაზრისით -ია დაბოლოებიანი ფორმები კანონზომიერი?

ცნობილი ფაქტია: დრო-კილოთა სისტემა საუღლებელი ფუძის პრინციპებზეა აგებული (ჩიქობავა, 1962). საუღლებელი ფუძის (ამ შემთხვევისათვის ჯობს გამოვიყენოთ ტერმინი თემა) ერთობა არის საფუძველი I და II სერიის მწკრივთა დაჯგუფებისა.

I სერია

მალ-ავ-ს

მალ-ავ-და

მალ-ავ-ღეს

II სერია

და-მალ-ა

და-მალ-ოს

III სერია ამ მხრივ განსხვავებულია – საუღლებელი ფუძე არაა ერთგვარი (ამის თაობაზე ვრცლად იხ.: გოგოლაშვილი 1988).

ჩვენ ამჯერად მხოლოდ მოქმედებითი გვარის ზმნათა წარმოების საკითხები გვინტერესებს – პრინციპულად განსხვავებულია ვითარება ძველსა და ახალ ქართულში.

ძველ ქართულში III სერიის მწკრივთა საწარმოებლად გამოიყენება როგორც რთული, ისე მარტივი თემა.

კანონზომიერება ასეა: რთული თემა აწარმოებს I თურმეობითის ფორმებს, მარტივი – II თურმეობითისა და III კავშირებითისას.

აწმყო

აღვა-შტნ-ებ, განვა-გ-ებ, დავკ-მალ-ავ

I თურმეობითი

აღმი-შტნ-ებ-იეს, განმი-გ-ებ-იეს, დამი-მალ-ავ-ს

II თურმეობითი

აღმე-შტნ-ა, განმე-გ-ო, დამე-მალ-ა

III კავშირებითი

აღმე-შტნ-ოს, განმე-გ-ოს, დამე-მალ-ოს

როგორც სქემიდან ჩანს, I თურმეობითი ყველა შემთხვევაში რთულ თემას გამოიყენებს, II თურმეობითი და III კავშირებითი – მარტივს.

I თურმეობითის შემთხვევაში განსხვავებას ქმნის ის ფაქტი, რომ -ავ და -ამ თემისნიშნთან ზმნებს -იეს დაბოლოება არა აქვთ. ამ მხრივ საშუალო ქართულის მიჯნაზე უნიფიცირების ტენდენციაც იჩენს თავს – -ავ თემისნიშნთანებს -ია დაბოლოება დაერთვის: დაუ-მალ-ვ-ია...

ამ ტიპის ფორმები (შემიკრვიეს, შეგიკრვიეს, შეუკრვიეს) ანტონის პარადიგმებშიც მოხვდა ჩვეულებრივი (შემიკრავს, შეგიკრავს, შეუკრავს) ტიპის ფორმათა გვერდით (ანტონი 1998).

დაუ-მალ-ვ-ია ტიპის ფორმები გვხვდება კლასიკურ მწერლობაშიც: მინახვიხარ (ილია), გვინახვია (მ. ჯავახიშვილი) და სხვა.

ფორმათა განვითარების დინამიკა ასეთია:

მი-ნახ-ავ-ის > (მი-ნახ-ვ-იეს >) მი-ნახ-ვ-ია > მი-ნახ-ია.

ნარევი ფორმები (ასე უწოდებენ მინახვია ტიპის ფორმებს – ნორმები, 216) არ დამკვიდრდა. წარმოება გადავიდა -ია დაბოლოებაზე: მინახავს > მინახია.

ნარევი ფორმების გაჩენა – ეს იყო მცდელობა ორპირიანი მოქმედებითი გვარის ზმნათა I თურმეობითის წარმოების უნიფიცაციისა.

აღმი-შმწნ-ებ-იეს, განმი-გ-ებ-იეს, დამი-მალ-ვ-იეს... ანუ I თურმეობითი ყველა ამ ტიპის ზმნისა იწარმოება რთული თემისაგან – იეს დაბოლოებით, თუმცა ეს ტენდენცია ბოლომდე არ გატარდა – თავი იჩინა ახალმა ტენდენციამ.

მაშ ასე, ძველი ქართულის პრინციპია –

I თურმეობითი – რთული თემა

II თურმეობითი და III კავშირებითი – მარტივი თემა

უუწოდოთ ამ პრინციპს პირობითად ფორმათა ერთგვაროვნების ჰორიზონტალური პრინციპი.

რა ცვლილება მოხდა ახალ ქართულში? მოქმედებითი გვარის ზმნათა ნაწილმა I თურმეობითში რთული თემა შეინარჩუნა და,

რაც მთავარია, II თურმეობითსა და III კავშირებითშიც რთული თემა გამოიყენა.

აუ-შენ-ებ-ია

აე-შენ-ებ-ინა

აე-შენ-ებ-ინოს

მეორე ნაწილმა II თურმეობითსა და III კავშირებითში მარტივი თემა შეინარჩუნა და, რაც მთავარია, I თურმეობითშიც მარტივი თემა გამოიყენა:

გაუ-გ-ია

გაე-გ-ო

გაე-გ-ოს

ანუ მოქმედებითი გვარის ზმნები მესამე სერიაში ემყარებიან ან რთულ თემას, ან – მარტივს. დაეარქვათ ამას პირობითად ფორმათა ერთგვაროვნების ვერტიკალური პრინციპი.

ამგვარი ცვლილებებით III სერიის ფორმათა წარმოებაც ერთგვაროვანი საუღლებელი ფუძის პრინციპს დაემყარა. სამივე მწკრივში ერთგვაროვანი ფუძეა – ან მარტივი თემა, ან – რთული თემა.

ამი-შენ-ებ-ია

ამი-გ-ია

ამე-შენ-ებ-ინა

ამე-გ-ო

ამე-შენ-ებ-ინოს

ამე-გ-ოს

ამიგია ტიპის ფორმათა ჯგუფში შვევა -ავ და -ამ თემისნიშნის ზმნები. ასე რომ, -ია დაბოლოებიანი ფორმები ასალი ქართული სისიტემის ნაწილია, და, შესაბამისად, მართებულია წარმოების თვალსაზრისით.

თუ ყოველივეს გავითვალისწინებთ, რაც ითქვა, დასკვნა შეიძლება ასეთი გაკეთდეს:

-ია დაბოლოებიანი ფორმებს (დაუმალაია, უნახია... დაკუმალავარ, ვუნახივარ...) უნდა მოეხსნას აკრძალვა და ისინიც მიჩნეული უნდა იქნენ სალიტერატურო ენის კუთვნილებად, რადგან:

ა) მართებული ფორმებია წარმოების თვალსაზრისით;

- ბ) მართებული ფორმებია ისტორიული თვალსაზრისით;
 გ) გაბატონებული ფორმებია თანამედროვე სალიტერატურო ქართულში.

* * *

როგორც ვთქვით, სამ ათეულ წელზე მეტია, რაც ქართულ ენათმეცნიერებაში დაისვა საკითხი -აჲ და -ამ თემისნიშნიან ზმნათა I თურმეობითის დაბოლოების ნორმის გადასინჯვისა. 1970 წელს ამ თემაზე მოხსენება წაიკითხა პროფ. ზ. ჭუმბურიძემ. წერილი გამოქვეყნდა 1976 წელს (ჭუმბურიძე 1976). ამავე საკითხს მიეძღვნა ჩვენი რამდენიმე ნაშრომი (2000-2007 წლებში). ამავე თემას შეეხნენ თავიანთ ნაშრომებში დ. მელიქიშვილი (მელიქიშვილი 2001), რ. სალინაძე (სალინაძე, 2007), რ. ზეკალაშვილი (ზეკალაშვილი, 2008). ქრონოლოგიური სიზუსტისათვის: საკითხი პირველად დაისვა ზ. ჭუმბურიძის ნაშრომში 1956 წელს (ჭუმბურიძე, 1956).

დასახელებულ ნაშრომებში არის ცდა იმ თვალსაზრისის დასაბუთებისა, რომ -ია დაბოლოებას აკრძალვა უნდა მოეხსნას. მიუხედავად ამისა, ნორმის ცვლილების საკითხს ოფიციალური მხარდაჭერა არ ჰქონია; უფრო მეტიც, გამოქვეყნდა შ. აფრიდონიძის წერილი, რომელშიც არსებული ნორმის „ოპონენტებისა თუ კრიტიკოსების“ მიმართ საკმაოდ არაკორექტული დამოკიდებულებით არის გამოთქმული სურვილი ჩვენი აზრის უარყოფისა, თუმცა არანაირი სერიოზული არგუმენტი საამისოდ ავტორს არ წარმოუდგენია (აფრიდონიძე, 2007).

ჩვენ პრინციპულად ვსვამთ საკითხს ამგვარად: არის თუ არა შესაძლებელი (და აუცილებელიც!) არსებული ნორმის შეცვლა, თუ რეალური ენობრივი ვითარება ამის საფუძველს იძლევა? თითქმის საუკუნის წინათ მიღებული ნორმა შეიძლება თუ არა დღევანდელი ვითარების შესაბამისად გასწორდეს? მან, ვისაც ამ საკითხებზე ფიქრი ევალება და პასუხისმგებლობა ეკისრება – პრინციპული პო-

ზიცია უნდა დაიჭიროს: ნორმა არ არის მუდმივი და უცვალბელი ფენომენი!

ჩვენ კვლავ ვუბრუნდებით საკითხს: უნდა მოეხსნას თუ არა აკრძალვა -ავ და -ამ თემისნიშნიან ზმნებში -ია დაბოლოებიან ფორმებს I თურმეობითში? თუ რატომ დაისვა საკითხი ამგვარად, ამის დასაბუთება ვცადეთ ზემოდასახელებულ ნაშრომებში. არგუმენტაცია საკმაოდ ვრცელია და, ჩვენი აზრით, ანგარიშგასაწვევი. ჩვენ არ გამოვრიცხავთ საპირისპირო აზრის არსებობას, მაგრამ ველოდით (თუკი ასეთი იქნებოდა) მეცნიერულ მსჯელობას... მოხდა კი სხვაგვარად: ავტორმა, შ. აფრიდონიძემ, ასე ვთქვათ, ლექცია ჩაკვიტარა მორალისა და ეთიკის თემებზე, პროფ. ზ. ჭუმბურიძე და მე დაგვადანაშაულა საკითხის გაუაზრებლობაში...

თურმე ნუ იტყვიტ და არ გვცოდნია, რომ „სალიტერატურო ენის ნორმალისაცია-რეგულირების პრინციპები ეფუძნება ენის ერთიან სისტემად გააზრებას“ (აფრიდონიძე, 2007, 17), რომ უნდა დაფუძირდეთ, „როდესაც ვაფასებთ უკვე დადგენილი ნორმის აკარგვიანობას, ან (მით უმეტეს) როცა მიზნად ვისახავთ მათს გადასინჯვას“ (იქვე, 20). შ. აფრიდონიძე პირდაპირ აცხადებს: „ამგვარი გადასინჯვის ცდა შეეხო (ერთხელ 1970-იან წლებში (ჭუმბურიძე ზ., 1976, 23-36), მეორედ კი ამ ბოლო ხანებში (გოგოლაშვილი გ. 2007, 36-38) -ავ და -ამ თემისნიშნიანი ზმნების I თურმეობითის წარმოების დღემდე მიღებულ ნორმას (არნ. ჩიქობავას პროექტის მიხედვით).. (იქვე, 20).“ შ. აფრიდონიძე რატომღაც არ თვლის ღირსად სხვა ავტორთა (დ. მელიქიშვილი, რ. სალინაძე...) მოხსენიებას... სიზუსტისათვის შეგახსენებთ: „მეორედ“ უფრო ადრე გამოითქვა ეს აზრი: 2000 წელს თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო სესიაზე წავიკითხე მოხსენება „კვლავ -ავ და -ამ თემისნიშნიანი ზმნათა I თურმეობითის ფორმათა შესახებ“. მოხსენების თეზისები დაიბეჭდა (გოგოლაშვილი, 2000): იმავე საკითხს სხვა კუთხით განვიხილავდით 2001 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „დრო-კილოთა III სერიაში მომხდარ ფორმობრივ ცვლილებათა შესახებ“ (გოგოლაშვილი, 2001); 2007 წელს არნ. ჩიქობავას საკი-

თხავებზე წავიკითხე მოხსენება „ორპირიან -ავ და -ამ თემისნიშნისან ზმნათა პირველი თურმეობითის ფორმათა შესახებ“ (გოგოლაშვილი, 2007). ეს ნაშრომი გამოქვეყნდა გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალში (გოგოლაშვილი, 2007-1). ეს ყველაფერი (და, რა თქმა უნდა, ზ. ჭუმბურიძის ვრცელი ნაშრომი) უნდა ჰქონდეს გათვალისწინებული შ. აფრიდონიძეს, როცა „ნაჩქარევ და უპასუხისმგებლო ნაბიჯად“ მიიჩნევს ჩვენს თვალსაზრისს. არ ეკადრება შ. აფრიდონიძეს, რომ ზ. ჭუმბურიძესა და გ. გოგოლაშვილს ასე მოძღვრავდეს: „ვიდრე სიახლის დანერგვას მომხრეთა არგუმენტაცია დოკუმენტურად არ შემაგრებულია (!) საკმარისი მასალობრივი ფაქტებით (!), რომლებიც მოპოვებული იქნება თანამედროვე სალიტერატურო ენის ფუნქციონირების სხვადასხვა სფეროდან, მხოლოდ ცალკეულ პირთა სასაუბრო მეტყველების (!) დაყრდნობა ნორმის შესაცვლელად ნაჩქარევი და უპასუხისმგებლო ნაბიჯი იქნება (!) და მისგან საიმედო შედეგებს არ უნდა ველოდეთ. მეთოდოლოგიურად გაუმართლებელია აგრეთვე სასაუბრო მეტყველების მასალების შეგროვებისას და, მით უფრო, მათი კვალიფიკაციისას დასკვნების გამოტანა მთქმელთა ლიტერატურული კომპეტენციის შემოწმებლად (!). სალიტერატურო ენის ნორმათა შემუშავება-დადგენისას ყურადღება მუდამ ექცეოდა კულტურული წრეებისა და ლიტერატურული ავტორიტეტების მეტყველებას“ (აფრიდონიძე, 2007, 20).

ჯერ ერთი, შ. აფრიდონიძის მიერ კრიტიკის საგნად ქცეულ ავტორთა საკმაოდ ვრცელ ნაშრომებში იყო ცდა საკითხის საფუძვლიანი განხილვისა (აუჩქარებლად და პასუხისმგებლობით); დაინტერესებული მკითხველი ამაში იოლად დარწმუნდება. შ. აფრიდონიძეს არ უცდია ჩვენი არცერთი არგუმენტის გაბათილება, ამიტომ მისივე სიტყვები რომ მოვიშველიოთ, ჩვენ „წინააღმდეგ გალაშქრება უნიადაგო და მიზანშეუწონელია“.

შ. აფრიდონიძე ჩვენ ფაქტების მიზანმიმართულ გაყალბებაშიც გვადანაშაულებს: „ძნელი სათქმელია, ასეთი უგულვებელყოფა შემთხვევითია, თუ არა, ანდა ავტორები (ე. ი. ჩვენ – გ. გ.) საერთოდ დააკვირდნენ თუ არა ამ ორ რიგს შორის არსებულ განსხვავებას

(ხმოვნინანი ძირები და უხმოვნო ძირები -გ. გ.) ... ნორმის საკითხის გადასაწყვეტად მათი მნიშვნელობა იგნორირებას არ იმსახურებს...“ (იქვე, 21).

მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ შ. აფრიდონიძე განგებ არასწორად, დამახინჯებულად, შეცვლილად წარმოადგენს ჩვენს თვალსაზრისს. გავიხსენოთ: დღემდე მიღებული ნორმა -ავ და -ამ თემის ნიშნების შენარჩუნება I თურმეობითში. შ. აფრიდონიძის აზრით, თურმე ჩვენ მიერ „სანაცვლოდ შემოთავაზებულია -ია და-ბოლოების საყოველთაო უნიფიკაცია ყველა მოდელის, ყველა თემის ნიშნის შემცველ (და, ცხადია, უნიშნო) ზმნებში“... (იქვე, 20).

მკითხველს შევახსენებთ ზ. ჭუმბურიძის დასკვნას: „ავ და ამ თემისნიშნიან ზმნათა I თურმეობითის ორივეგვარი წარმოება სალიტერატურო ენაში დასაშვებად უნდა იქნეს მიჩნეული“ (ჭუმბურიძე 1976, 36). ჩვენი დასკვნა ასეთია: „-ია დაბოლოებიან ფორმებს (და-უმალია, უნახია... დაკუმალივარ, ვუნახივარ...) უნდა მოესხნას აკრძალვა და ისინიც მიჩნეული უნდა იქნენ სალიტერატურო ენის კუთვნილებად“ (გოგოლაშვილი, 2007, 9). შ. აფრიდონიძისეულ ინტერპრეტაციას ჩვენს აზრთან საერთო არაფერი აქვს.

როცა არის აკვიატებული სურვილი, წინ აღუდგეს ახალს და არ არის საამისო მეცნიერული არგუმენტი, მაშინ „აკრძალულ ხერხსაც“ მიმართავენ. ასე მოსდის შ. აფრიდონიძესაც. მოვუსმინოთ: „დღეს ყველა ქართველი შესანიშნავად იცნობს რუსთველისეულ ფორმულას, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს ესოდენ ლაკონურად და სახიერად გამოუვიდა, როგორც I თურმეობითის ტრადიციული ხმარების ჩამოყალიბებული წესი: „რა უთქვამს, რა მოუჩმახავს, რა წიგნი მოუწერია!“ ამაზე მარტივად, ამაზე უკეთესად მოწოდებულ (თანაც ადვილად დასახსომებელ) წესს ვერც ერთი მოსწავლე ვერ ინატრებდა!.. მათს წინააღმდეგ გალაშქრება (!) უნიადაგო და მიზანშეუწონელია“ (აფრიდონიძე, 2007, 20).

მსჯელობა ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს ჩვენ გავილაშქრეთ რუსთაველის წინააღმდეგ და მოვითხოვედეთ რუსთაველთან და სხვაგანაც -ავ და -ამ დაბოლოებათა შეცვლას: რა უთქვია, რა მოუჩმახია!... შ. აფრიდონიძემ სხვაზე უკეთ უნდა იცოდეს, რომ ბევრი რამ, რაც რუსთაველის დროს ნორმა იყო, დღეს აღარაა

ნორმა. — რატომო, არ დასვამს ამ კითხვას, რადგანაც პასუხი სხვაზე უკეთ მოეხსენება...

მაშ, რისთვის სჭირდება ასეთი გაშარება საკითხისა? მიზანი აქვს „ღიადი“ — რაღაც უნდა დაუჯდეს, შეინარჩუნოს -ია დაბოლოების აკრძალვა...

საკმაოდ კრცულ შეგონებით წერილში შ. აფრიდონიძე თავისი აზრის სამტკიცებლად ერთადერთ არგუმენტს მოიშველიებს. იგი საუბრობს „კონკურენტ ლექსიკურ წყვილებზე“ (მისი ტერმინია). ე. ი. ისეთ ზმნებზე, რომლებიც ნორმის გადასინჯვის შემთხვევაში ერთმანეთს დაემთხვეოდნენ. ჯერ ამას მივაპყროთ ყურადღება: თითქოს ჩვენ ვითხოვთ ერთადერთ -ია დაბოლოებას! -ავ და -ამ დაბოლოებას არავინ კრძალავს... მაგრამ არსებითი ამ შემთხვევაში მანც სხვაა:

შ. აფრიდონიძის აზრით, თუ -ია დაბოლოებას მოეხსნება აკრძალვა, რამდენიმე -ავ თემისნიშნიანი ზმნის I თურმეობითის ფორმა დაემთხვევა სხვა თემისნიშნიანი ზმნის I თურმეობათის ფორმას. სულ ასეთ 13 ზმნას მოიძევს შ. აფრიდონიძე. სამწუხარო ისაა, რომ ამ 13 მაგალითიდან მხოლოდ ხუთი მაგალითია სწორად შერჩეული; დანარჩენი რვა მაგალითი არასწორადაა მოყვანილი და მკითხველის შეცდომაში შეყვანას ისახავს მიზნად. განვიხილოთ კონკრეტულად.

უშეცდომოდ შერჩეული ხუთი მაგალითია:

1. კლავს — მოუკლია და აკლებს — მოუკლია;
2. ხრავს — დაუხრია და ხრის — დაუხრია;
3. სვამს — დაუსვია და ასობს — დაუსვია;
4. შერგავს — შეურგია და შეარგებს — შეურგია;
5. შესვამს — შეუსვია და შე-ა/უ-სობს — შეუსვია.

(მანც გავიხსენოთ ის, რომ მოუკლავს, დაუხრავს, დაუსვამს, შეურგავს, შეუსვამს ფორმების აკრძალვას არავინ ითხოვს!..).

შ. აფრიდონიძე ასევე „კონკურენტ ზმნებად“ ასახელებს:

1. ფლავს და ფლობს, თუმცა ამ ზმნათა I თურმეობითის ფორმები ვერ დაემთხვევა ერთმანეთს, რადგან ფლობს ზმნას III სერიის ფორმები არ გააჩნია. იხ. ქველ: „ფლობს (მხოლოდ ნაკვთა აწმყოს წყებაში), გარდაუვალი, სტატიკური“...

2. დაიცავს ზმნის მოყვანა დაუცობს ზმნის კონკურენტად შეცდომა, რადგან დაიცავს ზმნაში ავ არ არის თემის ნიშანი!...

3. მოსრავს და მოსვრის ზმნათა შემთხვევაში I თურმეობითის ფორმები განსხვავებულია: მოუსრია და მოუსვრია (თუმცა ისიც ვთქვათ, მოსრავს ზმნა არქაიზმია და არცაა მოსალოდნელი მისი ია დაბოლოებიანი ვარიანტის გამოყენება...).

4. ასევე განსხვავებულია I თურმეობითის ფორმები დაძრავს და დააძრობს ზმნათა შემთხვევაშიც: დაუძრია (დაუძრავს) და დაუძვრია...

5. ასევე განსხვავებულია I თურმეობითის ფორმები აწყავს და ააწყობს ზმნებისა: აუწყია (აუწყავს) და აუწყვია...

6. ასევე განსხვავებულია I თურმეობითის ფორმები დაწყავს და დააწყებს ზმნებისა: დაუწყია (დაუწყავს) და დაუწყია...

7. ასევე განსხვავებულია I თურმეობითის ფორმები ართავს და ართობს ზმნებისა: დაურთია (დაურთავს) და გაურთვია (აქ ზმნისწინიც სხვაობს!)...

8. ასევე განსხვავებულია I თურმეობითის ფორმები დახშავს და დაახშობს ზმნებისა: დაუხშვია (დაუხშავს) და დაუხშვია...

როგორც ვხედავთ, მთავარ არგუმენტად მოყვანილი 13 მაგალითიდან („პოტენციური დამთხვევის შესაძლებლობით I თურმეობითში“) რვა მცდარი მაგალითია! შევნიშნავთ: თუ ეს შეცდომებია, შ. აფრიდონიძის კვალიფიკაციის ავტორისათვის დასანანი შეცდომებია; თუ გამიზნულადაა მცდარი ფორმები მოყვანილი, ეს კიდევ უფრო დასანანია!...

არსებითია ისიც, რომ თუ ერთადერთი კონტრარგუმენტი შ. აფრიდონიძისათვის არის ზუთი ზმნის შესაძლო დამთხვევა I თურმეობითში, რატომ ავიწყდება ის არგუმენტი, რომელიც თავის დრო-

ზე მოიშველია ზ. ჭუმბურიძემ: I თურმეობითისა და მყოფადის ფორმათა დამთხვევა არა ხუთ(!), არამედ ყველა -ავ და -ამ თემის-ნიშნიან ზმნაში: დაუნატავს (ის მას მას) და დაუნატავს (მას ის)!..

ჩვენ აქ აღარ ვაპირებთ ჩვენს სხვა ნაშრომებში მოყვანილი არგუმენტების გამეორებას; ვფიქრობთ, საკმარისად ითქვა. სისტემის მოყვარულთათვის ყურადღებას მივაქცევთ ერთ ფაქტს: -ავ და -ამ თემისნიშნიან ზმნათა I თურმეობითის მეშველზმნიან ფორმებში დღესდღეობით გაცილებით უფრო გავრცელებულია მეორე (ვუწოდოთ გვიანდელი) ვარიანტი, ვიდრე – პირველი (პირობითად – ადრინდელი). პირველი ნორმატული პარადიგმაა, მეორე – „უკუგდებულ უნდა იქნეს“. კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი სრულ პარადიგმებს და გავაკეთოთ დასკვნა – არის თუ არა „უკუსაგდები“ მეორე პარადიგმა:

დამიხატ-ავ-ს	//	დამიხატ-ი-ა მე ის (ისინი)
დაგიხატ-ავ-ს	//	დაგიხატ-ი-ა შენ ის (ისინი)
დაუნატ-ავ-ს	//	დაუნატ-ი-ა მას ის (ისინი)
დაგვიხატ-ავ-ს	//	დაგვიხატ-ი-ა ჩვენ ის (ისინი)
დაგიხატ-ავ-თ	//	დაგიხატ-ი-ა-თ თქვენ ის (ისინი)
დაუნატ-ავ-თ	//	დაუნატ-ი-ა-თ მათ ის (ისინი)
დამიხატ-ავ-ხარ	//	დამიხატ-ი-ხარ მე შენ
დამიხატ-ავ-ხართ	//	დამიხატ-ი-ხართ მე თქვენ
დაგვიხატ-ავ-ხარ	//	დაგვიხატ-ი-ხარ ჩვენ შენ
დაგვიხატ-ავ-ხართ	//	დაგვიხატ-ი-ხართ ჩვენ თქვენ
დაგიხატ-ავ-ვარ	//	დაგიხატ-ი-ვარ შენ მე
დაგიხატ-ავ-ვართ	//	დაგიხატ-ი-ვართ შენ ჩვენ
დაგვიხატ-ავ-ხარ	//	დაგვიხატ-ი-ხარ ჩვენ შენ
დაგვიხატ-ავ-ხართ	//	დაგვიხატ-ი-ხართ ჩვენ თქვენ
დავეუნატ-ავ-ვარ	//	დავეუნატ-ი-ვარ მას მე
დავეუნატ-ავ-ვართ	//	დავეუნატ-ი-ვართ მას ჩვენ
დაუნატ-ავ-ხარ	//	დაუნატ-ი-ხარ მას შენ
დაუნატ-ავ-ხართ	//	დაუნატ-ი-ხართ მას თქვენ

დაგიხატ-ავ-ვართ // დაგიხატ-ი-ვართ თქვენ მე (ჩვენ)
 დაუხატ-ავ-ვართ // დაუხატ-ი-ვართ მათ მე (ჩვენ)
 დაუხატ-ავ-ხართ // დაუხატ-ი-ხართ მათ შენ (თქვენ)
 ვფიქრობთ, დასკვნის გამოტანა იოლია...

დაბოლოს: ნორმა უნდა შეიცვალოს, რომ „სალიტერატურო ქართულ ენას შეეუნარჩუნოთ სათანადო კავშირი ცოცხალი ხალხური მეტყველების უშრეტ წყაროსთან“ (არნ. ჩიქობავა).

3. სტატიკურ ზმნათა აწმყოს I-II პირის მეშველზმნიან ფორმათა შესახებ

ნორმატულ რეკომენდაციებზე საუბრისას რა მნიშვნელობა აქვს სისტემის, უფრო სწორად, სისტემაში მიმდინარე ცვლილებების გათვალისწინებას, ჩვენი აზრით, კარგად წარმოჩნდა -ავ და -ამ თემისნიშნის ზმნათა მაგალითზე. ეს ის შემთხვევა იყო, როცა მიღებული ნორმა უნდა გადაისინჯოს ენობრივი ცვლილებებიდან გამომდინარე. სხვაა ის შემთხვევა, როცა ნორმას ვიღებთ და ამ დროს არ ვითვალისწინებთ სისტემას.

2002 წლის 28 ნოემბერს საქართველოს პრეზიდენტთან არსებულმა ქართული ენის სახელმწიფო კომისიამ დაამტკიცა ახალი ნორმები. ჩვენ ერთ-ერთი მათგანი გვანტერესებს: „ი-ზე ფუძეგათაკებული ზოგიერთი აწმყოს პირველი და მეორე პირის ფორმების მართლწერა“. საკითხი ეხება სტატიკურ ზმნებს. გვაქვს პარალელური ფორმები მეშველი ზმნითა და მის გარეშე:

ვტირი // ვტირი-ვარ, ტირი // ტირი-ხარ;
 ვყვირი // ვყვირი-ვარ, ყვირი // ყვირი-ხარ;
 ვჩივი // ვჩივი-ვარ, ჩივი // ჩივი-ხარ;
 ვტყუი // ვტყუი-ვარ, ტყუი // ტყუი-ხარ...

ახლადღადგენილი ნორმის მიხედვით, სწორია პირველი ვარიანტი (მეშველი ზმნის გარეშე), მცდარია მეორე (ახალი ნორმები, 8). მეშველზმნიანი ფორმები, ნორმის პროექტის ავტორის აზრით, ეზივარ, ვწევარ, ვდგავარ, მივდივარ ზმნათა „მიბაძვით იქნა ნაწარ-

მოები მეშველი ყოფნა ზმნის საშუალებით. ასე მივიღეთ უმართე-ბულო ფორმები“ (იქვე). ე.ი. არასწორი ფორმების გაჩენის მიზეზი ანალოგიააო. ვ. თოფურიას სკოდნია თქმა, ანალოგია გაჭირვების ახსნააო. ვფიქრობთ, „მიბაძვა“, ანალოგია სწორედ გაჭირვების ახსნაა ამ შემთხვევაში. სინამდვილეში სხვა ვითარებაა; სტატიკურ ზმნათა ფორმაწარმოების ისტორიისა და თანამედროვე ვითარების გათვალისწინება სხვაგვარი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა.

სტატიკურ ზმნათა აწმყოფორმათა წარმოებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა:

ძველ ქართულში ყველა ტიპის სტატიკური ზმნა I-II პირის ფორმებს ორგანულად იწარმოებს: ვ-ღგა (ს-ღგა, ღგა-ს) ... ვ-ტირ (ს-ტირ, ტირ-ს)... ვ-იცი (იცი, იცი-ს)...

აპა ესერა მე წინაშე შენსა ვღგა; ჩემ თანა სღგა და განუშორებელ ხარ(87) (მაგალითები მომყავს ი. და ვ. იმნაიშვილების წიგნიდან „ზმნა ძველ ქართულში“, I, 1996. გვერდებს ვუთითებთ ამ გამოცემიდან).

მე აქა მშუღობით ვზი; შენ ჰზი აქა პარეხსა ამას მარტომ (88).

მე უკვე აწ აგრეთ ვრბი, ვითარცა არა უჩინოდ; ზოლო შენ მოკლვად ჰრბი (88).

აწ ჩუენ რაღსა ვსხედთ? რომელთა შორის თქუენ ჰსხედთ (88).

გარემშ ვჩანთ მდაბლად; ნუცა შენ აქა სცან (89).

და მე ვწუხ; რაღსა სტირ და სწუხ (89).

შენ სწევ და ჰკუნესი (89).

დედაკაცო, რაღსა სტირ (89)... (უფრო ვრცლად ამ საკითხებზე იხ.: ბარამიძე 1964).

მომდევნო პერიოდში დაიწყო I-II პირის ფორმათა მეშველ-ზმნიან წარმოებაზე გადასვლა: ვ-ღგა-ვარ (ღგა-ხარ, ღგა-ს)... ვ-ტირი-ვარ (ტირი-ხარ, ტირი-ს)...

საშუალო ქართულში უკვე დასტურდება პარალელური წარმოება: (მაგალითებს ვიმოწმებთ ლ. ბარამიძის დასახელებული ნაშრომიდან გვ. 123-126).

მე ლაპარაკად აქა ვზი; მზესთან მთვარე ვითა ვზივარ (შაჰნამე).

თქვეს: ვწუხთო აქ არ დამხდომნი; რასთვის სწუხხარ პირად მზეო? (არჩილი).

ვწივ; სწივ (ვისრამიანი); ვწევარ (შვიდი მთ.), სწევხარ (შაჰნამე).

სხედთ (ვისრ.); ვსხედვართ (შაჰნამე)...

ამ ეტაპზე პარალელური ფორმები იმ ზმნებმა გაიჩინეს, რომლებიც დღეს მხოლოდ მემშველზმნიანი არიან. ჩვენთვის საინტერესო ზმნათა (ტირის, ყვირის...) მემშველზმნიანი ვარიანტი ვერ დავადასტურეთ. „ვეფხისტყაოსანში“ ტირის ზმნის I-II პირის II ფორმა დასტურდება (სიმფონია 1956), არცერთი არ არის მემშველზმნიანი: „ვტირი ცრემლითა ცხარითა“, „უბრძანა, ნუ სტირ, ასულო...“ და სხვა. საშუალო ქართულის მოგვიანო პერიოდის ძეგლები ალბათ სხვა ვითარებას გვიჩვენებენ. ფაქტია, პროცესი არაერთგვაროვნად წარიმართა: სტატიკურ ზმნათა ერთ ჯგუფში პროცესი დასრულებულია: მდგომარეობის გამომხატველი ზმნები მხოლოდ მემშველზმნიანი დღეს: ვ-დგა-ვარ, ვ-ზი-ვარ, ვ-წი-ვარ...

სტატიკურ ზმნათა მეორე ნაწილში ფორმათა პარალელიზმი გვაქვს:

ვ-ტირი // ვ-ტირი-ვარ,

ვ-ყვირი // ვ-ყვირი-ვარ,

ვ-ჩივი // ვ-ჩივი-ვარ...

მესამე ნაწილს სალიტერატურო ენაში მხოლოდ ორგანული წარმოება აქვს: ვ-ფიქრობ, ვ-იცი, ვ-იცი... თუმცა ყურადღასღებია ისიც, რომ სასაუბრო მეტყველებაში (განსაკუთრებით ბავშვების ენაში) გვხვდება: ვ-ფიქრობ-ვარ, ვ-იცი-ვარ ტიპის ფორმები. ამგვარ ფორმათა არსებობა კანონზომიერი ჩანს — ეს არის ასახვა არსებული ტენდენციისა; ამის დასტურია ის, რომ პროცესი დასრულებული

სახეს იღებს ინგილოურ დიალექტში; იქ ის ზმნებიც მეშველზმნა-
ნია, სხვა დიალექტებში ორგანულად რომ იწარმოება:

ვ-იცი-ვარ, იცი-ხარ...

ვ-იცინი-ვარ, იცინი-ხარ;

ვ-ფიქრობ-ვარ, ფიქრობ-ხარ... (იმნაიშვილი, 1966).

ნორმის მიღების შემთხვევაში ეს ტენდენცია ფორმაცვალებისა
უნდა იქნეს გათვალისწინებული და პარალელურ ფორმათა შე-
მთხვევაში შევთავაზოთ ისეთი ნორმა, რომელიც არ შეეწინააღმდე-
გება ენის განვითარების ბუნებრივ პროცესს. მით უმეტეს. თუ პა-
რალელურ ვარიანტთაგან თითოეულს გავრცელების თანაბარი სიხ-
შირე აქვს. ამ თვალთახედვით, პარალელურ ვარიანტთაგან – ვ-
ტირი // ვ-ტირი-ვარ, ვ-ყვირი // ვ-ყვირი-ვარ, ვ-მღერი // ვ-მღერი-ვარ
– პირველისათვის ნორმის სტატუსის მინიჭება და მეორის მცდარ
(არალიტერატურულ) ფორმად გამოცხადება არ მიგვაჩნია გამარ-
თლებულად. ეს არ ეხება, ცხადია, ვ-იცინი-ვარ, ვ-ფიქრობ-ვარ ტი-
პის ფორმებს, რომლებიც ფაქტობრივ არ იხმარება. რეკომენდაციე-
ბის მიცემისას პარალელურ ფორმათაგან შეიძლება უპირატესობა
მივიანიჭოთ ისტორიულად მართებულ ვარიანტს – ვ-ტირი, ვ-მღერი,
ვ-ჩივი ტიპის ფორმებს, მაგრამ არ უნდა ავკრძალოთ ვ-ტირი-ვარ,
ვ-მღერი-ვარ ტიპის ფორმები.

ამ შემთხვევაში სისტემური ცვლილებების გაუთვალისწინებ-
ლობა ისეთივე ვითარებას შექმნის, რაც -ავ და -ამ თემისნიშნთან
ზმნათა I თურმეობითში გვაქვს: ენობრივი რეალობა სხვაა, ნორმა –
სხვა.

4. ენებითი გვარის ზმნათა II კავშირებითის პარალელურ ფორმათა შესახებ (იქნეს თუ იქნას)

ორთოგრაფიული ლექსიკონის მნიშვნელობა წიგნიერი საზო-
გადოებისათვის განმარტებას არ საჭიროებს. ამონაწერი ენციკლო-
პედიიდან: „ორთოგრაფიული ლექსიკონი. სალიტერატურო ენის
ნორმატიული ლექსიკონი, ანუ მართლწერის თვალსაზრისით სწო-
რი, ენობრივი ნორმების მიხედვით გამართული ლიტერატურული

სიტყვაფორმების ლექსიკონი“ (ენციკლოპედია, 2008). წერენ კიდევ ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის წინასიტყვაში: „ამ (ორთოგრაფიული – გ. გ.) ლექსიკონის გამოცემას ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამკვიდრებისა და დაცვის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭება“ (თოფურია, გიგინეიშვილი 1998, ნ); მიანიშნებენ იმასაც, რომ „ეს (ორთოგრაფიული – გ. გ.) ლექსიკონი ემყარება იმ ნორმებს, რომლებიც კომისიამ მიიღო სალიტერატურო ქართული ენისათვის“ (იქვე) (ხაზი ჩვენია). აქ დაზუსტებაა საჭირო: ცხადია, ორთოგრაფიული ლექსიკონი ითვალისწინებს ყველა დადგენილ ნორმას, მაგრამ არის არაერთი საკითხი, რომელიც ნორმის თვალსაზრისით მოუგვარებელია, მათ შესახებ ნორმა არ არის დადგენილი. ასე რომ, „ლექსიკონი ემყარება ნორმებს“, არ მოიცავს ყველა ფორმას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ზოგ შემთხვევაში თუ ნორმასთან გვაქვს საქმე, სხვა შემთხვევაში მას რეკომენდაციის სახე აქვს.

ამიტომაც ლექსიკონში შეიძლება არაერთგვაროვნად იყოს წარმოდგენილი ცალკეულ შემთხვევაში ერთი და იმავე რიგის ფაქტები. ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის მნიშვნელობას ჩვენ იმაშიც ვხედავთ, რომ ასეთი მასალის თავმოყრა გასარკვევ და შესასწავლ საკითხებს წარმოაჩენს. რამდენიმე მათგანზე ვამახვილებთ ყურადღებას.

ორთოგრაფიული ლექსიკონი გვასწავლის: სწორია ფორმა იქნეს; შესაბამისად, იგულისხმება, რომ მცდარია იქნას. არადა, -ა სუფიქსიანი ვარიანტი არანაკლებ გავრცელებულია, ვიდრე – ე სუფიქსიანი: „ფარსმან სპარსისათვის კონსტანტინე არსაკიძის დაპირისპირება გაგებულ უნდა იქნას, როგორც ტეზა და ანტიტეზა რომანში“ (კ. გამსახურდია). მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება.

ორთოგრაფიულ ლექსიკონში ამ ზმნის ზმნისწინიან ფორმებში კიდევ უფრო კონკრეტდება და ზუსტდება ვითარება: (შეიქნას კი არა) შეიქნეს (ათი წლისა). მაგრამ შეიქმნას (სახელმწიფო, ორგანიზაცია). პარალელური -ე სუფიქსიანი ფორმა ამ ზმნისაც აქვს: შეიქმნეს.

არადა, შეიქნეს//შეიქნას და შეიქმნეს//შეიქმნას გრამატიკულად იდენტური ოდენობებია. ერთ შემთხვევაში პარალელურ ფორმათაგან -ე სუფიქსიან ვარიანტს ეძლევა უპირატესობა, ხოლო მეორე შემთხვევაში - ა სუფიქსიანს. რატომ? ამ კითხვაზე პასუხი არა გვაქვს. თუ ისაა მთავარი არგუმენტი, რომ ისტორიულად იქნეს ფორმა არის მართებული, იგივე შეიძლება ითქვას შეიქმნეს ფორმაზეც. შესაბამისად: თუ არამართებულია იქნას ფორმა, არამართებულად უნდა ჩაითვალოს შეიქმნას ფორმაც.

მსგავსად აღნიშნული ზმნებისა, პარალელურად იწარმოებს II კავშირებითის ფორმებს უნიშნო (რესპ. ი-ელემენტისანი) წყვეტილის მქონე ი- პრეფიქსიანი ვნებითები:

შეიძრას//შეიძრეს, გაიხსნას//გაიხსნეს, გაიხრწნას//გაიხრწნეს, გაირყვნას//გაირყვნეს. ამგვარ პარალელურ ფორმათა არსებობას ორთოგრაფიულ ლექსიკონში ყურადღება არ ექცევა; II კავშირებითის სწორი ფორმა საერთოდ არ მიეთითება, თუმცა ზოგი ზმნის შემთხვევაში -ე სუფიქსიანი ვარიანტია მიჩნეული მართებულად (დაიბნეს, დაირწეს, დაირღვეს...), ზოგჯერ -ა სუფიქსიანი ვარიანტი (დაისვას, დაიძრას...).

პასუხი უნდა გაეცეს კითხვებს: რატომაა მართებული შეიქნეს და არა შეიქნას? ანდა შეიქმნას და არა შეიქმნეს? - მით უმეტეს, რომ ისტორიულად ორივე შემთხვევაში მართებულია -ე სუფიქსიანი ვარიანტი?

არაერთგვაროვნად წარმოდგენა ერთი და იმავე რიგის ფაქტებისა იმის გამო ხდება, რომ არაა გააზრებული ამ ფორმათა ადგილი ენობრივ სისტემაში და არაა გათვალისწინებული ის ტენდენციები, რომლებიც ამ რიგის ენობრივი ფაქტების განვითარებასთან არის დაკავშირებული.

ისტორიული პრინციპის მოშველიება ამ შემთხვევაში არ გამოგვადგება: II კავშირებითის წარმოებაში პარალელური ფორმების მქონე ვნებითი გვარის ზმნათა ერთ ჯგუფში -ე სუფიქსიანი ფორმებია მართებული (შეიქმნ-ე-ს, იქნ-ე-ს, იშვ-ე-ს, დაეხსნ-ე-ს,

განიხრწნ-ე-ს...), მეორე ჯგუფის ზმნებში – ა სუფიქსიანები (აღიდრ-ა-ს, შემოურტყ-ა-ს, განერთხ-ა-ს, დაერქვ-ა-ს, დაიწვ-ა-ს...).

ახალ ქართულში პრობლემას ვნებითი გვარის ზმნები ქმნის (პარალელში აქ გვაქვს). მოქმედებითი გვარის ზმნათა შემთხვევაში ფორმათა ერთგვაროვნებაა: ყველა შესაბამისი მოქმედებითი გვარის ზმნა II კავშირებითს -ა სუფიქსით იწარმოებს: შექმნ-ა-ს, ქნ-ა-ს, შვ-ა-ს, დახსნ-ა-ს, გახრწნ-ა-ს, აღძრ-ა-ს, დაწვ-ა-ს...

როგორც ირკვევა, ძველ ქართულში პრინციპულად განსხვავებული ვითარება იყო; არსებობდა მკაცრი კანონზომიერება: როგორც ვნებითი, ისე მოქმედებითი გვარის ზმნათა უნიშნო (resp. ი-ელემენტის) წყვეტილის მქონე ზმნები II კავშირებითს ერთნაირად იწარმოებდნენ: თუ საყრდენ მორფემაში ე ხმოვანი იყო რედუცირებული, II კავშირებითის მაწარმოებელი იყო ე; სხვა შემთხვევაში – ა:

ქენ – ი-ქნ-ე-ს და ქნ-ე-ს, ქმენ – იქმნ-ე-ს და ქმნ-ე-ს, შევ – ი-შვ-ე-ს და შვ-ე-ს, ჭერ – და-ი-ჭრ-ე-ს და და-ჭრ-ე-ს, ხრწენ – განი-ხრწნ-ე-ს და გან-ხრწნ-ე-ს...

ძარ – აღიდრ-ა-ს და აღ-ძრ-ა-ს, წვ – მოი-წუ-ა-ს და და-წუ-ა-ს... (უფრო ვრცლად იხ.: გოგოლაშვილი 1983).

როგორც ვხედავთ, თუ ძველ ქართულში ე და ა სუფიქსთა განაწილებას II კავშირებითში ფონოლოგიური საფუძველი ჰქონდა, ახალ ქართულში წინა პლანზე წამოვიდა გვარის ფაქტორი: უნიშნო წყვეტილის მქონე მოქმედებითი გვარის ყველა ზმნა ა-სუფიქსიან წარმოებაზე გადავიდა: ქნ-ა-ს, ქმნ-ა-ს, შვ-ა-ს, ჭრ-ა-ს... ვნებითის შემთხვევაში ტენდენციას მკვეთრად გამოხატული მიმართულება არა აქვს ერთი რომელიმე მაწარმოებლის გაბატონებისა; პარალელური ვარიანტები გაიჩინეს როგორც ე სუფიქსიანებმა (ი-ქნ-ე-ს // ი-ქნ-ა-ს...), ისე – ა სუფიქსიანებმა (აღ-ი-ძრ-ა-ს // აღ-ი-ძრ-ე-ს...). პარალელურ ფორმათა გავრცელების სიხშირე თანაბარი ჩანს. ვთვლით, რომ რომელიმე მათგანის აკრძალვა არ იქნებოდა მართებული; ალბათ შესაძლებელია პარალელურ ფორმათაგან უპირატესობა მიეცეს ე სუფიქსიან ვარიანტს.

5. ამქვეყნად და იმ ქვეყნად

ვთქვით, რომ ორთოგრაფიულ ლექსიკონში არის შემთხვევები, როცა ერთი და იმავე რიგის ფაქტები სხვადასხვა ფორმით არის წარმოდგენილი. ასეთი ფაქტების გამოვლენა, მათი წესის ფარგლებში მოქცევა საშური საქმეა; ეს ხელს შეუწყობს ლექსიკონის შემდგომი გამოცემების დახვეწას; შესაბამისად, სალიტერატურო ენის სიწმინდის დაცვას. ასეთი რიგის მოვლენად მიგვაჩნია გამოთქმები ამქვეყნად და იმ ქვეყნად.

დასახელებული გამოთქმები საკმაოდ ხშირად ხმარებულა; ისინი ორთოგრაფიულ ლექსიკონში განსხვავებულად იწერება: ერთად – ამქვეყნად, ცალ-ცალკე – იმ ქვეყნად. სალიტერატურო ენის კარგი მცოდნეც კი ამ ფაქტს ხშირად შეცდომაში შეჰყავს: არ არის არავითარი ლოგიკა, რატომ იწერება ერთი ერთად (ამქვეყნად) და მეორე – ცალ-ცალკე (იმ ქვეყნად). რომ ყოფილიყო ერთნაირი დაწერილობა, შეიძლებოდა არ გვედავა პრინციპზე...

მაინც, ერთად უნდა ვწეროთ თუ ცალ-ცალკე? ვფიქრობთ, ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა არ იქნებოდა მართებული.

ჩვენი აზრით, თუ ამ გამოთქმას განვიხილავთ შესიტყვებად, მაშინ სწორია ცალ-ცალკე დაწერილობა:

სახ.	ეს ქვეყანა	ის ქვეყანა
მოთხ.	ამ ქვეყანამ	იმ ქვეყანამ
მიც.	ამ ქვეყანას	იმ ქვეყანას
ნათ.	ამ ქვეყნის	იმ ქვეყნის
მოქ.	ამ ქვეყნით	იმ ქვეყნით
ვით.	ამ ქვეყნად	იმ ქვეყნად

თუ ამ გამოთქმებს ზმნისართულ ფორმად გავიაზრებთ, მაშინ მართებული იქნება, დაიწეროს ერთად: ამქვეყნად, იმქვეყნად.

ქართულ სინამდვილეში გვაქვს შემთხვევები, როცა ერთი და იგივე გამოთქმა განსხვავებულად იწერება კონტექსტისდა შესაბამი-

სად: არცერთი (არცერთი მათგანი ამას არ იტყვის) და არც ერთი (არც ერთი მოსულა და არც — მეორე)... არაერთი (არაერთი ჩვენგანი...) და არა ერთი (არა ერთი, არამედ რამდენიმე...)... მსგავსად ამ ტიპის გამოთქმებისა, შეიძლებაოდა ჩვენთვის საინტერესო გამოთქმებიც ამ რიგისად მიგვეჩნია.

ასე რომ, განსახილველი გამოთქმები კონტექსტის შესაბამისად ერთ შემთხვევაში მივიჩნიოთ შესიტყვებად (მსაზღვრულ-საზღვრულად) და ვწეროთ ცალ-ცალკე: ამ ქვეყნად, იმ ქვეყნად (ის ქვეყანა გადაიქცა ამ ქვეყნად... შეიძლება მივიჩნიოთ იმ ქვეყნად, რომელიც...); სინტაქსურად ამ შემთხვევაში ამ/იმ განსაზღვრებაა (რომელ ქვეყნად?), ხოლო ქვეყნად — უბრალო დამატება (რად გადაიქცა?).

კონტექსტისდა შესაბამისად განსახილველი გამოთქმები შეიძლება მივიჩნიოთ ზმნიზებად და ვწეროთ ერთად: ამქვეყნად, იმქვეყნად (მაშინ მოვიდა ამქვეყნად, როცა... სახადი შეეყარა და გაისტუმრა იმქვეყნად...). სინტაქსურად ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესო გამოთქმები ადგილის გარემოებაა (სად მოვიდა? სად გაისტუმრა?).

ვფიქრობთ, საკითხის ასე დასმა მოხსნის იმ უხერხულობას, რომელიც ორთოგრაფიულ ლექსიკონშია; წესის ფარგლებში მოექცევა წესის გარეშე მდგომი ფაქტები.

6. სამხრეთ კავკასია თუ სამხრეთი კავკასია

ქართულ ენაში არის ისეთი პარალელური ფორმები, რომელთაც ვერ განვიხილავთ სისტემური ენობრივი ცვლილების მომიჯნავე საფეხურებად; ვერც სტილისტურ ვარიანტებად. მოცილე ფორმათაგან ერთ-ერთს უნდა მიეცეს ნორმის სტატუსი. ასეთ მაგალითად მიგვაჩნია გეოგრაფიულ ტერმინებში მხარეთა აღმნიშვნელ სახელთა ფორმა — სამხრეთი თუ სამხრეთ საქართველო. საკითხი სერიოზული განხილვის საგნად იქცა ამ ცოტა ხნის წინათ.

გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ ორი წერილი გამოქვეყნდა – თამაზ გამყრელიძისა და შუქია აფრიდონიძის (გამყრელიძე, 2003; აფრიდონიძე, 2003). საკითხი ეხებოდა გეოპოლიტიკურ ტერმინს – სამხრეთ კავკასიას; რომელი მივიჩნიოთ სწორ ფორმად – სამხრეთი კავკასია თუ სამხრეთ კავკასია. რამდენადაც გეოგრაფიულ ტერმინებში პირველ კომპონენტად ზშირია მხარეთა აღმნიშვნელი ტერმინები – აღმოსავლეთი, დასავლეთი, ჩრდილოეთი, სამხრეთი – ამდენად აქტუალურია საკითხის დასმა და, შესაბამისად, მნიშვნელოვანი – გადაწყვეტა. თუკი შევძელით შეთანხმება, წესი, ცხადია, ყველა ტერმინისათვის იქნება საგალღებულო. ვამბობ, თუკი შევძელით-მეთქი, იმიტომ, რომ ამ პუბლიკაციებში განსხვავებულ თვალსაზრისთა მტკიცებაა.

თ. გამყრელიძის აზრით, „აღნიშნული გეოპოლიტიკური ტერმინები უფრო მიზანშეწონილია მისდევდეს „გვარ-სახელის“ მოდელს (ე. ი. უნდა გვქონდეს „დასავლეთ ევროპა“, „სამხრეთ საქართველო“, „სამხრეთ კავკასია“), რაც გამართლებულია ტრადიციულადაც და არა „პროფესიულ მოდელს“ (ე. ი. არ უნდა ვიხმაროთ „დასავლეთი ევროპა“ – „დასავლეთმა ევროპამ“, „სამხრეთი საქართველო“ – „სამხრეთმა საქართველომ“, „სამხრეთი კავკასია“ – „სამხრეთმა კავკასიამ“ და სხვა)“... (გამყრელიძე 2003).

შ. აფრიდონიძე მხარს უჭერს მეორე ვარიანტს – სამხრეთი კავკასია და საკითხთან დაკავშირებით არსებულ კომპეტენტურ ავტორთა ნაშრომებსაც შეგვახსენებს. იგი არა მხოლოდ იმოწმებს და ემყარება ცნობილ ავტორთა შეხედულებებს, არამედ გეთავაზობს საკმაოდ ვრცელ ენობრივ ანალიზს – „ობიექტურ არგუმენტაციას“, როგორც თვითონ ბრძანებს: „რა შეიძლება იყოს ობიექტური საფუძველი ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღებისა ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში? ამოსავალია სადავო ფორმების სტრუქტურა, ბრუნების ტიპი, სემანტიკა და სინტაქსური ფუნქცია, ყველა ამ ფაქტორის კომპლექსი“ (აფრიდონიძე, 2003).

ცხადია, ვეთანხმებით ავტორს იმის თაობაზე, რომ ქართული ენის ნორმალიზაციის სფეროში მის მიერ დასახელებულზე უფრო

კომპეტენტური წყაროები ჩვენს სინამდვილეში არ არსებობს, მაგრამ რა ვუყოთ ფორმათა გავრცელებულობის ფაქტორს? ხომ ცხადია, რომ დღეს ჩვეულებრივ ფუძის სახით წარმოდგენილი პირველკომპონენტის ფორმა იხმარება: სამხრეთ კორეა, ჩრდილოეთ კორეა, აღმოსავლეთ ვეროპა და მისთანანი. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენის პრინციპებიც გავიხსენოთ: „როცა ენაში რაიმე ცვლილება იჩენს თავს, უდიდესი მნიშვნელობა აქვს, თუ რამდენადაა იგი გავრცელებული, როგორია მისი გამოყენების არე, რამდენად ეგუება იგი განვითარების ტენდენციას, რა პერსპექტივები აქვს, რომ სოციალური სანქცია მოიპოვოს... სოციალურ სანქციას შეუძლია ისტორიულად უკანონო აღჭურვოს კანონიერი მოვლენის უფლებით და, პირუკუ, ისტორიულად კანონიერს აპყაროს უფლება, რაც ცხადყოფს სოციალური მომენტის სიძლიერეს“ (ნორმები ნ). სწორედ აქ, ამ კრებულში, ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ „ძირითადი და მთავარია მაინც ამა თუ იმ ფორმის ხმაურბულობა, მისი გავრცელებულობა“ (იქვე, 9).

ცხადია, ამ ფაქტორის გათვალისწინება პირველი ვარიანტისათვის დაგვაჭყერინებს მხარს. ეს არ იქნება ტრადიციის უგულებელყოფა. გასული საუკუნის პირველ ნახევარში რომ ნორმას იღებდნენ, მაშინდელი ენობრივი სინამდვილე იძლეოდა ამის საშუალებას. ცვლილების ტენდენციამ დღეს სხვა რეალობის წინაშე დაგვაყენა და ამიტომაც ნორმა უნდა გადაისინჯოს. ღირსსაცნობია ისიც, რომ ნორმათა ამგვარი გადასინჯვის (არსებულის შეცვლის) ტრადიციაც გვაქვს ქართულში, თუნდაც ხანმეტობა-ჰამმეტობის ფაქტი გავიხსენოთ. მომდევნო პერიოდის რედაქტორები საგულდაგულოდ უწევდნენ რედაქტირებას ძველ ტექსტებს: ამის მრავალი მაგალითი არსებობს...

ნორმის ცვლილება და არსებულ ნორმათა გადასინჯვის საკითხი არ არის მხოლოდ განსახილველ ტერმინთა პრობლემა. დღეს საკმაოდ გვაქვს გასული საუკუნის დასაწყისში მიღებული ისეთი ენობრივი ნორმები, რომლებიც რეალურად უკვე აღარ მოქმედებენ. ორიოდე მაგალითი: უკვე ვისაუბრეთ იმის თაობაზე, რომ –ავ და

—ამ თემისნიშნისან ზმნათა პირველ თურმეობითში —ია დაბოლოებას აკრძალვა უნდა მოეხსნას: **დაუხატია, უთქვია** ფორმები კანონზომიერია ენის განვითარების ტენდენციიდან თუ დავინახავთ. მისი ხმარების სიხშირე აბსოლუტურად ჭარბობს **დაუხატავს, უთქვამს** ფორმათა გამოყენების სიხშირეს. ითქვა და დაიწერა ამის თაობაზე არაერთგზის... ანდა: ვთქვით ისიც, რომ ორთოგრაფიული ცნობარები არასწორად მიიჩნეეს **იქნას** ფორმას (სწორია **იქნეს** ფორმა). **იქნას** ისევე კანონზომიერია, როგორც **გადაიჭრას, გაიხსნას** და მისთანანი. ამის თაობაზე არაერთგზის თქმულა, მაგრამ რატომღაც მაინც ერთგულნი ვრჩებით თითქმის საუკუნის წინათ მიღებული ნორმებისა და ამგვარი რეალობის წინაშე დაედექით: **ვამბობთ ერთსა და ვწერთ მეორეს**. მაგალითების გაზრდა შეიძლება. საკითხის დასმისათვის, ვფიქრობთ, საკმარისია...

ასეთივეა ვითარება: **სამხრეთ კავკასია** თუ **სამხრეთი კავკასია**. **იქნებ** სალიტერატურო ენის ნორმათა კომისიამ ანგარიში გაუწიოს არსებულ ენობრივ რეალობას და ვწეროთ ის, რასაც ვამბობთ, ანუ ნორმის სანქცია მივცეთ ფორმებს: **სამხრეთ კავკასია, ჩრდილოეთ კორეა, აღმოსავლეთ საქართველო...**

ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში შეიძლება მსჯელობა იმის თაობაზე, ერთად დაიწეროს ეს ორკომპონენტიანი ტერმინი თუ ცალცალკე. შედარებისთვის: წითელწყარო, ახალსოფელი, დიდგორი... თუმცა, ეს მეორე რიგის საკითხია.

* * *

ნამდვილად არ მეგონა, რომ ბატონი თამაზ გამყრელიძის თვალსაზრისი ასეთ დისკუსიას გამოიწვევდა... (ი.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის სემინარზე 2003 წლის ივნისში საკითხი განიხილეს საკმაოდ ფართო მასშტაბით).

უნივერსიტეტში გამართული მსჯელობისას კიდევ ერთხელ გვისაყვედურეს არგუმენტების უქონლობაზე და, საერთოდ, „ამოსავალი სადავო ფორმების სტრუქტურის, ბუნების ტიპისა, სემანტიკი-

სა და სინტაქსური ფუნქციის“ ფაქტორთა უგულვებელყოფის გამო. ჩვენი პოზიციის მთავარი ოპონენტი შ. აფრილონიძე იყო. მან თავისი პოზიციის სისწორის არგუმენტად ყველასათვის ურყევი ავტორიტეტი ივანე ჯავახიშვილი მოიშველია...

რამდენიმე საკითხს კვლავ შეეხებით.

საკითხი დგას ასე: პორიზონტის მხარეების აღმნიშვნელი ტერმირები (აღმოსავლეთი, დასავლეთი, ჩრდილოეთი, სამხრეთი) რა ფორმით უნდა იყოს წარმოდგენილი გეოგრაფიული სახელწოდებებში: სახელობითი ბრუნვის სახით (აფრილონიძე, 2003) თუ ბრუნვის ნიშნის გარეშე, წმინდა ფუძით (გამყრელიძე, 2003)? ხაზს უსვამდნენ იმას, რომ ივანე ჯავახიშვილის შრომებში პირველი ვარიანტია წარმოდგენილი. ცხადია, ეს საგულისხმო არგუმენტია, მაგრამ ერთ ფაქტზე გვინდა ყურადღება გაავამახვილოთ.

ივანე ჯავახიშვილის შრომებში (ვეფყარებით აკადემიურ გამოცემას: ჯავახიშვილი 1979-1998) ამ ტიპის შესიტყვების ბრუნების მხოლოდ ერთი ვარიანტი არ გვხვდება; სხვაგვარად რომ ვთქვათ, ავტორისეული ნორმა მერყეობს. მართალია, სახელობითი ბრუნვის შემთხვევაში ყოველთვის პირველი ვარიანტია (მაგ: აღმოსავლეთი საქართველო...), მაგრამ სხვა ბრუნვებში გვაქვს პარალელური ფორმები, კერძოდ, მიცემითში გვხვდება როგორც სრული, ისე გარდამავალი სახეობები: დასავლეთ საქართველოში და იქვე აღმოსავლეთს საქართველოში (ტ. XII გვ. 398)... ნათესაობითში სისტემებრ ფუძის სახითაა წარმოდგენილი პირველი კომპონენტი („აღმოსავლეთ საქართველოს საზოგადო მდგომარეობა“ – იქვე...). იქვეა სახელობითი ბრუნვის ფორმაც აღმოსავლეთი საქართველო (იმავე გვერდზე). პარადიგმა ასეთ სახეს იღებს:

სახ: აღმოსავლეთ-ი საქართველო,

მიც: აღმოსავლეთ-ს // აღმოსავლეთ საქართველოში,

ნათ: აღმოსავლეთ საქართველოს...

ეს პარადიგმა დღესდღეობით ჩვენთვის განსახილველ არცერთ მოდელს არ ემთხვევა. გასაგებია: აქ აისახება ის ენობრივი რეალო-

ბა, რაც გეკონდა გასული საუკუნის პირველ ნახევარში; ამიტომ მთავარ არგუმენტად ამის მოყვანა არ მიგვაჩნია მართებულად.

ერთი ფრიად საგულისხმო ფაქტიც; ივანე ჯავახიშვილის შრომათა აკადემიურ გამოცემას ერთვის გეოგრაფიულ ტერმინთა საძიებელი. როგორც მოსალოდნელი იყო, პორიზონტის მხარეების შემცველი ორკომპონენტიანი შესიტყვება ერთ გეოგრაფიულ ტერმინადაა გაგებული. ცხადია, სახელობითი ბრუნვის ფორმითაა საძიებლებში წარმოდგენილი. პირველი ვარიანტი (აღმოსავლეთი საქართველო, აღმოსავლეთი ამიერკავკასია, აღმოსავლეთი აფხაზეთი, დასავლეთი საქართველო, დასავლეთი ევროპა, დასავლეთი იბერია, დასავლეთი სომხეთი) წარმოდგენილია მხოლოდ I ტომში (თუმცა არის გამონაკლისიც – ჩრდილოეთ კავკასია). ყველა სხვა ტომის საძიებლებში II ვარიანტია დადასტურებული: აღმოსავლეთ საქართველო (ტ. III, V, VI, VII, X), აღმოსავლეთ ევროპა (III), აღმოსავლეთ კავკასია (III, V)... დასავლეთ საქართველო (III, V, VI, VIII, XII), დასავლეთ აზია(V), დასავლეთ არიზონა (V)... სამხრეთ საქართველო (III, IV), სამხრეთ ამიერკავკასია (IV), სამხრეთ ბელუჯისტანი (V), სამხრეთ ევროპა (V), სამხრეთ რუსეთი (V), სამხრეთ დაღისტანი (X), სამხრეთ-დასავლეთ საქართველო (XII, VII), სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველო (VII)... ჩრდილოეთ კავკასია (I, III, VI), ჩრდილოეთ ერანი (III), ჩრდილოეთ ოსეთი (III)...

ფაქტია, აკადემიური გამოცემების მესვეურებმა ორკომპონენტანი გეოგრაფიული ტერმინები შეიტანეს არა იმ ფორმით, რაც ი. ჯავახიშვილის ტექსტში გვხვდება, არამედ ბრუნვისნიშანმოკვეცილი. ე. ი. მიიჩნიეს, რომ ი. ჯავახიშვილის დროინდელი ნორმა სხვა იყო, ხოლო XX საუკუნის დასასრულის ნორმა – სხვა. ცხადია, აკადემიური გამოცემის სარედაქციო კოლეგიის კომპეტენციაში ეჭვს ვერ შევიტანთ...

შ. აფრიდონიძე გამოქვეყნებულ წერილში „ქართული სალიტერატურო ენის ნორმალისაციის სფეროში კომპეტენტურ წყაროთა“ შორის ასახელებს „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რვატომეულს და, ცხადია, არის კიდევ... მაგრამ ეს ლექსიკონი მის-

თვის საინტერესო თვალსაზრისს არ უჭერს მხარს, პირიქით: პორიზონტის მხარეების აღმნიშვნელ ტერმინთა შემცველი გეოგრაფიული სახელებიდან რვატომეულში სალექსიკონო ერთეულად მხოლოდ ერთია და ისიც ამ ფორმით – სამხრეთ-ოსეთი (ქველ VI)...

ვერ დავეთანხმებით ოპონენტს, რომ „მინიმუმ ნახევარ საუკუნეზე მეტია ქართულენოვანი სასკოლო სახელმძღვანელოები ამ ნორმებით იყო და არის გამოცემული (იგულისხმება I ვარიანტი – გ.გ.)“. როგორც ირკვევა, ასე არც ყოფილა და არც არის. მის მიერ კომპეტენტურ წყაროდ მოხმობილ „ქართული სიტყვის კულტურის საკითხების“ V წიგნში ვკითხულობთ: „გეოგრაფიული სახელების – ეთ სუფიქსიან მსაზღვრელს ბრუნვის ნიშანი უნდა ჰქონდეს და არ აქვს: ჩრდილოეთ აფრიკა...“ (ქსკს V, 301)...

საუბარია გასული საუკუნის 70-იანი წლების გეოგრაფიის სახელმძღვანელოებზე... რა ხდება დღევანდელ სახელმძღვანელოებში? ჩვენ თვალი გადავავლეთ რამდენიმე მათგანს. ვითარება აშკარად II ვარიანტის სასარგებლოდაა: „სამხრეთ საქართველო (სამხრეთ-ჯავახეთი და ქვემო ქართლის დასავლეთი ნაწილი) – ძირითადად აგებულია...“ (გეოგრაფია, 1999, 15)... „ბაგრატ მესამის გარდაცვალების შემდეგ დასავლეთ საქართველო საშინელი შინაომების ასპარეზად იქცა“ (ისტორია, 2002, 162)... „აღმოსავლეთ საქართველო დემეტრე მეორის (თავდადებულის) მეფობაში“... (ისტორია, 1990, 160)... ასეთი ფაქტები ჩამოთვლილ სახელმძღვანელოებში მრავლადაა...

როცა ჩვენს წერილში ფორმათა გავრცელებულობის ფაქტორზე ვსაუბრობდით, მსგავსი მაგალითები გვქონდა მხედველობაში. გარდა ამისა, ღირსსაცნობია ზეპირი სალიტერატურო ენის მონაცემები, რაც აშკარად მეორე ვარიანტის სასარგებლოდ მეტყველებს...

ოპონენტი წერს: „რაც არსებითია, ამ წიგნებში გატარებული წესები დამტკიცებულია ნორმათა დამდგენი სამთავრობო კომისიის მიერ“ და ჩამოთვლილია რამდენიმე ორთოგრაფიული ცნობარი; დასახელებულთაგან ნორმათა დამდგენი კომისიის მიერ დამტკიცებულია მხოლოდ „საბჭოთა კავშირის გეოგრაფიული სახელების ორ-

თოგრაფიული ლექსიკონი“, სხვა – არა... ის, რასაც ოპონენტი გეთავაზობს, არ არის ნორმა, ამის თაობაზე ნორმა მისაღებია...

გაგვიგრძელდა სიტყვა... მაინც უნდა ითქვას: ორკომპონენტიან შესიტყვებათა ფორმობრივი განვითარების გზები სხვადასხვაგვარად წარიმართება. მარტივ ვითარებას გვიჩვენებს სახელი და გვარი (ცხადია, თანხმოვანფუძიანი სახელი); პირველი კომპონენტი ფუძის სახითაა წარმოდგენილი ყველა ბრუნვაში (ნოდარ ღუმბაძე, ნოდარ ღუმბაძემ...); ამავე გზით წარიმართა ე. წ. შერწყმული დანართის ტიპის შესიტყვებების განვითარების გზაც: მეცნიერ-მუშაკი, გენერალ-ლეიტენანტი, სახლ-მუზეუმი (იხ. ნორმები)... გეოგრაფიულ ტერმინად ქცეული მსაზღვრელ-საზღვრულიც ამ გზას დაადგა: ახალქალაქი, წითელსოფელი, დიდგორი...

ცხადია, დაწერილობის სხვაობა (ცალ-ცალკე, დეფისით თუ ერთად) ამ შემთხვევაში არაა ჩვენი მსჯელობის საკითხი. საერთოა პირველი კომპონენტის ფორმა. ამავე გზით მიემართება სამხრეთ კავკასია ტიპის გეოგრაფიული ტერმინებიც. ამ შემთხვევაშიც, ისევე როგორც წინა მაგალითებშიც, ერთ ტერმინადაა გაგებული ორკომპონენტიანი შესიტყვება და არა მსაზღვრელ-საზღვრულად. ე. ი. არა რომელი ამერიკა? არამედ რა? რომელი კონტინენტი?

ასე რომ, „სადავო ფორმების სტრუქტურა, ბუნების ტიპი, სემანტიკა და სინტაქსური ფუნქცია,“ ჩვენი ღრმა რწმენით, მეორე ვარიანტის მართებულობას უჭერს მხარს. ვფიქრობთ, ზევით დასმული კითხვა – ერთად ვწერთ, ცალ-ცალკე თუ დეფისით – პირველის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს: ენობრივი თვალსაზრისით (დღეს არსებული ორთოგრაფიული წესების შესაბამისად) გამართლებული იქნება ერთად დაწერა; ქეგლის ტრადიციის შესაბამისად (გავიხსენოთ სამხრეთ-ოსეთი) შეიძლება დეფისის გამოყენებაც; ამ შემთხვევაში დეფისის გამოყენების წესებში კორექტივი იქნება შესატანი; მოკლედ, საკითხი გადასაწყვეტია. (ამ თემაზე მოხსენება წაიკითხა მ. ჩუხუამ; სტატია გამოქვეყნდა. იხ.: ჩუხუა, 2007. ავტორი მხარს უჭერს იმ ვარაუდს, რომ სამხრეთკავკასია ტიპის ფორმები ერთად უნდა დაიწეროს).

7. მრავალსიტყვიან უცხოურ სახელწოდებათა ქართულად დაწერილობის გამო

მომრავლდა საქართველოში უცხოური ფირმები, დაწესებულებები, რომელთაც თავიანთი უცხოური სახელწოდებანი შემოაქვთ. ხშირად რომელიმე სახელწოდება რამდენიმე სიტყვას შეიცავს:

Courtyard Mariotii

Centr Pointi

Central travel

Orient logic

Intel Express

Pro credit Bank და მისთანანი.

ეს სახელწოდებანი ქართულად ასეთი ფორმით გადმოაქვთ:

ქორთიარდ მარიოტი

ცენტრ პოინტი

ცენტრალ თრეველი

ორიენტ ლოჯიკი

ინტელ ექსპრესი

პრო კრედიტ (ან პრო-კრედიტ) ბანკი...

ქართულადაც ჩვეულებრივ ისევე ცალ-ცალკე იწერება, როგორც უცხოურად (ერთ შემთხვევაში დეფისიც იქნა გამოყენებული). ერთგვაროვანი ვითარება არ არის; სალიტერატურო ქართულში ამგვარი საკითხების მოგვარების საინტერესო მცდელობად გვესახება ნ. დათეშიძის წერილი, რომელიც ეხება რთული კონსტრუქციის ნასესხობებს; ავტორი მიიჩნევს, რომ ოფის მენეჯერის ტიპის გამოთქმები ერთად უნდა დაიწეროს (ნ. დათეშიძე, 2007)... ჩვენ კიდევ ერთხელ ვსვამთ საკითხს მსგავსი ტიპის უცხოური სახელწოდებების შესახებ.

როგორ უნდა დაიწეროს ამგვარი სახელები, ცალ-ცალკე, დეფისით თუ ერთად? სანამ კომპეტენტური ორგანო მიიღებს გადაწყვეტილებას (არადა ასეთი ორგანო ამჟამად არცა ჩანს...), ასეთ

წინადადებას წამოვყენებთ; უფრო სწორად, ტრადიციულ წესს გავიხსენებ...

საინტერესო პრინციპს გეთავაზობს ნიკოლოზ ბარათაშვილი: გრ. ორბელიანისადმი მიწერილ წერილში ვკითხულობთ: „გთხოვთ მომიტყევოთ ასდენს ხანს ჩემგან მოუწერლობა; ეს გარემოების ბრალია: ხან არ ვიცოდი ადგილი, თუ სად იმყოფებოდით, ხან საქმეებში გავერთოდი სამსახურისა გამო (я чиновник экспедиции суда и расправы)...“ ჩვენ ამჯერად ყურადღებას მივაქცევთ ბოლო ორ სიტყვას: **суда и расправы**. წერილში იქვე, ცოტა ქვემოთ, ექსპედიციის სახელწოდებას ქართული ასოებით დაწერს: „აგერ წელიწად-ნახევარია, რაც მე გიმნაზიაში კურსი დავასრულე და ვიმყოფები სულაირასპრავაში“ (ბარათაშვილი 1996, 74). გენიოსის ენობრივი ინტუიცია გასაგებია: რუსულად დაწერილ თითოეულ სიტყვას რუსულ ტექსტში თავისი სინტაქსური მნიშვნელობა აქვს; ქართულ ტექსტში საზგასმული გამოთქმა ერთ ცნებად აღიქმება და ამიტომაც ერთ სიტყვად დაწერს... ვფიქრობთ, სწორედ ეს პრინციპი უნდა დაედოს საფუძვლად ამ ტიპის სახელწოდებათა ქართულად დაწერილობას: ქორთიარდმარიოტი, ცენტრაონტი, პროკრედიტბანკი და მისთანანი... ამ წესის საფუძველი ის არის, რომ ყოველი ცალკე დაწერილი სიტყვა ცალკე სინტაქსური ერთეულია; ცალ-ცალკე დაწერით ქართული სინტაქსის ეს მთავარი პრინციპი ირღვევა... შეიძლება მსჯელობა იმის თაობაზეც, ხომ არ იქნეს გამოყენებული დეფისი; ამ შემთხვევაში დეფისის გამოყენების წესები იქნება დასაზუსტებელი... თუმცა ერთი აშკარაა: არ შეიძლება მათი ცალცალკე წერა...

ლიტერატურა:

ანტონი, 1997 – ანტონ პირველი (ბაგრატიონი), ქართული გრამატიკა, 1997

აფრიდონიძე, 2003 – შ. აფრიდონიძე, ორთოგრაფიული ტრადიციებისა და თვალსაზრისებისათვის: „ლიტერატურული საქართველო“, 9-15 მაისი, 2003

აფრიდონიძე, 2007 – შ. აფრიდონიძე, სისტემა და ნორმა: ქართული სალიტერატურო ენის საკითხები: ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა, 2007

ახალი ნორმები, – ახალი ნორმები – მლერიხარ თუ მლერი, ტყუიხარ თუ ტყუი: „ბურჯი ეროვნებისა, № 3-4, 2003

ბარათაშვილი, – ნ. ბარათაშვილი, თხზულებანი, 1996

ბარამიძე, 1964 – ზოგიერთი ტიპის მეშველ-ზმნიან ფორმათა ჩასახვა და განვითარება: ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 9, 1964

გამყრელიძე, 2003 – თ. გამყრელიძე, გეოპოლიტიკური ნომენკლატურის დაზუსტებისათვის; „ლიტერატურული საქართველო“, 2-8 მაისი, 2003

გეოგრაფია, 1999 – საქართველოს გეოგრაფია, სახელმძღვანელო აბიტურიენტებისათვის, თბ. 1999

გოგოლაშვილი, 1983 – გ. გოგოლაშვილი, ე და ა სუფიქსიანი მეორე კავშირებითის შესახებ ახალ ქართულში: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეხუთე, 1983

გოგოლაშვილი, 1988 – გ. გოგოლაშვილი, ქართული ზმნის უღვლილების სისტემა, 1988

გოგოლაშვილი, 2000 – გ. გოგოლაშვილი, კვლავ –ავ და –ამ თემისნიშნიან ზმნათა I თურმეობითის ფორმათა შესახებ: თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო სესია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, 2000

გოგოლაშვილი, 2001 – გ. გოგოლაშვილი, დრო-კილოთა III სერიაში მომხდარ ფორმობრივ ცვლილებათა შესახებ: ვარლამ თოფურია – 100, 2001

გოგოლაშვილი, 2007 – გ. გოგოლაშვილი, ორპირიან –ავ და –ამ თემისნიშნიან ზმნათა I თურმეობითის ფორმათა შესახებ: არნ. ჩიქობავას საკითხავები, XVIII, 2007

გოგოლაშვილი, 2007-1 – გ. გოგოლაშვილი, დაუმაღავს თუ დაუმაღია, ანუ ორპირიან –ავ და –ამ თემისნიშნიან ზმნათა I თურმეობითის ფორმათა შესახებ: გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, № 3, 2007

დათეშიძე, 2007 – ნ. დათეშიძე, რთული კონსტრუქციის ტერმინთა მართლწერისათვის ქართულში: გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, №2, 2007

ენციკლოპედია, 2008 – ენციკლოპედია ქართული ენა, 2008

ზექალაშვილი, 2008 – რ. ზექალაშვილი, სალიტერატურო ენა და ნორმა: გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი № 1, 2008.

თოფურია, გიგინეიშვილი, 1998 – ვ. თოფურია, ი. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, 1998

იმნაიშვილი, 1966 – გ. იმნაიშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტი, 1966

იმნაიშვილები, 1996 – ი. იმნაიშვილი, ვ. იმნაიშვილი, ზმნა ძველ ქართულში, 1996

ისტორია, 1990 – საქართველოს ისტორია, საკითხავი წიგნი, თბ 1990

ისტორია, 2002 – საქართველოს ისტორია, X კლ. სახელმძღვანელო, 2002

მელიქიშვილი, 2001 – დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, 2001

ნორმები, 1986 – თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, 1986.

სალინაძე, 2007 – რ. სალინაძე, ნორმირების ერთი პრინციპისათვის: ქართული სალიტერატურო ენის საკითხები: ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა, 2007

სიმფონია, 1956 – ვეფხისტყაოსნის სიმფონია, ა. შანიძის რედაქციით, 1956

ქეგლ VI – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VI, 1960

ქსკს V – ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეხუთე, 1983

ჩიქობავა, 1962 – არნ. ჩიქობავა, ქართული ზმნის ნაკვეთულთა დაჯგუფების პრინციპისათვის: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XIII, 1962

ჩიქობავა, 1972 – არნ. ჩიქობავა, ქართული ენა, როგორც პოლივალენტოვანი სალიტერატურო ენა: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი I, 1972

ჩუხუა, 2007 – მ. ჩუხუა, კვლავ დასავლეთ ევროპა თუ დასავლეთი ევროპა ფორმათა შესახებ: ქართული სალიტერატურო ენის საკითხები: ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა, 2007

ჭუმბურიძე, 1956 – ზ. ჭუმბურიძე, ქართული სალიტერატურო ენისა და სტილის საკითხები, 1956

ჭუმბურიძე, 1976 – ზ. ჭუმბურიძე, -ავ და -ამ თემისნიშნისა ზმნათა უღლებისათვის პირველ თურმეობითში: ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 19, 1976.

ჯავახიშვილი, 1979-1998 – ი. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I, 1979; ტ. XII, 1998.

ნაწილი II. ენა და მწერალი

დავით კლდიაშვილი და ქართული ენა

„მწერდი, როგორც იწერებოდა“...

პეტრე უმიკაშვილს „ქამუშაძის გაჭირვება“ წაუკითხავს. მოსწონებია; შეუქია ავტორი, თუმცა ცოტა საყვედურიც გაურევია – ენა დაუწუნებია დავით კლდიაშვილისათვის. დავითი ჩვეული თავმდაბლობით მადლობას უხდის უფროს მეგობარს – „მოხარული ვარ, რომ ჩემი საწყალი, გაჭირვებული ქამუშაძე შინაარსით მოგწონებია“ (სხვა თემაა, მაგრამ იმასაც მიაქციეთ ყურადღება, როგორი სიყვარულითა და თანაგრძნობით იხსენიებს პერსონაჟს... – გ. გ.)... და იმაშიც ეთანხმება ოპონენტს, ენა რომ დაუწუნა მწერალს: „ემდურით ენას და თქვენზედ უფრო მე ვარ უკმაყოფილო...“

ცოტა უცნაურად შეიძლება მოგვეჩვენოს: მწერალს ენას უწუნებენ; იგიც თავს დახრის და მადლიერებასაც გამოხატავს კრიტიკისათვის... ეს ამბავი მით უფრო საგულისხმოა, რომ ჩვენ სხვაგვარი მაგალითები გვაქვს: ენა დაუწუნეს ვაჟა-ფშაველას... დაუწუნა სახალხო პოეტმა, ვისიც უდიდესი პატივისცემა ჰქონდა თავად ვაჟას, მაგრამ ენის დაწუნება სხვა რამეა პოეტისათვის. გავიხსენოთ: როცა ვაჟას ენა დაუწუნა მისივე თაობის წარმომადგენელმა, პეტრე მირიანაშვილმა, აღშფოთდა პოეტი; საკმაოდ მკაცრი პასუხი გასცა კრიტიკოსს... აკაკი წერეთელს ასე ვერ გაუბედა. როცა აკაკიმ „ბიბლიოგრაფიულ შენიშვნებში“ (1898 წ.) უმცროსი კოლეგების, რაზიკაშვილების, ენა გააკრიტიკა, პირდაპირ ვერ უპასუხა ვაჟამ, მაგრამ გამოატყვეყნა დიდებული წერილი „ენა“... ეს პასუხი იყო – დელიკატური, აკადემიური... ეს იყო დიდოსტატური წარმოჩენა საკუთარი ენობრივი პოზიციისა... ხოლო როცა „ენას გიწუნებ, ფშაველო“ –

უთხრეს (1913 წ.), ლექსს ლექსით უპასუხა... ცნობილი პოლემიკა...

თავად დავით კლდიაშვილი მოიგონებს ვაჟას ნათქვამს: „ახირებული ადამიანია ჩვენი აკაკი! დამიწერა, „ენას გიწუნებ, ფშაველო“. კაცო, ამ ჩემი ენით მომწონს თავი, თორემ სხვა რა არის ჩემს ლექსებში და პოემებში! თუ ენაც დასაწუნია, მაშ ალარაფერი ყოფილა და ბარემც ასე თქვი პირდაპირ და ის იქნება! უცნაური კბენა იცის ხოლმე! — ამას საოცარი გალისტიკვილით ამბობდა დიდებული ვაჟა“ („იცის ხოლმე“ — იმას მიანიშნებს, რომ 15 წლის წინანდელი კრიტიკაც ახსოვდა...).

ამ მოგონებაშიც და მის კომენტარშიც აშკარაა თანაგრძნობა თანამოკალმისადმი, „ენადაწუნებული“ პოეტისადმი... მაგრამ...

მაგრამ როცა თავად დავითს დაუწუნეს ენა, დაეთანხმა... მეტიც, „შეამაგრა“ კრიტიკოსის აზრი: „მართალია, ენა ყოველთვის კოჭლობდა ჩემს ნაწერებშიო...“

ასეა ვითომ? მართლა „კოჭლია“ დ. კლდიაშვილის ქართული? რა არის ის, რაც არ მოსწონს პ. უმიკაშვილს და რის თაობაზეც დანაწიებით ამბობს მწერალი: „ემდურით ენას და თქვენზედ უფრო მე ვარ უკმაყოფილო...“

პეტრე უმიკაშვილს, ქართულ კაცს, ცხადია, იმერიზმები სჭრის ყურს. დავითიც თუ ამას გულისხმობდა, არ იყო ძნელი გამოსასწორებელი ეს საქმე... მაგრამ ყველაფერი რჩება ძველებურად — ოტიაც იმერულად უქცევს და პლატონ სამანიშვილიც...

როგორ გავიგოთ, ჰქონდა სურვილი მწერალს „შეცდომების“ გამოსწორებისა და ვერ ახერხებდა?

ძნელი დასაჯერებელია... თუ გულდასმით წავიკითხავთ დავითის მემუარებს, იოლად დაერწმუნდებით ამაში. რა ხდება? — არ სურს ენობრივი პოზიციის შეცვლა... მტკიცეა მისი პრინციპები... მაშ, როგორ გავიგოთ, „ენა ყოველთვის კოჭლობდა ჩემს ნაწერებშიო...“ „თქვენზედ უფრო მე ვარო უკმაყოფილო?“

ვითარება, ვფიქრობთ, სხვაა; ძალზე საინტერესო: მწერალი წერს, როგორც ეწერება. ამბობს კიდევაც — „კწერდი, როგორც

იწერებოდაო..." ანუ, წერს ისე, როგორც მიაჩნია, რომ ესაა სწორი ვარიანტი; სხვაგვარად არ შეიძლება დაიწეროს ის, რასაც წერს... მაგრამ კრიტიკოსებთან დავას თავს არიდებს – არ მიაჩნია თავის საქმედ. მე კი არ ვწერ, ასე „იწერებოდაო..." ვისგან, რატომ და როგორ – ამ თემაზე თავს არიდებს საუბარს! ეს ზომ ის თემაა, ანა კალანდაძე რომ იტყვის: „სათქმელი ზშირად „თვითონ მოძებნის“ თავის გამოხატვის ფორმას, თვითონ გიკარნახებთ, რა ფორმით „სურს“ განსხეულება..." ეს კი აუხსნელია: „ჯერ კიდევ ბევრი რჩება ამქვეყნად ამოუხსნელი, ამოუცნობი და, ამდენად, განუმარტავი" (ანა კალანდაძე).

სწორედ ამ „ამოუხსნელის", „ამოუცნობის", „განუმარტავის" ამოხსნას, ამოცნობას და განმარტებას არ ცდილა დავით კლდიაშვილი... სხვათა შორის, საინტერესოა ისიც, რომ ამ „ამოუხსნელის", „ამოუცნობის" და „განუმარტავის" ამოხსნა, ამოცნობა და განმარტება სცადა ვაჟამ, როცა პაექრობა დაიწყო ოპონენტებთან და... სამწუხაროდ, ჩემი აზრით, აქ შეცდა ვაჟა...

ერთი ნიშანდობლივი ფრაგმენტი სერგო კლდიაშვილის მოგონებიდან: სერგო „სოლომონ მორბელაძიდან" იხსენებს პასაჟს და ეკითხება დავითს: „...ერთი, ორი შემოპატიჟებით რაეა დარჩებოდა, შე ქალო!.. გადამთიელი ზომ არ არის, ჩვენებური ჩვეულება არ იცოდეს. შევეპატიჟე, ვალი მოვიხადე. ისე ზომ არ გაუშობდი", – მამა, ეს გაიგონე და ჩაიწერე, თუ?

– არც გამიგონია, არც ჩამიწერია.

– მშვენივრად არის გადმოცემული ჩვენებური შემოპატიჟების ბუნება.

– ვითომ?

– ძალიან კარგია.

– შეიძლება... სიმართლე გითხრა, მე ასეთებზე თავი არ მიტეხია. ვწერდი, როგორც იწერებოდა. კიტა აბაშიძემ თავის კრიტიკულ წერილში ეს წინადადებაც აღნიშნა. მე იმ წერილიდან გავიგე მხოლოდ, რომ ასეთი ფრაზა მქონდა".

ღიან, წერდა, „როგორც იწერებოდა“. მისი შინაგანი ბუნება ასეთია: კრიტიკას ეთანხმება, ქებას ეჭვის თვალთ უყურებს: „ვი-თომ?“... „ძალიან კარგი“... „შეიძლება!“...

„თქვენზე უფრო მე ვარ უკმაყოფილო“ – ეტყვის კრიტიკოსს... ეს პასუხისმგებლობაა, მოთხოვნილებაა საკუთარი თავისადმი: პრეტენზია... ღიან, პრეტენზია საკუთარი თავისადმი, რათა „მოთხრობა იყოს უპრეტენზიო“. ესეც დავით კლდიაშვილისეული შეფასებაა თხზულებისა: „ყმაწვილი კაცის, ვინმე კალანდაძის მოთხრობა მიუტანეს გრიგოლ ვოლსკის. მოთხრობა იყო პატარა, მოკლე, დაწერილი პრეტენზიით...“ როგორც ჩანს, ასე სწამს მწერალს – მომთხოვნელობა, პრეტენზია საკუთარი თავისადმი არის აუცილებელი წინაპირობა იმისა, რომ მოთხრობა იყოს უპრეტენზიო...

„არ გავრუსდები!“

1880 წლის ზაფხულში დავით კლდიაშვილი პირველად შეხვდა აკაკი წერეთელს. დავითი მოსკოვში გასამგზავრებლად ემზადება: კიევის სამხედრო გიმნაზია დაამთავრა პირველი ხარისხით და მოსკოვის სამხედრო სასწავლებელში გაიგზავნა სახელმწიფო ხარჯზე.

აკაკის გააცნეს ყმაწვილი კაცი. აკაკის ამბავი გამოუკითხავს. მკითხაო, „თუ სად ვსწავლობდი, სად მივდივარ და ამგვარები... მე ვუთხარი, – იგონებს დავითი, – რომ კიევში ვსწავლობდი და ახლა მოსკოვში მივდივარ სამხედრო სასწავლებელში.“

– გარუსების დასამთავრებლად?! – მხარული სიცილით მითხრა აკაკიმ.

– არა, არ გავრუსდები! – მიუუგე.

– ვნახოთ, ვნახოთ! – ისევ სიცილით მითხრა მან...“

„არ გავრუსდები!“ – ეს არ იყო სიტუაციური პასუხი. ეს მისი დიდი ხნის დარღის ამოძახილი იყო; მისი რწმენა და იმედი...

გაეიხსენოთ: 9 წლის ბავშვი ოჯახს მოწყვიტეს და კიევში გაგზავნეს სამხედრო გიმნაზიაში. 1872 წელი იყო. იმდროინდელი პოლიტიკა იყო ასეთი: ყოველწლიურად მთავრობა თბილისისა და

ქუთაისის გუბერნიებიდან თავად-აზნაურთა 40-40 ბავშვს გზავნიდა რუსეთის სასწავლებლებში. ეს მიზნობრივი პოლიტიკა იყო: „მიჰყავდათ ისინი იმ მიზნით, რომ გაერუსებინათ — ამას დავითი იგონებს, — და კიდევაც მიზანს აღწევდა-ხოლმე, რადგან რუსეთში, სამშობლოს მოწყვეტილი ბავშვი იფიწყებდა ქართულ ენას. ზნეს და ბრუნდებოდა ქართული გვარით, მაგრამ ერთიანად, თავიდან-ფეხებამდე გარუსებული...“

იცოდა ეს აკაკი წერეთელმა და ამიტომ ჰკითხა, „გარუსების დასამთავრებლადო?“

იცოდა ეს დავით კლდიაშვილმაც და ამიტომაც იმეორებს ჯიუტად, „არ გავრუსდებო...“

გავიხსენოთ: კიევში 8 წელი სწავლობდა. პირველი სამი წელი ისე გავიდა, სამშობლოში არ ჩამოსულა, მშობლები არ უნახავს... საოცრად კეთილი, სათნო, დიდბუნებოვანი დედის მონატრებაზე არც საუბრობს დავითი მემუარებში; არც იქაური მკაცრი რეჟიმი აღარდებს ძალიან: „ჩვენი მწუხარება სხვა რამ იყო. ეს იყო — ჩვენ ვატყობდით ჩვენ თავს, თუ როგორ გვაკვიწყდებოდა მშობლიური ენა, გვიძნელდებოდა ქართული ლაპარაკი; ამით შეწუხებულნი, ამის ასაცილებლად მოვიყრიდით ხოლმე თავს ერთად და ხან ზღაპრების მოყოლით, ხან წაკითხვით ვვარჯიშობდით, მაგრამ დროს თავისი მიჰქონდა და ჩვენ უფრო და უფრო გვიძნელდებოდა მშობლიურ ენაზე ლაპარაკი. წლის ბოლოს თითქმის გადაეჩვეით ქართულ ლაპარაკს...“

სამი წლის შემდეგ ჩამოდის არდადეგებზე სამშობლოში და... დედას თარჯიმნის მეშვეობით ელაპარაკება: „ქართული უკვე დავიწყებული მქონდა... და რადგან დედაჩემმა რუსული არ იცოდა და მე ქართული — ამიტომ წავიყვანე თარჯიმნად ჩემი თანატოლი ბიძაშვილი და წავედი სოფელში დედასთან...“

და იწყება თავდადებული ბრძოლა „გარუსების“ წინააღმდეგ. „ამ ზაფხულში გვარიანად გავიხსენე ენა და როცა გავბრუნდი გიმნაზიაში, თან წავიღე პატარ-პატარა წიგნები...“

გიმნაზიის პერიოდზე საუბრისას ეს თემა მთავარი დავითისათვის — როგორ ებრძვის პატარა ქართველი გარუსებას; როგორ ეწაფება ყოველივე ქართულს; როგორი მაღლიერებით იხსენებს ყველას — ნიკო ლომოურსა თუ გიორგი სამაგლიშვილს (შემდგომ კათალიკოსი კირიონი) და სხვებს — ვისი მეშვეობითაც იქმნის ქართულ გარემოს... „მეძნელებოდა კითხვა, მაგრამ ჩემს თავს ძალას ვატანდი და ისე ვერეოდი საკითხავსო“, — იტყვის მოკლედ... ძალს კიევური გიმნაზიური ცხოვრებაა, ძალს — დავითი და რვა წლის შემდეგ „იმ ორმოცდამათხუთეში, ერთად რომ წაგვიყვანეს, გიმნაზია მხოლოდ ექვსმა დავამთავრეთ. სამმა სრულიად ქართული აღარ იყო, ერთი ძლივს ახერხებდა და ლაპარაკი, რომ იტყვიან ჩიქორთული, ორს შეგვეძლო...“

აი, სწორედ ეს „ჩიქორთულად მოსაუბრე“ დავითი გააცნეს აკაკის...

ეს განცდა („ჩიქორთულად“ მოსაუბრისა) გასდევს მის ბათუმურ ცხოვრებას და თითქოს დამნაშავეა დედაენის წინაშე (შეიძლება სწორედ ამიტომაც დახარა თავი პეტრე უმიკაშვილის საყვედურებზე)... იტყვის, „ჩემი ჩიქორთული ქართული მეტად მიჭირებდა საქმეს...“

დიდი მაღლიერებით იხსენებს ბათუმის პოლიცემისტერის, ღურმიშხან ჟურულის, მეუღლეს — ქეთევანს. „ქეთევანმა პირველგაცნობისთანავე მისაყვედურა, რომ ქართული ძლივს მეხერხებოდა და დედისებური დარიგება მომცა, მშობლიური ენა შემქმნა...“ ეხმარება ქეთევანი... მონაწილეობს თეატრალურ წარმოდგენაში; გიორგი ერისთავის „გაყრაში“ გაბრიელის როლი დააკისრეს, „ჩიქორთულის“ დასაძლევად, ენის გასატეხად ქეთევან ჟურული ცალკე რეპეტიციებს უნიშნავს დავითს. — „ჩამაჯენდა სავარძელში ქეთევანი და მათქმევენებდა როლს. ერთი ათჯერ, თხუთმეტჯერ უნდა გამემეორებინა ჩემი მონოლოგი; გაწვალებული ვიყავი ასეთი სწავლით, მაგრამ არანაკლები გაწვალებული იყო ჩემი მასწავლებელი, რომელიც შემომძახებდა ხანდახან მოთმინებადკარგული: „არ შეიძლება ასე, ყმაწვილო, უნდა ისწავლო ქართული, ქართველი ხარ!“... ყოვე-

ლივე ამას დავითი სიბერის ჟამს დიდი მადლიერებით იგონებს... – „ძალიან მოწადინებული ვიყავი. მესწავლა ჩემი ენა, მეტად მწყყებოდა გული, მაგრამ წარმატებაში ნელის ნაბიჯით შევედიოდი...“

მერე გოგია ღიაკვანი ათამაშეს დავით ერისთავის „სამშობლოში“... იტყვის – „ახლა წარმომიდგენია რა გოგია ვიქნებოდი ქართულის უხვირო მოლაპარაკე...“

ეს დედაენის მიმართ დიდი პასუხისმგებლობის გამოლენაა... არასოდეს გამოუხატავს თვითკმაყოფილება...

„არ გავრუსდებო“ – პირობა მისცა დიდ აკაკის და „ვაჟაკ-ცურად შეასრულა დანაპირები. გარუსდა კი არა და გამორჩეული ქართველი დარჩა“ (მაკა ჯოხაძე).

საინტერესო პარალელი:

როცა „დედაენაზე“ და მისი პირველი გაკვეთილის – „ია. აი ია“ – შესახებ საუბრობდნენ, იაკობ გოგებაშვილი თავს დახრიდა და იტყოდა, „ეს უნდა მიეწეროს ქართული ენის ღირსებასა და არა ჩვენს ოსტატობასაო“. ეს დიდბუნებოვანი ადამიანის განმარტებაა.

დიდბუნებოვანი ადამიანი იყო დავით კლდიაშვილიც. საინტერესო დაკვირვებას გვთავაზობს მაკა ჯოხაძე: „იმას, რომ არ გარუსდა, დავით კლდიაშვილი იმდროინდელი კიევის უნივერსიტეტის სტუდენტებს – ნიკო ლომოურს. პოლიკარპე ჩხიკვიშვილსა და ფარმაცევტ კოწია ლორთქიფანიძეს მიაწერს.

იმას, რომ მუნდირში გადაცმულმა ოფიცერმა არ შეასრულა მეფის ბრძანება და, გიორგი ზდანევიჩის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ამ გმირის გუნდს არცერთი ტყვია არ გაუსროლია...“ ამას ბედისწერას უმაღლის დავით კლდიაშვილი...

ბრწყინვალე მოთხრობის „სამანიშვილის დედინაცვალის“ გამარჯვებასაც კი თავის მეგობარს გადააბრალებს...

პიესების ტრიუმფალურ ზეიმს ლაღო მესხიშვილსა და მსახიობებს უმაღლის“...

მართლაც დიდბუნებოვანი ადამიანი იყო დავით კლდიაშვილი!...

ენა — პიროვნების მახასიათებელი

დავით კლდიაშვილს თავისი უფროსი თუ უმცროსი კოლეგებისაგან განსხვავებით ქართული ენის შესახებ ტრაქტატები არ დაუწერია; არცერთი კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილი და მაინც — დავით კლდიაშვილის დამოკიდებულების შესახებ დედანისადმი ბევრი რამ შეიძლება ითქვას. ძირითადი წყარო მწერლის მემუარებია — „ჩემი ცხოვრების გზაზე“.

მთელ წიგნს მემუარებისას ნათელ ხაზად გასდევს ეს დამოკიდებულება — ბავშვობიდან ცხოვრების ბოლომდე.

დავით კლდიაშვილი არ ამახვილებს ყურადღებას პიროვნების გარეგნულ მხარეზე, გარეგნულ სიმშვენიერეზე. მისი აზრით, ადამიანის სილამაზე, სიმშვენიერე, მომხიბვლელობა მის ენაშია, მის საუბარში — როგორი მოქართულეა, როგორი მოსაუბრეა, როგორი ხმა აქვს...

ენა ალამაზებს ადამიანს: კიტა აბაშიძეზე წერს ერთგან — „კიტა მეტად ლამაზი იყო მის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში...“ სხვაგან — „ამ აღელვებულ საზოგადოებაში საოცარი ლამაზი იყო კიტა, მის მიერ ნათქვამი სიტყვით...“

როცა გვაცნობს პიროვნებას, როცა იწყებს საუბარს მასზე, უპირველესად სწორედ ამას მიაპყრობს ყურადღებას — ხმა, საუბარი, ენა...

რამდენიმე ამონაწერი:

გაბრიელ ეპისკოპოსი — ტკბილი მოუბარი;

აკაკი წერეთელი — განსხვავებული ტკბილი ხმით მოლაპარაკე; ლამაზი, შნოიანი, წარმოსადეგი პოეტი თავისი ტკბილი ხმით;

გრიგოლ ვოლსკი — ზედმიწევნით მცოდნე ქართული ენისა... სიტყვა ბასრი, ენამახვილი, იგი მშვენიერი რამ იყო რისხვის წუთებში... მან მშვენიერად იცოდა ქართული... სასიამოვნო მოსაუბრე იყო ყოველ შეკრებილობაში...

ნიკო ლომოური – ტკბილმა, ალერსიანმა ლაპარაკის კილომ, ლომაურის დამახასიათებელი თვისება რომ იყო... თავისი ტკბილი ხმით წაგვიკითხა...

ივანე ჯაუახიშვილი – თავისი ტკბილი ხმით იგი ამ ღროს ყვებოდა სინას მთაზე მოგზაურობის ამბავს... სასიამოვნო იყო ჩვენი მასპინძლის ტკბილი ლაპარაკი...

ლადო მესხიშვილი – საოცარი ლამაზი, ტკბილი ხმა ჰქონდა...

მაკო საფაროვა-აბაშიძისა – საუცხოო კილოზე მოლაპარაკე... მშვენიერი წკრიალა ხმა ჰქონდა...

ლუკა ასათიანი – მშვენიერი სიტყვის პატრონი... მიყვარდა მისი მუსიკის მოსმენა... მისი ენამახვილიანი ლაპარაკი...

ეს ცნობილი პიროვნებები... სხვა, უბრალო ადამიანები:

ალი აღა-სირაძე – იგი განთქმული იყო თავისი ენამახვილობით მთელ აჭარაში. იგი გასაოცარი მოქართულე, მშვენიერი მოლაპარაკე და საოცარი სიტყვამოსწრებული...

მუსტაფა ბექირ-ოღლი – მუსტაფა ისეთიანრად ლაპარაკობდა ქართულს, ისეთი ლამაზი გამოთქმებით, რომ ხშირად განგებ ავალაპარაკებდით, რომ მისი მშვენიერი ქართული მოგვესმინა...

ჰასან დიარ-ოღლი – მისი ქართული ლაპარაკი გასაოცარი რამ იყო – ეს ნამდვილი მუსიკა იყო; ამასთანავე ენამახვილი, სიტყვამოსწრებული...

ბუკინისტი სპირიდონ ჭელიძე – საკმარისად ენამეტყველი... ახალგაზრდა თავისი ტკბილი სიტყვით...

ოჯახის წევრები და ახლობლები:

ბაბუა (ნიკო ლოლობერიძე) – დინჯი, დარბაისელი, განსხვავებული მოლაპარაკე...

ბებია — ჩუმი, მოკლე ლაპარაკს ჩვეული...

თედორია პაპავა — თავისი ხალისიანი ენით...

დათიკა გიორგაძე — რიხიანი ხმით მოლაპარაკე, მხიარული ადამიანი...

სიმონა აშოლტია — ფხიზელი გონების პატრონი, ჭკვიანი, მშვენიერი მოლაპარაკე...

ლევანა სირბილაძე — მოხერხებული ენის პატრონი იყო... რიხიანი ხმით მოლაპარაკე...

ზოგჯერ თითქოს არც იყო აუცილებელი იმის აღნიშვნა, როგორი მოსაუბრე, როგორი მოქართულე იყო... მაგრამ არა, დავითისათვის ეს აუცილებელია; უფრო სწორად, პიროვნების დასახასიათებლად აუცილებელი, მისი აზრით...

ძალიან კრიტიკული იყო საკუთარი თავის მიმართ; „ჩემი ჩიქორთული ქართული მიჭირვებდა საქმეს“... „ლაპარაკი, რომ იტყვიან, ჩიქორთული, ორს შეგვეძლო...“ „ქართული ენის უხეირო მოლაპარაკე...“

თუ არ მოსწონდა ვინმეს საუბარი, ქართული, ამასაც ამბობდა. პიროვნულად უყვარდა ალექსანდრე ყაზბეგი, მაგრამ არ მოსწონს მისი საუბარი: „ლაპარაკიც კი შნოიანი არ იცოდა...“ ეუბნებოდა თურმე: „სანდრო, თუ გიყვარდე, შენებურად ჩუმად წერე და ხმამაღლა ლაპარაკს თავი დაანებო...“

ვილაცა რომ არ მოსწონდა, მისი „ლამაზი“ საუბარიც ცუდად ეჩვენებოდა; შინაურ კაცზე ამბობს, შოშიელა კინჭრიაშვილზე — „კაცი ეშმაკი, გაიძვერა, მოქარგული ენით მოლაპარაკე“... „მოქარგული ენა“ — არაგულწრფელი, არამართალი ენაა...

არადა უხვია ეპითეტების დარიგებაში. ვთქვათ, მისი შეფასებით:

ქართული ენა — საუცხოო, არაჩვეულებრივი ლამაზი, შნოიანი, საოცარი ლამაზი, მშვენებით სავსე, სიმშვენიერე ქართულისა, სიძლიერე ქართულისა, მშვენიერი ქართული...

ხმა — წკრიალა, მშვენიერი; განსხვავებული ხმა; ლამაზი, ტკბილი;

სიტყვა — ტკბილი, მშვენიერი, მოხერხებული, ჩუმი, მოკლე; ალერსიანი;

ენა — ხალისიანი, ტკბილი...

ლაპარაკი — შნოიანი, უხეირო, განსხვავებული, ლამაზი...

მოლაპარაკე — გატაცებით, უხეირო, განსხვავებული ტკბილი ხმით, რიხიანი ხმით, მშვენიერი, ტკბილი მოუბარი, სასიამოვნო მოსაუბრე, ნამდვილი მუსიკა, გასაოცარი მოქართულე, საოცარი სიტყვამოსწრებული...

ეს არ არის ყოველივე... მაგრამ ფაქტია: ქართული ენისადმი. ქართული სიტყვისადმი, ქართული საუბრისადმი დავით კლდიაშვილის დამოკიდებულება განსაკუთრებულია... ამითაცაა დიდი დავით კლდიაშვილი...

ლექცია ქართულ ენაზე

ჩვენ ვთქვით, დავით კლდიაშვილს კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილები არ დაუწერია ქართული ენის შესახებ-თქო, მაგრამ ის მონაკვეთი მემუარებისა, რომელშიც ქუთაისში გრიგოლ რობაქიძის გამოჩენაზე საუბარი, აიწონის ათობით წერილს ზოგიერთებისას...

სამხედრო სამსახურის შემდეგ დავითი ქუთაისში იწყებს მოღვაწეობას. 1908 წელია. ბათუმის ცოცხალი და საინტერესო ცხოვრების შემდეგ ქუთაისური ყოფა უფერულად ეჩვენება. „დაიწყო უფერული ცხოვრებაო“, — დაიჩივლებს და იქვე იწყებს ვრცელ მსჯელობას, თუ როგორ გამოაცოცხლა ქუთაისი გრიგოლ რობაქიძის გამოჩენამ: „ამ ხანებში იყო ქუთაისში პირველი გამოსვლები საჯარო ლექციებით რ. გ-ის“ (შენიშნავთ: იმ გამოცემაში, რომლითაც ვსარგებლობ, ასე მიანიშნებენ გ. რობაქიძეზე. — 1982 წ.). და იქვე გულისტკივილი: „დიდად ვწუხდით, რომ ლექტორი ერიდებოდა ქართულად გამოსვლას და ვნატრობდით მოვსწრებოდი ქართულ

ენაზე წარმოთქმულ ლექციას..." დავით კლდიაშვილისთვის ეს არ იყო უბრალო მოვლენა. მოვეუსმინოთ: „ბევრი ამართლებდა ლექტორს, ქართულად არ შეიძლება ამის ლექციების გადმოცემაო. ასე ეუცხოვებოდათ ამ ახლო წარსულშიაც ქართულად სიტყვის წარმოთქმა. საჯაროდ ქართულად მოლაპარაკე ათასში ერთი თუ გაბედავდა გამოსვლას; ჩვეულებად იყო ხოლმე ბოდიშის მოხდა – ქართული არ მეხერხებაო, ნება მიბოძეთ რუსულად ვთქვა ჩემი სათქმელიო!..." აქ ალბათ ისიც გაგვასხენდება, ქართული უნივერსიტეტის დაარსების მოწინააღმდეგეთა ერთი არგუმენტი სწორედ ის იყო, რომ ქართულ ენაზე საუნივერსიტეტო სწავლება ვერ აეწყობაო... ქართულ ენას ამის შესაძლებლობა არა აქვსო... სხვათა შორის, ცნობილი ნიკო მარიც ასე ფიქრობდა და იმპერიის ხელისუფლებას რეკომენდაციას აძლევდა, თბილისში რუსული უნივერსიტეტი გაეხსნათო...

როგორც ვხედავთ, დავითის გულისტკივილი არ იყო გამოწვეული მხოლოდ რუსულად წაკითხული ამ ლექციის გამო... ეს ქართული ენისადმი იმჟამინდელი დამოკიდებულებით მოგვიჩივრდა დარდი იყო... რა თემაზე წაიკითხა ლექტორმა რუსულად ლექციები, არც საუბრობს ამაზე დავითი... თურმე „რ. გ“-ს ლექციებს „ხალხი თბილისშიც და ქუთაისშიც აუარებელი ესწრებოდა. გული გვტკიოდა, რომ ამ ხალხს ქართველი ლექტორი ქართულ სიტყვას არ აგონებდა, ქართულ სიტყვას არიდებდა..."

და დავით კლდიაშვილის აქტიურობით ვარლამ ბურჯანაძე და გიორგი თუთბერიძე მიუგზავნეს ლექტორს. „შეუთვალეთ – ლექციები ქართულად ეკითხნა. მე მაშინ რ. გ-ს არ ვიცნობდი პირადად. მან შემოგვითვალა, რომ მალე ქართულად ვიწყებ ლექციებსო, და მოკლე ხანში აასრულა კიდევ თავისი დანაპირები".

ლექციის შინაარსობრივ მხარეზე მოკლედ მიანიშნებს – „მან-სოვს პირველი მისი საჯარო ქართულად წაკითხული ლექცია. ლექცია იყო ბარათაშვილზე..." „გაზეთები დიდი ქებით იხსენიებენ ლექციის შინაარსს, ლექტორის ცოდნას..." „ბარათაშვილის ლექციას

მოყვა ლექცია ვაჟა-ფშაველას „გველის მჭამელზე“, შემდეგ აკაკი-ზე...“

და აღტაცება არა მხოლოდ დავით კლდიაშვილისა, არამედ იმდროინდელი ქუთაისის საზოგადოებისა ლექციის ენით: „გაზეთებში დიდი ქებით იხსენიებდნენ ლექციის შინაარსს, ლექტორის საუცხოო ქართულზე (ხაზი აქაც და შემდეგაც ჩვენია – გ. გ.) საზოგადოების აღტაცება თანდათან მატულობდა. ლექტორის არაჩვეულებრივი ლამაზი ქართულის გამგონე მსურველთა რიცხვი შესამჩნევად იზრდებოდა. უსმენდნენ ლექტორს სულგანაბულნი და თავის ყურებს არ უჯერებდნენ, თუ ასეთი შნოიანი ქართულით შესაძლებელი იყო ლექციების კითხვა. ლექტორის საოცარი ლამაზი ქართული უსაზომოდ ხიბლავდა და იტაცებდა მსმენელს...“

იმდროინდელ ცნობილ საზოგადო მოღვაწეზე, პავლე თუმანიშვილზე, საუბრობს: „მონუცი კაცი პირდაპირ აფრენილი იყო სიხარულით. – აი, ჩვენი ლამაზი ქართული, ლამაზი ქართული, რომელსაც ვივიწყებთ და ფასს არ ვსდებთ. – გატაცებით ამბობდა მონუცი“... და იქვე დაასკვნის მწერალი: „ასეთ აღტაცებას განიცდიდა მთელი საზოგადოება“.

იმდროინდელი ცნობილი კიდევ ერთი საზოგადო მოღვაწის, კოტე ბაქრაძის, აზრს გავგაცნობს დავითი:

„– სად ისწავლა ამ ოჯახდაქცეულმა ასეთი ქართული?! – გაიძახოდა აღტაცებული კოტე ბაქრაძე, ქუთაისში ცნობილი საზოგადო მოღვაწე. – გხიბლავს კაცს ამ შეჩვენებულის ენა. ვიძახით, არ მეხერხება ქართული! უხეირო რო იქნები, ვერაფერს ვერ მოახერხებ“... „არ ვიცნობთ არც ჩვენს ლიტერატურას, არც ენას, არც ჩვენ თავს! გადაგვარებაზე ვართ მისული“, ჩვენი თავის აღარაფერი გვეჯერა! ამისთანა ახალგაზრდები თუ მომრავლდნენ, ეგებ გამოცოცხლდეს!“

ცხადია, რასაც სხვას ათქმევინებს, ეს დავით კლდიაშვილის სათქმელია. ეს საზოგადო აზრიაო, გვარწმუნებს... და ამას მოსდევს ქართული ენის უდიდესი ჭირისუფლის დასკვნა:

„თამამად ვამბობ, რომ რ. გ.-მ გამოაცოცხლა მაშინდელი ქართველობა; თავისი საოჯახო ლექციებით ნათლად დაუმტკიცა საზოგადოებას, რომ ქართული ენა შეენებით საესეა, რომ მისით მშვენიერად გამოითქმება ადამიანის ყოველნაირი სულისკვეთება, გამოიხატება მისი აზროვნება. ლექტორმა დაანახა ქართულ საზოგადოებას, გადაგვარების გზაზე შემდგარს, ქართულის სიმშვენიერე, სიძლიერე, — დაანახა და გაიტაცა. მან ღიღად დააველა ქართველი საზოგადოება, მას ვერ დაუეიწყებს ქართველობა ამ ღიდ ნამოღვაწარს...“

ამ სიტყვებს დავით კლდიაშვილი 1925 წელს წერს. ამიტომაც ამბობს: „ღღეს ეს ზღაპრად გვეჩვენება, ასე კი იყო; ღღეს ზღაპრად გვეჩვენება, როცა ჩვენ გვაქვს მშვენიერი უნივერსიტეტი, სამაგალითო მეცნიერ-მუშაკებით საესე; გუშინ კი — გვეცინებოდა, როცა ივანე ჯავახიშვილი სიტყვას ჩამოგვიგდებდა ქართულ უნივერსიტეტზე“... და სხვა...

სხვათა შორის, ასეთივე ღიდი მნიშვნელობის ფაქტად მიაჩნია დავით კლდიაშვილს ქუთაისში სახალხო უნივერსიტეტის გახსნა. მართალია, „საზოგადოდ ეძნელებოდათ საჯაროდ ქართული ენით გამოსვლა, — სხვადასხვა საგნების კითხვა ხომ უარესი საძველო გასაბედავი უნდა ყოფილიყო. ასედაც იყო, მაგრამ გარსევანიშვილმა არ მოუსვენა ლექტორებად განზრახულ მოსაწვევე პირებს, აღი აღანთო მათში გაჩაღებული ცეცხლის და... შესაძლებელი გახდა ქუთაისში გახსნილიყო სახალხო უნივერსიტეტი“... როგორც წერს, „ლექტორებიც მშვენიერი ლექტორები გამოდგნენ, მშვენიერი ქართულით მოლაპარაკენი, ქართულის კარგად მცოდნენი...“

რა თქმა უნდა, საგნის ცოდნასაც ჰქონდა მნიშვნელობა, მაგრამ დავითისათვის მთავარი ქართულის ცოდნა იყო...

არც ის არის შემთხვევითი, ქუთაისში ვაჟა-ფშაველას სტუმრობას რომ აღწერს და განსაკუთრებულ ყურადღებას ვაჟას გულისწყვეტაზე რომ ამახვილებს აკაკის კრიტიკის გამო (ეს ამონარიდი ზემოთ მოვიყვანეთ...).

დავით კლდიაშვილისთვის ქართული უმთავრესია. არ მეგუ-
ლება მეორე მწერალი, ასე რომ ეფერებოდეს, ასე რომ უყვარდეს
და ასე ბოდიშებით რომ ესაუბრებოდეს ქართულ ენას...

ეს დავით კლდიაშვილია...

ესეც ვთქვათ: ქუთაისში რომ ქართული ენა ასე გაცოცხლდა,
დავით კლდიაშვილი ამას ერთი რიგითი ქართველის პოზიციიდან
აგვიწერს, არადა ამაში განუსაზღვრელია მისი დამსახურება. კვლავ
მაკა ჯონხაძეს მოვუსმინოთ: „როგორ შეუნთო და როგორ გააფიცხა
გრიგოლ რობაქიძის ისედაც ფიცხი წარმოსახვა დავით კლდიაშ-
ვილმა. როგორ შეათბო და შემოაბრუნა ქართული სიტყვისაკენ
ზურგშექცეული არისტოკრატია ერთბაშად...“

რომელი ერთი უნდა ჩამოვთვალოთ, რომელი ერთი უნდა გა-
ეუხსნენო ამ მომცრო ტანის ღირსეულ მოხუცს, მთელი სიცოცხლის
განმავლობაში ფარად რომ ედგა თავისი ქვეყნის ღირსებას და მის
დასაცავად დუელიც კი ჯილდოსავით გამოსტყუა გადამთიელს“...

ღიღებული შეფასებაა!...

„შემოწკეპილი“ სახელ-გვარები

ერთხელ, რამდენიმე წლის წინათ, უნივერსიტეტში მისაღები
გამოცდების პერიოდში, საუბარი „სამანიშვილის დედინაცვალზე“
ჩამოვარდა. ერთმა ცნობილმა მწერალმა ღიმილით თქვა, ეს მო-
თხრობა სიმამრმა, პავლე მაჭავარიანმა, სიტყვასიტყვით უამბო და-
ვითს... ვინმე რომ მიაშობდეს, მეც დავწერდი ასეთ მოთხრობასო...

ეს ამბავი გამახსენდა მოგვიანებით, როცა „სამანიშვილის დე-
დინაცვლის“ პირველი ვარიანტი ვნახე ლიტერატურის მუზეუმში.
ბოლო ვარიანტთან ისეთივე სხვაობაა, როგორიც ცასა და დედამი-
წას შორის. ვარიანტს სათაურად აქვს „ძილი მოსვენება“. სერგო
კლდიაშვილის მინაწერი აქვს: „სამანიშვილის დედინაცვალი“-ს პირ-
ველი ვარიანტი ვიპოვე სიმონეთში დედაჩემის არქივში. ს.კ." ვინც
ამ ვარიანტს ნახავს, მიხვდება, თუ როგორ მუშაობდა დავით კლდი-
აშვილი მოთხრობაზე. აიგებოდა ჩონჩხი, მონინშნებოდა ძირითადი

ხაზი და, როგორც ჩანს, მერე იწყებოდა ჯოჯოხეთური მუშაობა ტექსტზე...

პავლე მაჭავარიანის დამსახურებაზე თავად დავითი მიანიშნებს შემუარებში: „კვანძი, ძარღვი მოთხრობის მოცემულია იმ საუბრებით, რომელიც მქონდა ხოლმე ჩემს სიმამრთან – პავლე მაჭავარიანთან“... მეტყობადა პავლე – „ვერა ხარ კარგი კაცი. ამ მოთხრობაზე უნდა მიგეწერა: „მოთხრობა დავით კლდიაშვილის და პავლე მაჭავარიანის... – ხუმრობით მეუბნებოდა მოთხრობით ნასამოვნები მოხუცი...“

ტექსტოლოგი, ენათმეცნიერი, ლიტერატურისმცოდნე ბევრ საინტერესოს იპოვის, თუ ხელნაწერთა ვარიანტებს შეაჯერებს. არადა, 2-3 ვარიანტია შემორჩენილი ზოგი ნაწარმოებისა. ჩვენ რამდენიმე შენიშვნას გავაკეთებთ „სამანიშვილის დედინაცვლის“ მიხედვით.

უპირველესად ისაა საინტერესო, რომ დავითი წერდა ფურცლის ერთ (მარჯვენა ან მარცხენა) ნახევარზე. მეორე ნახევარი სუფთა იყო – შენიშვნებისათვის, ჩასწორებებისათვის, ვარიანტებისათვის. ზოგჯერ ძირითადი მხარე მთლიანად გადახაზულია და სათადარიგო – შევსებული. ჩასწორებები ძირითადად ტექსტობრივი ხასიათისაა; ამ ვარიანტში ენობრივი დაზუსტებები, ჩასწორებები იშვიათია. ეს ის ვარიანტია, დავითი რომ იტყვის, „გადმოვიღე ქაღალდი და გატაცებით ვიწყე წერა, წერა გაცხარებული. ეს მუშაობა კი არ იყო, იყო უმაღლესი სიამოვნება. ამგვარივე გატაცებით ნაწერია „სამანიშვილის დედინაცვალი“...

ამ ვარიანტში ხშირია ისეთი ენობრივი ფორმებიც, რომელსაც ძირითად ვარიანტში ვერ შევხვდებით. მაგალითად: „ამ სიტყვებთან მელანო გვეიდა სამზარეულოში. არჩილმა კი გეიხადა ჩოხა, შეიხსნა ახალუხის ღილები, გეიხადა თავისი წულები და დალილი-დაქანცული მიწვა იქვე, სადაც ამას წინად მის ცოლს ეძინა“. ამ ნაწყვეტში რამდენიმე ფორმაა (გვეიდა, გეიხადა, წინად და სხვა სტილისტური ლაფსუსი), რაც არ გვხვდება კლდიაშვილის მოთხრობებში ავტორისეულ რემარკებში... სხვაც შეიძლება თქმულიყო ამ ხელნაწერზე, თუმცა ეს სათქმელი ტექსტოლოგებს მივანდოთ.

ერთს ვიტყვი. ამ ვარიანტის სათაურია „ძილი მოსვენებაა“. ამ ვარიანტში ძირითადი პლატონის სიზმარია; ეს ის ვარიანტი ჩანს, დავითი რომ წერს მემუარებში: „მოამბე“-ს რედაქტორი ალექსანდრე ჭყონია წერილს წერილზე მიგზავნიდა, ჟურნალისთვის უსათუოდ რამე გამომიგზავნეო. იმხანად მქონდა პატარა ნაწყვეტი, რაც „სამანიშვილის დედინაცვალშია“ – პლატონის სიზმარი... ამის გაგზავნას ვაპირებდი და კონდრატი მხეიძემ არ გამაგზავნინა, „შენ ისეთ რამეს ყვები, რომ თუ არ აჩქარდები, მშვენიერი მოთხრობა იქნებაო“... ჰოდა ამ ვარიანტს ჰქვია „ძილი მოსვენებაა“. ერთი ასეთი რეპლიკა ვარიანტში „ძილშიც კი მოსვენება აღარ გაქვთო“ – მამა ეუბნება პლატონს სიზმრის შემდეგ... მერე შეიცვალა სათაური – სხვა რამ გასდა მთავარი...

აქ ერთ ძალიან საინტერესო ფაქტს მინდა მივაპყრო მკითხველის ყურადღება – პერსონაჟთა სახელ-გვარებს.

დავით კლდიაშვილთან არა გვაქვს ე. წ. მეტყველი სახელ-გვარები, როგორც ე. ნინოშვილთან (მუნჯაძე, უიშვილი, ძალაძე, დროიძე...) ან გ. წერეთელთან (ფულავა, წარბა, ჯიბიაშვილი...). თითქოს ჩვეულებრივი, იმერეთში გავრცელებული სახელ-გვარებია:

პლატონი, კირილე, არისტო, ჯიმშერი... მელანო, დარიკო, ელენე... თითქოს სახასიათო სახელია ბეკინა, მაგრამ არც მთლად „მეტყველი“. გვარებიც თითქოს ჩვეულებრივია: სამანიშვილი, მიძინოშვილი, სალობერიძე, ბრეგაძე... ასე რომ პერსონაჟისათვის სახელ-გვარის შერჩევას თითქოს რაიმე პრინციპული მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს. მაგრამ არ ჩანს ასე:

პირველ ვარიანტში ბეკინას, ბეჟანი ჰქვია

პლატონს, არჩილი

დარიკოს, ქრისტინა

კირილეს, ნაცვლად ლევანია გამოყვანილი
(მაზლი დარიკოსი)...

სამანიშვილები სანებლიძეები არიან. არადა, თითქოს ორივე გვარი ჩვეულებრივი იმერული გვარია... ჩვეულებრივი სახელებია პლატონი და არჩილი, დარიკო და ქრისტინა, კირილე და ლევანი...

თითქოს რაღაც სახასიათო სახელია ბეკინა, თუმცა მაინც გაუმჭვირვალეა (არადა, ბეკინას პროტოტიპს კიმოთე რქმევია – სერგო იგონებს).

საინტერესო მოგონებას გვთავაზობს სერგო კლდიაშვილი:

„საიდან წარმოდგა გვარი „მორბელაძე“:

– სოფელში ჩაკედი დელაჩემის სანახავად, – მიამბობს მამა. – ოთახში ვზივარ! მესმის დელა აივნისა ვილაცას ელაპარაკება. მეც ვაკვები. ეზოში, აივნის წინ, შუა ხნის მამაკაცს ვხედავ. ცხენზე ორი მორჩილა ტომარა შემოუკრავს და თითონაც ჯდება. – ვინ იყო? ვკითხე დელას, როცა უცნობი წავიდა. სიმინდი ითხოვა, შეილო, მორბელაძეა დაბლა კუთხიდან“... მოთხრობა მოფიქრებული მქონდა, ოღონდ გვარი ვერ მოვნახე და ეს მაწვალებდა. წერას მიშლიდა. ეს გვარი მეოცა რატომღაც, „მორბელაძე“ შევცვალე „მორბელაძედ“, გვარმა სახელიც მოათრია და ამის შემდეგ მოთხრობაც ადვილად დაიწერა. მუშაობა კი არა, უდიდესი სიამოვნება იყო!”

ცვლილება თითქოს ფონეტიკური ხასიათისაა, კეთილხმოვნების პრინციპით ნაკარნახევი... თუ რაიმე ასოციაციაა სემანტიკური? „მორბელაძე“ ვითომ სირბილთან ასოცირდება? „სოლომანი“ რატომ „მოათრია“ მორბელაძემ? რა აქვს ამ სახელ-გვარს ისეთი, ამ პერსონაჟს ასე რომ შეესაბამება? – ძნელი კითხვაა.

როგორც ეტყობა, ასე ექნებოდა ნაფიქრი ბეჟან და არჩილ სანებლიძეებზეც, როცა პატარა ესკიზს – პლატონის სიზმარს – წერდა. მერე, როცა გეგმა შეაცვლევინეს და მოზრდილი მოთხრობა დაიწერა, ვითომ მაშინ გახდა აუცილებელი პერსონაჟთა სახელ-გვარის შეცვლა? ძნელი სათქმელია...

მოთხრობა „წრფელი გულის“ პერსონაჟი ბაბო პირველ ვარიანტში სარალიძე იყო, საბოლოოში გარაყვანიძედ შეცვალა...

პერსონაჟის ბუნება-ხასიათთან სახელ-გვარის შესაბამისობის საკითხი როგორ დგას დავითთან? როგორც იტყვიან აზნაურები, სახელ-გვარი ტიპს შემოწკპილი უნდა ამშვენებდეს, კარგად მორგებული... ტიპს საკუთარი სახელ-გვარი უნდა ჰქონდეს, ნათხოვარივით არ უნდა ჩანდეს...

კიდევ ერთი საინტერესო მოგონება სერგო კლდიაშვილისა:

„— ლა ლა ლა ლა!...“

დავითი რაღაც ჰანგს იხსენებს.

— რა მშვენიერებაა! ხომ გახსოვს ეს ადგილი კარმენიდან?

თურმე კარმენიდან მღერის. სმენა კარგი მაქვს, მაგრამ დავითის ნამღერიდან ვერ მივხვდი, რა ადგილია. ყოველ შემთხვევაში „კარმენი“ აქ არ ისმის. რა ვუყოთ მერე! მთავარია ის, რომ თვითონ გესმოდეს ჰანგი, შენში მღეროდეს ის.

უცებ დავითის ღრმა ამოოხვრა მესმის.

— საბრალო ბიზე! ჩემო ბიზე! ასეთ დიდებულ კაცს თავი მოაკვლევინეს. ყრუ იყო ხალხი თუ? ლა ლა ლა ლა... რა მშვენიერია!...“

თურმე დავითი ოპერით დიდად ყოფილა გატაცებული... „ეს აღტაცება ოპერით, საერთოდ მუსიკით, ბოლომდე შერჩა“... ანდა: „დავითს შეუძლია მთელი დღე მუსიკას უსმინოს. დახუჭავს თვალებს და უსმენს“...

ზევით ვსაუბრობდით, პიროვნების ხმის ტონალობა, ტემბრი მთავარი პიროვნული მახასიათებელიაო მისთვის... ლაპარაკი კი არა. მუსიკა იყო...

როგორც ჩანს, მას ესმის ის „მუსიკა“, სახელ-გვარიდან რომ „ისმის“... სწორედ ეს მიესადაგება, როგორც ჩანს, პერსონაჟის ბუნება-ხასიათს... მარტივად სახელ-გვარის შერჩევა არ ხდება...

ისე ამ თვალსაზრისითაც დავითის ხელნაწერებისა და, საერთოდ, ნაწარმოებების შესწავლა საინტერესო მასალას გამოვლენს.

ალბათ ასეთი კითხვაც უნდა დაისვას და შეძლებისდაგვარად ვინმემ უპასუხოს (დაკვირვებაა საჭირო): თუ არიან სეხნია პერსონაჟები და მათს ბუნება-ხასიათში თუა რაიმე საერთო...

დასკვნა?

შეეძლებოთ კი ამოიხსნას? — მეეჭვება... ეს იცის მხოლოდ მწერალმა... და შეიძლება არც მან...

ხულიო კორტასარს უთქვამს — „ჩემში დაბადების დღიდან ცოცხლობს მუსიკა და გამუდმებით ეძებს გამოსავალს“... როგორც

ჩანს, მწერლისთვის გამოსავალი ესაა: მოძებნოს მისთვის და, საერთოდ, მუსიკალურად უღერადი სახელ-გვარი, ფრაზა, სიტყვა...

დავითს რომ ეს რაღაც შინაგანი მუსიკა (თავისი მუსიკა...) უკარნახებს თუნდაც ფრაზის აგებას, ამას ქვემოთაც ვნახავთ...

ლაპარაკობს კლდიაშვილის პერსონაჟი

ჩვენ ამ მონაკვეთში გვინდა ვისაუბროთ დიალექტიზმების თაობაზე დავით კლდიაშვილის პროზაში. საანალიზოდ „სამანიშვილის დედინაცვალს“ ავიღებთ.

როცა დავით კლდიაშვილის ენაზე საუბრობენ, უპირველესად მიაინიშნებენ იმაზე, რომ მწერალი იმერიზმებს გამოიყენებს ხშირად, „არაზომიერედ“...

რამდენიმე ამონარიდს მოვიყვან სამეცნიერო ლიტერატურიდან: „ქამუშაძის გაჭირვება“ და „სამანიშვილის დედინაცვალი“ მდიდარია იმერიზმებით, რომელიც უმეტესად ფონეტიკურ-ლექსიკური ხასიათისაა. გვხვდება ასიმილაცია-დისიმილაციის, რედუქცია-მეტათეზისის და სხვა ფონეტიკური მოვლენები" (რ. შამელაშვილი). საერთოდ ენათმეცნიერულ ლიტერატურაში ხშირია მწერლის ენის ანალიზის დროს ფონეტიკურ თუ გრამატიკულ მოვლენებზე ყურადღების გამახვილება. მეტიც: გარკვეული შაბლონი იყო შემუშავებული და ამ შაბლონში ხდებოდა კონკრეტული მაგალითების ჩასმა:

„აკაკის ენაში გვხვდება იმერული კილოსათვის დამახასიათებელი ასიმილაციის, დისიმილაციის, მეტათეზისის, ბგერათა განვითარების, დაკარგვის, შენაცვლებისა და შერწყმის შემთხვევები" (ქ. ძოწენიძე)... და ამას მოსდევს შესაბამისი მაგალითები...

„ვასილ ბარნოვის ენაში შეიმჩნევა ისეთივე ფონეტიკური პროცესები, როგორიც დამახასიათებელია დიალექტებისათვის. ივარაუდება, რომ ისინი შემოსულია კილოებიდან" (ე. კოშორიძე)... და სათანადო მაგალითები...

„ს. მგალობლიშვილის მოთხრობების პერსონაჟთა მეტყველებაში მეტ-ნაკლებად დადასტურებულია ყველა ის ფონეტიკური მოვ-

ლენა, რომლებიც გავრცელებულია ქართლურში. ეს მოვლენებია: ასიმილაცია, დისიმილაცია, მეტათეზისი, ბგერის ჩართვა, ბგერის დაკარგვა, სუბსტიტუცია. განვიხილოთ ცალ-ცალკე" (გ. შალამბერიძე)...

„დ. ჭონქაძის „სურამის ციხის“ ენაში მრავლად ვხვდებით აღმოსავლეთის დიალექტებისათვის, კერძოდ ქართლურისა და კახურისათვის დამახასიათებელ ენობრივ მოვლენებს, როგორც ფონეტიკასა და მორფოლოგიაში, ისე სინტაქსსა და ლექსიკაში" (მ. მესხიშვილი)... და კონკრეტული მაგალითები...

„რ. ერისთავის თხზულებათა ენაში გვხვდება ფონეტიკური, მორფოლოგიური და ლექსიკური დიალექტიზმები" (ლ. იორდანიშვილი) და მაგალითები...

ასევე განიხილება ნ. ლომოურის, ბ. გაბაშვილის, ილია ჭავჭავაძისა თუ სხვათა ენა...

განსაკუთრებით ხშირად დავით კლდიაშვილს ეგნატე ნინოშვილთან აწყვილებენ: „ე. ნინოშვილი გურულ დიალექტურ ფორმებს იყენებს ძირითადად პერსონაჟთა მეტყველებაში, ე. ი. იმგვარად და იმ მოცულობით, როგორც ეს ადრე ჰქონდა გ. ერისთავს და ზ. ანტონოვს, ხოლო ლიტერატურაში დაამკვიდრა ილია ჭავჭავაძემ და განაგრძეს ე. ნინოშვილის თანამედროვეებმა — ა. ყაზბეგმა, ს. მგალობლიშვილმა, დ. კლდიაშვილმა და სხვებმა" (ქ. ძოწენიძე).

„იმგვარად" და „იმ მოცულობით" ცოტა უცნაური შეფასებაა... საერთოდ, თუ ამგვარ მსჯელობებს გადავხედავთ, ამ თვალსაზრისით შეიძლება რაიმე განსხვავებაზე ვისაუბროთ? თუ იმას არ ჩავთვლით განსხვავებად, რომ ზოგი ერთ დიალექტს მიმართავს და ზოგი — მეორეს. ილია, აკაკი, ვაჟა, რ. ერისთავი, დ. კლდიაშვილი, ე. ნინოშვილი, ა. ყაზბეგი, ნ. ლომოური, ვ. ბარნოვი, დ. ჭონქაძე, ს. მგალობლიშვილი და სხვები — ერთი და იმავე კრიტერიუმებით და ერთნაირად ფასდება...

და საერთოდ, თუ რა სახის დიალექტიზმს გამოიყენებს (ასიმილაციას, დისიმილაციას, მეტათეზისს თუ სხვას) ამას რა მნიშვნელობა აქვს მწერლის ენის ანალიზისას? ყველა ეს არის და-

ლექტიზმი და როცა მწერლის ენაზე ვსაუბრობთ, ასეც უნდა შეფასდეს და თუ შეეძლებოთ, ვისაუბროთ, რა ფუნქციური დატვირთვა აქვს ამ დიალექტიზმებს კონკრეტულ მწერალთან...

ცალკეულ ფონეტიკურ თუ გრამატიკულ მოვლენებზე შეიძლება საუბარი, თუ მიზანი დიალექტის შესწავლაა...

აქ კიდევ ერთი საკითხია, საუბრობენ ბარბარიზმებზე: დავით კლდიაშვილთან „თუ დიალექტიზმები იმერელი აზნაურების ხასიათების გამოსაძერწად არის გამოყენებული, ამას ვერ ვიტყვით ბარბარიზმების შესახებ, რაც აქა-იქ ჩნდება... მკვლევარი გულისხმობს ისეთ შემთხვევებს, როგორიცაა – „ამას რაგა ვაპატიებ მაგ სტაქანს"... და სხვა...

ასეთი შემთხვევები, რომლებიც მხოლოდ პერსონაჟის მეტყველებაში გვხვდება (სტაქანი, ბალკონი, სტოლი...) მწერლის ენის ანალიზისას დიალექტიზმად უნდა იქნეს განხილული; ბარბარიზმი დიალექტის დონეზეა...

ასევე, წარუმატებელი მგონია ამგვარი შედარებებიც: „დიალექტიზმების გამოყენებაში დ. კლდიაშვილი ისე ზომიერი ვერ არის, როგორც, მაგალითად, ილია ჭავჭავაძე... მწერალი არ ერიდება მეტი ექსპრესიულობის მისაღწევად კოლორიტის შესაქმნელად იმერიზმების უხვად ხმარებას" (ი. ქავთარაძე)...

როცა ილია ჭავჭავაძეზე ვსაუბრობთ, დიალექტიზმების გამოყენების თვალსაზრისით სხვადასხვა ვითარებაა, ერთი მხრივ, მოთხრობებში „გლახის ნაამბობი" და „სარჩობელაზედ", მეორე მხრივ, „კაცია-ადამიანში" და, მესამე მხრივ, „მგ ზაერის წერილებში".

პირველ შემთხვევაში არ ხდება დიალექტიზმების მიზნობრივი გამოყენება; ვამბობთ მიზნობრივი-თქო, რადგანაც -დამ თანდებულის გამოყენება და მსგავსი შემთხვევები (სუბიექტური მეორე და ობიექტური მესამე პირის ნიშნები თუ სხვა) „ნორმაა" ილიასათვის, ლიტერატურული ფორმაა მისთვის... მიზნობრივ გამოყენებაზე უნდა ვისაუბროთ ისეთ შემთხვევებში, როგორიცაა, ვთქვათ, „კაცია-ადამიანში": „ეშობამ, შენ ნუ მამიკვლები, ვშობამ!"... და სხვა.

ეს მეორე შემთხვევაა, როცა მწერლის მიერ დიალექტიზმების გამოყენება ლუარსაბის „განათლებულობაზე“, „შეგნებულობაზე“ აქცენტის გაკეთებაა...

მესამე შემთხვევაში საგანგებო მდგომარეობაა ლელთ ღუნის ეპიზოდში: პერსონაჟი მხოლოდ დიალექტზე მეტყველებს. ესეც, ცხადია, მიზნობრივი გამოყენებაა დიალექტისა... მწერალი მიგვანიშნებს, რომ ეს ის კაცია, რომელიც ხევს არ გაშორებია, წიგნი არ უნახავს, განათლება არ მიუღია, მაგრამ თავისი შეგნების დონით, მსჯელობის ლოგიკით, ცხოვრებისეული სიბრძნით ათი თავით მაღლა დგას, ვიდრე „განათლებული“ რუსის ოფიცერი... ესაა ეროვნული უბედურება, რომ ეს მოხვეე იმ რუსისგან იჩაგრებაო... ამ ეფექტს, ერთი მხრივ, დიალექტიზმების მეშვეობით აღწევს...

სად იყო „ზომიერი“ ილია და სად არა? — ცხადია, ზომიერია ყველა შემთხვევაში, გააჩნია მიზანდასახულობას...

* * *

პრინციპულად მიუღებლად მიგვაჩნია ეგნატე ნინოშვილისა და დავით კლდიაშვილის გვერდიგვერდ დაყენება, დიალექტიზმების გამოყენებაზე როცა ვსაუბრობთ. მასალის ანალიზი საკითხს სხვაგვარად წარმოაჩენს..

საანალიზოდ ავიღე ერთი და იმავე მოცულობის (19 სტრიქონი პერსონაჟთა მეტყველებიდან) ტექსტი ე. ნინოშვილის მოთხრობიდან „პარტახი“ და „სამანიშვილის დედინაცვლიდან“. ე. ნინოშვილთან დადასტურდა 39 დიალექტიზმი; დ. კლდიაშვილთან — 6. ე. ნინოშვილთან დიალექტური ფორმა წარმოდგენილია თითქმის ყველა შესაძლო შემთხვევაში; ანუ: პერსონაჟი საუბრობს „წმინდა“ გურული დიალექტით; დავით კლდიაშვილთან — არა. მოსალოდნელ (ე. ი. ფორმა, რომელიც შეიძლებოდა დიალექტური ვარიანტით წარმოდგენილიყო) და რეალიზებულ დიალექტურ ფორმათა პროცენტული შეფარდება ასეთია: ნინოშვილთან რეალიზებულია თითქმის 100%; კლდიაშვილთან — 18%. ამკარაა, რომ ამ ორ მწერალს სრულიად განსხვავებული ენობრივი პოზიცია უჭირავს დიალექტიზმების გამოყენების თვალსაზრისით. ცხადია, ის კითხვაც დაისმება, თუ რა

ფორმები არის რეალიზებული დავით კლდიაშვილთან (ანუ: რა სახის დიალექტიზმები გვხვდება) და რა შემთხვევაში...

ძალზე საინტერესოა დავით კლდიაშვილის პროზა პოეტიკური თვალსაზრისით. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სწორედ მწერლის მუსიკალური ალლო, მაღალი ბგერწერული ხელოვნება. ეს მხარე კლდიაშვილის შემოქმედებისა შეუსწავლელია. რამდენიმე მაგალითს მოვიყვან საილუსტრაციოდ. ისეთი სიტყვები, როგორცაა თორემ, მაგრამ, როგორ გვხვდება დიალექტური ნაირსახეობითაც: თვარა, მარა, რავა. დავით კლდიაშვილთან ერთი და იმავე ლექსიკური ერთეულის ორივე ვარიანტი გვხვდება: თორემ / თვარა, მაგრამ / მარა, როგორ / რავა. მწერლისთვის ეს არის ორი შესაძლო ვარიანტი და პერსონაჟთა მეტყველებაში გამოიყენებს ორივეს, იმისდამიხედვით, თუ კონკრეტულ სიტუაციაში, კონკრეტულ წინადადებაში, რომელი მათგანი უფრო „ჩაჯდება“, „მოერგება“:

„ასე ქენი მარა, საქმეს შორს ნუ გადადებ, თვარა“... დიალექტური ფორმების შემოტანა ფრაზას მეტ რიტმულობას, დინამიკას ანიჭებს. შევადაროთ, ასეთი ვარიანტი რომ ყოფილიყო: „ასე ქენი მაგრამ, საქმეს შორს ნუ გადადებ, თორემ“... აქ თითქოს იმერლისათვის დამახასიათებელი საუბრის ტემპი დაეცა, თითქოს დისონანსი შემოიტანა მაგრამ და თორემ სიტყვებმა...

ზევით ერთი ფრაგმენტი მოვიყვანეთ ხულიო კორტასარის ნათქვამიდან. უფრო ვრცლად: „ჩემში დაბადების დღიდან ცოცხლობს მუსიკა და გამუდმებით ეძებს გამოსავალს. ჩემს შემოქმედებაზე იგი უმთავრესად რიტმის მეშვეობით ახდენს ზეგავლენას... ვცდილობ, ჩემი ნაწერები ავაგო მუსიკალურ ნაწარმოებთა კანონით: ყველა ბგერის ურთიერთკავშირი, მათი განუწყვეტლობა, სწრაფი განვითარება, კულმინაცია და გაწყვეტა“...

როცა ამას ვკითხულობ, ისეთი განცდა მიჩნდება, თითქოს დავით კლდიაშვილის აზრს ვეცნობოდე...

ყველა ბგერის ურთიერთკავშირი, მათი განუწყვეტლობაო, როცა ამბობს მწერალი, ალბათ ასეთ მაგალითებს გულისხმობს, ზე-

მით რომ მოვიყვანეთ, ანდა შემდგომ: ყურადღება მიაქციეთ თანხმობანთა ალიტერაციასა და ხმოვანთა ასონანს:

რავა არა, მარა (შდრ.: როგორ არა, მაგრამ...)

გავიწყდება თვარა, შვილი რავა არ ყავდა...

თვარა ჩემით რავა წვევილოდი...

რა არი ყმაწვილო, რანაირი საქციელია...

ასე ვთქვათ, საქრესტომათიო მაგალითებია ა ხმოვნის ასონანსისა:

აბა, მამიდაჩემ სალომესთან გავწიოთ, რავარც დარიკომ გვირჩია...

ამას რავა ვაპატიებ მაგ სტაქანს...

ასე ხამათ რავა მივიღე...

აქ რამდენიმე ფაქტს უნდა მივაქციოთ ყურადღება: დიალექტური ფორმების ა-ხმოვნიანი ვარიანტის გამოყენებას; ფრაზისა თუ სიტყვათმახვილის ფაქტორს. ყველა შემთხვევაში სალიტერატურო ფორმათა გამოყენება რიტმულობას დაარღვევს... ამ ფრაზებსაც მივაქციოთ ყურადღება:

„პლატონ, გაიხსენე პეტრე მოციქული" და იქვე

„პეტრე მოციქული გეიხსენე, შე უღვთო, შე უღვთო"...

„პლატონ გაიხსენე" და „პეტრე გეიხსენე"... ფონეტიკური ვარიანტები გაიხსენე და გეიხსენე იმისდამხვედვით ენაცვლება ერთიმეორეს, მეზობლად რა სიტყვაა — ა-ხმოვნიანი პირველი მარცვლით თუ ე-ხმოვნიანი მარცვლით დაწყებული... მარცვალთა ასეთ მონაცვლეობას — ვარიანტთაგან სასურველის შერჩევას — მწერალს სწორედ შინაგანი მუსიკალური ალლო უკარნახებს. ეს არის ალბათ ის, რასაც „ყველა ბგერის ურთიერთკავშირი" ჰქვია...

როცა ამ თემაზე ვსაუბრობ, ისიც უნდა ვთქვა, რომ რედაქტორ-გამომცემლები არ აქცევენ ამას ყურადღებას და ზოგიერთ გამოცემაში კორექტურული შეცდომის დონეზე არის „გასწორებული" დიალექტური ვარიანტი...

რამდენიმე შენიშვნის გაკეთება კიდევ შეიძლება დიალექტიზმებთან დაკავშირებით — დიალექტიზმები როგორც მხატვრული

ხერხი, საშუალებაა მკითხველთან დამატებითი ინფორმაციის მიტანისა...

* * *

უპირველესად ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ ფაქტს: შუაიმერული მეტყველება, რომელიც აისახა ძირითადად დავით კლდიაშვილის პროზაში, საკმაო თავისებურებებით ხასიათდება. დიალექტიზმები გვაქვს როგორც ფონეტიკურ, ისე მორფოლოგიურ და სინტაქსურ სფეროში, რომ აღარა ვთქვათ ლექსიკაზე. ყველა სახის ფონეტიკური თუ გრამატიკული დიალექტიზმები ვერ აისახება დ. კლდიაშვილის პროზაში. მხოლოდ რამდენიმე ტიპურ მაგალითს მოვიყვან გრამატიკული ანალიზის გარეშე: ასუმს, აჭუმს; ჯღა, დგანა; ძენილოფს, ცნობილოფს; მადანა, სადანა; შენე, ჩვენე; გავლარიენ, მოდილარიენ; ძალითანა; უჭირავსყე, დოუნთეყენ... ყველა ეს და მსგავსი მოვლენა, ფაქტი ფართოდაა გავრცელებული შუაიმერეთში (ე. ნინოშვილთან გურულისათვის დამახასიათებელი ყველა ტიპის დიალექტიზმი შეგვხვდება...).

პერსონაჟთა მეტყველებაში თავს იჩენს მხოლოდ ზოგი თავისებურება: ძირითადად დამახასიათებელია ზმნისწინთა დიალექტური ფორმების ხმარება; თუმცა არ გვხვდება მო- და შე- ზმნისწინთა ახმოვნის ვარიანტები (შა-, მა-): მართალია, ეს ფორმები გვხვდება შუაიმერეთში, განსაკუთრებით ზემოიმერულში, მაგრამ მათ მაინც უფრო აღმოსავლური იერი დაჰკრავს... ვთქვათ, ხშირადაა გამოყენებული ფორმები: მარა, რავა, რავარც, თვარა... ასევე – შუალობითი კონტაქტის ნარდაკარგული ფორმები გამაგებზე ტიპისა და ორიოდ სხვა სახის დიალექტიზმი (ე^რეს, ქე, კაი...). აღსანიშნავია ისიც, რომ დიალექტურის გვერდით მისი ლიტერატურული ვარიანტიც იხმარება, და ზოგჯერ ერთსა და იმავე რეპლიკაში: როგორც || რავარც, გაიხსენე || გეიხსენე, დავალევი || დამალევენებს...

ღირსსაცნობია ის ფაქტი, რომ დასტურდება ძირითადად იმ სახის დიალექტიზმები, რომლებიც მეტ-ნაკლებად სხვა დიალექტებისთვისაა დამახასიათებელი. ფაქტობრივ ეს პროცესი კონინეს პრინციპთან არის მიახლოებული... დ. კლდიაშვილის პრინციპია: შექმნას

გარკვეული კოლორიტი, მაგრამ არ გააბუნდოვანოს ფრაზა ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის ოდენ იმერულისათვის სპეციფიკურ ფორმათა შემოტანით.

* * *

ყველაზე ხშირად დ. კლდიაშვილთან ზმნისწინის დიალექტური ფორმები გვხვდება, მაგრამ თუ ერთი და იგივე სიტყვა არ მეორდება ზელიზედ (მაგ.: – დევილუპე... წმინდად დევილუპე! – იძახდა პლატონი. – წმინდად დევილუპე...), ვრცელ რეპლიკაშიც კი ერთიმეორის მიმდევრობით ზმნისწინის დიალექტური ორი ფორმა არ იხმარება – მათ შორის ყოველთვის არის წარმოდგენილი სხვა სახის დიალექტიზმი. მოთხრობის ერთ-ერთ ყველაზე ვრცელ რეპლიკაში, სადაც პლატონი უხსნის ბეკინას, თუ რა იმედია ორნაქმრევი უშვილო დედაკაცის შემოყვანა ოჯახში, დიალექტურ ფორმათა თანამიმდევრობა ასეთია: დეინახო... რავარც... თვარა... მარა... რავა... დევერიდები. ეს წესი ძირითადად გატარებულია დიალოგშიც: ორ მეზობელ რეპლიკაში არ შეინიშნება ერთგვარი დიალექტური ფორმა. ამ ტენდენციას გამონაკლისიც აქვს: დიალოგში სხვადასხვა პერსონაჟთან ერთი და იგივე ფორმა მაშინ მეორდება, თუ ერთ-ერთი მათგანი გამოჯაერების მიზნით იმეორებს თანამოსაუბრის ფრაზას:

- „– ბატონო, მელანოს ჯაფას რას დეექებ, შენ ნუ...
– რატომ რას დეექებ?! – გააწყვეტინა სიტყვა ბეკინამ“...
„– საცხა ჩეიჩეხება ახლა ის უბედური...
– ჩეიჩეხება კი არა...“

* * *

დიალექტიზმები პერსონაჟის მეტყველებაში ფაქტობრივად ყოველთვის იჩენს თავს, როცა მოქმედი პირი მდგომარეობიდან არის გამოსული – დამწუხრებულია, გაჯაერებული ან სასოწარკვეთილი:

- დევილუპე... წმინდად დევილუპე! – იძახდა პლატონი. – წმინდად დევილუპე, თუ რამე არ ვისაშველე, რამე არ ვიღონე!...
– უიმე! უიმე! ეს რა გეიგონა ჩემმა ყურებმა!...
– ამას რავა ვაპატიებ მაგ სტაქანს!...

— რავა არ უნდა მომკლას ჩემმა პატრონმა? რავა არ უნდა მომკლას? რავა ვარ შესაბრალისი?

— მაგ ოხერი კიდევ მეეთრა?!

— გოულეთ... გოულეთ მაგ შერყენებულს ჭიშკარი!... გოულეთ... მაგ თავსლაფდასხმულს მაგას!... — მიაყვირა უკან ჯიმშერმა.

მსგავს შემთხვევებში ამით ავტორი მეტ ექსპრესიულობას, სიცხოველეს მატებს ფრაზას და პერსონაჟის მდგომარეობას უფრო ცხადად წარმოგვიჩენს. აქ ალბათ საინტერესოდ წარმოჩნდება თვითონ ბუნება შემოდგომის აზნაურებისა. კუდაბზიკა, თავმოძწონე აზნაური საგანგებო სიტუაციაში ჩავარდნილი, საკუთარ მეტყველებაზე კონტროლს კარგავს, ერთგვარი ნილაბი, რომელსაც ამაღლებული (ამ შემთხვევაში ლიტერატურული) საუბრით იქმნის, ეხსნება და ბუნებრივ სახეს წარმოაჩენს... ასეა ვითომ?

* * *

შეინიშნება ერთი მოვლენაც: ორი პერსონაჟიდან, როცა ერთ-ერთს გარკვეული უპირატესობა აქვს მეორესთან შედარებით და ამას ორივე გრძნობს, მდგომარეობით პრივილეგირებული საუბრისას არ ერიდება დიალექტურ ფორმათა ხმარებას; მეორე თავშეკავებულია, მორიდებული, ფრთხილი და, ამდენად, მისი მეტყველება თითქოს შებორკილია... ე. ი. შეგნებულად „გალიტერატურული“, დიალექტიზმებიდან დაცლილი. ეს ფაქტი გახაზავს მდგომარეობით პრივილეგირებულის მიმართ თანამოსაუბრის პატივისცემასა და მოწიწებას და, შესაბამისად, „მაღლა მდგომის“ მიერ მეორისადმი მეტყველებით გამოხატულ გაშინაურებას, თავისგატოლებას. ამგვარ დიალოგში დიალექტური ფორმების შემოტანა ათავისუფლებს ავტორს პერსონაჟთა შორის ასეთ დამოკიდებულებაზე საგანგებო მინიშნებისაგან — გმირთა ურთიერთდამოკიდებულება მეტყველებით იხატება. მხედველობაში გვაქვს პლატონ სამანიშვილისა და ივანე გვერდევანიძის, „იმ კუთხეში ცნობილი სახელის მქონე აზნაურის“, დიალოგი. ივანეს მეტყველებაში ხშირია დიალექტური ფორმები (დამსი-

ლი... რავარც... დოუჯერებელი... გოუმწარეს... ოუტყდენ... ქე... გეჭირია... ი... დეეკლო... მიემატებია... მაგიერთ...); პლატონთან კი ორიოდე შემთხვევა დასტურდება (თვარა... მარა... რავა), თუმცა როცა ავტორი აქვე პლატონის ფიქრს გადმოგვცემს, საკმაოდ მოკლერეპლიკაში დიალექტურ ფორმას გამოურევს: „ასეა ჭკვიანი კაცის ორიოდე სიტყვაც! – გონებაში ხალისიანად ამბობდა ძუნძულით მიმყოლი პლატონი. – ყოველთვის სასარგებლო რამეს გეიგონებ“. საინტერესოა ისიც, რომ დ. კლდიაშვილთან ვნებითის -ე სუფიქსი მომდევნო ა ხმოვნის წინა პოზიციაში, ჩვეულებრივ, ი-ის სახითაა წარმოდგენილი (იამა ← ეამა, იახლა ← ეახლა). ივანე გვერდევანიძესთან საუბარში კი პლატონი სწორ „გეახლებოდით“ ფორმას ხმარობს, რაც ამ მოთხრობაში სხვა შემთხვევაში არ დასტურდება.

* * *

თუ ორი პერსონაჟი ერთმანეთისათვის უცხოა, სანამ გაუშინაურდებიან ერთიმეორეს, მათი დიალოგი სალიტერატურო ქართულს მისდევს. როგორც კი მათ შორის უცხოობის ჯებირი მოიხსნება, გადაილახება – დიალოგშიც შემოიჭრება იმერიზმები. მხედველობაში გვაქვს პლატონ სამანიშვილისა და არისტო ქვაშავიძის საუბარი ჯიმშერ სალობერიძის ოჯახში. გვახსოვს: კირილე მიმინოშვილმა პლატონს წამოაძახა, „დედინაცვალს ერთს კი არა, ათს გიშოვი... ერთ უშილო დედაბერს დეექებს სადედინაცვლოდ“... ეშმაკური აზროვნების კაცმა არისტომ უცებ დაიჭირა ეს ფრაზები და როგორც კი საშუალება მიეცა, მიუჯდა პლატონს. თავიდან უარზეა პლატონი – „ბატონო, რადაცას უჭკუო, გონებადაკარგული კაცი წამოაყრანტალებს, რა გასაგონარია, თუ ღმერთი გწამს!“... მაგრამ გამოტეხა არისტომ პლატონი, გაუმხილა ქვაშავიძეს თავისი მოგზაურობის მიზანი პლატონმა და არისტომ საკუთარი მამიდა შესთავაზა სადედინაცვლოდ. უკვე მათ შორის შინაურული სიტუაცია შეიქმნა და რეპლიკებშიც იმატა დიალექტიზმებმა...

ცხადია, დავითი არ ფიქრობდა ამაზე. „წერდა როგორც იწერებოდა“, მაგრამ იწერებოდა ისე, როგორც ბუნებრივ სიტუაციაში

მოიქცეოდნენ და ისაუბრებდნენ მისი პერსონაჟები. კიდევ ერთი ფრაგმენტი სერგო კლდიაშვილის მოგონებიდან:

სამსონს, დავითის მამას, სიმონეთში ძველი მეგობარი ესტუმრა. სხედან, უმასპინძლდება სამსონი და საუბრობენ:

— არაფერი მაკლია, ჩემო სამსონ... აქ შემომხედე, ხომ კარგად გახსოვარ მე, სამსონ კლდიაშვილი. ჰოდა, ახლა უფრო უკეთესად ვარ. სავსე ვარ ყველაფრით!

ბაბუა სამსონი პირდაპირ ზღაპარს უამბობს თავისი ვენახის, ყანების, ციციქასა და კრახუნა ღვინით სავსე ქვევრების შესახებ.

მეგობარიც ცდილობს გაახაროს ბაბუა სამსონი:

— ვერც მე დავემდურები ღმერთს, ჩემო სამსონ. შვილებმაც ძალიან შემიწყვეს ხელი. ისე ვცხოვრობ, რომ ჩემთან მოსვლა გესიამოვნება. ასი კაცი რომ უეცრად მესტუმროს, მეზობელთან ერთი ჭიქის სათხოვნელად არ დამჭირდება გადასვლა. მე შენ გეტყვი, არ მაქვს!

ორივე ღიღხანს ტრახახობს. სვამენ ერთმანეთის საღლეგრძელოებს, წარსულს იხსენებენ და ერთმანეთს ულოცავენ კმაყოფილ ცხოვრებას.

— დათიკო, დაღლილი ხარ, მოისვენე! — ეუბნება ნასადილვეს დედაჩემი.

— ცოტა ხანს კიდევ, ცოტა ხანს! — არ დგება მამა. — ასე მგონია ჩემი მოთხრობიდან მესტუმრენ!...

„მამას დახრილი თავი გრძელ თითებზე დაუდვია და თვალდახუჭული უსმენს ორი მოხუცი აზნაურის საუბარს...“ ფაქტია, მთელი ცხოვრება დავითი ასეთი ინტერესით ეცნობოდა აზნაურთა ყოფას. ამიტომაცაა ასე ბუნებრივი მისი დიალოგები, მისი ენა საერთოდ...

* * *

კიდევ ერთი საინტერესო ლეტალი:

შევნიშნავთ, რომ დ. კლდიაშვილის პერსონაჟები პარალელურად ხმარობენ მაგრამ და მარა, როგორ და რაუა, როგორც და რავარც ფორმებს. შეიმჩნევა ერთი კანონზომიერება: მხოლოდ მამაკაც პერსონაჟთა მეტყველებაშია ორივე ეს ფორმა დადასტურებული და

ზოგჯერ ერთსა და იმავე რეპლიკაშიც კი. ქალი პერსონაჟები მხოლოდ დიალექტურ მარა, რავა, რავარც ფორმებს იყენებენ. ამ ხერხით მწერალი ერთგვარად უპირისპირებს „მამაკაცური“ და „ქალური“ მეტყველების რიტმს, თავისებურებას, ტემპს. მაგრამ, როგორ, როგორც ფორმები უფრო ამბლლებული, დარბაისლური, დინჯი მეტყველებისთვისაა დამახასიათებელი; მარა, რავა, რავარც ფორმები – უფრო აჩქარებული, გაბმული მეტყველებისთვის:

როგორ არა, მაგრამ... როგორც...

რავა არა მარა... რავარც...

„მამაკაცური“ და „ქალური“ მეტყველების დაპირისპირების საკითხი თავისთავად საინტერესოა. დიალექტები ამის თაობაზე საინტერესო მასალას მოგვაწვდიან. მაგალითად, აღნიშნავენ, რომ ქიზიყურში შორისდებულს ვაი მამაკაცები გამოიყენებენ, უი-ს – ქალები (მ. ხმალაძე). ეს შეიძლება სხვაგანაც ასე იყოს...

თავის დროზე „დედაენაზე“ საუბრისას დიმიტრი ყიფიანმა შენიშნა: „გენაცვას ქალი იტყვის და არა ვაჟი; ვაჟი იტყვის – გეთაყვო“... ასე რომ, დავით კლდიაშვილის მიერ დაჭერილი იმერულის ეს თავისებურება ძალიან საინტერესოა...

* * *

ჩვენ რამდენიმე შენიშვნა გავაკეთეთ დიალექტიზმების გამოყენების თაობაზე დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვლის“ მიხედვით. დავით კლდიაშვილის პროზა თუ დრამატურგია ძალიან მდიდარ მასალას იძლევა ამ თემაზე საუბრისათვის... და არა მხოლოდ დიალექტიზმების გამო...

როცა პეტრე უმიკაშვილს „სამანიშვილის დედინაცვალი“ წაუკითხავს, ხუმრობით უსაყვედურია დავითისათვის, რატომ დაამთავრე ასე მალე სამანიშვილის მოგზაურობაო, – „გადავიყვანდი ქართლში, იქიდან კახეთში – რა სურათი იქნებოდა, რა იქნებოდა! შენ კი ასე მალე მოანახვიე დედინაცვალი“... დავითმა მოკლედ უპასუხა: „არ ვიცნობ ქართლსა და კახეთს“...

დიახ, იმერეთს იცნობს დავითი, იმერულს იცნობს დავითი და ხატავს დიდოსტატურად. მის ყოველ ფრაზაში, წინადადებაში ისმის იმერული სუნთქვა. ვისთვისაც ეს ნაცნობია, იოლად დაინახავს; ვისთვისაც არა — გაიცნობს...

დიახ, არა მხოლოდ დიალექტიზმების გამო.

და ეს ნარკვევი მინდა დავასრულო თამაზ ბიბილურის ერთი ძალზე საინტერესო დაკვირვებით:

„ერთხელ ჩავატარე ასეთი პატარა ექსპერიმენტი. აივანზე ვიდექი და ქვემოთ ჩემი მეზობლები ყაყანებდნენ, იცინოდნენ, ჭორაობდნენ. უცბად მომიარა სურვილმა, რომ ჩამეწერა ეს პროცესი. აღმოვაჩინე ძალზე სასიამოვნო რამ. აქ, ამ საუბარში იყო კოლორიტი, ჩანდა თითოეული პერსონაჟი, ეს დიალოგი იყო აბსოლუტურად იდეალურად გამართული. ეს ჩემთვის ძალზე სასიხარულო მოვლენა იყო, ეს ვარაუდი გამიმართლდა მერეც, როცა დავრწმუნდი, რომ დიალოგი შეიძლება სუფთა ქართულით, მაგრამ კოლორიტი მაინც იყოს, მაინც გმირი მეტყველებდეს. ამის ნიმუშები გვაქვს ჩვენ ილიასთან, დავით კლდიაშვილთან. პერსონაჟები თითქოს ლაპარაკობენ ჩვეულებრივად, სუფთა სალიტერატურო ენით, მაგრამ ლაპარაკობს ლუარსაბი, ლაპარაკობს დარეჯანი, ლაპარაკობს პლატონ სამანიშვილი" (1992 წლის ოქტომბერი. რადიოინტერვიუ. დაიბეჭდა გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“, 22 იანვარი, 1993 წ.).

დიახ, ლაპარაკობს კლდიაშვილის პერსონაჟი...

მინაწერი: დ. კლდიაშვილის დამოკიდებულებას დიალექტიზმებისადმი განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მისი ნაწარმოებების ეკრანიზაციის ანდა სცენაზე დადგმის შემთხვევაში. ფილმში „სამანიშვილის დედინაცვალი" კირილე მთელი ფილმის მანძილზე ზემოიმერულად უქცევს (მსახიობი ჭიათურელია)... ქუთაისის თეატრში „ქამუშაძის გაჭირვება" დაიდგა ადრე და თავი იმერეთის ორლობებში გეგონებოდა, ისე საუბრობდნენ მსახიობები...

არადა, კლდიაშვილის პერსონაჟი სხვაგვარად საუბრობს...

ოთარ ჩხეიძის ენობრივი სამყარო (წინასწარი მოხსენება)

ოთარ ჩხეიძის ენობრივი სამყარო – საწიგნე თემაა...

* * *

ერთი მხრივ, სალიტერატურო ენის ნორმათა დაცვის თვალსაზრისით მწერალი თითქოს პრობლემებს არ გვიქმნის, მაგრამ, მეორე მხრივ, ლიტერატურული კრიტიკა, ენათმეცნიერები თუ არაენათმეცნიერები საუბრობენ სწორედ მწერლის „ენობრივ ცოდნებზე“; საუბრობენ არა მხოლოდ „ნორმათა დარღვევაზე“, არამედ ენისადმი არასერიოზულ დამოკიდებულებაზე – „თავის ნებაზე ათამაშებს და დასცინის ენასაცო“... „მტყუან-მართლის“ გარჩევისათვის ბევრ კითხვას უნდა გაეცეს პასუხი – ზოგადსა თუ კონკრეტულს... დიახ, ოთარ ჩხეიძის ენის შესახებ საუბარი არ მოხერხდება იმ პრობლემების განხილვის გარეშე, რაც დგას ზოგადად მწერლის ენის ანალიზთან დაკავშირებით; ეს ზოგადი პრობლემებია. დანახებით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენში მწერლის ენობრივი სტილის შესწავლისა და ანალიზის საკითხები არცთუ საფუძვლიანადაა დამუშავებული; გარდა ერთეული გამოწაკლისებისა, მეტ-ნაკლებად სერიოზული გამოკვლევა იშვიათია ამ დარგში...

* * *

ოთარ ჩხეიძის ენა სალიტერატურო სამყაროს ყურადღების ცენტრში მოექცა დღიდან მწერლის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისა. XX საუკუნის მწერალთა შორის ასეთი ერთსულოვანი ინტერესი მწერლის ენისა და სტილის საკითხთან დაკავშირებით, როგორც წილად ზედა ოთარ ჩხეიძეს, არავის გამოუწვევია... იმ XX საუკუნეში, რომლის სათავეებთან იდგნენ მკვეთრად ინდივიდუალუ-

რი სტილის მწერლები: ვასილ ბარნოვი და დავით კლდიაშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე და გრიგოლ რობაქიძე, მიხეილ ჯავახიშვილი და კონსტანტინე გამსახურდია... კი, იყო შენიშვნები თუ კრიტიკა ამ კლასიკოსთა ენობრივი სტილის თაობაზე, მოწონება თუ დაწუნება, მაგრამ ეს თითქოს სხვათა შორის...

ოთარ ჩხეიძის მიმართ კი იმთავითვე კრიტიკული იყო ლიტერატურული სამყარო; დაწერს ერთგან: „ჩემზე მოეცალა მთელს მაშინდელ ქართულ კრიტიკასა, პრესასაც ჩემზე მოეცალა, ყოველნაირ პრესასა“; თითქმის ერთსულოვნად უარყოფითად აფასებდნენ მის ენობრივ სტილს: იწუნებენ, მაგრამ რას და რატომ, ამაზე არ ანკერ საუბრობენ; შეფასებები უფრო დეკლარაციული ხასიათისა იყო...

ცხადია, თავისი ორიგინალურობის, თვითმყოფადობის წყალობით, ოთარ ჩხეიძე ყურადღებას ნამდვილად იმსახურებდა; ყურადღებას, მაგრამ არა ღვენას...

* * *

დავსვათ მთავარი კითხვა: რა იყო მიზეზი მწერლისადმი ამგვარი დამოკიდებულებისა; ერთმანეთში ზომ არ აირია მიზეზი და საბაბი? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად პარალელის გავლება დაგვიჭირდება.

კრიტიკის დამოკიდებულება ოთარ ჩხეიძის ენის მიმართ, ჩემი აზრით, ანალოგიას პოეზებს XIX საუკუნეში ვაჟა-ფშაველას ენის მიმართ გამოჩენილი ყურადღებისადმი. გამოვიდა თუ არა ვაჟა-ფშაველა სამწერლო ასპარეზზე, მისი ენა არ ეჭაშნიკათ (არმოწონება არ ერქვა იმას) და მწარე კრიტიკის ქარიშხალი დაატეხეს თავს. ამის დასტურად მარტო აკაკი წერეთლის მიერ 90-იან წლებში ნათქვამი იკმარებდა: „საწყენი ის არის, რომ განგებ ამახინჯებენ (რაზიკაშვილები — გ. გ.) თვითვე მათ ნაწარმოებს ქართულის გადაჯორჯვადმძოვრჯვით და შიგ ისეთ რამეებს ახორცმეტებენ, რომ მშვენიერებას საუწმინდუროთ ჰდაღვენ“... ახალი ქართული სალიტერატურო ენის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ქართული პოეზიის მამამთავარი ახალგაზრდა კალმოსნებს — ვაჟა-ფშაველასა და მის ძმებს — კრი-

ტიკის ქარცეცხლში ატარებს... იყო სხვაც, არაერთი მწვავე კრიტიკა ვაჟა-ფშაველასი...

აქვე შეგნიშნავთ, რომ პრინციპულად განსხვავებულია ვაჟა-ფშაველასა და ოთარ ჩხეიძის დამოკიდებულება ენისადმი: – ვაჟას შემთხვევა სხვაა: მისი ენობრივი პოზიცია არაერთგვარია სხვადასხვა ნაწარმოებში – ზოგი წმინდა ლიტერატურული ენით იწერება; სხვებში გამოიყენებს დიალექტიზმებსაც, მაგრამ განსხვავებულად (ეთქვათ პროზასა და პოეზიაში; პოეზიაში – ლექსებსა და პოემებში; ხოლო პოემებში, ერთი მხრივ, „აღუდა ქეთელაურსა“ და მისთანებში, მეორე მხრივ, „სტუმარ-მასპინელსა“ და მისთანებში და სხვა...). ოთარ ჩხეიძის ვითარება სხვაა: აქ გვაქვს მკვეთრად გამოკვეთილი ზოგადი სტილი ავტორისა, თავისებური ვარიაციებით რომ წარმოდგება სხვადასხვა შემთხვევაში...

თუმცა საერთო ამ ორ მწერალს შორის ისაა, რომ მათდამი კრიტიკის დამოკიდებულება არის ერთგვარი... თვითონ მოვლენა – ვაჟა-ფშაველას შემოსვლა ლიტერატურაში და ოთარ ჩხეიძის შემოსვლა ძალიან ჰგავს ერთმანეთს. ვაჟას მიმართ ძირითადი აქცენტი დიალექტიზმებზე კეთდებოდა, ოთარ ჩხეიძესთან – არა მხოლოდ დიალექტიზმებზე, თუმცა დიალექტიზმების ჭარბად გამოყენების ბრალდება როგორც ერთგან, ისე მეორეგან, არსებითია... არადა ასეთი კრიტიკა მიკერძოებულია, არაობიექტურია და ჩვეულებრივ – არ ახლავს ახსნა...

თუ ვაჟას მიმართ თავიდან მხოლოდ დიალექტიზმებს ახსენებდნენ, მოგვიანებით თითქოს აზუსტებენ – ალაპარაკდნენ, „პროვინციულ სტილზე“, „ენობრივ პარტიკულარიზმზე“, „ნატურალიზმზე“; ოთარ ჩხეიძის შემთხვევაში იმთავითვე საუბრობდნენ „ენობრივ ნატურალიზმზე“...

არადა, მოდით გავიხსენოთ რომელიც გინდათ „დიალექტიზმებით დატვირთული“ ვაჟას ნაწარმოები და შევუდაროთ ამ მხრივ (დიალექტიზმების გამოყენების თვალსაზრისით) მისივე თაობის მწერლის, ეგნატე ნინოშვილის, ენას (ახლა „პარტახი“ მიჭირავს

ხელთ). შედარებაც კი არ შეიძლება... ამჯერად არ ღირს მსჯელობა იმაზე, დიალექტური ფორმები პერსონაჟთა მეტყველებაში გვაქვს თუ ავტორისაში (ეს თავისთავად მნიშვნელოვანი ფაქტია, თუმცა სხვა საუბრის თემა)...

და რთული კითხვები:

რატომ არის მკითხველი შეუწყნარებელი ვაჟას ენის მიმართ და შემწყნარებელი ნინოშვილის (თუნდაც კლდიაშვილის) ენის მიმართ?

ამ შეუწყნარებლობის მწარე ფაქტს იგონებს გერონტი ქიქოძე: *„ყოველი მისი ახალი თხზულება ალტაცებას იწვევს ტფილისის გემოგახსნილი და მოწინავე ლიტერატორების ვიწრო წრეში; მაგრამ ამავე დროს ვაზეთ „ივერიას“, სადაც მისი ნაწერები იბეჭდება უმთავრესად, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოდან მოდის ერთპიროვნული და კოლექტიური მუქარის წერილები: შეწყვიტეთ ვაჟა-ფშაველას ნაწერების ბეჭდვა, თორემ ვაზეთის გამოწერაზე უარს ვიტყვითო. ეს არალოიალური და მტრული განწყობილება ვაჟასადმი შემდეგაც კარგახანს არ შეცვლილა“... არადა ვაჟას მოვუსმინოთ: მე ამ ჩემი ენით მომწონს თავი, თორემ სხვა რა არის ჩემს ლექსებში და პოემებში. თუ ენაც დასაწუნია, მაშ არაფერი ყოფილაო.*

გავიმეოროთ კითხვა: რატომ არის მკითხველი შეუწყნარებელი ვაჟას ენის მიმართ? ვითომ მიზეზი მხოლოდ დიალექტიზმების პრობლემაა, მისი გამოყენების სიხშირე? ამ კითხვებზე პასუხი თუ შესაძლებელია საერთოდ, მნიშვნელოვანი იქნება იმისთვისაც, ოთარ ჩხეიძის ენის მიმართ მკითხველის დამოკიდებულება რომ გავარკვიოთ. მოდით, კითხვები დავაზუსტოთ: ენა საბაბი ხომ არ არის და მიზეზი ვაჟას სათქმელის სიღრმე და პრობლემატურობა, მისი ფილოსოფიის სირთულე ხომ არ არის? რატომ არის მიუღებელი მკითხველისა თუ კრიტიკისათვის მთის დიალექტთა (ფშაურ-ხევსურულის) მონაცემების გამოყენება და მისაღები გურულ-იმერულისა? ამ უკანასკნელი კითხვის დასმის სხვა საბაბიც მაქვს – აქ ერთ ამბავს გავიხსენებ:

ერთხელ ანა კალანდაძეს კვითხე: თქვენ გურიაში დაიბადეთ. როგორც წერთ, „პირველი პოეტური შთაგონება“, „პირველი პოეტური სიტყვა“ თქვენს „სოფელს უკავშირდება“... და რამდენადაც დაკვირვებებივარ, თქვენს ლექსებში გურული დიალექტის კვალი არა ჩანს... ფშაური ციკლის ლექსებში ფართოდ აისახა ამ კუთხის მეტყველება; როგორ ახსნით ამ ფაქტს?

ქალბატონი ანა: „...ფერი“ და „კილო“ ყველა ქართულ დიალექტურ სიტყვას თავისებური, განუმეორებელი აქვს. ფშაე-ბევსურული სიტყვის „ფერი“ და „კილო“ ჩემთვის... საკმაოდ უცხო აღმოჩნდა, თანაც... „უმაღლესი პოეზიით“ გაჯერებული! თავი მთვარეზე მეგონა!

ჩემს ლექსებში გურული დიალექტის კვალი რომ არ ჩანს, ამასთან დაკავშირებით ისევ ჩემს ნათქვამს გავიმეორებ: „ჯერ კიდევ ბევრი რჩება ამქვეყნად ამოუხსნელი, ამოუცნობი და, ამდენად, განუმარტავიც!..“

ხალხური პოეზიის დიდებულ კუთხეს მინდოდა (უფრო სწორი იქნებოდა, თუ ვიტყვოდი, „უნდოდა“-მეთქი) ასე შევხშიანებოდი. მხოლოდ „თავის ენაზე“! არა, ვერ გადმოსცემს ეს ნათქვამი იმ განწყობილებას, რაიც მაშინ „მკარნახობდა“ ამ სტრიქონებს: ეს ლექსები ასე გახმაურდნენ ჩემში მთიდან დაბრუნებისთანავე, მხოლოდ ასე მეწერებოდა!“ – ძალიან საგულისხმო კომენტარია მკითხველთათვის, მწერლის ენით დაინტერესებულ კრიტიკოსთათვის...

მოკლედ, ეს ვრცელი საუბარი და ანალოგია ოთარ ჩხეიძის ენისადმი დამოკიდებულებამ გამოიწვია...

დავასკვნით: მხოლოდ ენა არ ჩანს მიზეზი ოთარ ჩხეიძის სტილისადმი უარყოფითი (ყოველ შემთხვევაში არაალოიალური) დამოკიდებულებისა; ენა საბაბი ჩანს... მიზეზი უფრო სხვა მგონია. რატომ? – მე ვერ დავინახე ახსნა ამგვარი დამოკიდებულებისა, არგუმენტირებული მსჯელობა კრიტიკოსისა...

როცა ერთი ასეთი შემფასებლისთვის ოთარ ჩხეიძეს მიზეზი უკითხავს, დაბნეულა, თუმცა „გამოსავალი“ მახვილსიტყაობით მოუნახავს:

ტარიელ ჭანტურიას უთქვამს ოთარ ჩხეიძისათვის
 — ბატონო ოთარ, აღარ უნდა მოეშვათ ემფატიკურ „ა“-ს?
 — რას გიშლის, ტარიელ?

— ნერვებს, ბატონო ოთარ...“ — პოზიცია გასაგებია — არ მოსწონს; ახსნა — ღიმილისმომგვრელი...

ღიას, მიზეზი უფრო სხვა მგონია... (ვიცი, რომ არც ჩემეული მსჯელობა არის ახსნა, ეს საკითხის დასმაა, რომელსაც კვლევა უნდა მოჰყვეს)...

* * *

ოთარ ჩხეიძეს ენობრივი ნატურალიზმის ბრალდება წაუყენეს. ეს სერიოზული ბრალდება იყო და მწვავედ დასმული საკითხი: 50-იანი წლების ბოლოა; „ლიტერატურული გაზეთის“ პირველ გვერდზე რუბრიკით „წინასაყრილობო ტრიბუნა“ დაიბეჭდა შოთა ძიძიგურის სტატია — „ენობრივი ნატურალიზმის წინააღმდეგ მწერლობაში“. დრო გავითვალისწინოთ, ვითარება (წინასაყრილობო) და პათოსი („წინააღმდეგ...“). როგორც ვგრძნობთ, ძირითადი აქცენტი დიალექტიზმებზეა გადატანილი: „დიალექტური მოვლენები ოთარ ჩხეიძის ენაში შემთხვევით კი არ არის შეპარული (ასე რომ იყოს, მათ გასწორებას ადვილად დაეთანხმებოდა ავტორი!). არამედ ისინი მწერლის ენობრივი პოზიციის, მეთოდის დამადასტურებელია, მეთოდისა, რომელსაც ინდივიდუალური სამწერლო სტილის გამოუმჯავების პრეტენზია აქვსო“...

ანდა: „ავტორის ენის აგება პერსონაჟთა მეტყველების სტრუქტურაზე მხატვრული თვალსაზრისითაც გაუმართლებელია და სალიტერატურო ენის აგებულების მიხედვითაც მიუღებელი“...

და მომაკვდინებელი დასკვნა: „ესა ენობრივი ნატურალიზმის ტიპიური ნიმუში; ენობრივი ნატურალიზმი კი დასაგმობია მწერლობაში და იგი შორსაა ენობრივი რეალიზმის იმ საღი ტრადიციებისაგან, რომლებიც დაამკვიდრეს ჩვენმა ღიღამ სტილისტებმა-კლასიკოსებმა და საბჭოთა მწერლობის სახელოვანმა წარმომადგენლებმა“... მოკლედ, ანტისაბჭოური ბრალდება წაუყენეს...

მერე ამ შეფასებას იმეორებენ და ემყარებიან: „ოთარ ჩხეიძის სტილი მკითხველმა აღიქვა ენობრივ ნატურალიზმადო“ (ზ. ჭუმბურიძე, თ. კოპლატაძე) და აზუსტებენ, დიალექტიზმების გამოყენება იგულისხმება ამაშიო... ნ. ნათაძე პირდაპირ წერს – „თითქოს ავტორი კი არ იყენებს დიალექტს და მის დიდ შესაძლებლობებს, არამედ პირდაპირ დიალექტზე წერსო“...

მოკლედ, ენათმეცნიერებმა მკაცრად შეუტიეს მწერალს. ერთი მხრივ, თითქოს ბუნებრივიცაა – მათი პროფესიული მოვალეობაა ზრუნვა ენის სიწმინდისათვის, სალიტერატურო ენის ინტერესების დაცვისათვის, მაგრამ... ცოტა მოვიცადოთ...

ამ პოზიციას იმეორებენ ლიტერატურისმცოდნეებიც: „ფიქრის ენასთან“ აკავშირებენ ო. ჩხეიძის ენას. „როგორც ინდივიდის უხმო მეტყველება არის ბუნდოვანი, ამღვრეული და უსწორმასწორო, ისე წერს მწერალი. სტრუქტურულად შეიძლება ამ ფაქტის ახსნა და გამართლება. ნატურალიზებული რეალიზმი არის ამგვარი მისწრაფების წყარო: სინამდვილე აისახება ადექვატურად, პირდაპირი ხილვით“ (ს. სიგუა)...

საერთოდ, ვინც კი შეხებია ოთარ ჩხეიძის ენას, ქართლური დიალექტის როლზე თითქმის ყველა საუბრობს:

– ქართლურ დიალექტზე დაფუძნებულსა და ხალხური მეტყველების სტილიზაციით მიღებულ ოთარ ჩხეიძის ენობრივ-სტილისტურ ქსოვილზე...

– უეცრივ ქართლური დიალექტის კუთვნილებათა სალიტერატურო ენის სამფლობელოში აყვანა...

– ცდილობს სალიტერატურო ენაში შემოიტანოს დიალექტის თავისებურებანი...

– განა როდემდე უნდა მისდიო ქართლურ დიალექტს და სხვა...

აქ ორი მთავარი კითხვა იჩენს თავს: ა) რას ნიშნავს ენობრივი ნატურალიზმი და ბ) რა აიღო ო. ჩხეიძემ ქართლური დიალექტიდან, რატომ იქმნება შთაბეჭდილება, რომ მწერალი წერს ქართლურ დიალექტზე?

* * *

როგორც ვთქვით, საუბრობენ არა მხოლოდ დიალექტური ფორმების გამოყენებაზე, არამედ იმაზე, რომ მწერალი წერს დიალექტზე; ღიახ, „პირდაპირ დიალექტზე წერსო“ – ეს ოთარ ჩხეიძეზე ითქვა...

გავიხსენოთ, ვაჟა-ფშაველაზე წერდნენ: „დაბეჯითებით შეიძლება იმის ვარაუდი, ვაჟას რუსთაველი და სხვა ჩვენი კლასიკოსები წინ რომ არ გადალობებოდნენ, იგი ფშავ-ხევსურულ დიალექტს მოახვევდა ქართულ ენას თავს, ისევე როგორც ტოსკანური დიალექტი გააბატონა იტალიაში დანტემ“ (კ. გამსახურდია). კითხვა ასეც დასვეს: „რისთვის დასჭირდა ვაჟას თავისი პოემების წერისას ასე ღრმად შეჭრილიყო დიალექტურ შრეებშიო..“

იმერულ კილოზე წერსო – უკიჟინებდნენ დ. კლდიაშვილს...

რას ნიშნავს დიალექტზე წერა? კლასიკური მწერლობიდან არის კი შესაძლებელი მსგავსი მაგალითების მოყვანა?

ისევე ვაჟას დაუბრუნდეთ. ვინმემ შეადარა ვაჟას ენაში დადასტურებული დიალექტური ფორმები ფშავ-ხევსურულ დიალექტს? ამ ორი უაღრესად თავისთავადი დიალექტის ენობრივი ფაქტებიდან რას გამოიყენებს მწერალი და რას – არა; სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყველა დიალექტური თავისებურება აისახება თუ არა ვაჟას ნაწერებში? რატომ საუბრობენ ფშავ-ხევსურულ დიალექტზე და არა ფშაურზე ან ხევსურულზე (მივანიშნებთ მხოლოდ ამ კითხვის დასმის საბაბზე; ვაჟასთან გვხვდება ძირითადად ის ფორმები, რომელიც დასტურდება ორივე დიალექტში და არა მხოლოდ ერთში... ამიტომ დგება საკითხი – ვაჟა დიალექტს ემყარება თუ პოეტურ კონიქს...)

და საერთოდ, როგორია თანაფარდობა მოსალოდნელ (შესაძლებელ) და რეალიზებულ დიალექტურ ფორმათა შორის იმ ნაწაროებებში, რომლებიც ითვლება რომ „იწერება ფშავ-ხევსურულად“? – ამგვარ კვლევას მე არ ვიცნობ... დასკვნები კი კეთდება რადიკალური...

დავით კლდიაშვილის შემთხვევა გავიხსენოთ. პეტრე უმიკაშვილმა ენა დაუწუნა (სხვებიც უწუნებდნენ), იმერიზმების მოჭარბებული ხმარება უსაყვედურა...

რას ნიშნავს მოჭარბებული ხმარება? – ერთხელაც „სამანიშვილის დედინაცვალი“ ავიღე და შევეცადე იქ დადასტურებულ იმერიზმები დამეფიქსირებინა და შემედარებინა იმერული დიალექტის თავისებურებებთან. საინტერესო შედეგი მივიღეთ: იმ მრავალფეროვან დიალექტურ ფორმათაგან, რომელიც გვაქვს იმერულში, სულ რამდენიმე დასტურდება დ. კლდიაშვილთან; ისიც ისეთი, მკვეთრი იმერიზმი რომ არ არის (მაგ. არ გვხვდება -ყე ნაწილაკიანი ფორმები, ე.წ. მეოთხე სერიის ფორმები „ნაყვარება“ ტიპისა და ა. შ.); გვხვდება მხოლოდ ისეთი ფორმები, რომლებიც მეტ-ნაკლებად საერთოა სხვა დიალექტებთან... ამასაც საინტერესო ახსნა აქვს, ამის თაობაზე ვწერდი ერთგან... მეტსაც ვიტყვი: დ. კლდიაშვილთან რელიზდება მოსალოდნელ დიალექტიზმთა 15-18 %, ე.ი. მეექვსედი (შედარებისათვის: ე. ნინოშვილის პერსონაჟთა მეტყველებაში დასტურდება მოსალოდნელი გურულიზმების 100%!)... და მაინც, დ. კლდიაშვილსა და ე. ნინოშვილს გვერდიგვერდ მოიხსენიებენ ენათმეცნიერები, ჭარბად გამოიყენებენ დიალექტიზმებსო...

რატომ გავიხსენე ეს ფაქტები? – იგივე პრობლემა დგას ოთარ ჩხეიძესთანაც... „პირდაპირ დიალექტზე წერსო“... ვინმემ მოისურვა დიალექტური ფორმების გამოკრება, დალაგება და შედარება ქართლური დიალექტის თავისებურებებთან?.. მე ასეთ კვლევას არ ვიცნობ. არადა მსგავსი დასკვნები ამგვარი კვლევის შედეგად უნდა გაკეთდეს...

ქართლური მეტად საინტერესო დიალექტია. ავიღოთ ნებისმიერი დიალექტოლოგიური ქრესტომათიიდან ქართლში ჩაწერილი ტექსტი და მერე გავკადნიერდეთ და შევუდაროთ ო. ჩხეიძის პროზას. უხერხულ დღეში აღმოვჩნდებით...

როცა ოთარ ჩხეიძის ენას ეხებიან, ძირითადად საუბარია ემფატიკურ -ა-ზე, ხმოვანფუძიან სახელებთან სახელობითი ბრუნვის -ი ნიშანზე და თანხმოვანმოკვეცილ ვარიანტებზე კავშირ-ნაწილაკე-

ბისა: რო < (რომ), პო < (ხო < ხომ) (სასუბრო მეტყველების ფაქტია ხო; პო მწერლისეული ვარიაციაა, „კეთილხმოვნებით“ ნაკარნახევი). ჯერ ერთი, რო და ხო ფორმები დამახასიათებელია არა მხოლოდ ქართლ-ერისათვის, არამედ თითქმის ყველა კუთხის მეტყველებისათვის და ზეპირი სალიტერატურო ენისთვისაც; ეს არ გამოდგება იმის სამტკიცებლად, „დიალექტზე წერსო“. უფრო რთული ვითარებაა ემფატიკურ ა-სთან. მართალია, ლინგვისტურ ლიტერატურაში საუბარია იმის თაობაზე, რომ ქართლურში სალიტერატურო ენისაგან განსხვავებით მოჭარბებული ხმარების შემთხვევები გვაქვს ემფატიკური ა-სი, მაგრამ რას ნიშნავს მოჭარბებული ხმარება? მართალია, გვაქვს რეკომენდაციები, სად და როდის გამოვიყენოთ ემფატიკური ა სალიტერატურო ენაში, მაგრამ ეს არის რეკომენდაცია და არა ნორმა. მთასა და ბარს / მთას და ბარს – გრამატიკულად ორივე სწორია, სტილისტურად პირველს ვამჯობინებთ; საჭიროების შემთხვევაში შეიძლება ასეთი ვარიანტიც გამოვიყენო: მთასა და ბარსა – გრამატიკულად დასაშვებია... ანდა: „იხვსა, ბატსა და ქათამსა – ყველას გაკვარი კბილია“ – რეკომენდაციების მიხედვით მეორე შემთხვევაში უნდა იყოს გავრცობილი ფორმა (იხვს, ბატსა და ქათამს)... მეტყვიან ლექსიაო... თუ ლექსშია დასაშვები „ზედმეტი“ ა, რატომ „იკრძალება“ მხატვრულ პროზაში? ერთი შემდეგით ოთარ ჩხეიძე ემფატიკურ ა-ს ყველა მოსალოდნელ შემთხვევაში არ გამოიყენებს; რა შემთხვევაში ხდება მისი გამოყენება და რა შემთხვევაში არა, რას ნიშნავს „ჭარბი ხმარება“, ამ კითხვაზე პასუხი გასაცემია; იმასაც მივაქციოთ ყურადღება, რომელი ნაწარმოებები არის განხილვის საგანი: მხატვრული პროზა თუ დრამატურგია, პროზიდან – რომანები თუ ეტოუდები, რომანებიდან – ადრეული თუ გვიანდელი... (გავიხსენოთ: ოთარ ჩხეიძე განმარტავს – „ჩემი საყანე“ ცოტა ირონიულია. ირონია ნიშანდობლივია ჩემი სტილისათვისო“; ანდა: „არტისტული გადატრიალების“ წინასიტყვაში წერს ავტორი – „ამბავი დრამატულია, მოვლენები ტრაგიკული. ოღონდ აღსანიშნავია: ავტორის სტილი უფრო ირონიულ-სატირულია, ვიდრე დრამატული, ანთუ ტრაგიკული“. ირონიულ-სა-

ტირულმა სტილმა დრამატულ-ტრაგიკულთან შედარებით როგორი გამომსახველობითი საშუალებები მოითხოვა და ეს პრობლემა როგორ მიემართება ემფატიკურ ა-ს თუ სხვა თავისებურებებს, ამ კითხვებზე სერიოზული დაფიქრებაა საჭირო).

თვით ქართლურ დიალექტში რა როლი აკისრია ამ ხმოვანს, რამდენადაც ვიცი ამაზეც არავის გაუმახვილებია ყურადღება. კი გვექმნება შთაბეჭდილება, რომ უღერს ქართლურად, მაგრამ რას ნიშნავს, „უღერს ქართლურად“?.. თემას გაერცობა სჭირდება და ჩაღრმავება...

თამაზ ბიბილური იგონებდა – კახეთში, ჩემს სახლში ვიყავი და ყურს ვუგდებდი გარეთ, ფანჯარასთან, ჩამომსხდარი მეზობლების საუბარს. სურვილი გამიჩნდა, სიტყვასიტყვით ჩამეწერა ყოველივე. გრძელი საუბრის ჩანაწერი რომ ჩავიკითხე, გავოცდი: არცერთი არალიტერატურული ფორმა, მაგრამ საუბარი მაინც კახური იყო. – რას ნიშნავს „მაინც კახური“? – ცხადია, კახური დიალექტის სტილს... სამწუხაროდ, დიალექტური სტილისტიკა (ქართული ზეპირმეტყველების სტილისტიკა) ჩვენში დაუმუშავებელი უბანია... არადა, თუ მაინც ქართლურია ოთარ ჩხეიძის სტილი, ის უნდა გავარკვიოთ, რა არის ქართლური... მხოლოდ ემფატიკურ ა-ზე ყურადღების გადატანა გაუბრალოებაა თემისა. იმგვარ მოთხოვნაზე, შეეშვი ემფატიკურ ა-სო, საინტერესო პასუხი გასცა ერთ-ერთ ინტერვიუში თავად მწერალმა: *ვერაფერი დაუსახელებიათ ემფატიკური ა-ნის გარდა, მაგრამ ეს განა ისეთი რა ცოდვაა, არაჩვეულებრიობას, სირთულესა თუ გაუგებრობას რო ჰქმნიდეს?! არა, ეს არავითარი ცოდვა არ არის. აქ არ მოვჰყვები, თუ რატომ მივმართე, რატომ ვიყენებ. აქ მხოლოდ იმის განცხადება მინდა, ჩემი სტილი რო არ ემყარება არავითარ ემფატიკურ ა-ნსა, ამას ამხელა შესაძლებლობა არ გააჩნია, არა, არავითარ შემთხვევაშიო...*

და მწერალი ემფატიკური ანით დაინტერესებულ კრიტიკოსთ ღიმილიან წინადადებას სთავაზობს: – თუ არა გჯერათ და ამოშა-

ლეთ ემფატიკური ა-ნი, ამით სტილი არ შეიცვლება... (იქნებ ჩაგვეტარებინა ასეთი ექსპერიმენტი და წიგნიერი მკითხველისთვის შეგვეთავაზებინა ამოეცნო, ვისი ნაწარმოებია, ა?...).

სხვათა შორის ამ ღიმილიანი შეთავაზების საბაბი შეიძლება ამგვარი რაიმეც ყოფილიყო: იზა ორჯონიკიძეს უთქვამს – „მე განზრახული მაქვს რედაქცია გავუკეთო მის ნაწერებს, ტავტოლოგიები ამოვყარო, ემფატიკური ა-საგან გავათავისუფლო, და ნახავთ, მაშინ როგორ დაიქუხებს ოთარ ჩხეიძის პროზაო!“... არადა ასეთი ადაპტირებული ტექსტი იქნებოდა ოთარ ჩხეიძისა?... ვეჭვობ...

საინტერესო თემაა ხმოვანფუძიან სახელთა სახელობით ბრუნვაში -ი ხმოვნის დართვა. მრავალი კითხვა აქაც პასუხგასაცემია; ვთქვათ: ფაქტია, რომ ყველა მოსალოდნელ შემთხვევაში არ გვხვდება -ი; კითხვებსაც ეს აჩენს, როდის, რა პოზიციაში, რა ტიპის სახელებთან იჩენს თავს; რა სხვაობას ქმნის ამ თვალსაზრისით თემატურად და ჟანრობრივად განსხვავებული ნაწარმოებები; ქრონოლოგიას თუ აქვს მნიშვნელობა... და ერთიც: მწერლის ენის ყველა ძირითადი თავისებურება იჩენს თუ არა თავს პუბლიცისტიკაში და როგორ...

ისევ დავუბრუნდეთ თემას – ოთარ ჩხეიძე დიალექტზე წერსო... ესეც ვთქვათ: ოთარ ჩხეიძემ ძალიან კარგად იცის, რა არის დიალექტიზმი და რომ მხატვრული ფუნქცია შეიძლება მიენიჭოს მას; ერთ ამონარიდს მოვიყვან „თეთრი დათვიდან“:

„ეს ნაღები ჰო ახლა იქაა – პარლამენტშია, – გოგუაძეც ჰო სპიკერად დაუჯენიათ!.. ჰო: „დაუჯენიათ“ დიალექტია რაღა თქმა უნდა, მაგრამ რატომღაც მონინდომა და ჩაჯღა აქა. ჩაჯღა და იჯღეს, – დაუჯენიათ. დაუჯენიათ და დაუქინიათ“... – მაგრამ რატომ „ჩაჯღა“, რა ინფორმაცია შემოიტანა მწერალმა ამ „ჩაჯღომით“, ეს ჩვენი საფიქრალია... მან ის გვითხრა, რაც შეიძლებოდა არც ვთქვა, ბოლომდე რომ გვენდობოდეს ამ საქმეში – არ შემშლია, ვიცი, რომ დიალექტიზმიო...

* * *

მეტიც, ენობრივ ნატურალიზმთან გვაქვს საქმეო... ენობრივი ნატურალიზმი კი არაჯანსაღი მოვლენაა და დასაგმობიაო... გავისხენოთ: „ესაა ენობრივი ნატურალიზმის ტიპიური ნიმუში; ენობრივი ნატურალიზმი კი დასაგმობია მწერლობაში და იგი შორსაა ენობრივი რეალიზმის იმ საღი ტრადიციებისაგან...“ და მისთანანი.

რა არის ენობრივი ნატურალიზმი და სერიოზულია თუ არა ამ თემაზე საუბარი ოთარ ჩხეიძესთან მიმართებით?

ნატურალიზმად ჩვეულებრივად გაიაზრებენ „რეალობის ზუსტსა და მიუდგომელ ასახვას.“ საბჭოთა პერიოდში მას განიხილავდნენ, „იდეოლოგიურ და სტილურ ტენდენციად ბურჟუაზიულ კულტურაში“. ამიტომაც „ნატურალიზმის ტიპიურ ნიმუშად“ მიჩნევა, რბილად რომ ვთქვათ, საშინი იყო... რა იგულისხმებოდა ენობრივ ნატურალიზმში? – ალბათ ეს: წერს ისე, როგორც ბუნებრივ სიტუაციაში საუბრობს ქართლელი კაცი – ეს ოთარ ჩხეიძის შემთხვევაში... ვაჟას შემთხვევაში ფშაურად (თუ ხვესურლად) „წერას“ ვარაუდობდნენ... იყო კი ასე? ამ თემაზე ზემოთ უკვე ვისაუბრეთ... ანალიზი, ცხადია, არ ახლდა ამგვარ დასკვნებს...

მაგრამ თუ მწერალი გადაწყვეტდა რომელიმე პერსონაჟი აელაპარაკებინა ამა თუ იმ დიალექტზე, როგორც, ვთქვათ, ილიამ გააკეთა „მგზავრის წერილებში“ (ლელთ ღუნია), ანდა როგორც საუბრობენ ნინოშვილის პერსონაჟები, რა თქმა უნდა, „დასაგმობი“ თუ „არაჯანსაღი“ აქ არაფერია – ეს მწერლური მიზანდასახულობისა და ოსტატობის საქმეა... თუნდაც ეთერ თათარაიძის პოეზია... მაგრამ ოთარ ჩხეიძე რა შუაშია?..

* * *

ოთარ ჩხეიძეს უწევს მტკიცება – ვერ დაგეთანხმებით, რომ არაჩვეულებრივად ვწერდეთ... მაგრამ რა ქმნის იმ ილუზიას, რომ ოთარ ჩხეიძე არაჩვეულებრივად წერს? – ესაა ამოსაცნობი.

ამ თემაზე როცა ვსაუბრობთ, მწერლისეული ერთი განმარტებაც მინდა მოვიშველიო: „არ შეიძლება დავარღვიო გრამატიკული

წესები, არ შეიძლება მივმართო რაიმე ისეთ ექსპერიმენტსა, ქართული ენის ბუნებიდან რო არ მომდინარეობდეს;“ რომ „ენობრივი ნორმის ვარიაციულობას ენის უარყოფას არ უნდა ვუიგივებდეთო“. და ფოსლერის თხზულებიდან საინტერესო პასაჟს დაიმოწმებდა: „ის, რაც შეცდომაა საყოველთაო ენის თვალსაზრისით, შესაძლოა მხატვრული ღირებულებისა აღმოჩნდეს, თუ ის თვითმყოფადი პიროვნებიდან მოდის... ხელოვნებაში ბატონობს პიროვნების უფლება, გრამატიკაში – კოლექტივის“.

და როცა სალიტერატურო ენის ნორმათა დაუმორჩილებლობაზე თუ ენის უპატივცემულობაზე ვსაუბრობთ ოთარ ჩხეიძის მხრიდან, უფრო მეტად უნდა ვიცნობდეთ ოთარ ჩხეიძეს...

საერთოდ, მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ოთარ ჩხეიძის – ისეთი ღრმა ევროპული განათლებისა და ერუდიციის, ფართო მწერლური პორიზონტის მქონე შემოქმედის – შეხედულებებს სტილის შესახებ:

– სტილი მთლიანობაა, და ნაწარმოები რო მოგეწონებათ. შეიძლება თქვათ – ეს სტილია.

– სხვა არის გრამატიკული სტილი, მხატვრული სტილი სულ სხვა რამ ვახლავთ; მხატვრული სტილისათვის გრამატიკული სისუფთავე აუცილებელია, მაგრამ მწერლური სტილი უფრო ფარული მოვლენაა, იგი სიტყვათა განლაგების უკან ღვას და კქნის იმგვარ სახეებს, ნაწარმოების არსის, ძირითადი არსის გამოკვეთისათვის რო აუცილებელია. სტილი აქა საძიებელი, სიტყვათა განლაგების სიღრმეშია საძიებელი. ამიტომ ის უფრო იდუმალია, ვიდრე გვეჩვენება ერთი შეხედვითა.

ერთგან ჩაუწერია: – რა ვუყოთ, სტილი სტილია, ადამიანი სტილია და ვერაფერს შეეცვლიო...

ერთგანაც: – სტილის წარმოება რო არ შეიძლება ხელოვნურადა, სტილი საგანი არ არის, სტილი არსება, მთლიანობაა...

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ოთარ ჩხეიძის ენობრივ სტილზე საუბარი არ იქნებოდა გამართლებული, თუ არ გავითვალისწინებთ მის შეხედულებას ამ საკითხთან დაკავშირებით (აქ ბევრი საკითხი

მოიყრის თავს; თუნდაც ის – „ალექსანდრე ყაზბეგის სტილი ვასილ ბარნოვის და მისი სკოლის წინამორბედი“; ანდა: „ვასილ ბარნოვის სტილი მთელი ცხოვრებაა, ალექსანდრე ყაზბეგისა ეპიზოდია“ და მისთანანი)... თავისმოყრაა საჭირო სხვადასხვა წერილში, ჩანაწერებსა თუ მხატვრულ ნაწერებში გაბნეული აზრებისა... და ეს საჭიროა არა მხოლოდ ოთარ ჩხეიძის ენის ანალიზისთვის, არამედ იმას შესაცნობად, რა არის სტილი, როგორია (ან: როგორი უნდა იყოს) მწერლისეული ხედვა ამ საკითხთან დაკავშირებით და როგორი უნდა იყოს კრიტიკოსთა დამოკიდებულება მწერლის ენობრივი სტილისადმი...

* * *

ოთარ ჩხეიძეზე თქვეს:

თავის ნებაზე ათამაშებს და დასცინის ენასაცო...

ქართულ სალიტერატურო ენას უკან ეწვეაო...

აფერხებს ქართული სალიტერატურო ენის წინსვლასო...

არ შეიძლება ქართული ენის ასეთი თვითმიზნური დამახინჯებაო...

და ამას ამბობენ მწერალზე, რომელმაც ალბათ ერთ-ერთმა ყველაზე უკეთ იცის ენის ფასი, მნიშვნელობა, როლი... რომელიც ალბათ ყველაზე მეტად განიცდის ქართული ენის თავსდატეხილ უბედურებას...

ოთარ ჩხეიძე და ქართული ენა – ერთი ვრცელი თემაა... მარტივი ჭეშმარიტებაა – ერთია მწერლის ენა (რა თავისებურებები ახასიათებს მწერლის ენობრივ სტილს...) და მეორე – მწერლის დამოკიდებულება ენისადმი (რა არის ენა მისთვის, რას ფიქრობს ენაზე და ა.შ.). XX საუკუნეში ამ თვალსაზრისით მ. ჯავახიშვილის, კ. გამსახურდიასა თუ დ. კლდიაშვილის მაგალითები იყრობს ყურადღებას; ეს არის ნიმუში იმისა, როგორი უნდა იყოს მწერლის დამოკიდებულება სალიტერატურო ენისადმი. მომდევნო თაობის პროზაიკოსთა შორის ოთარ ჩხეიძე უნდა გამოვარჩიოთ; მისი ფიქრი, დამოკიდებულება, ზრუნვა დედაენის ბედისადმი ღირსსაცნობია... ორიოდვე ფაქტზე გავამახვილებთ ყურადღებას:

დედაენის ერთგულების გამოა თუნდაც მხოლოდ ის, რომ იაკობ გოგებაშვილი ოთარ ჩხეიძისათვის უპირველესი სახელი იყო.

ნატო ჩხეიძე იგონებს: ოთარ ჩხეიძის ბოლო სიტყვები ეს იყო — „რა ძნელი ყოფილა განშორება“... „მანამდე კი ეს გვითხრა — გოგებაშვილს მიხედეთ. იაკობ გოგებაშვილს მოუარეთ“.

როსტომ ჩხეიძე წერს: „ახლა რომ ვუკვირდები, მისი ანდერძი ეს გამოდის. დაწერილი არაფერი დარჩენია. სიტყვიერად კი სხვა არაფერი უთხოვია — იაკობ გოგებაშვილის სახელს, ნაღვას, ნაღვილკვს უნდა ვაეფრთხილებოდით და შეგვენარჩუნებინა ქვეყნისთვის ეროვნულ, ზნეობრივ, ინტელექტუალურ ორიენტირად“.

ესეც საინტერესოა, როცა მოითხოვეს ლექციების რუსულად წაკითხვა, აღშფოთდა ოთარ ჩხეიძე, დატოვა ინსტიტუტი... ირონიულად იკითხავს მწერალი — რად უნდა გაწვალბულიყვნენ ვარიანტები იმ უცნაური იეროგლიფებით, ქართველებს ანბანი რომ დაურქმევიათ... ისევე იაკობის ასოციაცია... ამაშიც ქართული ენის ერთგულება და სიყვარული ჩანს მწერლისა...

1978 წლის 14 აპრილს ჩაუწერია: „დღევანდელი დღის მნიშვნელობა ვერ შეფასდება ვერე ადვილად... ეს დიდი დღეა“ — სულ ეს არის; მხოლოდ ეს ჩაუწერია... მაშინ, როცა 90-იან წლებში ცხელ ვულზე რომანები დაწერა, 14 აპრილს მხოლოდ ეს ჩაიწერა. აქედან ჩანს, თუ რამდენად ფაქიზი, საფრთხილო და მნიშვნელოვანი თემაა მისთვის დედაენის თემა. ცხადია, ეს დღე არ ავიწყდება და მუდამ ახსოვს. 19 ნოემბერს ჩაუწერია: „850 სტუდენტი უნდა გაირიცხოსო... ეს აღმათ აპრილის სია იქნება...“ წლის ბოლოს, 1978 წლის 23 დეკემბერს, ჩაუწერია: „და იწურება ეს წელიწადიცა... 1978 წელი... დიდი წელიწადი, დიდი წელიწადი! ისევე ცოცხლობს ქართველი ხალხი, ცოცხალი ევებება მომაველ საუკუნეს...“ ესეც 14 აპრილის გამოძახილია, ისევე ძუნწად, მაგრამ გულშიჩამწვდომად...

1979 წლის 14 აპრილის ჩანაწერი: „წლისთავა. ყველაფერი იღონეს, რომ წლისთავი არ აღნიშონ, ხალხი არ გამოვიდეს ქუჩებში, თავიანთი კონსტიტუციისაც ეშინიანთ, რა დღეში არიან,

რა ყოფაში არიან?.. ანალიზი უნდა ამას თავისი... ისიც იღონეს, – სასწრაფოდ შეთითხნეს დადგენილება ქართული ენის განვითარებისათვის... თვალისახვევია რაღა თქმა უნდა, კიდევ მეტი სიფრთხილე“...

მოგვიანებით, 1989 წლის 14 მარტს ჩაუწერია: „...ჩანიშნა არ უშველის, დაწერა უნდა, სრულყოფილი ასახვა უნდა და ავსახავ კიდევ თუ კიდევ დამცლდა რამდენიმე წელიწადსა. (...) თუმცა ერთი მაინც არ მინდა დამრჩეს: ეს 14 აპრილია“...

და არაერთი ჩანაწერი, მინიშნება, კომენტარი დედაენის თემაზე...

მოკლედ: ოთარ ჩხეიძის დამოკიდებულება ქართული ენისადმი უაღრესად საინტერესო და ღრმა თემაა... არცთუ ბევრი გვყავს ქართულ მწერლობაში, ვინც ასე ფიქრობს ქართულ ენაზე (თუნდაც პოლემიკა ასომთავრულის თაობაზე), ვინც ასე დარდობს და განიცადის დედაენის თავს დატეხილ ყველა უბედურებას, ვინც ასე ღრმა ანალიზს უკეთებს მიმდინარე მოვლენებს, ვინც ასე რისკიანად იცავს დედაენის ინტერესს (მასალა ძალიან ბევრია, დალაგება და ანალიზია საჭირო... ყოველივე ამის თავმოყრა და დალაგებაც კი საინტერესო იქნებოდა)... აქ ისევ გვახსენდება ვაჟა-ფშაველა – ენა ჩემთვის ყველაფერი...
* * *

ისევ ეს თემა რომ გაავარძელოთ:

კი წერს ერთგან ოთარ ჩხეიძე, „არ გაუკვირდება არაფერი ქართულ ენასო“, მაგრამ მაინც გაუკვირდება ქართულ ენას, დედაენის უპატივცემულობას რომ დასწამებენ ოთარ ჩხეიძეს – აწვალებს ენასო, თავის ნებაზე ათამაშებს და დასცინისო; რომ მწერალი სულ უფრო და უფრო დაშორდა თანამედროვე ქართულის მაგისტრალურ ხაზსო; მარტივ სათქმელს უცნაურად ართულებსო; თვითვე სპობს საკომუნიკაციო ფუნქციებსო (?!); ავტორს სიტყვა გაურბისო...

არადა, მწერლის ერთ ჩანაწერს მოვიყვან:

„ეს ამ ორი კვირის წინათ იყო.“

ახლა წერენ: ორი კვირის უკანაო, – ვერა ქვდებიან რა უაზრობაა. საცოდავი ქართული ენა!.. წერენ და წარმოსთქვამენ ეს აკადემიკოსობის მაძიებლებიცა, აკადემიკოსებიცა, მინისტრებიცა, პარლამენტარებიცა, არ გავივირდეთ რო მწერლებიცა. საცოდავი ქართული!.. საცოდავი!..“ – მე ბევრს არ ვიცნობ ქართული ენის ასეთ ჭირისუფალს...

სიტყვაზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა. რა არის სიტყვა ოთარ ჩხეიძისათვის?

– „სიტყვა სიმღერაა, ღაღადისა, გალობა, მუსიკა, მუსიკა, წარსულის მღელვარება რომ მოუტანია და იმედი რომ მოაქვს მომავლისა, რო უღერს აგერ რო დიდი ხანია და რო იუღერებს მარადისა, იუღერებს, იუღერებს, ისე უღერს რო არ გახუნდება. სიტყვა მუსიკაა. სიტყვა ხმაა და ხმა სიცოცხლეა, მუსიკა ტკობაა, და ტკობაა სიცოცხლეცა, რაც არ უნდა გაწამებულ იყოს ადამიანი, რო არ ეთმობა და რო არც დასთმობს, რო შეეძლოს რაღა თქმა უნდა. სიტყვა ცხოვრებაა, ცხოვრება სიტყვის შინაარსია, სიტყვა სახეა ცხოვრებისა, ჩვენი სიტყვა ჩვენი ცხოვრებისა. სიტყვა თვითონაა მხატვრული სურათი, თვითონაა, თვითონაა, ამბავია, ნოველაა დასრულებული კომპოზიციითა, ესკიზი პო არის და არის!“

და როცა ერთმა კლასიკოსმა თქვა, სიტყვებს ვებრძვიო, უკვირს მწერალს – რას ნიშნავს სიტყვასთან ბრძოლა – „მე სიტყვებს არ ვებრძვი, არც სიტყვებთან არ მოიძიო“... სიტყვებს მოფერება სჭირდებაო...

ფერი და კილო ყველა სიტყვას აქვსო, – ანა ბრძანებდა... ახლა ოთარ ჩხეიძეს მოვუსმინოთ:

– „სიტყვები თითქოს ყვაილებია, აფერადებული ველ-მინდორი აბიბინებული ნიავის ფრთებზე, თანაც ფუტკარი ზედ რო დაჰზუის. თითქოსაო. ჩააწყე ყვაილებში, ფერებში ჩააწყე ცხოვრების ნაგლეჯები, აადვენე ბზუილს ფუტკრისა. ეს არის და ესა. მწერლობაი“... და სხვა.

ეს და მსგავსი აზრებიც შესაკრებია – როგორ ხედავს მწერალი სიტყვას, როგორ გრძნობს... ვარჩევთ, ვხედავთ ჩვენ ამ ფერებს?

გვესმის ჩვენ ის ხმები, ის ბზუილი? თუ არა და მაშინ შეგვეწვევს ძალა, შევაფასოთ ამის დამნაშავე და მომსმენი?

ანა კალანდაძის კიდევ ერთი ჩანაწერი მინდა გავიხსენო: მწერალთა საკავშირო ყრილობაზე უთქვამს ერთ გამომსვლელს – თარგმნა სისხლის გადასხმასა ჰგავს: სისხლი ერთი ჯგუფისა უნდა იყოსო. ეს საინტერესო აზრი მწერლისა და კრიტიკოსის დამოკიდებულებაზეც შეიძლება გავრცელდეს; მე ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, ოთარ ჩხეიძისა და მისი კრიტიკოსების სისხლი სხვადასხვა ჯგუფისაა...

აქ ორი რამ არის: ან უნდა ვენდოთ და ვცადოთ, ჩვენც დავინახოთ თუ გავიგონოთ ის, რასაც მწერალი ზედავს, ანდა უნდა ვცადოთ დასაბუთება, რატომ არ მოგეწონს მწერლის დამოკიდებულება ქართული ენისადმი, ქართული სიტყვისადმი...

მთავარია: არასერიოზულობაა და უპასუხისმგებლობა იმის განცხადება, ოთარ ჩხეიძე აწვალებს, თავის ნებაზე ათამაშებს და დასცინის ენასაცო....

მაშ რა ხდება? – მკითხველს (კრიტიკოსს) უჩნდება კითხვები; პასუხის გაცემას ვერ ახერხებს, იხტიბარს არ იტეხს და იქმნება ცილისმწამებლური და რეალობასთან პრინციპულად დაშორებული თვალსაზრისები...

* * *

ცალკე თემაა ე.წ. ტავტოლოგია. გ. ასათიანი წერდა: „*პირადედ ჩემთვის ეს სტილი, უფრო ზუსტად, ამ სტილის მთავარი კომპონენტი – ტავტოლოგიები – მიუღებელია*“... ამ თემაზეც არაერთს მიუნიშნებია... მაგრამ არავის უცდია ახსნა. ერთმა ნებაც კი ითხოვა, ზედმეტ სიტყვებს ამოეყრიო...

არადა, მწერალი, რომელიც ასე გრძნობს სიტყვის ფერსა და გემოს, რომელსაც ასე ესმის თითოეული სიტყვის ხმა, თითოეული სიტყვიდან მომდინარე მუსიკა, გვთავაზობს „ტავტოლოგიებით გაღატკირებულ მეტყველებას“, ზედმეტსიტყვაობს, მრავალსიტყვაობს, „წარამარა გვიმეორებს, გვიმეორებს ერთსა და იმავეს, დაგვიზუს-

ტებს და ათასჯერ განგვიმარტავს (ძალიან შეუსმენელ მკითხველს თუ გულისხმობს)“ და ა.შ. — ძნელი დასაჯერებელია...

* * *

პუნქტუაცია ოთარ ჩხეიძის სტილის ერთ-ერთი ორიგინალური ნაწილია.

საერთოდ ეს თემა — პუნქტუაცია, როგორც მწერლური სტილის კომპონენტი — ყურადღების მიღმა დარჩენილი; სხვაგვარად რომ ვთქვათ, პუნქტუაცია ენათმეცნიერული სტილისტიკის თემა რომ ყოფილიყოს, მე არ ვიცი; ენათმეცნიერები სასვენ ნიშნებს მშრალი გრამატიკული წესებით ვუდგებით ხოლმე... და არა მხოლოდ ენათმეცნიერები — ვახტანგ ჯავახაძე ერთგან აღნიშნავს, ანა კალანდაძე წერდა მძიმესა და ორ წერტილსო (...), მე გავესწორე სამი წერტილითო (...); მერე ნანობდა, არ უნდა გამესწორებინაო... თავიდან რელაქტორი ვ. ჯავახაძეც ენათმეცნიერებით უყურებს სასვენ ნიშნებს, შემდეგში — როგორც პოეტი (თუმცა არ განმარტავს, რა აზრი დაინახა მძიმესა და ორ წერტილში)...

არადა პუნქტუაციის საკითხი კლასიკოს მწერლებთან საფრთხილო თემა ჩანს. მაგალითად: გალაკტიონის ლექსი „მე და ღამე“ ყველა გამოცემაში ვნახე, რაზეც თვალი მიმიწვდა; სასვენი ნიშნები არსებული პუნქტუაციური წესების დაცვითაა დასმული ყველგან, თუ შემთხვევითი კორექტურული შეცდომა არაა გაპარული: „ახლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ, შუალაძე იწვის, ღნება“. ხელნაწერი ვნახე ამ ლექსისა — ყოველი სიტყვის შემდეგ მძიმე დაუსვამს პოეტს: „ახლა, როცა, ამ, სტრიქონს, ვწერ, შუალაძე, იწვის, ღნება“ და ა. შ. როგორც ჩანს, გალაკტიონმა რიტმი გვიკარნახა, ინტონაცია...

პუნქტუაცია არანაირად არ ექვემდებარება გრამატიკულ წესებს მუხრან მაჭავარიანის პოეზიაში. ვწერდი ერთგან: თუ თვალს მივადევნებთ პოეტის მიერ საკუთარი ლექსების დეკლამაციას და შევეუდარებთ ლექსის გრაფიკულ სახეს, თითქოსდა გასაგები გახდება ძახილის ნიშნების, ტირეებისა თუ წერტილ-მძიმის გამოყენების „წესები“...

ეს გადახვევა იმისთვის დაგეგმირდა, დაფიქრდეთ პუნქტუაციის პრობლემაზე ოთარ ჩხეიძის შემოქმედებაში; სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ ამ თემასაც...

ჯერ ერთი, ეს არის მწერალი, რომელსაც ბევრი უფიქრია ამ თემაზე და წერილის დაწერასაც კი აპირებდა თურმე.

„ჩანაწერებიდან“: მწერალი ვახტანგ ჭელიძეს ესაუბრება – „თქვენ რომ რედაქტორი დამინიშნეთ „ტინის ხილისა“ შიშობს, ჩემს პუნქტუაციას არ თანხმდება. – ვეუბნები ვახტანგისა, – დამსჯიანო და შიშობს. მე არ მომწონს ეს სქოლასტიკური პუნქტუაცია, აუარებელი და ზედმეტი მძიმეებია, უნდა განიტვირთოს. „მეც ასე მგონია, – ამბობს ვახტანგი, – როგორც გინდოდეს, ოღონდ სჯობს, დაიწეროს კიდევაც“. კიდევაც ვაპირებმეთქი, თუ თანახმა ხარ, შენც მოაწერე ზელიძემთქი. კარგიო, თანხმდება“.

სამწუხაროდ, ეს წერილი არ დაწერილა...

„ჩანაწერების“ მოყვანილ ამონაწერში პუნქტუაციის დადგენილი წესები თითქოს დაცულია და ერთი შეხედვით ასეა მის არამხატვრულ ნაწერებში. სხვა ვითარებაა მხატვრულ პროზაში. ოთარ ჩხეიძის ენაზე საუბრისას ეს ცალკე თემაა და ძალზე საინტერესო.

რამდენიმე ამონაწერი:

უთხრა. და. წავიდა.

ადიოდა და აჰყავდა.

ეს ორი ამონაწერი სინტაქსურად ერთი და იგივე ოდენობაა. განსხვავებული არის რიტმი, დინამიკა პროცესისა (პირველი დროში გაწეული ჩანს, მეორე – ერთდროული...); წერტილების ქონა-არქონა სწორედ ამას გვიკარნახებს... მაგრამ ეს ერთი შეხედვით... სხვაგან? – სხვაგან სხვა ვითარებაა, სხვაგვარი ახსნაა საჭირო:

იმეორებდა

და იმეორებდა.

ანდა: მიაღვენეო

და

მიაღვენებდა.

ანდა: შექანდება და ჩავარდება.

ამ სამი წინადადების გრაფიკულად განსხვავებული სახე განსხვავებულ სტილისტურ ინფორმაციას უნდა იძლეოდეს...

ზოგჯერ მოსალოდნელი მძიმეების ნაცვლად და კავშირი გვხვდება:

პო —

დაბრუნდესო

და

დაბრუნდა

და

იგრძნო უშანგიმა.

მძიმეები თითქოს თავის ადგილზეა:

მისცურავს,

მისცურავს

და აღარ მისცურავს,

აღარ მისცურავს,

არც რას ელოდება,

არც ვის ელოდება.

მაგრამ ეს ერთი შეხედვით. სხვაგან? —

ცივა და ჭკნება, ცივა და ცვივა. ცვივა. და. ცვივა. ცვივა.

მოკლედ: სასვენი ნიშნები, როგორც ენობრივ-სტილისტური საშუალება (და არა მხოლოდ მშრალი პუნქტუაცია!) ოთარ ჩხეიძის ენის ერთი მნიშვნელოვანი თავისებურებაა; ჩაწვდომა საჭირო... ისე, ძალიან საინტერესოა, როგორ კითხულობდა ავტორი საკუთარ ნაწერებს...

* * *

გაკვერთ ზემოთაც ვთქვი: კითხვა უამრავია — რა არის საერთო და განსხვავებული ენობრივ-სტილისტური თვალსაზრისით „ტინის ზიდიდან“ „ლაზერშოუმდე“; რომანებსა და ეტიუდებს შორის; რა იცვლება და რა არა ადრეულ და გვიანდელ „ეტიუდებში“ ენობრივი თვალსაზრისით; ასევე — რა სხვაობაა ენობრივად პროზაულ და დრამატულ ნაწარმოებებს შორის; დრამატულ თხზულებებში ისტორიულ და არაისტორიულებს შორის; ასევე — პუბლიცისტურ ნა-

წერებსა და „ჩანაწერებში“ (შეგნიშნავთ – ჩანაწერები არ კეთდებოდა ამ სახით გამოსაქვეყნებლად; მწერალი წერს: „ვინიშნავ და ვინიშნავდი მემუარებისთვის, ცხელ გულზე ვინიშნავდი და მემუარებში დაიხვეწებოდა... დღიური ცხარეა, დღიური უშვალა, უშვალა და განუსჯელი... ვინიშნავ ასე... უკან აღარ ვიხედები, აღარა ვკითხულობ...“ – ამიტომაც აქვს დიდი მნიშვნელობა ჩანაწერების ენას, წესით – არასტილიზებულ ენას...). საბოლოოდ: რა არის ის, რაც საერთოა ყველა სახის ნაწარმოებისათვის და რასაც ოთარ ჩხეიძის ენა ჰქვია...

ერთიც გავითვალისწინოთ: ოთარ ჩხეიძეზე როცა ვფიქრობ, ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ იგი არის ის მწერალი, რომელსაც თითქმის ყველაფერი გათვლილი აქვს წინასწარულად... სტილური კომპონენტი იქნება ეს თუ სხვა რამ; დიახ, სხვა რამ, თუნდაც სტრუქტურა რომანისა: 22-ვე რომანში 25-25 თავია; ბოლო, 25-ე თავი თითქოს დასკვნითი ნაწილია... უცნაურია, არა? – არა, ეს მწერლური ოსტატობის ფაქტია...

ერთხელ დავით კლდიაშვილისათვის უკითხავთ, ასეთი დიდებული რაღაც როგორ დაწერეო და – ამაზე არც მიფიქრიაო... როცა ოთარ ჩხეიძეს ვკითხულობ, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ყველაფერზე აქვს ნაფიქრი... ასახსნელია ბევრი რამ... პასუხგასაცემი კითხვაც მრავლადაა...

* * *

ფიქრობენ, რომ ოთარ ჩხეიძე არ წერს ჩვეულებრივად. თვითონ კი თვლის, რომ ჩვეულებრივად წერს. ზემოთაც ვთქვი, რატომ თვლის მწერალი რომ არ წერს არაჩვეულებრივად და ცდილობს განმარტოს, რატომ ფიქრობს ასე... ოპონენტთა არგუმენტებისა რა მოგახსენოთ...

ისე, კრიტიკოსთაგან იყო ამ „არაჩვეულებრიობის“ ახსნის ცდაც:

„ამ სტილით ოთარ ჩხეიძემ ოფიციალურად უარყო სოციალისტური რეალიზმი“ (აღ. კალანდაძე), თუმცა როგორ უნდა გა-

ვიგოთ ეს უარყოფა, ძნელი ასახსნელია (განცხადებას ახსნა არ ახლდა).

„აქ ენობრივ-სტილურ სივრცეში ზღბა არარსებული თავისუფლების კომპენსაცია“ (ნ. გელაშვილი). – აზრი საინტერესოა, თუმცა უბრალო მოკვლევითთვის ალბათ მაინც განმარტება იქნებოდა საჭირო, როგორ გავიგოთ ეს თეზისი...

„მისი ენა გამიზნულია გაბედული ქვეტექსტებისა და ტექსტების გადასარჩენად“ (ს. სიგუა)... ეს აზრი ანალოგიას პოვებს ოთარ ჩხეიძის ერთ ჩანაწერთან: (მწერალს ესაუბრება სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თანამშრომელი რ. ტატიშვილი) –

„ისე იცოდეთ, შენ ჩვენთან დისიდენტაა გთვლიანო.

რატომთქო, არავისთან ახლოს არა ვარ, მარტოდმარტოდა ვარმეთქი.

მაგას რა მნიშვნელობა აქვსო, აი ბუნდოვნად რო წერს, იქ გვაპარებსო.

ეგ სტილია და არა შეხვედრებიმეთქი.

ვიციო, მე ვიციო, მაგრამ იქ არა სჯერათო.

რა ვუყოთმეთქი, სტილი სტილია, ადამიანი სტილია და კერაფერს შევცვლიმეთქი“...

და კიდევ ერთი – დიდადსაგულისხმო – ფრაგმენტი ნატო ჩხეიძის წიგნიდან:

„ერთხელაც იყო და მამაჩემს კკითზე:

– რომ არ გეწერა ისე, როგორც წერდი და რასაც წერდი, რა იქნებოდა-მეთქი, და:

– არც არაფერი. ასე კი სამაგიერო გადაეუხადე მამა-ბიძებისთვისა. – მითხარი და შენებურად, თბილად შემომხვდე.“

ყველაზე დიდი კითხვის ნიშანი სწორედ აქ დაისმის – ენა, როგორც შურისძიების საშუალება... როგორ გავიგოთ ეს? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მოხერხდება კი?

* * *

ისევ საინტერესო პარალელები.

ვაჟა-ფშაველას ენა დაუწუნეს და პუბლიცისტურ წერილებში თუ ლექსში სცადა თავისი ენობრივი პოიზიციის დაცვა, განმარტე-

ბა; ჩემი აზრით, ახსნა შეიძლება ვერ გავიზიაროთ, თუ რატომ მიმართავენ დიალექტიზმებს... მაგრამ ახსნის მცდელობამ შეაქმნევინა დიდებული ლექსი თუ ბრწყინვალე პუბლიცისტური წერილები, რომლებშიც პოეტის არაერთი უმნიშვნელოვანესი შეხედულება ენის თაობაზე (თუნდაც „ერი დედა ენისა“ და სხვა)...

როცა დავით კლდიაშვილს დაუწუნეს ენა, მწერალმა თითქოს მიიღო კრიტიკა და „ბოლიში მოიხადა“ „ცუდი ქართულისათვის“: პეტრე უმიკაშვილს სწერს – „*მოზარული ვარ, რომ ჩემი „საწყალი, გაჭირვებული ქაშუშაძე“ შინაარსით მოგწონებიათ; ემდურით ენას და თქვენზედ უფრო მე ვარ უკმაყოფილო... მართალია, ენა ყოველთვის კოჭლობდა ჩემს ნაწერებშიო*“... არადა, ისევ ისე აგრძელებს წერას, დიალექტიზმებს ვერ შეეღიბა... უბრალოდ, ახსნა ვერ შეძლო თავისი ენობრივი პოზიციისა და „ცუდი ქართულისათვის“ „ბოლიშის მოხდა“ ამჯობინა...

ანა კალანდაძეც გავიხსენოთ. როცა ფშაური დიალექტური ფორმების თაობაზე მოუწია საუბარი, თქვა: „*ამას უჩვენოდაც ჩინებულად აწესრიგებს „ის“, რაიც შთავონებით გეწყალობს! დიახ, სათქმელი ხშირად „თვითონ მოძებნის“ თავის გამოხატვის ფორმას, თვითონ გიკარნახებთ, რა ფორმით „სურს“ განსხეულება*“. „*ჯერ კიდევ ბევრი რამ რჩება ამქვეყნად ამოუხსნელი, ამოუცნობი და, ამდენად, განუმარტავიც*“...

ოთარ ჩხეიძეც მიაინიშნებს თავის ენობრივ პოზიციაზე, რომ ეს ყოველივე გამიზნულად ხდება, მაგრამ ახსნას არ ცდილობს. ერთი ბარათი მაინც საინტერესოა: „*ბორიყის“ შესახებ დაწერილი კრიტიკული წერილის გამო აღმანახის რედაქტორს, გიორგი მერკვილაძეს, ბარათს მისწერს (ცხადია, არა გამოსაქვეყნებლად): „...თქვენი კრიტიკოსები – თინა კოპლატაძე და ზურაბ ჭუმბურიძე – დიდი ხნის ნაფიქრს გამოთქვამენ ნაჩქარევად, ჰაიპარადა და, ცოტა უკაცრავად თუ არ იქნები, ზერელეა. სხვანაირად არც იქნებოდა, – ეს მათი სტილია, ღმერთმა მიუტევოთ“... „სხვაფრივ კეთილადა ბრძანდებოდეთ, ბატონო რედაქტორო, როგორცა სჩანს, ისევ ჩემს ზურგზე აპირებთ კრიტიკის გამოცოცხლებასა. ჩვენში*

იტყვიან, — ისევე მოგემართოთ ხელი, როგორც მე მემართლებოდეთო. მაინც კეთილადა ბრძანდებოდეთ ბატონო რედაქტორო“... ცხადია, იწყინა კრიტიკა (ამ კრიტიკაზე ზევითაც მივანიშნეთ), თავისმართლება არც უცდია, არც ახსნა-განმარტება... არადა ჰქონდა სათქმელი; ამბობს ერთ ინტერვიუში: „აქ არ მოუყვებები, თუ რატომ მიემართე, რატომ ვიყენებ, აქ მხოლოდ იმის განცხადება მინდა, ჩემი სტილი რო არ ემყარება არავითარ ემფატიკურ ა-ნსა, ამას ამხელა შესაძლებლობა არ გააჩნია, არა, არავითარ შემთხვევაში“...

ფაქტია, ოთხივე შემთხვევაში მწერალი ერთგულია თავისი ენობრივი სტილისა, თუმცა განსხვავებულია კრიტიკასთან დაპირისპირების გამოხატვის ფორმა...

* * *

ოთარ ჩხეიძის ენობრივ სტილს მიიჩნევენ იმის მიზეზად, რომ მას „მკითხველი არა ჰყავს“; განგებ „აფრთხობს მკითხველს“... „ოთარ ჩხეიძის ნაწარმოებები ძნელად იკითხებაო“... „მკითხველის დაკარგვა“... „აუდიტორიასთან კავშირის გაწყვეტის დიდი ტრაგედია“... და ა. შ.

რას ნიშნავს ძნელად საკითხავი და ადვილად საკითხავი? იოლად იკითხება გ. რობაქიძე და კ. გამსახურდია?

ჩემს ბავშვობაში ი. ლისაშვილის, პ. ლორიას, კ. რუსიძისა თუ კ. გოგიავას ყდაშემოცლილი და ფურცლებგაცრეცილი წიგნები ხელიდან ხელში გადადიოდა... — ადვილად საკითხავი წიგნები...

რას ნიშნავს ძნელად კითხვა?

საინტერესო „რჩევა“ ამგვარ მკითხველს ავტორისაგან:

— ვერ გავიგეთო, ამხირებიან კრიტიკოსები და ავხირებულვარ მეც ჩემი მხრითა, ჩაიკითხეთ და გაიგებთმეთქი; უკეთ რო ითქვას, ისინია რო ახირებულან, თორემ მე ჰო მართალი გახლავარ, მართალი ცამდისა; თუ ტრაბახობენ, რო გაიგეს ვაჟაი, ჯოისი გაიგეს, ელიოტი გაიგეს, ვალაკტიონი გაიგეს, კაფკა გაიგეს, — მერე როგორა ტრაბახობენ! — სხვა ვინ დარჩებათ გაუგებარი, თვალს თუ გაახელენ, კარვად თუ გაახელენ თვალსა?“ — საგულისხმო რჩევაა „სერიოზული“ მკითხველისათვის...

ეს კიდე რჩევა „სულსწრაფი“ მკითხველისათვის, გადამკითხველისათვის:

—გადაატყობოდა დიდ აბჯაცებსა. მცირე აბჯაცებს გადაჰკრავდა თვალსა. დიალოგსაცა. და თუ აქაძლისაც ვერ გაარკვევდა, ვისი რა ბრალია?

—მთხრობელს ნურავინ ნურას დაადანაშაულებს. მთხრობელმა იცის, რა როგორ თქვას. სად რა თქვას. როდის რა გამოსტოვოს. მკითხველი თავისით ნურას შეეცდება. ნუ. სული ნუ ესწრაფება. ლიტერატურა ხელოვნებაა. ამბავიც არის და ხელოვნებაცა. მიჰყევი მთხრობელსა, განიცადო რო ორივეი: ამბავიცა. ხელოვნებაცა. მიჰყევი. სდიე გულმოდგინედა. ისე არა ჰღირს წიგნი შეაწუხო. რად უნდა შეაწუხო?!

დიახ, ოთარ ჩხეიძე არ არის ადვილად საკითხავი მწერალი...

* * *

არ მინდა ის შთაბეჭდილება დარჩეს, თითქოს ოთარ ჩხეიძეზე მხოლოდ უარყოფითი აზრისაა მკითხველი და კრიტიკა. არა. მე მხოლოდ ყურადღება გავამახვილე მწერლის მხატვრული ენისადმი დამოკიდებულებაზე; თუმცა ამ მხრივაც არის საინტერესო შეფასებები: „საოცარი დღესასწაული“, „თხრობის ზეიმი“, „საჩუქარი“, „ბრწყინვალე არტისტიზმი“ და სხვა. ზოგჯერ არ იშურებენ ეპითეტებს, მაგრამ ჩემთვის არსებითია ის, რომ ახსნა არა ჩანს არც ასეთი შეფასებებისა; პასუხი იმ ბუნებრივ კითხვებზე, რასაც ოთარ ჩხეიძის ენა აჩენს, არ გაცემულა. ისე, ამგვარი შეფასებები უფრო არაენობრივია...

ჩვენ ოთარ ჩხეიძის ენობრივი სამყარო გვანტერესებს...

* * *

ოთარ ჩხეიძის ენობრივი სამყარო — საწიგნე თემაა...

ენა — ბედისწერა

(ქალბატონი ანა და ქართული ენა)

* * *

„მშობლიური ენის სულზეა მორგებული ანა კალანდაძის ხმა,“ — ბრძანებს მუხრან მაჭავარიანი და სწორედ ქართული ენის სულს ხედავ, მის სიღიადეს გრძნობ, როცა კითხულობ ქალბატონი ანას ლექსს... ერთია ლექსში გამომწვევლებული სილამაზე და სილაღე ქართული ენისა და სხვაა პროზაული შეგონებანი ქალბატონი ანასი. მეოცე საუკუნის ქართველ კლასიკოსთაგან მიხეილ ჯავახიშვილისა და კონსტანტინე გამსახურდიას შემდეგ იძენი არავის უფიქრია, უსაუბრია (და, შეიძლება ითქვას, უდარდია...) ქართული ენის შესახებ, რამდენიც ქალბატონ ანას...

* * *

პროფესორი ალექსანდრე მაჰომეტოვი იგონებდა: ომის შემდგომი პერიოდია. გადაწყდა, არნოლდ ჩიქობავას ლექციებს უნდა დავსწრებოდი. შევედი აუდიტორიაში; დავეჯექი ბოლო მერხზე, დაველოდე სტუდენტებისა და პროფესორის შემოსვლას. ერთი გოგონა იჯდა პირველ მერხზე. შემოვიდა აუდიტორიაში პროფ. არნ. ჩიქობავა და დაიწყო ლექციის კითხვა... ის გოგონა ანა კალანდაძე იყო... ჯგუფში ქალბატონი ანა ერთადერთი ყოფილა; პროფესორები იმ გოგონას უკითხავდნენ ლექციებს... ეს ამბავი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კაკასიურ ენათა განყოფილებაზე ხდებოდა. მოგვიანებით ქალბატონი ანა იტყვის: „მე რომ იმთავითვე ჩემდა უნებურად ენის, გრამატიკის „ციე“ სამეფოში აღმოვჩნდი. ამას ბედისწერად ვთვლი, ჩემს ბედისწერად, — ეს ალბათ ასე უნდა მომხდარიყო, მხოლოდ და მხოლოდ ასე! კაკასიური

ენების განყოფილებისაკენ ჩემი პოეტური ბუნება მეწეოდა; მეწეოდა უპირველეს ყოვლისა კავკასიის ევზოტიკა!

... მაშ არ იყო ეს ბედისწერა? — დარწმუნებით იკითხავს...

დიახ, ეს იყო ბედისწერა. ბედისწერა იყო ის, რომ სტუდენტ გოგონას ენის ურთულეს ლაბირინთებში დაატარებდნენ არნოლდ ჩიქობავა და ვარლამ თოფურია. ქეთევან ლომთათიძე და გიორგი როგავა და სხვანი და სხვანი... ასე ხელჩაკიდებული მოატარეს გიორგი მერჩულისა თუ შოთა რუსთველის ენობრივი სამყარო; აფხაზეთისა თუ ჩერქეზეთის, ჩაჩნეთისა თუ დაღესტნის ენობრივი სივრცე...

დიახ, ბედისწერა იყო და ამიტომაც ბრძანებდა ქალბატონი ანა;

— „ძველი ქართულისა და უმამაცეს მთიელთა ენის სურნელი ნაზად ერწყმოდა ერთმანეთს და ჩემს პოეტურ ფანტაზიას აცხოველებდაო“.

ანდა: — „როგორც ჩვენი უხსოვარი წინაპრების ხმა და ხატება ჩვენდა შეუმჩნეველად აირეკლება ხოლმე და გამოისახება ჩვენში, ასევე ძველი ქართული ენის მაღლიანი აჩრდილი თავს ადვას და მისგან განუშორებელია“.

აი, ეს კი მხოლოდ ანა კალანდაძეს შეეძლო ეთქვა და ეგრძნო: „ოშკის ბიბლიის (მეათე საუკუნე) ნუსხურად ნაწერი ტექსტი მხედრულით გადმოვიღეთ (ხელთ ფოტოპირები გვქონდა): „მეფეთა წიგნი“, „იგავნი სოლომონისანი“, „ეზეკიელი“, „ესთერი“, „ივლითი“. — უბედნიერესი წუთები იყო ჩემს ცხოვრებაში!“ და იქვე გაგვიმხელს: „აქედან იყო მოპერილი ჩემი განწყობილებაც ამ ლექსის შესაქმნელად — „ვერავენ ამჩნევს შენსა მშვენებას“.

ქალბატონი ანა ასეთ დასკვნას აკეთებს: „ჩემმა „პროფესიონალურმა ენათმეცნიერულმა ცოდნამ“ და ძველი ქართული ხელნაწერების განუყოფელი პოეტურმა გარემომ დიდი სამსახური გაუწია ჩემს მოწოდებას, გაამდიდრა ჩემი შემოქმედება, უამისოდ ძალიან ბევრს დაგკარგავდი“.

დიახ, ენა ბედისწერა იყო!..

ფაქტია: არავის ქართულ მწერლობაში ენის როლი, მნიშვნელობა, ძალა საკუთარ შემოქმედებით ცხოვრებაში ისე არ დაუნახავს, არ უგრძნია, როგორც ეს ქალბატონმა ანამ შეძლო.

თუმცა, აქ ალბათ იაკობ გოგებაშვილი უნდა გავიხსენოთ მხოლოდ: საანბანე წიგნის პირველ გაკვეთილად ია, აი ია რომ შემოგვთავაზა, ეს ჩემი დამსახურება არაა, ქართული ენის მადლიაო; ქართული ენის წყალობაა, ია რომ შეირჩა პირველ გაკვეთილად... ქართული ენის სამყარო ჩემს პოეტურ ფანტაზიას აცხოველებდაო – ანამ ბრძანა...

* * *

რამდენიმე ამონაწერს მოვიყვან ქალბატონი ანას პროზაული ჩანაწერებიდან; ჩემს საუბარს მისი მოსმენა სჯობს:

„ხალხის მეობას მისი ენა გვანიშნებსო, - ბრძანა აკადემიკოსმა არნოლდ ჩიქობავამ და ქართველობამაც ღირსეულად დაიცვა თავისი მეობა 1978 წლის 14 აპრილს, როდესაც ქართულმა ენამ სამართლიანად აღიღვინა სახელმწიფო ენის სტატუსი“.

„მშობლიური ენა ის ცხოველმყოფელი წყაროა, რომელიც კვებავს ერს, ზრდის და აცოცხლებს. მშობლიურ ენას მოწყვეტილი (როგორც ცალკეული პირი, ისე ერი!) ჰაერში მოშობილი ანტიენისივით იღუპება.“

„მართლაცდა, ერთი არაბული გამოთქმისა არ იყოს, ცეცხლზე შემოდგმულ რძესავით უნდა თვალყურის დევნება არა მარტო ახალფეხადგმულს (და, საერთოდ, ნებისმიერი ასაკის ყმაწვილს!), არამედ ენასაც!“

მისი ეს აზრი რომ ვიცოდი, ერთხელ ვკითხე: „ქალბატონო ანა, თქვენ ბევრს საუბრობთ ქართული ენის სიწმინდის, მისი ღირსების დაცვის შესახებ. რა აზრის ბრძანდებით, საერთოდ, სალიტერატურო ენს ნორმირების თაობაზე და როგორ წარმოგიდგენიათ მწერლის ენობრივი თავისუფლება?“

მიპასუხა: „როგორც ცნობილია, სალიტერატურო ენის ნორმები მეტ-ნაკლებად ყოველთვის ირღვეოდა, მაგრამ, ქვეყანაში მომხდარი ისტორიული კატაკლიზმების დროს, ეს უფრო ხელშესახები

ხდება ხოლმე, – სალიტერატურო ენაზე იკარგება კონტროლი და იგი მალევე იტბორება „ცუდმეტყველებით“!

სალიტერატურო ენა ნორმების გარეშე არ არსებობს. ვფიქრობ, ენობრივი თავისუფლებაც „შეცნობილ აუცილებლობათა“ რიგს განეკუთვნება. არა მგონია, ბილწსიტყვაობა, რომელიც ასე თავმოწონებით იკიდებს ფეხს ჩვენს მწერლობაში, „მწერლის ენობრივი თავისუფლების“ მაჩვენებელი იყოს! მას... ნარკომანიაზე ნაკლები ზიანი არ მოაქვს ჩვენი ახალგაზრდობისათვის, ქვეყნისათვის! დიდი ილიას ნათქვამს (სხვა ვითარების გამო) გავიხსენებ: „მის მაყურებელს ერს ხომ გული უტყდება თავის-თავზე, სასოება და იმედი ეკარგება და აქედამ განა დიდი მანძილია სრულად განადგურებამდე“?

ცეცხლზე შემოდგმული რძის შედარებამ მაკითხვინა: „თქვენ ბრძანებთ, ცეცხლზე შემოდგმულ რძესავე უნდა თვალყურის დევნება ენას. თუმცა, იმასაც აღნიშნავთ, რომ ვერ ვექცევით ღირსეულად დედაენას. ამ პოზიციიდან, როგორ გესახებათ დღევანდელ დღეს მწერლის როლი თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის მოვლა-პატრონობაში? ხომ არ ფიქრობთ, რომ მწერლის ინტერესი სალიტერატურო ენისადმი მინელდა?“

უადრესად საგულისხმო პასუხი მივიღე: „ღიახ, კვლავაც მოვიგონებ ერთ ბრძნულ არაბულ ნათქვამს: ყმაწვილს ისევე უნდა ყოველწუთიერი თვალყურის მიღვენება, როგორც ცეცხლზე შემოდგმულ რძესო. ასევე, მუდმივი და შეუწყვეტელი ზრუნვა და ყურადღება სჭირდება ენასაც!“

უახლოეს წარსულში მშობლიურ ენას ქვეყნის უმაღლეს ხელისუფალთაგან მეტი ყურადღება ექცეოდა. როგორც ბატონი არნოლდ ჩიქობავა იგონებს, „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რეატიმეულის მომზადება და გამოცემა. რომელიც 19 წელი გავრძელდა, მაშინდელი ცენტრალური კომიტეტის მდივნის, კანდიდ ჩარკვიანის, მუდმივი ყურადღებითა და დახმარებით მიმდინარეობდა! დღეს კი, როგორც იტყვიან, ღვთის ანაბარად მიტოვებული ენა ეცე-

მა და... ერის დაცემასაც აღარაფერი აკლია (ეს საუბარი 2005 წელს გაიმართა - გ. გ.)!

დიახ, მწერლის როლი დიდია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის მოვლა-პატრონობაში! მოვივიწყლოთ ისევ დიდი ილია: „ჩვენი ენა არა ენას არ დაუვარდება ქვეყანაზედ. ნიჭიერი მწერალიც იმისათვის არის სასარგებლო ენისათვის, რომ თავის თხზულებაში ენის სიმდიდრე გამოაჩინოს ხოლმე!“

საჭიროა მწერლებისა და მეცნიერების გვერდგვერდ დგომა. რომ ენამ არ დაკარგოს ბუნებრივი განვითარების გეზი და მიმართულება! მივხედოთ ენას, მივხედოთ ქვეყანას!“

მოდით, კვლავ ამონარიდები მოვიხმოთ პროზაული ნაწარმოებებიდან:

„დედაენას მაგიური უნარი აქვს „კაცის გონებით და ვულით ვალვიძებისა“; ღვიძლი ხალხის საუკუნიდან საუკუნეში მთავარი სასიცოცხლო ძარღვით ერთმანეთთან დაკავშირებისა: „ენა თაობიდან თაობას გადაეცემა და მისი წყალობით ეს თაობები ერთ ხალხად ითქმის“ (არნ. ჩიქობავა). დედაენა ის საფუძველი და საძირკველია, რომელზეც მკვიდრად დაეშენება და დაეუღლებება კვლევი ერისკაცობისა და მამულიშვილობისა“.

„ქალმა-დედამ საქართველოს ძნელბედობის ჟამს საიმედოდ შეინახა, შეილესა და შეილიშვილებს სიცოცხლესთან ერთად მისცა და დაულოცა მშობლიური ენა, დედა-ენა, რომელიც დღეს ჩვენი სახელმწიფოს დიდი საზრუნავი გამხდარა, ვითარცა სახელმწიფო ენა“ (ჩანაწერი 1974 წელსაა გაკეთებული - გ.გ.).

„ყველაფერს „მდაბიური“ ენით ვერ გადმოსცემ და არც ყველაფერი ითქმის „ამაღლებულით“: - ამას უჩვენოდაც ჩინებულად აწესრიგებს „ის“; რაიც შთავონებით გეწყალობს! დიახ, სათქმელი ხშირად „თვითონ მოძებნის“ თავის გამოხატვის ფორმას, თვითონ ვიკარნახებთ, რა ფორმით „სურს“ განსხეულება“.

ასეთი კითხვაც მაწუხებდა დიდი ხანია და გურიამი გაზრდილ პოეტს, დიდებული ფშაური ციკლის ავტორს ვკითხე: ქალ-

ბატონო ანა, როგორ ახსნით იმ ფაქტს, რომ გურიაში, სადაც უმაღლესი მუსიკალური კულტურაა, დაბალია პოეტური კულტურა; ხოლო ფშავ-ხევსურეთში, სადაც უმაღლესი პოეტური კულტურაა, დაბალია მუსიკალური კულტურა? – კითხვა უპასუხოდ დარჩა... მერე კითხვას ასეთი სახე მივეცი: „ქალბატონო ანა, თქვენ ბრძანებთ: „ხალხურ კილოს საგანგებოდ მივმართავ ხოლმე კოლორიტის – ხალხურობის სურნელის შესანარჩუნებლად... მივმართავ, ცხადია, მხოლოდ მაშინ, როცა ლექსის თემა მოითხოვს ამას. მაგალითად, ასე მოვიქეცი ფშაური ლექსების ციკლის წერისას...“

თქვენ გურიაში დაიბადეთ. როგორც წერთ, „პირველი პოეტური შთაგონება“, „პირველი პოეტური სიტყვა“ თქვენს „სოფელს უკავშირდება“... და რამდენადაც დაკვირვებებივარ, თქვენს ლექსებში გურული დიალექტის კვალი არა ჩანს... რატომ?

ქალბატონი ანა: „თუ მკრეხელობაში არ ჩამომერთმევა, მოვიგონებ ადგილს „მე ზაურის წერილებიდან“: „მართალია თუ არა ჩემი მოხვევე, მე მაგის განსჯაში არ შევალ, ან რა ჩემი საქმეა ეგა? მე გაკვრით, როგორც მე ზაური, ვიხსენებ მას, რაც მისგან გამიგონია. ჩემი ცდა მარტო ამაშია, იმის აზრისათვის იმისივე ფერი შემერჩინა და იმის სიტყვისათვის – იმისივე კილო. თუ ეს შევასრულე, ჩემი განზრახვაც შემისრულებია“.

„ფერი“ და „კილო“ ყველა ქართულ დიალექტურ სიტყვას თავისებური, განუმეორებელი აქვს. ფშავ-ხევსურული სიტყვის „ფერი“ და „კილო“ ჩემთვის... საკმაოდ უცხო აღმოჩნდა, თანაც... „უმაღლესი პოეზიით“ გაჯერებული! თავი მთვარეზე მეგონა!

ხალხური პოეზიის დიდებულ კუთხეს მინდოდა ასე შეეხმია-ნებოდი, მხოლოდ – „თავის ენაზე!“ ეს ლექსები მხოლოდ ასე გახმურდნენ ჩემში...

ჩემს ლექსებში გურული დიალექტის კვალი რომ არ ჩანს, ამასთან დაკავშირებით ისევ ჩემს ნათქვამს გავიმეორებ: „ჯერ კიდევ ბევრი რჩება ამქვეყნად ამოუხსნელი, ამოუცნობი და, ამდენად, განუმარტავიც!“

კლასიკოსის პასუხია.

ამ თემაზე ხშირად საუბრობს ქალბატონი ანა. კვლავ რამდენიმე ამონარიდი:

„ხალხური პოეზიის დიდებულ კუთხეს მინდოდა (უფრო სწორი იქნებოდა, თუ ვიტყვოდი, „უნდოდა“-მეთქი) ასე შევხშიანებოდი, მხოლოდ „თავის ენაზე“! არა, ვერ ვადმოსცემს ეს ნათქვამი იმ განწყობილებას, რაიც მაშინ „მკარნახობდა“ ამ სტრიქონებს: ეს ლექსები ასე განხმურდნენ ჩემში მთიდან დაბრუნებისთანავე, მხოლოდ ასე მეწერებოდა!“

„ჩემთვის სასიამოვნო ის გახლდათ, რომ უმდიდრესი ხალხური პოეზიისა და ვაჟას პოეტურ მარგალიტებს ნაზიარებ მთიელ კაცს. ხალხის წიაღიდან გამოსულს, სწორედ იმ კუთხის შვილს ჩემი სტრიქონები „ხალხური პოეზიისა და ვაჟას ლექსების იმიტაციად“ რატომღაც არ მოსჩვენებია! იგი იმთავითვე ჩასწვდა ჩემს ჩანაფიქრს, „მიხვდა“, რომ „ეს ლექსები“ დაწერილი იყო ხალხურ კილოზე, - „მათი ბაღჩიდან“ იყო და, ბუნებრივია, ვეძათხვევლი მთქმელის მიმართ განვიმსჭვალე იმ დიდებული გრძნობით. რასაც ურთიერთგაგება ჰქვია, მკითხველისა და ავტორის ურთიერთგაგება“...

ერთი შენიშვნაც მინდა გავაკეთო: ამონარიდების კითხვისას მკითხველს შეიძლება შეკითხვები გაუჩნდეს, ვთქვათ, ასეთი - ვინ მიიჩნია ანას ფშაური ციკლი „ხალხური პოეზიისა და ვაჟას ლექსების იმიტაციად“ და მისთანანი... - მათ ვურჩევ, წაიკითხონ ქალბატონი ანას პროზა (ანა კალანდძე, ორტომეული, ტ. II, თბილისი, გამომცემლობა „საქართველო“, 1996 წ.). კვლავ ამონარდები:

„კითხვაზე, რა კავშირშია, თქვენი აზრით, ძველი ქართული პოეტური სიტყვა და ხალხური მეტყველება, ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლების ენა და დღევანდელი ცოცხალი ხალხური ენა, ჩემი პასუხი ასეთი ვახლავთ: ძველსა და ახალ ქართულს შორის, როგორც ცნობილია, ჩინური კედელი არაა აღმართული, - ძველი და ახალი ქართული ენა მესახება ერთ, მთლიან ცოცხალ ორგანიზმად, რომლის შუაზე გადაკვეთა უეჭველ სიკვდილს გამოიწვევს-მეთქი“:

„უძველესი საგების ენა თითქმის გასაგები იყო უბრალო გლეხისათვისაცო... დღევანდელი ქართველიც ხომ თავისუფლად იგებს მეხუთე საუკუნის ძეგლის ენას – „წამება შუშანიკისი“?! „კავშირი დამწერლობასა და ცოცხალ მეტყველებას შორის“ არც ჩვენთან შეწყვეტილა და სწორედ ამიტომ ეს წმინდა კავშირი ანიჭებს სიცოცხლისუნარიანობას ჩვენს მშობლიურ ენას, რის გამოც მისი მეუფება უსაზღვროდ მესახება აწ და მარადის“.

მან, რომ ქალბატონი ანა იყო პოფესიონალი ენათმეცნიერი-ლექსიკოლოგი, მიბიძგა, ასეთი კითხვა დამესვა: – ქალბატონო ანა, თქვენგან ვიცი: ფიროსმანს უთქვამს, „ნიჭი დამეღალაო“... არნოლდ ჩიქობავას უთქვამს ქეთევან ლომთათიძეზე, „ჭკვიანი ნიჭი აქვსო“... შალვა ნუცუბიძეს უთქვამს თქვენთვის, „ქართველები ყველაფერს გაპატიებენ ნიჭის გარდაო“... მაინც, რა არის ნიჭი? როგორ განმარტავდით მას, ყმაწვილთათვის ლექსიკონს რომ ადგენდეთ? პასუხი მოკლე იყო:

„ვფიქრობ, ეს სიტყვაც... „ზესაიდუმლოთა“ რიგისაა და, ამდენად, გნუმარტავი!“

ზემოთ მოვიყვანეთ ამონარიდი; გავიმეოროთ: „მართლაც და ერთი არაბული გამოთქმისა არ იყოს, ცეცხლზე შემოდგმულ რძესავით უნდა თვალყურის დევნება არა მარტო ახალფეხადგმულს (და, საერთოდ, ნებისმიერი ასაკის ყმაწვილს!), არამედ ენასაც.“ საოცარი ზუსტი და შთაბეჭდავი შეგონებით გვაფხიზლებს ქალბატონი ანა...

არა მარტო გვაფხიზლებს და გვაფრთხილებს, განგაშის ზარსც ჩამოჰკრავს;

მთაწმინდაზე, როცა ქალბატონი ანა გვემშვიდობებოდა, ერთმა ხელისუფალმა ქალბატონ ანას დამსახურებად ის მიიჩნია, რომ ბარიკადებზე არ იღვა და მშვიდად ცხოვრობდაო. არადა, არ იცნობდა ის ხელისუფალი ქანი ანას შემოქმედებას; არ იცნობდა მის სამოქალაქო ლირიკას თუ უაღრესად აქტუალურ პოეზიას. აქ კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ზემოთქმული, თუ როგორ „მშვიდად“ ცხოვრობდა ქალბატონი ანა: „მუდმივი და შეუნელებელი ზრუნვა და ყურადღება სჭირდება ენასაც! უახლოეს წარსულში მშობლიურ ენას

ქვეყნის უმაღლეს ხელისუფალთაგან მეტი ყურადღება ექცეოდა... დღეს კი, როგორც იტყვიან, ღვთის ანაბარად მიტოვებული ენა ეცემა და... ერის დაცემასაც აღარაფერი აკლია“... 2005 წელს ბრძანა ეს... ამ დარდით განემორა ქალბატონი ანა სამზუოს; მის შემოქმედებაში, განსაკუთრებით კი მის დიდებულ პროზაში, საოცრად კარგად ჩანს, ერთი მხრივ, დედაენის როლი ქალბატონი ანას შემოქმედებაში და, მეორე მხრივ, ქალბატონი ანას როლი დედაენის გადაჩენის საქმეში...

ღიას, ენა ბედისწერა იყო ქალბატონი ანასთვის.

* * *

ქალბატონი ანა და ქართული ენა ვრცელი თემაა. დღეს საუბარს ასევე ღირსსახსოვარი ამონარიდით დავამთავრებ: „პირადად მე, რა თქმა უნდა, უყოყმანოდ ვიზიარებ რუსთაველის საზოგადოების (და ყველა საღად მოაზროვნე ქართველის!) თვალსაზრისს, – „ქართველმა ბავშვმა უნდა ისწავლოს ქართულ სკოლაში და სხვა აზრი დღეს არ უნდა არსებობდეს“! ბავშვის (და ე.ი. ერის!) მომავალს სამომხმარებლო, მერკანტილური თვალთ არ უნდა ეზომავდეთ!“

მუხრან მაჭავარიანი და ქართული ენა

არის სათქმელი, რომელიც აუცილებლად უნდა ითქვას; აუცილებლად უნდა დაიწეროს. ასეთია, ჩემი ღრმა რწმენით, თემა – მუხრან მაჭავარიანი და ქართული ენა. დღეს მე შევეცდები, ამ თემაზე ვისაუბრო, ცხადია, უპრეტენზიოდ და მოკრძალებით. ნიკო ლორთქიფანიძის თქმისა არ იყოს, „ნუ დამიწუნებთ!.. შემდეგ ოდესმე მას აღმოუჩნდება მოციქული ვინმე მარკოზი ან იოანე“... მე ვწერ ქართულ ენასა და მუხრან მაჭავარიანზე...

ისე კი, თავი რომ მოგვეყარა იმ ლექსებისათვის, იმ წერილებისათვის, იმ ჩანაწერებისათვის, გამონათქვამებისათვის, იმ ფრაზებისათვის, რომლებშიც მუხრან მაჭავარიანი დედაენას უხდის ვალს, ერთ კრებულად შეგვეკრა, ეს წიგნი იქნებოდა ამ თემის საუკეთესო შესრულება...

თქვა მუხრან მაჭავარიანმა: „*მესმის და ვხედავ, როგორ იგერიებს პატარა ქართველი ორთავიანი არწივის კლანჭებს იაკობ გოგებაშვილის „დედაენითა“!* – თქვა და დასვა წერტილი. შევემატებთ რაიმეს კომენტარით? არა, ბატონო, ეს უნდა ვისწავლოთ და ხშირ-ხშირად ვიმეოროთ... უნდა ვასწავლოთ ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს – ვისაც დედაენამ უნდა უხმლოს და უაბჯროს!.. დედაენამ და „დედაენამაც“!.. ამით გადავარჩინთ ქართულ ენას!.. ამით გადავარჩინთ საქართველოს!..

* * *

რა არის ქართული ენა?

ილიამ ბრძანა, ღვთაებრივი საუნჯეაო: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული ენა და სარწმუნოება“...

იაკობმა ბრძანა, ქართული ენა ჩვენი ეროვნების უმთავრესი ბურჯიაო: ეროვნებას ოთხი ბურჯი აქვს – მამული, ენა, ეროვნული სკოლა და სარწმუნოებაო...

ქართული ენა ჩვენი ეროვნული მეობის საფუძველიაო, – ეს მეცნიერმა ბრძანა – არნოლდ ჩიქობავამ...

და მაინც, უფრო პოეტური, უფრო შთამბეჭდავი, და ორიგინალური განმარტება, რაიც მუხრან მაჭავარიანმა ბრძანა, მე არ მეგულება:

„ქართული მარტო ენაა?!
ქართული ქართველთ რწმენა!
ღმერთია!
ბედისწერაა!
ზღვა როა!–
იმოდენაა!“

ყმაწვილთათვის უფრო დააკონკრეტებს:

„ქართული ენა ერთ-ერთი უძველესი და უმდიდრესი ენაა დედამიწაზე!

ამ ენაში გამოხატულია ქართველი ხალხის ფერადი ხასიათი!
ეს ენა სარკეა ჩვენი ქვეყნის მრავალფეროვანი ბუნებისა!“

* * *

გემოდღვრავდა, გვაფხიზლებდა და გვაფრთხილებდა ჯერ კიდევ ამ ორმოციოდე წლის წინათ პოეტი:

„მრავალჯერ თუმცა ვაჟაკათა საფლავს
დედის ათოვლა თმანი;
სიტყვა ქართული
ესოდენ მძაფრად
არ სწყურებია ღმანისს...“

ამას ამბობდა მუხრან მაჭავარიანი მაშინ, როცა „იდევნებოდა სიტყვა“! დღეს? – „დღეს იდევნება ფიქრიცო!“ – იტყვის პოეტი და დაგვაფიქრებს იმ საბედისწერო ფიქრით, თუ როგორ გაუმძაფრდა ქართული სიტყვის წყურვილი ქვემო ქართლს... როგორ გადაედო ეს წყურვილი შიდა ქართლს...

„არაქართველი
ძირძველ ქართველს
იგდებს
აბუჩად“...

პოეტისათვის ეს საბედისწერო რეალობა... ამიტომაც იტყვის:
„მე საქართველო
არ მსურს
ამგვარი!“

* * *

სხვასაც ალბათ, მაგრამ ჩემს თაობას განსაკუთრებული ვალი აქვს მუხრან მაჭავარიანისა: სამოციანი წლების დასაწყისში ქუთაისში დედაქალაქიდან ამაღლ მოვიდა: თბილისის უნივერსიტეტში მუხრან მაჭავარიანს ისეთი ლექსები წაუკითხავსო... და ხელნაწერებითა და ზეპირად ვრცელდებოდა:

„თუ ვინმე ფიქრობს,
დადუმდეს ენა,
ვერ მოესწრება!
არა და ვერა!
შოთა რომ არა!
ვაჟა რომ არა!
ტატო რომ არა!
კიდევ ხო, მარა...
ესენი როა?!
ახლა კი დროა!
სოლომონ რომა,
კვლავ დაიქუხოს საქართველომა!“

(ვიცი, მუხრან მაჭავარიანი ჯავრობს, როცა ცვლიან მის ლექსს: „იწერდნენ, ამახინჯებდნენ და ავრცელებდნენ“, – წერს იგი... მაპატიოს ბატონმა მუხრანმა, მაგრამ ეს ლექსი ამ სახით მოვიდა ჩემამდე 1964 წელს, ასე ვისწავლე და ასე მახსოვს დღემდე... მაგრამ ერთიცაა: ისეთ ლექსს როცა დაწერს პოეტი, გამოქვეყნებამდე მთელი საქართველო რომ ზეპირად ისწავლის, კი უნდა შეუნ-

დოს მკითხველს მცირეოდენი ცვლილება ლამის ხალხურად ქცეული ლექსისა!..).

ამ ლექსმა უამრავი კითხვა გაგვიჩინა საბჭოთა მოწაფეებს:

—რას ნიშნავს „დადუმდეს ენა“?

—ვის სურს ჩვენი ენის დადუმება და რატომ?

—რისი დროა ახლა?

—რა შუაშია სოლომონი?

—როდის დაიქუხა საქართველომ, კვლავ დაქუხებას რომ ითხოვს პოეტი?

—რატომაა ეს ყოველივე დაკავშირებული ენასთან?

ღვთის მადლით, ჩემი ბავშვობის ქუთაისში იყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც შეეძლოთ ამ კითხვებზე პასუხის გაცემა და... ჩვენ სულ სხვანი გავხდით... ისეთები, ვინც ჩვენდათავად სამოციანი წლების ბოლოს სტულქალაქურ შეკრებებზე ვბედავდით, ეს ლექსები გვეთქვა და „საქართველოს მოთმინების ფიალა“ გვედღეგრძელებინა...

აი, ამისთვისაც მადლობა მუხრან მაჭავარიანს, ჩვენს ცხოვრებაში იმ მძაფრი ნერვის გამოღვიძებისათვის, ქართული რომ ჰქვია!..

* * *

აგერ უკვე ნახევარი საუკუნეა ქუხს ხმა პოეტისა:

„მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა!

რა ვუთხრა ისეთ ამხანავს! —

ვინც ვერ ახერხებს ქართულად

წერას, კითხვას და ლაპარაკს!“

სასექტემბრო მილოცვა უთხოვიათ პოეტისთვის და ბრძანა: „მე სასწავლო წელს სულითა და გულით ვულოცავ მხოლოდ მას, ვინც სწავლობს მშობლიურ ენაზეო“...

მაინც საჭიროდ ჩათვალა უფრო დაწვრილებით განემარტა:

„ყოველმა ქართველმა, უწინარეს ყოვლისა, დედაენა უნდა იცოდეს!

ენაშია ჩვენი ქართველობა!

ენაა ჩვენი სარწმუნოება!

ნახავთ სომეხს, არ იცის სომხური და არის სომეხი!
 ნახავთ ებრაელს, არ იცის ებრაული და არის ებრაელი!
 ვერ ნახავთ ქართველს, ქართული არ იცოდეს და ქართველი
 იყოს!“

* * *

რუსთაველმა განადიდა ქართული ენა, თუ ქართულმა ენამ
 შექმნა რუსთაველი? მუხრან მაჭავარიანს ასე სჯერა – სხვა ენაზე
 „ვეფხისტყაოსანი“ ვერ დაიწერებოდაო:

„ენა რომ არა, ისიც ასეთი,

როგორც იტყვიან – ყალბით ნახატი!

შენი თვით შოთა რასაც დაწერდა,–

ერთი იმასაც ენახავდი!..“ – ასე გამოხატა პოეტუ-

რად. ახლა პროზაულად: „ქართული სიტყვა არც რუსთაველამდე
 და არც რუსთაველის შემდგომ არავის ისე არ დაუმორჩილებია,
 ვითარცა რუსთაველს“... ამიტომმა რუსთაველი „ქართული სიტყვის
 მხედართმთავარი“. ესეც დიდებულია: სიტყვა მხედარია, სიტყვები
 ლაშქარია ყოვლისშემძლე გმირი მხედართმთავრის ხელში...

მუხრან მაჭავარიანმა ისიც დაინახა, რომ ქართული სალიტერა-
 ტურო ენის პირველი ფართომასშტაბიანი რეფორმა რუსთაველმა
 განახორციელა: რუსთაველი „არ დაჯერდა მანამდე არსებულ ლი-
 ტერატურულ ენას და თავისი ნაწარმოები დაწერა სრულიად სა-
 ქართველოს ენით“. რუსთაველი – სულხან-საბა, ეს ერთი გენერა-
 ლური ხაზია ქართული სალიტერატურო ენის განვითარებისაო...

ჭეშმარიტად!

* * *

„ქართული სიტყვის მხედართმთავარზე“ საუბრისას საბას გა-
 ინსენებს: „ასევე მოიქცა დიდი ქართველი მწერალი და ლექსიკოგ-
 რაფი სულხან-საბა ორბელიანიო“,– იტყვის... და მუხრან მაჭავარიან-
 ნის ერთგულ მკითხველს არ შეიძლება „მისი საბა“ არ გაახსენდეს
 – „ორი ცრემლიდან რომ საქართველოს გაჰყურებს“, ის საბა. არა-
 ვის ალბათ საბა ასე არ დაუნახავს, ასე არ დაუფასებია, ასე არ

შეუყვარებია ქართველი კაცისთვის, როგორც ეს მუხრან მაჭავარიანმა შეძლო... და არც ესაა შემთხვევითი: ქართულ სიტყვაზე უზომოდ შეყვარებული პოეტისათვის საბა უპირველესი ავტორიტეტია. მოვუსმინოთ: „*მიყვარს ლექსიკონში კირკიტი. განსაკუთრებით სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონია ჩემი უსაყვარლესი წიგნი*“... საყვარელი ადამიანის დაკარგვით გამოწვეული მწუხარებით დასცქერის პოეტი ლექსიკონში შემორჩენილ გარდაცვლილ სიტყვებს:

„მივჩერებივარ და... სიტყვაც მომჩერებია.

ვუყურებ და... სიტყვაც მიყურებს.

მიყურებს, როგორც სურათი, – ოდესღაც ცოცხალი კაცისა...“

სიტყვაზე რომ ამდენს ფიქრობს, ამდენს მსჯელობს პოეტი, ამაში წვლილი საბასაც უდევს უთუოდ:

„ცხენს სხვას არ ანდობს კარგი მხედარი.

ხარს სხვას არ ანდობს კარგი მეხრე.

თოფს სხვას არ ანდობს კარგი მონადირე.

მე მყავს ჩემი საყვარელი სიტყვები.

(*ცხენზე, ხარზე და თოფზე უფრო საყვარელნი*) და ამით იმას ამბობს, არც ამ სიტყვების (და ზოგადად ენის) ნდობა შეიძლება სხვისთვის – ჩვენვე უნდა ვუპატრონოთ, ჩვენვე უნდა მივხედოთ...

საბას მადლი არის ალბათ იმაშიც, მუხრან მაჭავარიანმა შეიდ ქართულ სიტყვას შეიდი დიდებული გამოკვლევა რომ უძღვნა, ერთ წიგნად შეკრა და მოკრძალებული სახელი – „*რამდენიმე სიტყვა*“ – უწოდა... ქართული ენის უზომო სიყვარული ამითაც გამოხატა...

* * *

ჩემი რჩევა კოლეგა ენათმეცნიერებს: ნუ შეეცდებით, მუხრან მაჭავარიანის პოეზიაში (და ზოგადად მის ნაწერებში) სასვენ ნიშნებს მივუსადაგოთ გრამატიკაში დადგენილი წესები; მუხრან მაჭავარიანს თავისი სისტემა აქვს, თავისი წესები, პირობითი ნიშნები – ლექსის ინტონაციით ნაკარნახევი... ამ სასვენმა ნიშნებმა პოეტისებური ინტონაციით უნდა წავგაკითხოხოს მუხრან მაჭავარიანის პოე-

ზია... ის აზრი უნდა დაგვანახოს, რაც პოეტმა ჩაღო მასში... გავისხენოთ: „*ხმა მთავარი! – სათქმელის შესატყვისი ხმა!*“

* * *

სიტყვის ყადრი თუ ვინმემ იცის, იცის მუხრან მაჭავარიანმაც. თუმცა „*როგორ შეიძლება მწერალმა სიტყვის ყადრი არ იცოდეს და მწერალი ერქვასო?!*“ – გაცემით იკითხავს პოეტი; განა არ იცის, რომ „*ხაზვის ფრანტა მწერლების მთელი გუნდი*“ არსებობს, უსაგნო ამბიციითა და თავმოწონებით „*ჩემი სჯობსო*“, რომ იძახიან... დედაენის ქომაგი პოეტისათვის არაა ეს უწყინარი თავმოწონება: „*თქვენი არ ვიცი და, მე კი დარწმუნებული ვარ: რაც ჩვენმა მოსისხლე მტრებმა საუკუნეთა მანძილზე, საქართველოს მრავალგზისი დალაშქვრით ვერ შეძლეს – სულ მალე მიაღწევენ ესენი, მოისპობა ენა ქართული! – უკეთუ ასე გაგრძელდა და ხმა არ აიმაღლა ვინმემ*“. და რომ არ ვიცოდე, როდის ითქვა ეს სიტყვები (1970 წ.) და ვისი მისამართით, ვიფიქრებდი, დღეს იწერება-მეთქი... თუმცა ეს არის კლასიკა – მარად თანამედროვე...

* * *

„*ეს აბსოლუტური სმენა, ეს გამჭრიახი თვალი, ეს უმდიდრესი ლექსიკა*“... ამას რუსთაველზე ამბობს მუხრან მაჭავარიანი... ახლა მის „*აბსოლუტურ სმენას*“, „*მის გამჭრიახ თვალსა*“ და „*მის უმდიდრეს ლექსიკას*“ გავადევნოთ თვალი:

*„საჩხერეს მიაშურებენ
პარასკევს ჩვენებურები.
ცხამიდან მოდის ურემი,
ჩონთოდან მოდის ურემი,
იტავაზიდან მოდიან,
ბახიოთიდან მოდიან...*

– იმე...

– კი, მარა...

– შე, კაცო...

– ქე მაინც...

და...

— რა მკოდნია!

ისმენენ ჩემი ყურები.

მოჭრიალებენ ურმები;

გოჭებით,

ინდაურებით —

მოლიან ჩვენებურები.“

დავით კაკაბაძის მიერ დახატული იმერეთი არ გაგახსენდათ? ვინ უკეთ ხმარობს — მხატვარი ყალამს თუ პოეტი კალამს? ძნელია ამის თქმა... დიდოსტატია ორი მხატვარი იმერეთისა... დავით კლდიაშვილის შემდეგ იმერული დიალექტის შემვეობით იმერული ხასიათები ასე არავის დაუხატავს:

„— რა საქეიფო ამინდია!..

რას იტყვი?..

— აჰა!..

— დალევდი ახლა?..

ხო დალევდი?..

დალევდი?..

— იმე!..“

ანდა: „— პეტუშა გახსოვს?

— იმე!

რა ბიჭი იყო!

— აჰა!“

რომელი ერთი...

ესაა ენის გრძნობა; „აბსოლუტური სმენა“, „გამჭრიახი თვალი“ და „უმდიდრესი ლექსიკა“... ესაა მუხრან მაჭავარიანი...

* * *

როცა მწერალზე საუბრობს, სიტყვისადმი მისი დამოკიდებულება მთავარი მუხრან მაჭავარიანისათვის:

გიორგი ლეონიძე — „ლაპარაკობს გულში ჩამწვდომად. არც ერთი უადვილო სიტყვა...“

კონსტანტინე გამსახურდია – „თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამჟამად თითქმის ერთადერთი ქართველი მწერალია, რომელმაც თავისი ზოგადქართული სულისკვეთება სრულიად საქართველოს ერთ გამოამზეურა (ენით, რომელიც მოიცავს დღევანდელი საქართველოს ყველა კუთხეს უკლებლივ და საქართველოზე გადათქარუნებულ ყველა საუკუნეს – ქრისტეს შემდეგ)“.

სერგო კლდიაშვილი – „ჩვენ ბევრი ოსტატი გვყავს ქართული სიტყვისა (ძველიც და ახალიც), მაგრამ სერგო კლდიაშვილის ოსტატობა ამ საქმეში იქამდე აღწევს, რომ მკითხველი განიცდის არა ნაოსტატარ სიტყვას, არამედ სურათსა და მოქმედებას“.

გიორგი შატბერაშვილი – „ქართული სიტყვის დიდი მოურავია“... „როგორ დაიაზებით ეპყრობოდი ყოველ სიტყვას! როგორ ელოლიავებოდი! – ხან კი როგორ თავგამოდებით შეებოდი. ქართულ სიტყვას დასტურ დიდი მოურავი მოაკლდა“...

ანა კალანდაძე – „მშობლიური ენის სულზეა მორგებული ანა კალანდაძის ხმა, რაც ყოველ დროში და ყოველ ქვეყანაში იყო და არის ლექსის უკვდავების საწინდარი...“

მურმან ლებანიძე – „ენა ქართული, – ბევრის ხელში შესაბრალისი, – ბედნიერია მურმანის ხელში. ისე ბედნიერი, როგორც თევზი წყალში და ფრინველი ცაში“.

ირაკლი აბაშიძეს – მაღლობა ლექსისათვის „ხმა კატამონთან“... „ამ ლექსის წერისას, – მარჯვენა მისი ავტორისა, მჯერა, ხელთ ეყრა თვით მაცხოვარს, ვითარცა ხელი იმ ბაღლისა, წერას რომელიც სწავლობს, – მოძღვარს უპყრია მისას.“

აკაკი შანიძე – „ვისაც ქართული ენა უყვარს, ვინც ქართული სიტყვის ფერ-ხორცი იცის, ვისაც საქართველოსთვის გული შესტკივა, ერთი სიტყვით – ვინც ნაღდი ქართველია, ყოველად შეუძლებელია, მან არ იცოდეს: ვინ არის აკაკი შანიძე“... „კაცი, რომელიც ჩიტებივით ხედავს ქართულ სიტყვებს, ხმაზე ცნობს ყოველ მათგანს...“ და სხვა ... და სხვა...

აქვე ისიც გავიხსენოთ, ჭეშმარიტი ქართველი ქართული ენით არის ავად, საქართველოთი არისო ავად... „ღმერთმა ნუმც გაპყაროს

იგი ამ სენს, ვინაიდან ეს ის სენია, რომლისაგან როგორც კი განიკურნები, ლეში ხარ მაშინვე!“

* * *

მუხრან მაჭავარიანს თავისი ანგარიში აქვს:

„ქართული ანბანის გარეშე წარმოუდგენელია ქართული ენა!

ქართული ენის გარეშე წარმოუდგენელია ქართული ანბანი!

ორთავეს გარეშე წარმოუდგენელია საქართველო!

საქართველოს გარეშე წარმოუდგენელია ორთავე!“

ესეც მხოლოდ მუხრან მაჭავარიანს უნდა ეთქვა: „მთელი ქართული ანბანი (ანიდან ჰოემდე) თავს იწინებს საქართველოთი:

ნამყოთი მისითა,

აწმყოთი მისითა,

უძრავითა მისითა,

მოძრავითა მისითა,

ცითა მისითა,

მიწითა მისითა...“

და ესეც მუხრან მაჭავარიანს უნდა გაეგონა, დაენახა:

„ანი იძახის: — მე ყველაზე უკეთესი ვარ, აი, რამდენი ძვირფასი სიტყვა იწყება ჩემით: ალავერდი, ანანური, ასპინძა, ალუღა, ალვა, არწივი, არაგვი, ალაზანი...“

ბანი იძახის: — არა, მე ვარ ყველაზე უკეთესი. დაზე რამდენი ძვირფასი სიტყვა იწყება ჩემით: ბეთანია, ბიჭვინთა, ბოლნისი, ბაზალეთი, ბზიფი, ბადრი, ბზეწვია, ბალი...“

ასე: განი, ღონი, ენი, ვინი, ზენი და ა. შ.“...

ისე, იმასაც დაუკვირდეთ, თითოეულ ასოზე უპირველესად რომელი სიტყვები ახსენდება პოეტს...

* * *

ვფიქრობ... გავბედავ და ვიტყვი: სიტყვები „საქართველო“, „ქართველი“ და „ქართული“ თავის პოეზიაში იმდენჯერ არავის უთქვამს, რამდენჯერაც მუხრან მაჭავარიანს...

ერთხელ კითხვაც დაუსვამს თავისი თავისთვის, რას ისურ-
ვებდით და, აი, პასუხი:

„თუ მსურდეს სხვა რამ, –
ღმერთმა დამლაზვროს!
მსურს მხოლოდ იგი, –
რაც საბას სურდა:
კაცმა ქართველმა, –
მსურს, –
ქართულად ილაპარაკოს
და საქართველოს, –
საქართველო, –
მსურს, –
ერქვას მუდამ!“

აი, ეს არის მუხრან მაჭავარიანი:

„საქართველოთი გაზარებული,
საქართველოთი გამწარებული,
საქართველოთი გულანთებული,
საქართველოთი გულდათუთქული,
ერთი სიტყვით:
საქართველოთი დაავადებული კაცია იგი!...“
და ჩვენც

უნდა ვუსმინოთ მუხრან მაჭავარიანს! –
უნდა ვენდოთ მუხრან მაჭავარიანს! –
უნდა მივყვეთ მუხრან მაჭავარიანს!
„გვეალება, საქართველოვ!
შევიძლია, საქართველოვ!
ვაგიმარჯოს, საქართველოვ!“

გოდერძი ჩოხელი და ქართული ენა

მიხეილ ჯავახიშვილი წერდა: „ენა მწერლის ბალავარია, მისი უმთავრესი იარაღი“. ეს დამოკიდებულება მწერლისა სალიტერატურო ენისადმი მკვეთრად იყო გამოხატული ქართული სალიტერატურო ენის განვითარების მთელ მანძილზე. ამის დასტურად მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება – გიორგი მერჩულე იქნება თუ გიორგი მთაწმიდელი; თუნდაც რუსთველური „არ შეამოკლოს ქართულიც“ ამაზე მეტყველებს.

სალიტერატურო ენის პრობლემების წინა პლანზე წამოწევა, მსჯელობა ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდის საკითხებზე სისტემურ ხასიათს XIX საუკუნეში იღებს. ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა – ეს ის სახელებია, რომელთაც ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის მკვლევარი, ცხადია, გვერდს ვერ აუვლის. სწორედ XIX საუკუნის მეორე ნახევარში მიეცა სისტემური და გეგმაზომიერი ხასიათი ქართული სალიტერატურო ენისადმი მწერლის შეგნებულ დამოკიდებულებას. ამის თაობაზე მრავლად თქმულა...

XX საუკუნის პირველ ნახევარში ამ ხაზის ერთგული და ღირსეული გამგრძელებლები არიან მიხეილ ჯავახიშვილი და კონსტანტინე გამსახურდია თავიანთი მრავალრიცხოვანი კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილებით. ხოლო მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ამ მდიდარ ტრადიციას აგრძელებენ ანა კალანდაძე და მუხრან მაჭავარიანი... ცხადია, ამ ზოგად შესავალში ვერც სრულ და ვერც სრულყოფილ ჩამონათვალს შევთავაზებთ მკითხველს. ზოგადი სურათი კი ასეთი გვესახება.

სამწუხაროდ, დედაენის ქომაგთა და დედაენაზე მზრუნველთა რაოდენობა ჩვენს მწერლობაში იკლებს. დედაენა დღეს უყურადღებობას უფრო უჩივის. და ამ ფონზე ბედნიერ გამონაკლისად უნდა

მივიჩნით გოდერძი ჩოხელი. ჩვენი ღრმა რწმენით, XX საუკუნის ბოლო ათწლეულების მწერალთა შორის გოდერძი ჩოხელი ის მწერალია, რომელიც სრულიად შეგნებულად უდგება ენობრივ საკითხებს; ქართულ ენაზე ფიქრი მუდამ თან სდევს მის შემოქმედებას; გოდერძი ჩოხელისათვის დიდად პრინციპულია მწერლის დამოკიდებულება ენობრივი ფენომენისადმი. თავის თაობაში ის ერთ-ერთია, რომელიც ღირსეულად აგრძელებს იმ ტრადიციას, რომლის თაობაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი.

* * *

გოდერძი ჩოხელის აზრით, „მწერალი უნდა ცდილობდეს საბუნებრივით ენთოს მშობლიური ენის ტაბლაზე, რათა უფრო განათდეს ამ ტაბლაზე უხვად მიმობნეული და ხანდახან ჩრდილში მყოფი, სხვათათვის შეუმჩნეველი სიტყვები... როცა მწერალი მოკრძალებული და მონამორჩილია დედა ენის, მაშინ დედა ენაც ლოცულობს შვილისათვის და ღვთის დიდ მადლად იღვრება მწერალთა მიერ დაწერილ ყოველ სიტყვაში“.

აქ არ შეიძლება არ გაგვახსენდეს მეცნიერის მიერ თქმული: მწერალი გამომგონებელი კი არ არის, იგი პირველად მომჩენია ენობრივ საიდუმლოებათა (ბ. ჯორბენაძე). და „ჩრდილში მყოფი, სხვათათვის შეუმჩნეველი სიტყვების“ აღმოჩენის საიდუმლო იცის გოდერძი ჩოხელმა. ამიტომაც იგი მოკრძალებული და მონამორჩილია დედაენისა და დედაენაც წყალობას არ აკლებს მას; გოდერძი ჩოხელის, როგორც მწერლის, გამარჯვება დიდად განაპირობა დედაენისადმი სწორედ მისმა ასეთმა მიდგომამ.

* * *

საგანგებო ყურადღებას იმსახურებს გოდერძი ჩოხელის დამოკიდებულება დიალექტისადმი, დიალექტური (არასალიტერატურო) ქართულისადმი. წერს ერთ-ერთ ინტერვიუში: „ჩემს სოფელში მრავალფეროვნად და საინტერესოდ ლაპარაკობენ. მაგალითად, იტყვიან — გამიხარდაი, გამიხარდია, გამიხარდი. სამივე სწორია. სამივე გავრცელებულია ხალხში. მწერალი ხომ სიტყვის შემგროვებელია,

სიტყვის მომბრუნებელი, სიტყვის გადამრჩენი. მეც შევეცადე, ეს მრავალფეროვნება მეჩვენებინა ჩემი გმირების საუბარში“.

აქ ყურადღებას მივაქცევთ ფრაზას – „სამივე სწორია“. სწორი ნიშნავს ბუნებრივ ქართულს, ხალხურ ქართულს; და კიდევ, აქ იგულისხმება დიალექტურად სწორი. მწერალი განარჩევს სწორ ლიტერატურულ და სწორ დიალექტურ ქართულს. ვფიქრობთ, მიდგომა უდავოდ საინტერესო და საგულისხმოა. საგულისხმოა იმდენად, რამდენადაც ჩვენს ლიტერატურაში არაერთი შემთხვევა იყო „არასწორი დიალექტური ქართულის“ გამოყენებისა. ამის კლასიკური მაგალითია ლელთ ღუნისას საუბარი ი. ჭავჭავაძის „გზავრის წერილებიდან“ თუ მიხეილ ჯავახიშვილის „თეთრი საყელოს“ პერსონაჟთა „ხვესურული“. ეს ფაქტი თემაა. ამ მწერლებს თავიანთი მიზანდასახულობა ჰქონდათ და ამგვარი ენობრივი საშუალებით მიაღწიეს მიზანს, შექმნეს ილუზია არასალიტერატურო (ერთ შემთხვევაში მოხეური, ხოლო მეორე შემთხვევაში – ხვესურული) მეტყველებისა... თუმცა გვგონია, რომ გოდერძი ჩოხელისეული მიდგომა უფრო მართებულია, მით უმეტეს დღეს.

* * *

გოდერძი ჩოხელი არ წერს ენათმეცნიერულ გამოკვლევებს, არც პუბლიცისტურ წერილებს ქართული სალიტერატურო ენის დღევანდელ ვითარებაზე (ყოველ შემთხვევაში, მე არ ვიცი ასეთებს). იგი მწერალია და სწორედ მის მხატვრულ ნაწარმოებებში არის წარმოჩენილი მწერლის ენობრივი პოზიცია, თვალსაზრისი, დარდი და წუხილი დედაენის გამო. ამ მხრივ ძალზე საინტერესოდ გვეჩვენება მოთხრობა „მიჯაჭვული რაინდები“. ღონ კისოტი საყვედურობს სანჩო პანსას გაუმართავი ქართულის გამო: „ესპანური ენის დამახინჯება უფრო გეპატიება, სანჩო, ვიდრე ქართულისა. ვინაიდან ვთვლი, რომ ქართული უმძვენიერესი ენაა და ქართველები არ გვაპატიებენ მის დამახინჯებას“. სხვაგან: ბატონი მსახურს მიმართავს – „შევაჩვენოს ღმერთმა, ყეყეჩო, ქართული და ესპანური ენის დამამახინჯებელი“. კიდევ სხვაგან: ღონ კისოტის აღშფოთება

– „ქართულს ნუ ამახინჯებ-მეთქი, ჯოჯოხეთის გუბერნატორო“. ეს შეძახილი რეფრენივით გასდევს მოთხრობას.

ეს მოთხრობა – „მიჯაჭვული რაინდები“ – ენობრივი თვალსაზრისით რთული და საინტერესო ნაწარმოებია. მწერალი მოთხრობაში რამდენიმე სტილურ პლასტს წარმოგვიდგენს; ენობრივ საშუალებათა ფართო სპექტრს მიმართავს: ერთი მხრივ, ესაა ლუარსაბისა და დარეჯანის მეტყველება, რომელიც კახური დიალექტიზმებითაა შეჯერებული; ისინი XX საუკუნის მიწურულის ქართველები არიან კახეთიდან; ამიტომ მათ საუბარში ზომიერად შემოაქვს მწერალს ბარბარიზმებიც და ჟარგონებიც: „ფიგურას უფროთხილდები?... შუბა გინდა?... იცი, რა ტიპი ხარ, ლუარსაბ?“ და ა. შ.

მეორე მხრივ: დონ კიხოტი – შუა საუკუნეების ესპანელი რაინდია, რომელმაც იცის ქართული, რა თქმა უნდა, და ზრუნავს კიდევ ამ ქართულის დაცვაზე. ზემოთაც მოგახსენეთ რამდენიმე ამონარიდი. შუა საუკუნეების რაინდის მეტყველება არქაიზებულია: „მტერთა თქვენთა თავსა ზედა მეცადა ჩემი მახვილი“ და მისთანანი;

მესამე მხრივ: სანჩო პანსა – „მდაბიო“ ესპანელი თავის დამახინჯებული ქართულით;

სხვა მხრივ: თოთია და დედაბერი – გუდმაყრელები, ამ დიალექტისათვის დამახასიათებელი თავისებურებებით.

და წარმოვიდგინოთ ყოველივე ეს ავტორისეული სალიტერატურო ენის ფონზე. ეს უაღრესად რთული ენობრივი სიტუაცია მწერალს ძალიან ოსტატურად და მოხდენილად აქვს გამოყენებული და ეფექტიც უაღრესად შთამბეჭდავია. ეს მოთხრობა საგანგებო ანალიზს იმსახურებს: როცა ამდენი ენობრივი პლასტია, საინტერესოა, თითოეული ენობრივი ნაირსახეობიდან რომელ თავისებურებებს მოიხმობს და როგორ; რამდენად „სწორი ქართულია დიალექტურად“ შესაბამის პერსონაჟთა მეტყველება და ა. შ. ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის დიალექტიზმების ფუნქციაც გასააზრებელია; საერთოდ ყურადსაღებია სხვაობა ავტორისა და პერსონაჟთა მეტყველე-

ბას შორის არა მხოლოდ დასახელებულ მოთხრობაში, არამედ საერთოდ...

ერთი მხრივ, დიალექტოლოგი და, მეორე მხრივ, მწერლის ენის საკითხით დაინტერესებული პირი ძალიან საინტერესო მასალას იპოვის გ. ჩოხელის ე. წ. „ხეცსურულ“ მოთხრობებში, „მოხეურ“ მოთხრობებში, „კახურ“ მოთხრობებსა თუ „გურულ“ მოთხრობაში.

* * *

სიტყვაზე დაფიქრებული კლასიკოსი მწერლები საუბრობენ სიტყვის ფერზე, გემოზე, სურნელზე, მის ხმოვანებაზე... ამ მხრივ ერთ საინტერესო ფაქტზე მინდა ყურადღება გავამახვილო – როგორია მწერლური ხედვა გ. ჩოხელისა:

„ავაჰმეე!“

ეს სიტყვა რაღაცით ჰგავს გუდამაყრელ დედაკაცებს, თუკი შეიძლება სიტყვა ადამიანს ჰგავდეს და მსგავსება ზოგად სახეს ატარებდეს.

ავაჰმეე!

ეს სიტყვა დადის სახნავ სამკალზე. სათიბ სახვეტზე.

დადის წელში ოღნავ მოხრილი. შავი სამოსი აკვია ტანზე. გუდამაყრელი დედაკაცების მსგავსება ამ ერთ სიტყვაშია მომწველული. ცად აზიდული მთებით არის შემოფარგლული ეს სიტყვა. აჰ, გუდამაყრის ვიწრო ხეობაში არის მისი საუფლო... ეს პასაჟი რევავზ ინანიშვილს მაგონებს და ამითაც იწვევს ჩემს პატივისცემას მწერალი.

ზემოთ ამონარიდი მოვიყვანე, ქართულის დამახინჯების გამო რომ უსაყვედურებს პერსონაჟი პერსონაჟს. ეს გოდერძი ჩოხელის ტკივილია. წერს ერთ-ერთ ინტერვიუში: „დღეს იბერის ენა, სამწუხაროდ, საგაზეთო, საპარლამენტო და „უარგონებით“ სამეტყველო ენად გადაიქცა, რაც მაღლსა და ელფერს უკარგავს. მას ავადმყოფობა შეეპარა. ქართველი კაცი მოსწყდა წიგნს და, მაშასადამე, სალიტერატურო ენასაც“.

ამ მოკლე საუბარს თემაზე – გოდერძი ჩოხელი და ქართული ენა – დავამთავრებ იმის აღნიშვნით, რომ გოდერძი ჩოხელი თავისი შემოქმედებით, თავისი მოღვაწეობით, თავისი ცხოვრების წესით ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ განეკურნა იბერიის ენა და ტრადიციული სიჯანსაღე, მაღლი და ელფერი დაებრუნებინა და შეენარჩუნებინა მისთვის...

ეს საუბარი წინასწარ მოხსენებად შეიძლება ჩაითვალოს: თემა – გოდერძი ჩოხელი და ქართული ენა – ფართო თემაა; იგი მრავალმხრივ და ჩაძიებულ ღრმა ანალიზს იმსახურებს. მჯერა, ასეთი ნაშრომებიც შეიქმნება.

მწერლის ენობრივი თავისუფლება და სალიტერატურო ენის ნორმა

წერილი I: სუბიექტური მეორე და ობიექტური მესამე პირთა გამოხატვა ზმნაში

თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში ერთ-ერთ ყველაზე სადავო და მოუწესრიგებელ საკითხად ითვლება -3 და -ს თავსართების ხმარება ზმნაში. მე არ ვგულისხმობ მომრავლებულ ჟურნალ-გაზეთებს, ანდა „წერა-კითხვის მცირემცოდნე მწერალთა“ ნაწერებს. კლასიკოს მწერლებს ეხება საქმე.

აკაკი შანიძე შენიშნავს: „დღესაც ერთად-ერთი საზომი ჰაესა და სანის ხმარების საკითხის გადასაჭრელად არის თვითეული მწერლის სურვილი და მოწონება: ვისაც როგორ მოსწონს, იმგვარად ხმარობს საუბარშიცა და წერაშიც“.

რას ნიშნავს მწერლის „სურვილი და მოწონება“? რა განსაზღვრავს მას? ეს „მწერლის სურვილი და მოწონება“ ე. წ. „მწერლის ენობრივი თავისუფლების“ სფეროში შედის, თუ რაიმე ენობრივი კანონზომიერება უდევს საფუძვლად მას?

„სურვილი და მოწონება“ რომ არ არის შემთხვევითი ხასიათისა, იქიდანაც ჩანს, რომ კლასიკოსი მწერლები პრინციპულად მოითხოვენ ამ თავსართების (-3 და -ს) დაცვას თავიანთ ნაწერებში:

ვაჟა-ფშაველა სთხოვდა თავის გამომცემლებს, 3-ს არ შეხებოდნენ: „ამასთან გთხოვთ უმორჩილესად, ბგერა „ჰ“ დაიცვათ ჩემს ნაწერებში ისე, როგორც მე ვხმარობ“.

აკაკი წერეთელი იუმორს მოიშველიებს: ფრაზაში ჰყვავის გურია 3-ს თუ ამოვადებთ, ყვაეების ქვეყანაზე იქნება საუბარიო.

ილია ჭავჭავაძე ხელნაწერების ვარიანტებში საგანგებოდ მუშაობდა -ჰ/-ს პრეფიქსების ჩასწორებაზე... ალბათ, აქ არ იქნება ურიგო ერთი ფაქტის გახსენებაც: 1888 წლის 8 მარტს „ივერიის“ რედაქციაში ილიას ინიციატივით გაიმართა საგანგებო თათბირი „განსახილველად საგრამატიკო საგანთა იმ აზრით, რომ ერთი საერთო, საყოველთაო კანონი აიხსნას და დაიდგინოს მწერლობაში სახმარებლად“. ცხრა პუნქტიან საკითხთაგან მესამე და მეოთხე ასე იკითხება: „3) რა დროს და რა შემთხვევაში აუცილებლად საჭიროა ასო „ჰ“ ზმნის ხმარებაში? რის ნიშანია იგი: მოქმედი პირისა, თვით მოქმედებისა, მოქმედების მიმართულებისა, ცალ-ცალკე, თუ ყოველისავე ამისა საერთოდ? სახეში იქონიეთ შემდეგი მაგალითები: „მიყიდე“ და „მიჰყიდე“, „შველით ვერც თქვენა ჰშველით“, „დატრიალებს“ და „დასტრიალებს“; 4) ამ შემთხვევაში ასო „ს“ და ასო „ჰ“ ერთნაირად შესაწყნარებელია, თუ არა, მაგ., „სწერ“, „სწერს“, „ჰწერ“, „ჰწერს“; შეიძლება ერთმა მეორის მაგიერობა გასწიოს, თუ არა? თუ შეიძლება, რა შემთხვევაში“. ფაქტი უდავოდ საინტერესოა...

ვრცლად მსჯელობს ამ თემაზე იაკობ გოგებაშვილიც. ორიოდე ამონარიდი: „ამ ასოს (საუბარია ჰ-ზე) გაუქმებით იმისთანავე არევ-დარევა ფორმებისა მოხდება, რომელიც წინად აღვნიშნეთ. მოაკელით ზმნას ჰყვავის ასო ჰ და გამოვა ნათესაობითი ბრუნვა სახელ არსებითისა – ყვავის... ავიღოთ ფრაზა: გიორგის ტვინი ჰქონია, რაც ნიშნავს გიორგის ნიჭიერებასა. გამოაკელით უკანასკნელს სიტყვას ასო ჰ და გიორგი გამოვა უტვინო, სულელი, უნიჭო... სწორედ ასეთსავე ვნებას აყენებს ჩვენი გრამატიკოსი (ს. ხუნდაძე – გ.გ.) ქართულს ენას, როცა სპობს ასოს ს ზმნის დასაწყისში...“ და სხვა.

კ. გამსახურდიასთვისაც ეს თემა ერთ-ერთი მტკივნეულია: „აკადემიკოსი თოფურია კვლავ მტრულადაა განწყობილი „ჰ“ და „ს“-ს მიმართ... ჩვენი ლინგვისტები ამტკიცებენ, „ჰ“ ყრუა და ამიტომ აღარ გვესაჭიროებაო. ეს გახლავთ სმენის ამერაციის შედეგი. სიტყვებში: „ჰქონდა“, „მიჰქრის“, სრულიად არაა ეს ასონიშანი ყრუ. მიქრის – ეს ზომ ღიმილის მომგვრელი სიტყვაა... იგივეა „ჰყვავის“ ნაცვლად „ყვავის“ რომ ითქვას... მე გაოცებული ვარ, რამ

შეაძულათ ჩვენს ენათმეცნიერებს ჰაე... სავსებით გაუგებარია, რად შეიძულეს ასონიშანი სანი. „ჩანს“ – რა ქართულია; უცილოდ უნდა დაიწეროს „სჩანს“, „სწერს“ და არა „წერს“.

არაერთი შენიშვნა აქვს მ. ჯავახიშვილს ამ თემაზე თავის ცნობილ „ბლოკნოტებში“; მწერალს ხშირად აღიზიანებს კიდევ „მშრალი“ გრამატიკული წესები: „მარტო გრამატიკოსს ჯერ არსად შეუქმნია ენა. საჭიროა დიდი შემოქმედიც, ან თავდაპირველად შემოქმედის, რომელიც სანიშნოდ დროშას ჰქსოვს ეპოქისათვის. და მებრძოლ ლაშქარსაც, ბელმა თუ განგებამ, უცებ მოუვლინა მედროშე“.

ცხადია, მეცნიერული კამათი აქ წარმოდგენილი აზრების შესახებ შედეგს ვერ მოგვცემს. ჩვენ შეიძლება კითხვა დავსვათ: რატომ უნდაღებათ სურვილი მწერლებს, ამ თემაზე ეკამათონ ენათმეცნიერებს? ხომ არის საკითხები, რომლებშიც ისინი ეთანხმებიან ლინგვისტებს? აქ რა ხდება? რას ხელავენ მწერლები ამ ფორმებში (ჰ-ყვავის, ს-ჩანს...) ისეთს, რასაც ვერ ვამჩნევთ ენათმეცნიერები? რატომ მიაჩნიათ, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში სწორია ჰ-ყვავის, ს-ჩანს და მისთანანი (ე. ი. არანორმატული ფორმები) და არა, ასე ვთქვათ, ნორმატული (ყვავის, ჩანს...) ფორმები? ხომ არ დადგა დრო, ვისაუბროთ ჰ და ს პრეფიქსების „რალაც სხვა ფუნქციებზე“ ამ ტიპის (ე. წ. არანორმატულ) ფორმებში? ერთიც გავსაზოთ: ფაქტია, სამსჯელობო ფორმებში უმეტეს შემთხვევაში წარმოდგენილი არის სუბიექტური მეორე და ობიექტური მესამე პირი და მორფოლოგიურად მათზეა მინიშნება, თუმცა შემოდის დამატებითი ნიუანსიც. და ეს დამატებითი ნიუანსი ახალი ქართულის შენამენი ჩანს.

ერთი კონკრეტული მაგალითი: ძველ ქართულში მეორე პირს ბრძანებითის ფორმებში ნიშანი არ ჰქონდა და ეს იყო წესი:

თხრობითი: და-ს-წერე	ბრძანებითი: და-წერე!
ჰ-კითხე	კითხე!

ახალ ქართულში პირიქითაა: ხშირ შემთხვევაში თუ ზმნას თხრობითში ჰ ან ს თავსართი არა აქვს, ბრძანებითის ფორმებში გამოჩნდება:

არ გა-ს-ტყდეთ, ქართველის შვილებო! (გ. ლეონ.); აღ-ს-დექ, საქართველოვ! (გ. ლეონ.); გა-ს-წი, გა-პ-კურცხლე, ჩემო მერანო! (ნ. ბარათ.); დროშა ქვეით და-ს-წიე! (მ. ჯავახ.); არ გა-პ-ბედო! (მ. ჯავახ.); ს-თქვით, მიაძბეთ, რა მოხდა! (მ. ჯავახ.); მიდი, და-პ-კა! (მ. ჯავახ.); შე-ს-დექთ, ბედკრულნო! (ო. ჩხეიძე), ღმერთო ჩა-პ-ქოლე, ჩა-პ-ქოლე ღმერთო! (ო. ჩხეიძე); ნუ ს-ტირი, მშვენიერო! (ვ. ბარნ.); ნუ ს-ჩქარობ, ყაფლან! (ბ. ბარნ.); ანდა: რატომ არის „ა-დექი“, მაგრამ „შე-ს-დექი“ და მისთანანი.

არ ჩანს შემთხვევითი ეს ფაქტები. აქ მეორე პირის ნიშანს, გარდა პირზე მინიშნებისა, დამატებითი ნიუანსი შემოაქვს, არა გრამატიკული, არამედ სტილისტური... უფრო მეტიც, პირის ნიშნის ქონა-არქონა პირზე მინიშნების საკითხს არ ცვლის: მეორე პირს მიემართება როგორც თავსართიანი, ისე უთავსართო ფორმები (თქვი. და ს-თქვი!, ჩა-ქოლე. და ჩა-პ-ქოლე!). ის „დამატებითი ნიუანსი“ არსებითი ჩანს – თითქოსდა რაღაც ინტენსიური მოქმედება აისახება... ეს ფაქტი შესწავლას საჭიროებს... რაც შეეხება ერთპირიან ზმნებს (ს-ჩანს, ს-ღვას, ს-ტირის, პ-ყვავის, პ-კვირობს და მისთანანი) აქ თავსართის მორფოლოგიურ ფუნქციაზე საუბარი არ შეიძლება (არც საუბრობენ, ზედმეტი პირის ნიშანიაო, ამბობენ); ალბათ იგივე უნდა ითქვას ორპირიან გარდამავალ ზმნებზეც (ს-თქვა, და-ს-წერა, მო-პ-კლა, ჩა-პ-ქოლა...): აქაც არ უნდა პქონდეს ამ თავსართებს მორფოლოგიური დატვირთვა, პირდაპირ ობიექტზე არ უნდა მიანიშნებდეს... ამიტომაც, იმავე კ. გამსახურდიასთან, მ. ჯავახიშვილთან, ვ. ბარნოვთან, ო. ჩხეიძესთან ამ კუთხით აუცილებელიცაა საკითხის შესწავლა-განხილვა (საკითხი ასეც შეიძლება დაისვას: ერთგვარია თუ არა ამ თავსართთა გააზრება სხვადასხვა მწერალთან?)... პ- და ს- პრეფიქსთა ფუნქციების რეინტეპრეტაცია ხდება, უნდა დადგინდეს ამ თავსართების რეალური ფუნქცია. ეს პროცესი არ ჩანს ახალი დაწყებული. ამ თვალსაზრისით უნდა გადაიხედოს ახალი ქართული ენის ძეგლები, დიალექტები. ამიტომ საუბარი იმის თაობაზე, რომ მწერალი არღვევს ენობრივ ნორმებს და უშვებს შეცდომებს, საფრთხილოა... ალბათ ამ შემთხვევაში სილოვან ხუნდა-

ძეც უნდა გავიხსენოთ: ამგვარ საკითხებზე მსჯელობისას მას „კეთილხმოვნების პრინციპი“ შემოჰქონდა: „კ არ არის ორგანული ქართული ბგერა და მიუღებელია კეთილხმოვნების თვალსაზრისითაც“. კეთილხმოვნება ძალიან სუბიექტური ფაქტორი ჩანს: ის, რაც კეთილხმოვანი შეიძლება იყოს ერთისთვის, არაკეთილხმოვანი შეიძლება აღმოჩნდეს მეორისათვის და პირიქით; თუმცა არ გამოვიციხავთ, ამ შემთხვევაში ს. ხუნდაძეც ვერ ამბობს იმას, რასაც გრძნობს... ამ თვალსაზრისით უდავოდ ღირსსაცნობია ი. გოგებაშვილის ერთი შენიშვნა: „ასო ს მოშორებით ბევრი ზმნა სრულიად ჰკარგავს თავისს განსაზღვრულს მნიშვნელობას, ჰკარგავს თავისს ჯეროვანს სახეს და სრულიად სხვა რამედ იქცევა. ასეთი გარდაქმნა სიტყვისა კი წმინდა რეგრესულია და ენის გალატაკებას უწყობს ხელსა“.

ჰ- და ს- თავსართებზე მსჯელობისას საგანგებო ყურადღებას იმსახურებს დიალექტური მონაცემების შესწავლა; ერთი საინტერესო დეტალი: დღევანდელ ქართულ დიალექტებში სუბიექტური მეორე და ობიექტური მესამე პირის ნიშნად თვრამეტი (ჩვენი ანგარიშით) ვარიანტია დადასტურებული. სალიტერატურო ენის ნორმათა შეგნებულ თუ შეუგნებელ დარღვევაზე საუბარი აქ არ შეიძლება: პერიფერიული ქართველი საუბრობს ისე, როგორც მას მიაჩნია საჭიროდ (სწორად) იმ ენობრივი რეალობისათვის. ვფიქრობთ, როგორც კლასიკოს მწერალთა შემთხვევაში, ისე დიალექტურ მეტყველებაში ეს პრობლემა მეტ ყურადღებას იმსახურებს; საკითხის ასეთი გადაწყვეტა მარტივი და არასწორი შეფასება მგონია მოვლენისა: „ამ საქმეში დიდი არეუ-დარევაა: სადაც ნიშანი საჭიროა, ბევრგან არ წერენ, ხოლო სადაც საჭირო არაა, ასევე ბევრგან წერენ“ (ი. იმნაიშვილი).

ვიმედოვნებ, საკითხის ასე დასმას გამოეხმაურებიან კოლეგები, მწერლები...

წერილი II: ბილწსიტყვაობა – „უნიჭო საშუალება
მკითხველზე ზემოქმედების მოხდენისა“

ის, რაზეც ამ წერილში მინდა ვისაუბრო, სალიტერატურო ენის ნორმად პირობითად შეიძლება მივიჩნიოთ; ეს უფრო ზნეობრივი, ეთიკური ნორმების სფეროა...

* * *

ცნობილმა ნორვეგიელმა ქართველოლოგმა ჰანს ფოგტმა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რეატომეულის (1950-1964 წ.წ.) გამოცემის გამო რეცენზია გამოაქვეყნა უცხოეთში. მეცნიერი გამოცემით აღფრთოვანებული იყო, თუმცა შენიშვნასაც გამოთქამდა: ლექსიკონში „გამორიცხულია სალანძღავი და უცენზურო სიტყვები. სამწუხაროა მათი შეუტანლობა; ესენი არცთუ ისე დიდი ხნის ტაბუს მსხვერპლია. იმისათვის, რომ ამ სიტყვებმა მოიპოვონ ლექსიკონში შეტანის უფლება, საჭიროა აღბათ, რომ ისინი მკვდარ ენებს – ლათინურს, ბერძნულს, სანსკრიტს – ეკუთვნოდნენ. შევნიშნავთ, რომ მოხუცი სულხან-საბა უფრო ლიბერალური იყო ამ თვალსაზრისით. თუ ლექსიკონი არის პრინციპში სალიტერატურო, სამწერლო ენის ლექსიკონი, ავტორებმა ხომ მაინც შეიტანეს თანამედროვე სალაპარაკო ენის ბევრი სიტყვა და გამოთქმა, რომლებიც არაა დადასტურებული ნაბეჭდ ტექსტებში“... ე. ი. ეგრეთწოდებული სკაბრეზული ლექსიკის შეუტანლობა ნაკლად მიიჩნია სწავლულმა. გამომცემელთა არგუმენტი ასეთი ყოფილა – ესაა სალიტერატურო, სამწიგნობრო ენის ლექსიკონი და, რაც არაა დადასტურებული წიგნის ენაში, არ უნდა იქნეს შეტანილი...

ისიც საინტერესოა: სულხან-საბას „სიტყვის კონის“ პირველმა გამომცემელმა რაფიელ ერისთავმა (1884 წ.) ასეთი ლექსიკა გამოცემაში არ შეიტანა; თუმცა 1928 წლის გამოცემაში (იოსებ

ყოფშიძისა და აკაკი შანიძის რედაქციით) ლექსიკონი სრულად დაიბეჭდა. ასევეა შემდგომ გამოცემებში.

აქ ერთი საკითხია: უნდა იყოს თუ რა სკაბრეზული გამოთქმები ლექსიკონებში? აქაც არაა აზრთა ერთგვარობა. რამდენიმე წლის წინათ ინგლისურ-ქართული ლექსიკონი რომ გამოიცა, საკმაო აჟიოტაჟი მოჰყვა ამგვარი ლექსიკონის შეტანას მასში...

მაგრამ სულ სხვაა ბილწსიტყვაობის ასახვა მხატვრულ ლიტერატურაში. არადა მდგომარეობა ამ მხრივ სერიოზულად დამძიმდა...

* * *

ერთმა ცნობილმა ჟურნალისტმა ამ რამდენიმე წლის წინათ გაზეთი გამოსცა („ნატურისთვალი"). ერთ-ერთ მასალაში პერსონაჟი ბილწსიტყვაობდა. რედაქტორს ვკითხე, საზოგადოებაში ვინმემ რომ გითხრას, ხმამაღლა წაგვიკითხეო, თუ წაიკითხავ-მეთქი ამ მასალას. მიპასუხა, გაზეთი იმიტომ არ გამოდის, რომ ხმამაღლა იკითხოო...

ერთ ხელმოცარულ პოლიტიკოსს, ყოფილ ადვოკატს, შეხლა-შემოხლა მოუხდა სამართალდამცველებთან. დაიჭირეს – უცენზურო სიტყვებით მიმართვისათვის ბრალი წაუყენეს. თავი იმართლა ადვოკატმა: ცენზურა ხომ მოიხსნა, ამიტომ უცენზურო სიტყვებიც აღარ არსებობსო...

მოკლედ, ბილწსიტყვაობის გამოყენების საკითხი მახვილსიტყვაობისა თუ „მოდური დიალოგების" საგანი გახდა... არადა, არ არის ასე...

ინტერნეტის სოციალურ ქსელებში წარღვნააო ბილწსიტყვაობისა... ამბობენ, საგანგებო პროგრამებიც კი შეუკვეთეს, რომ დაიბლოკოს ამგვარი ლექსიკა, გამოთქმები...

საერთოდ, ეს რა მოვლენაა, რასთან გვაქვს საქმე?

ერთხელ ჟურნალისათვის („ბურჯი ეროვნებისა") ქალბატონ ანა კალანდაძისაგან ინტერვიუ ავიღე. ასეთი კითხვა დაუესვი: „ქალბატონო ანა, თქვენ ბევრს საუბრობთ ქართული ენის სიწმინდის, მისი ღირსების დაცვის შესახებ. რა აზრის ბრძანდებით, საერთოდ, სალიტერატურო ენის ნორმირების თაობაზე და როგორ

წარმოგიდგენიათ მწერლის „ენობრივი თავისუფლება“? ძალიან საინტერესო პასუხი მივიღე:

„როგორც ცნობილია, სალიტერატურო ენის ნორმები მეტ-ნაკლებად ყოველთვის ირღვეოდა, მაგრამ ქვეყანაში მომხდარი ისტორიული კატაკლიზმების დროს, ეს უფრო ხელშესახები ზდება ხოლმე, – სალიტერატურო ენაზე იკარგება კონტროლი და იგი მალევე იტბორება „ცუდმეტყველებით“... – ეს ზოგადად, და ამას მოაყვალა:

„სალიტერატურო ენა ნორმირების გარეშე არ არსებობს. ენობრივი თავისუფლებაც „შეცნობილ აუცილებლობათა“ რიგს განეკუთვნება. არა მგონია, ბილწსიტყვაობა, რომელიც დღეს ასე თავმოწონებით იკიდებს ფეხს ჩვენს მწერლობაში, „მწერლის ენობრივი თავისუფლების“ მაჩვენებელი იყოს! მას... ნარკომანიაზე ნაკლები ზიანი არ მოაქვს ჩვენი ახალგაზრდობისათვის, ქვეყნისათვის! დიდი ილიას ნათქვამს (სხვა ვითარების გამო) გავიხსენებ: „მის მაყურებელ ერს ხომ გული უტყდება თავის-თავზე, სასოება და იმედი ეკარგება და აქედან განა დიდი მანძილიღაა სრულ განადგურებამდე! (ყურადღება მიაქციეთ სამ წერტილს, სანამ ნარკომანიას ახსენებს – ქალბატონი ანა სერიოზული დაფიქრების შემდეგ აკეთებს ამ დასკვნას) (პასუხები წერილობით მოგვაწოდა).

გავიმეორებთ: კლასიკოსის აზრით, ბილწსიტყვაობას ნარკომანიაზე ნაკლები ზიანი არ მოაქვს ერისათვის, ქვეყნისათვის; ორივეს ერთად ქვეყანა განადგურებისაკენ მიჰყავსო...

პრობლემურია და მტკივნეული ჩემთვის ეს თემა... ამიტომაც შეძლებისდაგვარად ავტორიტეტულ პიროვნებათა აზრითაც დაეინტერესდით. ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ სალონში რეჟისორ რობერტ სტურუასთან შეხვედრის დროს გავიხსენე ქალბატონი ანას ზემომოყვანილი პასუხი და ბატონ რობერტს ვკითხე: „ამ ბოლო დროს ბილწსიტყვაობა სცენიდანაც ხშირად გაისმის და, რაკი მაყურებელი არც ამას ზვდება ერთგვაროვნად, მინდოდა მეკითხა: თქვენ რას

ფიქრობთ ამგვარი „თავისუფლების“ შესახებ?“ მე, როცა კითხვას ვსვამდი, უპირველესად მიხედველობაში მქონდა რუსთაველის თეატრის სპექტაკლი „მერე რა, რომ სველია სველი იასამანი“, რომელიც რ. სტურუამ დადგა. ცხადია, ბატონი რობერტიც მიხვდა, რატომ გაჩნდა ეს კითხვა და მიპასუხა:

„კვიმინგუემ პირველად რომ დაწერა უხამსი სიტყვა, საშინელი სკანდალი ატყდა, მაგრამ შემდეგ დრომ თავისთავად ახსნა ცაბუ რაღაც-რაღაცებს, არა იმიტომ, რომ ვილაცამ ასე გადაწყვიტა, უბრალოდ ცხოვრება გახდა ასეთი. პირველად ქართულ სცენაზე ბილწსიტყვაობა მაშინ გაისმა, როცა ლაშა თაბუკაშვილის პიესა „მერე რა, რომ სველია სველი იასამანი“ დაედგო, მაგრამ აქ სხვანაირად ვერ მოვიტყეოდი. ეს გმირები ამ ენაზე საუბრობენ და როგორც კი ლიტერატურულად ალაპარაკებ, სიყალბეში გადავა. თუმცა ჩვენ ბევრი ვიმუშავეთ მაშინ, ის სიტყვები ძალიან ყურშისაცემი რომ არ ყოფილიყო. ცხადია, მე თქვენს მხარეს ვარ, ენობრივ თავისუფლებას თავისი საზღვრები სჭირდება, მაგრამ თეატრის თავისუბურებებიდან გამომდინარე, ზოგჯერ ეს არ ხერხდება“.

როცა ამ პასუხს ვისმენდი, ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, ბატონი რობერტი სხვას ფიქრობდა და... სხვას ამბობდა... თუმცა ბოლოს მაინც ის თქვა, რასაც ფიქრობდა („მე თქვენს მხარეს ვარ, ენობრივ თავისუფლებას თავისი საზღვრები სჭირდება“).

ისე მაინც გამოსავლის ძიება მგონია ასეთი პასუხი: „ეს გმირები ამ ენაზე საუბრობენ და როგორც კი ლიტერატურულად ალაპარაკებ, სიყალბეში გადავაო“... უამრავი ენობრივ-სტილისტური საშუალება არსებობს, ახალგაზრდული მეტყველების თავისებურება რომ გადმოიცეს (ჟარგონი, სპეციფიკური ლექსიკა, გამოთქმები, სინტაქსური ვარიანტები...), რომ საუბარს ბუნებრიობა შეუნარჩუნო ბილწსიტყვაობის გარეშე...

მწერალ როსტომ ჩხეიძეს მოჭარბებული ბილწსიტყვაობა ასეთ კომენტარს გააკეთებინებს: ნიჭიერ მწერალს „რაში სჭირდება,

თორემ ეს ჩვენი უნიჭო-უუნარო კალმოსნები მთელი სულითა და გულით რომ დაწაფებიან სკაბრეზსა და ბილწსიტყვაობას, რა გასაკვირია,.. თუმცა იქვე დააზუსტებს: „თვითმიზნურად რომ ასხვავებენ, თორემ თავის ადგილას – მეტად იშვიათად და დიდი სიფრთხილითა და გემოვნებით – ერთსაც შეიძლება მიმართო და მეორესაც. არც დიდი ლიტერატურა გადარჩენილა უამისოდ და არც ფოლკლორი – უძველესი ჟამიდან დღევანდლამდე“. და, რაც მთავარია, რ. ჩხეიძე ყოველივე ამას ენობრივ სისპეტაკესთან აკავშირებს: „ბესიკ ხარანაული ლექსებსა და პოემებში ყოველთვის ინარჩუნებდა სისპეტაკეს, არსად არაფერი წაცდებოდა“...

და სწორედ ეს არის – ენობრივი სიწმინდის, ენობრივი სისპეტაკის პრობლემა გვიდგას. მომრავლებულ ტელემოუებში, გასართობ პროგრამებში იუმორის გამობატვის ერთადერთი საშუალება ბილწსიტყვაობა რომ არის, ზღვარგდასული უხამსობა – ეს უკვე შეურაცხყოფაა საზოგადოებისაც და დედაენისაც; უნიჭობის გამოხატვის საშუალება...

ცხადია, ამ წერილში მე არ ვაპირებ იმ გულისამრევი მაგალითების მოყვანა-გამეორებას, ასე უხვად რომ არის ახალგაზრდულ მწერლობაში (და, სამწუსაროდ, არაახალგაზრდულშიც). ყოველივე ამის საღი ანალიზი შემოგვთავაზა ახალგაზრდა ლიტერატორმა ლევან ბებურიშვილმა („მწერლობის „მოთვინიერება“ გრძელდება“, თბილისი, 2012)...

იმის გააზრებაც მიჭირს, ასეთი რამ, რასაც ახლა დავიმოწმებ, მართლა სჯერათ თუ პოზაა: ანა კორძაია-სამადაშვილს ეკითხება ლაშა ბაქრაძე: „საჭიროა თუ არა ამდენი ცუდი, უზრდელოური, ცხოვრებისეული სიტყვები?“ (კომენტარი აქაც შეიძლებოდა გაკეთებულიყო – „ცხოვრებისეული სიტყვები“ არაა სინონიმი „ცუდისა“, „უზრდელისა“... – გ. გ.). ა. კორძაია-სამადაშვილის პასუხი:

„დღევანდელ დღეს სხვას ხომ არაფერს ვისმენთ და ტყუილს ხომ არ ღაწვევრდი?!“

ლ. ბაქრაძე — „ე. ი. რეალობას გადმოსცემთ?“

ა. კორძაია-სამაღაშვილი — „მე ხომ ფანტაზია არა მაქვს“...

უფრო „დამაჯერებელია“ ზ. ბურჭულაძის ახსნა-განმარტება: „დღევანდელ დღეს, საბაზრო ეკონომიკის ჯუნგლებში არაფერს აქვს ისეგვარად დიდი გასავეალი, ვით უღვთო ბილწსიტყვაობას. და მეტადრე, მხატვრულ ლიტერატურაში. მეტიც, ერთადერთი, რაც კი აცოცხლებს დღემდე ამ გადასაშენებელ დარგს, მხოლოდ ბილწსიტყვაობაა. ბილწსიტყვაობა და პორნოგრაფიული ეპიზოდების დეტალური აღწერილობა... რომ არა უბოდიშო და უშვერი სიტყვებით ჟონგლიორობა, გინდ დაიჯერე, გინდ არა, ლიტერატურა, როგორც დარგი, მალე ისევე ამოწურავს თავის თავს, ვით, ეთქვათ, სქოლასტიკამ ამოწურა“...

ასეთ რამეზე კომენტარი ალბათ არ უნდა გაკეთდეს... როგორც ჩანს, „ამათი“ „მწერლობა“ და ჭეშმარიტი მწერლობა სხვადასხვა რამაა... „ამათი“ „მწერლობა“ სხვა „ფასეულობაა“, სხვა „რეალობაა“... ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროთ, მაგრამ ქართული ენის სისპეტაკე? ქართული ლიტერატურის სიწმინდე?! ქართული ტრადიციული მორალი და ზნეობა? ვისა აქვს უფლება მისი ხელოვნებისა?

და ესეც: როცა ამ თემაზე ვფიქრობ, „რეალური ცხოვრების“ ამსახველი არაერთი ნაწარმოები მახსენდება... თუნდაც: „ოთარაანთ ქვრივი“ გავიხსენოთ, დედა რომ შეაგინა გიორგის მეჯინიბემ. „გმირები რომელ ენაზეც საუბრობდნენ“, „იმ ენაზე“ თუ არ აალაპარაკა ილიამ, „სიყალბეში გადავიდა?“ მწერლის ნიჭიერებაა გარანტი ბუნებრიობისა; სიყალბეს ნიჭიერება სძლევეს. და ენის სისპეტაკეს, ენის სიწმინდესაც ნიჭიერება იცავს! არ შეიძლება შეწყნარება ამგვარი ენობრივი კომპრომისებისა; თუმცა არ არის ეს კომპრომისი — ეს გამეტებაა ენისა. აქვს პოეტს ასეთი სტრიქონები: „სიტყვა,

რომელიც გეჩოთირება, ვცდილობ გამორო, რაც შემძღია". რატომ არ უნდებათ დღეს ეს განცდა იმ შემოქმედებს, რომლებიც ასე გულუხვად და უშურველად მიმართავენ სკაბრეზს?...

და ერთიც: თაობებს ვზრდით ამ ბილწსიტყვაობის კორიანტელში. პატარა შვილიშვილს ბებია გაუჯაერდა, ცუდი სიტყვა რატომ თქვიო; ეზოში აღარ გაგიშვებ, იქ სწავლობ ასეთ სიტყვებსო... არაო, გულწრფელად ირწმუნებოდა პატარა – ტელევიზორში, „ჩემი ცოლის დაქალებში“, თქვეს ეს სიტყვაო... ველარ აუხსნა ბებომ, ის, რაც ტელევიზიით ითქვა, რატომ არ შეიძლება გაიმეოროს ბავშვმა...

დასკენა: ბილწსიტყვაობა არ არის მწერლის „ენობრივი თავისუფლების" გამოვლენა, იგი ეთიკის და ზნეობის სფეროს კუთვნილებაა...

წერილი შესაბამე: სასვენი ნიშნები

სასვენი ნიშნების მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე ბევრი თქმულა. ღიმილისმომგვრელ არგუმენტებსაც იშველიებენ ამისათვის: „ისწავლე მამაშენივით ვირი არ გამოხვიდო!“ – მძიმის დასმა მეორე სიტყვის შემდეგ დალოცვაა, პირველი სიტყვის შემდეგ – შეურაცხყოფა (ერთ კლასიკოსს მიაწერენ ამ ზუმრობას)... ანდა იმპერატორის ბრძანებაში – „казнить нельзя помиловать!“ – მძიმის მეორე სიტყვის შემდეგ დასმით სიკვდილისაგან იხსნეს სიკვდილმისჯილი (პირველი სიტყვის შემდეგ მძიმის დასმა სასიკვდილო განაჩენი იქნებოდა...).

ერთი საინტერესო საბავშვო ლექსიც არსებობს ამ თემაზე (ვახტანგ გოგოლაშვილისა):

*„ვნაზე გოგო პატარა. თეთრი ქუდი ეხურა
აივანზე შემომჯდარ პაწაწინა ბელურას.
კობტა ფრთები შეენოდა ბაღში ლოკოკინას;
მოეკიდა ზურგზე საკუთარი ბინა
ყოყლოჩინა ყვინჩილას. ეკრა ოქროს დეზები
კალმასს. უკან დასდევდნენ ათასფერი თევზები
მინდვრად ხარებს გოგო მიღენიდა წყნარად...
უცნაური ლექსი დაეამთავროთ, კმარა.*

* * *

*დაესვათ თავის ადგილზე წერტილი და მძიმე,
წაიკითხეთ ზეღაზლა, აღარ გაიცინებთ.*

* * *

*ვნაზე გოგო პატარა, თეთრი ქუდი ეხურა.
აივანზე შემომჯდარ პაწაწინა ბელურას*

კოხტა ფრთები შეენოდა,
 ბაღში ლოკოკინას მოეკიდა ზურგზე საკუთარი ბინა,
 ყოყლოჩინა ყვინჩილას ეკრა ოქროს ღეზები;
 კალმახს უკან დასდგდნენ ათასფერი თევზები;
 მინდვრად ხარებს გოგო მიდენიდა წყნარად —
 უკვე დროა, ლექსი დაეამთავროთ, კმარა.

* * *

ჰოდა, არ დაიჯეროთ, თუკი ვითხრათ ვინმემ,
 არ არისო საჭირო წერტილი და მძიმე".

პუნქტუაციის საჭიროებაზე საუბარი თითქოსდა არცაა საჭირო... რომ არა ერთი მომენტი: მწერლის ენობრივი თავისუფლება რამდენად ეგუება მკაცრ გრამატიკულ წესებს?

თავის დროზე კონსტანტინე გამსახურდია წერდა: „დედანს საშინელი სისწრაფით ვწერ. შავში სასვენ ნიშნებს უნდა გადავახტე (მე მგონია: როცა ჩვენი მკითხველები კითხვასა და ნაწერის გაგებაში უკეთ გაიწაფებიან, სასვენი ნიშნები უნდა გავაძევოთ. ეს დიდ დროს გვართმევს. ძველებს ხომ ჩვენებური სასვენი ნიშნები არა ჰქონიათ, მაინც კარგად წერდნენ. პირადად მე არა მგონია ასეთ რამეს რომ მოვესწრო". სხვათაშორის ამ ამონარიდში ორი წერტილი „არასწორადაა" დასმული და ბოლო წინადადებაში მძიმე „აკლია" — გრამატიკული წესებით...

ეს არ არის ერთადერთი შემთხვევა, როცა მწერალი უემაყოფილოა არსებული წესებით და გარკვეულ რეფორმას მოითხოვს. ოთარ ჩხეიძის ჩანაწერიდან (ვახტანგ ჭელიძეს მიმართავს): „თქვენ რომ რედაქტორი დამინიშნეთ „ტინის ხილისა" შიშობს, ჩემს პუნქტუაციას არ თანხმდება, — ეუბნები ვახტანგსა, — დამსჯიანო და შიშობს. მე არ მომწონს ეს სქოლასტიკური პუნქტუაცია, აუარებელი და ზედმეტი მძიმეებია, უნდა განიტვიროთოს. „მეც ასე მგონია, — ამბობს ვახტანგი, — როგორც გინდოდეს, ოლონდ სჯობს დაიწეროს კიდევაც". კიდევაც ვაპირებმეთქი, თუ თანახმა ხარ, შენც მოა-

წერე ხელიმეთქი. კარგო, თანხმდება"... სამწუხაროდ, ასეთი წერილი არ დაწერილა...

უნივიან, ერთი მხრივ, სასვენი ნიშნების არასწორად ხმარებას, მეორე მხრივ – ზედმეტი სასვენი ნიშნების გამოყენებას. პროფ. ზ. ჭუმბურიძემ წერილიც გამოაქვეყნა – „ძძიძეების ნიაღვარმა წალეკა პრესის ფურცლები" (1996 წ.)...

ცხადია, პრესაში, სამეცნიერო თუ სხვა სახის ოფიციალურ დოკუმენტებში სასვენი ნიშნების სწორად, გრამატიკული წესების მიხედვით გამოყენება არაა სადავო თემა. საქმე სხვაა: რა ხდება მსატერულ ტექსტში... ე. წ. „ენობრივი თავისუფლება" რის უფლებას აძლევს მწერალს...

* * *

გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „მე და ლამე" ხელნაწერი ვნახე. უცნაურადაა დასმული სასვენი ნიშნები. აი, ასე:

„ეხლა როცა ამ სტრიქონს ვწერ, შუალამე იწვის, ღნება;

სიო, სარკმლით, მონაჭროლი, ველთა ზღაპარს, მეუბნება.

მთვარით, ნაფენს, არემარე, ვერ, იცილებს, ვერცხლის საბანს.

სიო, არხეეს, და, ატოკებს, ჩემს, სარკმლის, წინ. იასამანს";

და ა. შ.

ძნელია, კანონზომიერება დაიჭირო, სასვენი ნიშნებს სად სვამს და რატომ... ფაქტია, ამას პოეტი შემთხვევით არ აკეთებს. ავტოგრაფების შესწავლამ ამ მხრივ შეიძლება რაღაც საინტერესო დასკვნამდე მიგვიყვანოს. მე მახსენდება ორიგინალური წაკითხვა საკუთარი ლექსისა „მთაწმინდის მთვარე". დეკლამაციისას გაკეთებული პაუზები, მახვილი თუ ინტონაცია როგორ მიესადაგება სასვენი ნიშნებს? ავტოგრაფს ალბათ შეუძლია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. არადა, ნებისმიერ გამოცემაში „მე და ლამეში" მკაცრი გრამატიკული წესებითაა დასმული სასვენი ნიშნები...

ვახტანგ ჯავახიძე წერს: „ანა კალანდაძის ლექსებში სამი წერტილის სიმრავლე შეინიშნება, ისევე, როგორც მარინა ცვეტაევასთან – ტირე. ორთავეს გამიზნული ფუნქცია აკისრია. ალბათ რომელიმე ლინგვისტი დაწერს ოდესმე – „მრავალწერტილი ანას

პოეზიაში". ანას ბოლოდროინდელ ლექსებში გამოყენებულია პუნ-
ქტუაციის ორიგინალური სახე: ნაცვლად სამი წერტილისა მძიმე და
ორი წერტილი — „... მე გავასწორებინე სამ წერტილად. არ ვიცი,
რამდენად სწორად მოვიქეცი. იქნებ სასურველია არსებობდეს ორი
სახეობა: სამი წერტილი წინადადების ბოლოს და ერთი მძიმე და
ორი წერტილი წინადადებაში — ანა ზომ სამ წერტილს ძალიან
ხშირად ხმარობს წინადადებაში ანუ სტრიქონში?!"

საინტერესო ფაქტია: ანა კალანდაძე პროფესიონალი ენათმეც-
ნიერი იყო; ცხადია, ზედმიწევნით იცოდა პუნქტუაციის წესები, მაგ-
რამ ორიგინალურად ხმარობს სამ წერტილს და ახალ ვარიანტსაც
გვთავაზობს — მძიმესა და ორ წერტილს. რედაქტორის (ამ შე-
მთხვევაში პოეტ ვ. ჯავახაძის) ჩარევა, რა თქმა უნდა, გაუმართლე-
ბელია. ინტერესს ისიც აღძრავს, რატომ დაეთანხმა პოეტი რედაქ-
ტორს და რატომ შეცვალა... როგორც ჩანს, სათქმელი რაღაც
სხვას ითხოვდა, არატრადიციულს; ასეთად მძიმე და ორი წერტილი
მიიჩნია, მაგრამ მტკიცება თავისი პოზიციის სისწორისა არ უცდია...
აქვს ასეთი ნათქვამი ანას: სათქმელმა თავისი ფორმა მოითხოვაო
და შემდეგ: „ჯერ კიდევ ბევრი რჩება ამქვეყნად ამოუხსნელი, ამო-
უცნობი და, ამდენად, განუმარტავიც!"

ფაქტია, ანა კალანდაძემ იცის, რას წერს და რატომ, რა ინ-
ფორმაციას დებს მასში, მაგრამ არ (თუ: ვერ?) განმარტავს და
თანხმდება რედაქტორის მოთხოვნას...

ლევან ბრეგაძესთან ვნახე: ამონარიდში გამოტოვებული ადგი-
ლის მისანიშნებლად ფრჩხილებში ჩასმული სამი წერტილი (...).
ამით შემოკლებული ამონარიდი განასხვავა სამი წერტილის სხვა
ფუნქციისაგან. ასეთი ხერხისთვის მეც მიმიმართავს... ლოგიკურად
მეჩვენება, თუმცა ტრადიციულ სასვენ ნიშანთა სისტემაში (...) ასე-
თი ნიშანი არაა...

განსაკუთრებით საინტერესო ზოგ მწერალთან სამი წერტი-
ლისა და ტირეს გამოყენების შემთხვევებია. სწორია ვ. ჯავახაძის
შენიშვნა — სამი წერტილის გამოყენება ანა კალანდაძესთან არ
ჯდება ტრადიციულ წესებში...

ზემოთ ოთარ ჩხეიძის ამონარიდი მოვიყვანეთ. უაღრესად საინტერესო შემთხვევასთან გვაქვს საქმე.

ვიციტო: წერტილიდან წერტილამდე ერთი წინადადებაა. მძიმე (ან წერტილ-მძიმე) ამ წინადადების ფარგლებში შეიძლება გამოვიყენოთ; ტირეც (ზოგჯერ მძიმის ნაცვლად); ახალი აბზაცი ახალი წინადადებაა – ეს მართლწერის ტრადიციული წესებით.

რამდენიმე ამონარიდს მოვიყვანთ ოთარ ჩხეიძის პროზიდან:

„ტერციალებდა თბილისი,

საზეიმოდ გადადებულიყო თბილისი,

უფრო ცეკავდა, – ცერებზე შემდგარიყო,

ემზადებოდა, ემზადებოდა: ოღონდ რო თავი მოეწონებინა, აღარ ახსოვდა სხვა არაფერი, ღმერთი არა სწამდა. არც ეშმაკი სწამდა, არც სჯეროდა თუ შებმულიყვნენ ღმერთი და ეშმაკი: ცეკვავდა, ცეკვავდა, – ტაში, ტაში, ტაში, თებრო!“

ეს ამონარიდი (ოთხ აბზაცად წარმოდგენილი) ერთ წინადადებად მოიაზრება!..

სხვა, ცოტა უფრო ვრცელი ამონარიდი: გრძელი აბზაცის გაგრძელება – „ცოლი მოინდომა?.. დღესვე?.. დღესვე იყოს!.. აგერა სუზი!.. დღეს ისეთი მომხიბლავი რამ იყო, – ჰადაჰა: იმას გაჰყოლოდა თუ ამასა ხდებოდა!.. გაიკითხოს. გამოიკითხოს. ის გოგო აღარ არის. ფაფუ!.. წავიდა!.. არც რა ყოფილა იმისთანა. არც იჭებოდა. მიუგღიათ ვითომც განხეთქილების ვაშლი. რო არც მოუსმინა?! გამოცანები დაუსახა. და. გაისტუმრა. გამოცანები!..

ჰო

ღიახაცა

გამოცანები!..“

ანლა: (...) თქვენ ერთს მოითხოვთ, მე მეტსა გპირდებითო.

ჩვენცაო.

ჩვენცაო.

ჩვენცაო.

ჩვენც გვინდაო. წამოდგენ და წამოდგენ. თქვენცაო, თქვენცაო, თქვენცაო, დაჰპირდა და დაჰპირდა რექტორი“.

ანდა: (...) „*მერე დაჯექ და მოეთათბირე. ცხინვალს იქნება. ჯავაში იქნება. როქში იქნება. ეს სულერთია. მოსკოვში არა. ოლონ-დაო. ეს აიცილე. აღარა უფიქრია. ერთისიტყვითა.*

აღარა."

ერთიც და: „სახლი რო არ იშლიდა თავისასა, –

გუგუნებდა რო,

გრიალებდა რო,

ინგრეოდა რო,

ილეწებოდა,

ილეწებოდა.

ბრავუნებდა, ბრავუნებდა, ბრავუნებდა, ბრავუნებდა, კიდეც კარგი კომენდატის საათით".

ეს „ვერტიკალურ-ჰორიზონტალურად“ დაწყობილი გამეორებები და ერთნაირი სასვენი ნიშნები... მოკლედ: ამ შემთხვევაში საქმე ძალიან რთულადაა და არ მოხერხდება მისი მარტივად შეფასება; მშრალი მართლწერის წესების მისადაგება.... სხვა ტიპის ანალიზია საჭირო...

კარგი იყო მწერალს, ოთარ ჩხეიძეს, დაეწერა განზრახული ნაშრომი პუნქტუაციის შესახებ...

ორიგინალურია და ძალზე საინტერესო სასვენი ნიშნების საკითხი მუხრან მაჭავარიანთან.

ორიოდე მაგალითს აქაც მოვიყვან:

„ვისაც, –

თუნდ ერთხელ, –

მთაწმინდიდან სიამით მზერაღს –

დაბლა თავისი უძებნია თვალებით სახლი,

ვისაც,

მჯდარს კენტად –

ღელის პირას,

ანდა ზის ძირას –

აღუდგენია სახეები ნაცნობი ხალხის, –

არა მგონია, არ იპოვოს ამ ლექსში იმან –

რაღაც ნაცნობი,
 რაღაც ტკბილი,
 რაღაც თავისი, –
 ვითარცა ნაცნობს წარმოადგენს
 ზღვათათვის წვიმა,
 ვითარცა სუნთქვა წარმოადგენს
 ნაცნობს ქარისთვის."

კიდევ ერთი ლექსი:

„ნეტა, – იმ დღესა!
 ნეტა, – იმ დღესა! –
 ნეტა, – იმ დღესა! –
 კაცი მეგონა მე იგი როცა, –
 დღეს,
 მხოლოდ თვითონ
 თვლის
 თავს
 ვინც
 ცოცხლად!"

მაგალითების მოყვანა უსასრულოდ შეიძლება...

როცა მუხრან მაჭავარიანის ლექსს კვითხულობთ, ხმა მესმის პოეტის და მის აქნეულ მარჯვენას ვხედავ... ეს სასვენი ნიშნები, განსაკუთრებით ძახილის ნიშანი, სწორედ ამ აქნეული მარჯვენის მიმანიშნებელი ნიშანი მგონია...

საერთოდ, გალაკტიონის დეკლარაცია და „მისი“ სასვენი ნიშნები, მუხრანის დეკლარაცია და „მისი“ სასვენი ნიშნები, რა თქმა უნდა, შესაბამისობაშია. ძალზე საინტერესოა, როგორ კითხულობდა თავის პროზას ოთარ ჩხეიძე...

საინტერესოა ხელნაწერების ჩვენებები: რედაქტორ-სტილისტები გრამატიკის ჩარჩოებში აქცევდნენ ტექსტს...

რა შემთხვევაში ხმარობდა ანა კლანდაძე მძიმესა და ორ წერტილს?...

როგორც ჩანს, ცალკეულ შემთხვევაში მწერალი სასვენ ნიშნებს გარკვეულ მხატვრულ ფუნქციას ანიჭებს; დამატებით ინფორმაციას გვაწვდის სასვენ ნიშანთა ორიგინალური გამოყენებით...

შედის კი ეს მწერლის ენობრივი თავისუფლების სფეროში და აქვს კი ზღვარი ამ თავისუფლებას?

– არ ვიცი...

წერილი მეოთხე: ორი გურამ ღოჩანაშვილი

*ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა,
მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს.*

ილია ჭავჭავაძე

მე ვიცნობ ორ გურამ ღოჩანაშვილს:

პირველი – ეს არის ავტორი მოთხრობისა „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“, რომანისა „სამოსელი პირველი“ და მრავალი სხვა დიდებული ნაწარმოებისა;

მეორე – ეს არის ავტორი მოგონებათა წიგნისა „რაც უფრო მახსოვს და მეტად მაგონდება“, მოთხრობისა „კაცი, სახელად ნოე“ და სხვა.

პირველ გურამ ღოჩანაშვილს ვცემ უაღრესად დიდ პატივს...

მე არ ვგულისხმობ იდეურ-მხატვრულ მხარეს მეორე გურამ ღოჩანაშვილის შემოქმედებისა; მე ამ მოვლენას ქართული ენის გულშემატკივრის პოზიციიდან ვუყურებ...

პირველი გურამ ღოჩანაშვილი კარგი მოქართულეა; მისი ფრაზები, ენობრივი მიგნებები, იმპროვიზაციები თაობებმა ზეპირად იცის (მათ შორის, ცხადია, მეც).

მეორე გურამ ღოჩანაშვილის (მიჭირს პირველი გურამ ღოჩანაშვილის ხათრით ამის თქმა, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა) ქართულისა რა მოგახსენოთ...

ორიოდე ამონარიდი მოთხრობიდან „კაცი, სახელად ნოე“ (ორი წინადადება!):

„სულ უკან-უკან წავიდა თუმცა ჯერჯერობით დამაფიქრველი იყო მისი ნათქვამი წარსულური თუ მომავლისადმიერი. ეგებ – ეს „ნჭირიმეცა და ნსულიცმეცა“ – მაინც რა ჭირი-მეცა და ავისული-მეტაკა იყო ნეტა ესა გამონათქვამში ამ-ამ ანიჩქასისისა მაგრამ

იმაკას ცალფად შ-იანს აქა მაინცად ცხადლივ რომ კი-სიაძუენობდა გამონათქვამები მთლიანად-ესი და განსაკუთრებით კი „დემონკრატია“ – აშკარა იყო თუმცა შენიღბული მაგრამ ანიჩქა მაინც გრძნობდა კან-ტყავითაც რომ მის უკუ-სვლას რომ გასაპრობობლად რო სჭირდებოდა ძალიანაც-რომ ხერხი-აზალი (აზლა „ხ“-ებმა წამოყვეს თავი, სუ ხ-ები და მეღვედეკები პუტინურები, გვაკლდა), და მოახერხა და გაახერხა (– ა! – კილო, კილო,) და მუახერხა (– ვაჰხხ!):“ და ა. შ.

„ეგება ესაც გულწრფელობაა თავისებური (– თავის კი არა, ტრაკისებური...), და, ბოლო იმა აბღავლებულს ბღაველით: „ვაიი, ვაიიხხხ!, ვაი დედიჯაან!!!“ – ხოლო აქა კი, ამ კონკრეტულსა (ანუ საგდომისადა აკვამლებულს) შემთხვევაში კიტრიკიკომა შაიბრაღა, აბოლებულ-აბღავლებული და, მინამ იმის იქიდან (უკანალიდამ, რა-ღა,) მოაცილებდა ადგ ზნებულობით ჰაზარტში შესულ მაშხალასა, ისა კი, ადასე ჰხხხხობდა: „ვახხ მკლაამხ კიდეცხხ კინტრრიკიკო-ოვხხ!!! ოხრადხ მიტოვეეფხ იმტელ ბანანსააახხ?!?!-! და, ურჩია ან-გრე, ჯერჯერობითე მთლად ანიჩქასი, მუადვილემა“...

ამონარიდები საგანგებოდ არ მიძებნია – მეორე გურამ ღოჩა-ნაშვილის ნაწერები ასე იკითხება (სიტყვა-ფორმები, სასვენი ნიშნე-ბი სათითაოდ გადმოვწერე, შემთხვევით სწორი ფორმა რომ არ წა-მცდენოდა...).

ამ ფორმებზე, რა თქმა უნდა, ენათმეცნიერი ვერ იმსჯელებს – არაა ეს ბუნებრივი ქართული; ხელოვნური, გამოგონილი ენაა...

მეტყვიან, მწერალია და აქვს ამის უფლებაო... – არა, ბატონებო, ენის ხელყოფის, გახელოვნურების, წახდენის (არც ამ სიტყვის თქმისა მეშინია) უფლება არავის აქვს... გახსოვთ ილია? – „სხვისი არა ვიცი და ჩვენ-კი მშობელ მამასაც არ დაუთმობდი ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას... ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“. დიდმა ილიამ ყველა ჩვენგანს გვიანდერძა ეს და ვალად დაგვდო ამ ანდერძის აღსრულება... დიახ, ყველას...

ერთ მეგობარ ლიტერატორს აზრი ვკითხე მეორე გურამ ღოჩანაშვილის ნაწერებზე; არ ვიცნობ, არ წამიკითხავსო; რატომ-მეთქი და – არ მცალიაო... ფაქტია, ვერ წაიკითხა (ანდა წაიკითხა და ვერ გაიგო), მაგრამ პირველი გურამ ღოჩანაშვილის პატივისცემით მეორე გურამ ღოჩანაშვილზე აუგი ვერ თქვა... ასეთ ლიტერატორთა გასაგონად ვიმეორებ: პირველ გურამ ღოჩანაშვილს მეც უაღრესად დიდ პატივს ვცემ, მაგრამ დედაენაზე მაღლა ვერ დავაყენებ...

ამ თემაზე საუბრისას ერთმა ლიტერატორმა ვაჟა-ფშაველას ენის შესახებ გამართული პოლემიკაც შემახსენა და ოთარ ჩხეიძის ენაც მოიხმო „უჩვეულო ქართულის“ მაგალითად. იქაც ვთქვი და აქაც ვიმეორებ: ვაჟა-ფშაველასა თუ ოთარ ჩხეიძის მაგალითად მოყვანა ამ შემთხვევაში დიდი შეცდომაა: ვაჟა-ფშაველასა თუ ოთარ ჩხეიძის ქართული ბუნებრივი ქართულია; ის დიალექტური ფორმებიც ასევე ბუნებრივია; არც ერთი ხელოვნური, გამოგონილი სიტყვა-ფორმა! და ეს არსებითია.

რაც შეეხება აქ დასახელებულ თუ სხვა მწერალთა მიერ ბუნებრივ, ნამდვილ ქართულ (სალიტერატურო თუ დიალექტურ) სიტყვა-ფორმათა გამოყენების ინდივიდუალურ თავისებურებებს, ეს სხვა საქმეა; სტილის საკითხია და ამაზე შეიძლება ვიდავოთ, ვიკამათოთ, მოვიწონოთ ან დავიწუნოთ, მივიღოთ ან არ მივიღოთ, მაგრამ...

მაგრამ, მეორე გურამ ღოჩანაშვილის შესახებ, ვუიქრობ, დავა-კამათი არ შეიძლება... კიდევ ერთხელ ბოდიშს მოვიხდნი პირველი გურამ ღოჩანაშვილის წინაშე...

ორიოდე სიტყვა რედაქტორ-გამომცემლებზეც:

როგორც ვაჟა-ფშაველა იტყოდა, რედაქტორი ღმერთს იმისათვის გაუჩენია, რა დაბეჭდოს და რა არა, თავად უნდა გადაწყვიტოს (მხედველობაში მყავს ამ შემთხვევაში რედაქტორები გამოცემებისა „ლიტერატურული პალიტრა“ და „ლიტერატურული გაზეთი“). პატივისცემა მწერლისა ჩემთვის გასაგებია, მაგრამ,

ვიმეორებ, ქართულ ენაზე მაღლა არავინ და არაფერი არ უნდა დააყენონ; ეს ერთი მხარეა პრობლემისა. მეორე, და ასევე არსებითი: ნებისმიერი გამოცემის, მითუმეტეს ლიტერატურულის, უმთავრესი მიზანი ქართული სალიტერატურო ენის მსასურება უნდა იყოს; სწორი ქართულის პოპულარიზაცია და თავდადებული ბრძოლა ქართული ენის ღირსების შელახვის ყოველი გამოვლინების წინააღმდეგ. პირადად მე ამ კონკრეტულ შემთხვევაში ქართული ენის წინაშე უფრო მეტად დამნაშავე ეს გამოცემები მგონია, ვიდრე მწერალი...

შინაარსი

წინასიტყვა.....	3
-----------------	---

ნაწილი I: სალიტერატურო ენა

ქართული, როგორც სახელმწიფო ენა.....	5
ქართული ენის პერიოდიზაციისათვის.....	24
ქართული სალიტერატურო ენის ნორმირების ისტორია და პერსპექტივა.....	34
იაკობ გოგებაშვილი და ქართული სალიტერატურო ენა.....	71
სამეცნიერო ლიტერატურის ენა.....	93
საენათმეცნიერო ტერმინოლოგიის გაქართულება დინამიკაში.....	131

სისტემური ენობრივი ცვლილებები და ნორმატული რეკომენდაციები:

1. ენობრივი ნორმა – მუდმივი თუ ცვალებადი?.....169
2. -ავ და -ამ თემისნიშნიან ორპირიან გარდამავალ ზმნათა პირველი თურმეობითის ფორმათა შესახებ.....172
3. სტატიკურ ზმნათა აწმყოს I-II პირის მეშველიან ფორმათა შესახებ.....185
4. ენებითი გვარის ზმნათა II კავშირებითის პარალელურ ფორმათა შესახებ (იქნეს თუ იქნას).....188
5. ამქვეყნად და იმ ქვეყნად.....192
6. სამხრეთ კავკასია თუ სამხრეთი კავკასია.....193
7. მრავალსიტყვიან უცხოურ სახელწოდებათა ქართულად დაწერილობის გამო.....201

ნაწილი II: ენა და მწერალი

დ. კლდიაშვილი და ქართული ენა.....	206
ოთარ ჩხეიძის ენობრივი სამყარო.....	238
ენა – ბელისწერა (ქალბატონი ანა და ქართული ენა).....	265
მუხრან მაჭავარიანი და ქართული ენა.....	274
გოდერძი ჩოხელი და ქართული ენა.....	285
მწერლის ენობრივი თავისუფლება და სალიტერატურო ენის ნორმა:	
I. სუბიექტური მეორე და ობიექტური მესამე პირთა გამოსატვა ზმნაში.....	291
II. ბილწსიტყვაობა – „უნიჭო საშუალება მკითხველზე ზემოქმედების მოხდენისა“.....	296
III. სასვენი ნიშანები.....	303
IV. ორი გურამ დოჩანაშვილი.....	311